კვირის პალიტრა

N49 ასი 60 [illegible]

„ბზის" ჩეაღუჩი ბოუ

ნაზალის ცხოვრებაში ბაჩო გამოჩნდა

რა მოთხოვნები აქვს დავით კეზერაშვილს საყვარელი ადამიანის მიმართ

უსასრულოდ და მომთაბარე ცხოვრებას შეჩვეულმა ნინო ქათამაძემ შიდსი დაამარცხა

თავდაცვის ახალი მინისტრის უჩვეულო პორტრეტი

რას ამბობენ კოსტაზე და ვლასზე

მკერდის გადიდება ანუ სად მალავენ ქალები ოპერაციის კვალს

სენსაცია — ორსულ ბიჭუნას ოპერაციის შედეგად ნაყოფი მოაცილეს

ექსკლუზიური რეპორტაჟი გალიდან

რუსეთის იმპერატორის როიალი ქუთაისელი ქალბატონის საკუთრებაა

უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

დეკემბრის ნომერში იხილეთ:

2 პოსტერი, 2007 წლის კალენდარი

მინისტრი, რომელმაც კვალი დატოვა

ტერორისტული დაჯგუფების განადგურების ტაქტიკა

მსოფლიოში ყველაზე პოპულარული იარაღის ათეული

რატომ გვებრძოდნენ სომხები აფხაზეთში...

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

„შავი ქორის“ დაცემა და ალზევება

№49 (339)
7-13 დეკემბერი, 2006
ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
დიქტატი პოლიტბიუროს წინააღმდეგ ანუ „SMS-შოუ“ ქართულ პარლამენტში“ 3
■ ერთი კითხვა 4
■ სენსაცია
ჩილეში „ორსული“ ბიჭუნა დაიბადა 5
■ პორტრეტი
რა მოთხოვნები აქვს დავით კეზერაშვილს საყვარელი ადამიანის მიმართ... 6
■ ერთი მინის შვილები
მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე 7
■ რეპორტაჟი
ზღვარი გალის რაიონზე გადის 8
■ ჟურნალისტის როლში
როგორ ასახელეს ბესო ჯუღელი ნეკამ, აჩიკომ და ქრისტინემ... 10
■ პოლიტიკა
ორხელისუფლებიანობა ცხინვალში 12
■ უცხოური პრესა
ლუგარი, კოკოშინი... სტალინი და სხვა მრავალი „ქართული თავსატეხი“ 13
■ კრიმინალი
ცოლად შერთვის მიზნით ძმამ ძმის შეყვარებული მოიტაცა 14
■ გულშემატკივარი
„რა კაცი დაკარგა და რემონტიო, კაცოო! რემონტიოოო!“ 16
■ რეალური
ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი 17
■ ანტიდეპრესანტი 20
■ ბედისწერა
ღობის იქით ძალა და შეძლება, აქეთ კი, ჯოჯოხეთი ზეიმობს?! 20
■ შოუ
„ჯეობარის“ ინტერნეტფორუმი ანუ „ყველამ უნდა გამოვიყვანოთ საშკარაოზე“ 22
■ იმიჯი
„დაშაკალული“ სახე და დამალული დეფექტები 23

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

— მითხრა — ბაჩო ვარ და გადმოვრეკავო. შენ ხომ ამბობდი, ბაჩო უგზო-უკვლოდაა დაკარგული და მის შესახებ არაფერი ვიციო?

— მართლა არაფერი ვიცი... არ გჯერა?

— მაგრამ ბედნიერი ხარ, რომ გამოჩნდა, არა?

პასუხი აღარ გამიცია, მივბრუნდი და კვლავ საძინებელში გავედი. დაძაბული ვიყავი. 10 წუთი თითქოს საუკუნედ იქცა.

17

„...ერთმა ქალმა მითხრა — განწყობილებას მიფუჭებ“

— ჩვენი პრეზიდენტი არ მოგწონთ?

— გაურკვევლობაში ვარ. რომ ვუყურებ, მომწონს, როცა ვუსმენ — მჯერა, მაგრამ მოვალ აქ, ჩამოვჯდები, გავიშვერ ხელს და აღარ მჯერა არავისი და არაფრის.

— პირველად როდის გამოხვედით სამათხოვროდ?

— შევარდნაძის დროს...

20

მარგალიტები ღამის შავი ცის ფონზე...

„ერთი გვყავდა კიდევ — მელორი გვალია, მეგრელი, უბედურის ერთი. ასე, აბსოლ, ნიკაპამდე ძლივს მწვდებოდა. პატარები ხომ იცი კიდევ, რანაირი „შკოლნიკები“ არიან, სულ ერთმანეთის შაყირში ვიყავით“.

7

ვარდის ხის როიალი

„ოთხი როიალი, რომელიც თავად ედუარდ სეილერმა დაამზადა, სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული: ერთი — კაკლის, მეორე — ლიმონის, მესამე — შავი ლეიბანის. ჩვენი როიალი კი — ვარდის ხისაა“.

32

თეთრი სიკვდილი

— ჭელიძეც ზუსტად ეგეთი ნაბიჭვარია. ერთი მხრივ, მეცოდება კიდეც. შეიძლება, გორგაძის სიახლოვემაც იმოქმედა მასზე. სად ჭელიძე და სად გორგაძე?! გორგაძე ჩამოყალიბებული მორფინისტი და ახვარი იყო, ის კი — ჩვეულებრივი არიფი, რომელიც გორგაძემ შეაბა და „ბარიგობა“ დააწყებინა.

50

■ შინ
ჩინოვნიკი, მსახიობი თუ შოუმენი... 25
■ გზავნილები
სირცხვილი 26
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ მკერდის გადიდება, ლიფტინგი და ლიპოსაქცია 30
✓ ჯულია რობერტსის დიეტა 31
■ ანტიკვარი
ვარდის ხის როიალი რუსეთის იმპერატორის ოჯახიდან — ქუთაისელი წარჩინებულის ხელში 32
ჯანმრთელობა
✓ C ჰეპატიტი — ვიმკურნალოთ დროულად! 34
✓ მკურნალი კომბოსტო 35
✓ თუ თქვენ გაქვთ... 35
■ ტაიმ-აუტი 36
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე.
ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38
■ ვარსკვლავი
პირს ბროსნანი — გადამდგარი ჯეიმს ბონდი და ოჯახურ ინტრიგებში გახლართული „უმწეო“ მამაკაცი 42
■ ბომონდი 44
■ ნამდვილი ამბავი
მოხერხებული დონჟუანი 45
■ ავანტიურისტები
ცოდვიანი ნიჭითა და შავბნელი გამომგონებლობის უნარით შემკულნი 46
■ ასპარეზი
გიორგი დემეტრაძე: „უბრძოლველად არაფრის დათმობს არ ვაპირებთ“ 48
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე. თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 50
■ წმინდანები
„ვმადლობ სახელსა უფლისასა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა“ 54
■ კვალი
ტუსაღი არქიმანდრიტი, რომელმაც უცნობი კაცისთვის თავი გაწირა... 55
■ თინეიჯერული პონტები
გახვრეტილი ტუჩები, ქალიშვილობის ბუმი და „პაპლონიკების“ შორის ჩაგდებული „ტაფა“ 58
■ მესიჯომანია
„ყველა ბიჭი მოსატაცებლად დამდევს“ 60
■ ტრადიცია
რა წესებს ითვალისწინებდნენ გვირგვინის კურთხევის დროს ჩვენი წინაპრები? 62
■ ბომონდური მოზაიკა 64
■ პორტსკოპი 66
■ ავტო 67
■ ფაპორიტები
დაიმსახურა თუ არა კანავარომ „ოქროს ბურთი“? 68
■ ტესტი 70
■ სკანვორდი 71
■ ...და ბოლოს 72

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

გახვრეტილი ტუჩები, ქალიშვილობის ბუმი და ...

„ხომ გახსოვს, ადრე ქალიშვილობის სიფიცე იყო, არავინ არავის იკარებდა. ახლა სხვანაირი ბუმია — თუ ბოიფრენდი არ გყავს, გოიმი ხარ. ეს შეიძლება კარგია, მაგრამ ამის აფიშირება და ჭკუიდან გადასვლები რაღა საჭიროა?“

58

რა წესებს ითვალისწინებდნენ გვირგვინის კურთხევის დროს?

„მღვდელი მრევლში განაცხადებდა, ჯვარდასაწერთა ვინაობას. თუ ვინმეს ცუდი ან კარგი ინფორმაცია ჰქონდა დასაქორწინებლებზე, აუცილებლად უნდა ეცნობებინა მოძღვრისთვის“.

62

როგორ ასახელეს ბესო ჯუღელი ნეკამ, აჩიკომ და ქრისტინემ

„კონცერტით ძალიან ისიამოვნა ბატონმა ბესომ — მოეწონა ჩვენი რეპერტუარი, განსაკუთრებით კი, ჩვენი დუეტი. გვასახელეთო! — გვეუბნებოდა და მადლობას გვიხდიდა“.

10

veluri wablis xeivani

— აბა, მე ჯერ სიცოცხლე არ მომბეზრებია, — თქვა მურადმა და იარაღი თენგიზს დაუბრუნა. — თუ გინდა, შენ სცადე, — დააყოლა მან.

— ჰოდა, მუსტად ასე იყო... — თენგიზმა „ბრაუნინგის“ ბუდე დააგრიალა და ჩახმახი შეაყენა, თან ხმამაღლა განაგრძო: — ჩადო ლევან იაშვილმა ბუდეში ერთი ტყვია, — თენგიზმა იქ მყოფთ ტყვიის მასრა დაანახვა და მჭიდში ჩადო, — მიიდო საფეთქელთან და...

38

დიქტაფონი პოლიტბიუროს წინააღმდეგ

ანუ „SMS-შოუ" ქართულ პარლამენტში

ჩვენი კანონების მიმღები ორგანო კანონს იღებს, სიცილით მოკვდები! ჯერ იყო და, უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი, რომ ამიერიდან, ყველა კანონს თვითონ მიიღებს. ჰოდა, ვინაა ხელის შემშლელი, შტამპავენ და ბეჭდავენ 20-25 კანონი/საათში-სიჩქარით. მერე, რა გრამატიკა და რა ლოგიკა დევს! გაუგიათ, უცხო ენებისგან განსხვავებით, ქართულ ენაში, როგორც იწერება, ისე იკითხებაო და „რაფერც" უნდათ, „ისთე" წერენ და კითხულობენ. ამას წინათ, პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ კანონი რომ განიხილეს, ასე ეწერა: „ოთხი საქართველოს მოქალაქე"... გენაცვალეთ, ჯიგარში! აქამდე მხოლოდ ერთი საქართველო იყო და მაინც მაგრები ვიყავით და აწი „ოთხი საქართველო" რომ იქნება, ხომ გადავდგამთ დედამიწას „ეზოს ბოლოში"?!

ისე, რას ერჩი, ყველა კანონში დევს პატრიოტული და ხალხზე მზრუნველი სული. თუნდაც, ბოლო სამ კანონში. ჩვენც მეტი რა საქმე გვაქვს, მივყვეთ სათითაოდ:

კანონი 1. ტრამვაი-ტროლეიბუსების გაუქმების შესახებ (ხომ ჟღერს სკოლაში დაწერილი თავისუფალი თემასავით?): აღნიშნულ კანონში აშკარად გამოსჭვივის გზებზე არსებული მდგომარეობისადმი შეურიგებელი ბრძოლის ჟინი. ავტორი თამამად ამხელს საგზაო საცობების მანკიერ მხარეებს და ამავდროულად, გულანთებული ზრუნავს ქართული ჯართის ბიზნესის დუხჭირ ყოფაზე... ბიჭი ხარ და უპოვე ნაკლი ამ კანონს!

ხომ ხშირად „გაჩხერილხართ" საცობში იმის გამო, რომ თქვენ წინ მიმავალმა ტროლეიბუსმა „ტლინკები ყარა" ან „დენი დაღაფა"? ასეთი დიალოგიც ხომ გაგიგონიათ ტროლეიბუსის მძღოლსა და ფეხით მოსიარულეს შორის:

— ამობრძანდით, ქალბატონო!

— არა, გმადლობ, მეჩქარება...

არც ტრამვაი გამოირჩევა სისწრაფით: ადამიანს კაცია მუნჯაძესავით თავის მოკვლა რომ უნდოდეს, ისე დაბერდება „რელსზე" კისერგადადებული, რომ ერთი ტრამვაი არ გამოივლის და ეს ყველაფერი მაშინ, როცა ჯართის ერთ დროს აყვავებულ ბიზნესს მძიმე დღეები უდგას და თურქეთში მოუთმენლად ელიან თბილისიდან ჩატანილ ტროლეიბუსებსა და ტრამვაის ვაგონებს. მართალია, ხალხი მაინც ეწინააღმდგება მათ გაუქმებას, თუნდაც იმიტომ, რომ იაფი ტრანსპორტია, მაგრამ „ვინ ჰკითხავს ხალხს?!"

კანონი 2. 27-დან 50 წლამდე მამაკაცების ყოველწლიური 18-დღიანი სამხედრო-სარეზერვო გადამზადება. ნეტავ გამაგებინა, ამდენ ჯარისკაცს რისთვის ამზადებთ სროლასა და სანგრების თხრაში, როცა დღედაღამ იმას გაიძახით, ტერიტორიული მთლიანობა მხოლოდ მშვიდობიანი მოლაპარაკებებით უნდა აღდგესო. მაგას არ სჯობია, მშვიდობიან მოლაპარაკებებში მოგვამზადოთ? ამ კანონსაც ეწინააღმდეგება ხალხი, მაგრამ „ვინ ჰკითხავს ხალხს?!"

კანონი 3. პარლამენტის სხდომათა დარბაზში მობილური ტელეფონებით საუბრების აკრძალვის შესახებ: ასეთი სიმკაცრე ნამეტანია, თქვენ ნუ მომიკვდებით. ჯერ ერთი, რა სჯობდა სხდომის ტრანსლაციის ყურებას — თავი დისკოთეკაზე გეგონებოდა: ათასნაირი ქართული თუ უცხოური ჰიტი ჰქონდათ ზარად დაყენებული და იყო ხალისი, ჟრიამული. მართალია, ამით პარლამენტის მუშაობის ნაყოფიერება ეცემოდა, მაგრამ მეორეც ხომაა: იქნება, ამომრჩეველი ურეკავს თავისი რაიონის დეპუტატს და რაღაც პრობლემა აქვს?! ესეც გაითვალისწინა სპიკერატმა და მათთვის მესიჯის გაგზავნამიღების უფლება ჯერ არ წაურთმევია.

თუმცა, არც ესაა უნივერსალური გამოსავალი, რადგან დეპუტატი აქამდე თუ რამდენიმეწამიანი გადარეკვით შემოიფარგლებოდა, ახლა ტექსტი უნდა აკრიბოს. ამას კი ყველა ასოს ცოდნა სჭირდება. პარლამენტარმა იმაზე იფიქროს, როგორ იწერება ინგლისურად „ჭ", „ღ", „ჩ", „წ" და ც", თუ ქვეყნისათვის საჭირბოროტო საკითხზე იმსჯელოს?!

ამიტომ, ნებისმიერი დეპუტატისთვის გაგზავნილი SMS სპიკერს მიუვა, წაიკითხავს და განიხილავენ. მოკლედ, პარლამენტში „SMS-შოუ" იწყება და აწი ნახეთ ხალისი, გართობა და კანონშემოქმედება, პარლამენტის თავმჯდომარე რომ წაიკითხავს SMS-ს: „გთხოვთ, გაუშვათ კანონი კერძო მესაკუთრეების შესახებ გივი თარგამაძის შესრულებით. ვგიჟდები რეპზე. ეძღვნება მაიკოს, კოტიკოს, გიგუნას, ნიკუშას და უმრავლესობის მთელ სასტავს"...

P.S. მორბენალი სტრიქონი პარლამენტის ხმის მიცემის მონიტორზე:

„იყიდება „ოპელ-ომეგა", კარგ მდგომარეობაში, დეპუტატის ნახმარი — „სამსახური — სახლი, სამსახური — სახლი". ფასი 4.000$, ოპოზიციონერი დეპუტატებისთვის — 5.300$"...

■

პროვოკატორი

„მაკონტროლებელი და ძალოვანი სტრუქტურები, ხელისუფლების ხელში, პირადი ანგარიშსწორების იარაღად იქცა"

— თუ კონტროლის პალატა ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას ეწევა, პარლამენტში მერაბიშვილისა და ადეიშვილის დაბარებით, რისი შეცვლის იმედი გაქვთ?

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი:*

— ოპოზიცია პარლამენტში მომხსენებელთა ჯგუფის შექმნას ითხოვდა, რომელიც კონტროლის პალატის საქმიანობას შეისწავლიდა. სამწუხაროდ, ჩვენი ეჭვი გამართლდა და უმრავლესობამ საპარლამენტო გამოძიებაზე უარი განაცხადა. მაგრამ ნუგზარ ნაჭყებიას საგანგაშო განცხადებაზე პასუხს შს მინისტრის, გენპროკურორისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლისგან მაინც მოვისმენთ. კონტროლის პალატის ყოფილმა მაღალჩინოსანმა საჯაროდ განაცხადა, რომ დათა ახალაიას დეპარტამენტი და პროკურატურის მაღალჩინოსნები პირდაპირ ავალებდნენ მას სატყეო დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ბიძინა გიორგობიანისა და „სახსტანდარტის" თავმჯდომარის, მიხეილ ჯანიკაშვილის დასაჭერად საჭირო აქტების შეთითხნას. ჩვენ რომ არ ვიცოდეთ, თუ რა მოხდა „სონის" მაღაზიაში, „ბადაგონში", „შინხოფერში", ნაჭყებიას განცხადებას, ამხელა აჟიოტაჟი იქნებ, არც მოჰყოლოდა. მაგრამ ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, სერიოზული ეჭვი გაჩნდა იმისა, რომ კონტროლის პალატა, სხვა ძალოვან სტრუქტურებთან ერთად, ჩაბმულია სახელმწიფოს რეპრესიულ მანქანაში. სამწუხაროა, რომ რევოლუციის შემდეგ, მაკონტროლებელი და ძალოვანი სტრუქტურები, მათ შორის — ე.წ. სოდი და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი, ხელისუფლების ხელში, პირადი ანგარიშსწორების იარაღად იქცა. ამის მაგალითად, გირგვლიანის და რობაქიძის მკვლელობები, ბათიაშვილისა და თავდგირიძის დაპატიმრებებიც კმარა.

■

„...ვინ შეძლო თავის ჭკუაზე პრეზიდენტის გადაყვანა"

— თქვენი აზრით, რამდენად სწორად გადანაწილდა პრიორიტეტები 2007 წლის ბიუჯეტში და სოციალური პროგრამების დაფინანსება თუ გააუმჯობესებს მოსახლეობის მდგომარეობას?

დავით საგანელიძე, *პარლამენტის წევრი:*

— 2007 წლის ბიუჯეტში მატების დინამიკა აღარ არის. როგორც ჩანს, ხელისუფლებამ შეძლებული ადამიანებისგან ამოსაღები თანხა უკვე ამოიღო. გასაყიდიც აღარაფერი დარჩა — სინდის-ნამუსის ჩათვლით, ყველა ობიექტი გაასხვისეს. ბიზნესმენებს 5 წრეზე მაინც ჩამოუარეს, რეკეტის მიზნით, და რადგან ამოსაღები თანხები აღარ ეგულებათ, ბიუჯეტის ზრდაც შეწყდა. რაც შეეხება პრიორიტეტებს, — მთავარი ყურადღება ისევ თავდაცვის სფეროსკენაა მიმართული. ყველაზე მილიტარიზებული ქვეყნებიც კი არ ხარჯავენ თავდაცვაზე ისეთ თანხებს, როგორიც ჩვენს ბიუჯეტშია გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე, კვლავ დგას საკითხი — ვემზადებით თუ არა ომისთვის?.. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ბიუჯეტს აშკარად ემჩნევა: ამა თუ იმ სფეროს დაფინანსება მოხდა არა საჭიროებიდან გამომდინარე, არამედ იმის შესაბამისად, თუ ვინ შეძლო თავის ჭკუაზე პრეზიდენტის გადაყვანა და ბიუჯეტიდან ფულის დაცინცვლა. სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით კი, ერთი რამის თქმა შემიძლია: როცა მინიმალური ხელფასი და პენსია სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე გაცილებით დაბალია, როცა ლარის მსყიდველობითი უნარი დღითი დღე იკლებს, სოციალური პროგრამებისთვის გამოყოფილი თანხის მინიმალური ზრდა, ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ გამოასწორებს. ლარს უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში ხელოვნურად ამყარებენ, მოსახლეობის 80% კი შიმშილობს.

■

„კონსტიტუცია გვავალდებულებს, დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები საზღვარგარეთ"

— როდის უნდა დამთავრდეს პროცესი, რომელსაც თქვენ „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" უწოდეთ?

ნიკა გვარამია, *დეპორტირებულთა საკითხებზე მომუშავე კომისიის თავმჯდომარე:*

— დღეს რუსეთის გამანაწილებლებში საქართველოს 79 მოქალაქე იმყოფება. მათ სამშობლოში უსაფრთხო დაბრუნებაზე, საქართველოს ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს. თუ რუსეთი დეპორტაციას დროულად არ განახორციელებს, ჩვენ ვეცდებით, სპეციალურეისით ჩამოვიყვანოთ ეს ადამიანები. შესაძლებლია, მათი დაბრუნება უკრაინის გავლითაც განხორციელდეს. რუსეთში ეთნიკური ნიშნით მოკლული უკვე მესამე ადამიანის ფაქტს წავაწყდით. მანანა ჯიბელია, კანონის შესაბამისად, სასამართლო დარბაზიდან უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან მას ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდა. ამის ნაცვლად, იზოლატორში გამოკეტეს, რაც ყოვლად დაუშვებელი იყო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე... რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მკვლელობების სერია ჩაიდინა. ასეთ ვითარებაში, მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით ვეღარ შემოვიფარგლებით. საქართველოს კონსტიტუცია გვავალდებულებს, დავიცვათ ჩვენი მოქალაქეები საზღვარგარეთ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ამ ადამიანების გადასარჩენად. იმედი მაქვს, საერთაშორისო ორგანიზაციებიც დაგვეხმარებიან.

■

„ჩვენ გვქონდა უნიკალური და მძლავრი ბერკეტი..."

— რამდენად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის საქართველოს სიტყვა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესასვლელად და რატომ შეცვალა პრეზიდენტმა სააკაშვილმა საკუთარი პოზიცია?

ნიკო ორველაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— რუსეთის ვმო-ში შესვლასთან დაკავშირებით, დაახლოებით 70 ქვეყანას ჰქონდა პრეტენზია. ზოგის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, ზოგის — ნაწილობრივ. სადღეისოდ, ყველაზე მწვავე პრეტენზიები საქართველოს დარჩა. საქართველოსა და რუსეთს შორის 2004 წლის 28 მაისს მიღწეული იყო წინასწარი შეთანხმება — რომ საქართველო რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს, თუ ის ფსოუსა და როკის სასაზღვრო-გამშვები პუნქტების ლეგალიზაციას მოახდენდა. რუსეთმა ყველაფერი გააკეთა, რათა ქართულ მხარეს მისი ამ ვალდებულების შესრულება არ მოეთხოვა. საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია, რომ რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას მხოლოდ იმოტომ უნდა დათანხმდეს, რომ ამის სურვილი სხვა ქვეყნებმა გამოთქვეს, არასწორია. კარგად მესმის, რომ სააკაშვილი უმძიმეს სიტუაციაშია, მაგრამ მას არა აქვს უფლება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები სამარცხვინოდ გაუშვას ხელიდან. თუ კრემლი ვალდებულების შესრულებას არ აპირებს, რატომ უნდა დავუჭიროთ ვმო-ში მის შესვლას მხარი?! ჩვენ გვქონდა უნიკალური და მძლავრი ბერკეტი — ეკონომიკური საზღვრების რეალურად დაფიქსირებით, კონფლიქტების მოგვარებისთვის სტარტი მიგვეცა. ვმო-ში გაწევრება რუსეთს მრავალმილიარდიან შემოსავლებს მისცემს, ამიტომ კრემლი იძულებული გახდებოდა, იმპერიული ზრახვები მოეთოკა. მაგრამ ჩვენ ეს შანსი ხელიდან გავუშვით. სააკაშვილმა, ზამთარში გაზის მიღების სანაცვლოდ, აფხაზეთზე თქვა უარი. ■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

ჩილეში „ორსული" ბიჭუნა დაიბადა



ჩილეში ბიჭუნა დაიბადა, რომლის მუცლის ღრუში მედიკოსებმა კიდევ ერთი ემბრიონი აღმოაჩინეს. ექიმები აცხადებენ, რომ ეს უიშვიათესი მოვლენაა, რომელიც სამედიცინო ლიტერატურაში foetus in foetu-ს სახელწოდებითაა ცნობილი (foetus in foetu — „ნაყოფი — ნაყოფში"). კარგად განვითარებული ჩანასახისა და განუვითარებელი ნაყოფის მუცლებით მიჯრით მდებარეობის შედეგად, განუვითარებელი ემბრიონი განვითარებული ნაყოფის სხეულში აღმოჩნდება და იქ იზრდება. მშობიარობამდე ბიჭუნას დედას ულტრაბგერითი გამოკვლევა ჩაუტარდა. გამოკვლევის დროს, ექიმებმა ნაყოფის მუცელში 10 სმ ზომის უთავო ემბრიონი აღმოაჩინეს, რომელსაც კიდურები და ნაწილობრივ განვითარებული ზურგის ტვინი ჰქონდა. დაბადებისთანავე ბავშვს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა — მას ნაყოფი მოაცილეს. ჯერჯერობით, ახალშობილი ქალაქ ტემუკოს საავადმყოფოში, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

„ეს უიშვიათესი შემთხვევაა. ასეთი რამ 500000 ახალშობილიდან მხოლოდ ერთში თუ შეგვხვდება", — ამბობს საავადმყოფოს სამეანო განყოფილების გამგე, მარია ანგელიკა ბელმერი. მთელ მსოფლიოში მსგავსი 90 შემთხვევაა დარეგისტრირებული.

ბუნებრივია, ამ შემაძრწუნებელი ამბის შეტყობის შემდეგ, ქართველ სპეციალისტთა შეხედულებითა და იმითაც დავინტერესდით — ხომ არ დაფიქსირებულა ოდესმე მსგავსი პათოლოგია საქართველოში. კომენტარისთვის ერთ-ერთი წამყვანი თბილისური კლინიკის მესვეურებს მივმართეთ. აი, რა გვითხრა რადიოლოგმა **ნატა ღეჩუაშვილმა:**

— ჩვენში მსგავსი შემთხვევა არასდროს დაფიქსირებულა. როგორც ჩანს, ნაყოფის „ფეხმძიმობა" — გენეტიკური დაავადების ფონზე განვითარებული კაზუსია. სავარაუდოდ, საქმე გვაქვს ქრომოსომულ დარღვევასთან, რის შედეგადაც, ემბრიონის ორგანიზმში პათოლოგიური გადახრა განვითარდა. სამწუხაროდ, ახალდაბადებულებს შორის, საქართველოშიც ძალზე ხშირია, როგორც გენეტიკური, ისე ინფექციური დაავადების ფონზე წარმოშობილი პათოლოგია. ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა: უთავო ემბრიონების, ზურგის ტვინის თიაქრის, განუვითარებული სხეულით ახალშობილის დაბადების ფაქტებმა. ასეთი ბავშვები ძირითადად ნარკომანებს, ალკოჰოლიზმით შეპყრობილებს უჩნდებათ. თუმცა, ძალზე დიდ როლს თამაშობს გენეტიკური დაავადებებიც; გვხვდება აგრეთვე, ინფექციურ ფონზე განვითარებული გადახრები. ■

თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ოქრუაშვილის წასვლაზე არანაკლებ მოულოდნელი იყო ამ თანამდებობაზე დავით კეზერაშვილის დანიშვნა. საზოგადოებაში ბევრი კითხვა გაჩნდა, რომელიც ალბათ, კიდევ დიდხანს პასუხგაუცემელი დარჩება. გარდა იმისა, რომ ახალი თავდაცვის მინისტრი ძალზე ახალგაზრდაა და სამხედრო სფეროში ადრე, არ საქმიანობდა, თავად დავით კეზერაშვილის ფიგურა იწვევს დიდ ინტერესს, რადგან ის პრაქტიკულად, არ იძლევა ინტერვიუს, ტელეეკრანზეც იშვიათად იხილავთ და მაშინაც, მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენის მოკლე კომენტარით შემოიფარგლება.

ყოველივე თქმულიდან გამომდინარე, თავისებური ექსპერიმენტის ჩატარება გადავწყვიტეთ — დაგვეხატა ახალი მინისტრის პორტრეტი „ფიზიონომისტების“ (ცხადია, ამ სიტყვას პირობითად ვიყენებთ) მეშვეობით და ამ მიზნით, ასტროლოგ მიხეილ ცაგარელს და ფსიქოლოგ გია ჯავჯანიძეს მივმართეთ.

რა მოთხოვნები აქვს დავით კეზერაშვილს საუვარელი აღამიანის მიმართ

თავდაცვის ახალი მინისტრის უჩვეულო პორტრეტი

ნათია ქივიძე

მიშა ცაგარელი:

— დავიწყოთ იმით, რომ ახალი მინისტრი დაბადებულია 1978 წლის 22 სექტემბერს, ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ. აქედან გამომდინარე, მზე მის შინაგან „მესა“ და საერთოდ, ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს. ქალწული მიწის სტიქიას განეკუთვნება. ის მართავს ორ დიდ სახელმწიფოს — გერმანიას და იაპონიას. ამიტომ, ეს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულთ ანიჭებს „გერმანულ-იაპონურ“ ორგანიზებულობას, შეუპოვრობას, მიზანსწრაფვას, მოთმინებას, შრომისუნარიანობას, ნებისყოფას, პრაგმატიზმს. ქალწული ყაირათიანი მხარჯველია. ამიტომ სავსებით ლოგიკური იყო, რომ დავით კეზერაშვილი თავის დროზე, ფინანსური პოლიციის შეფად დაინიშნა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ქალწული სამართლის სფეროშიც კარგად ერკვევა, ფინანსური პოლიცია მის ხასიათს აბსოლუტურად მიესადაგება. ქალწული მარტოხელა მებრძოლთა რიგს განეკუთვნება. „მაქვს ხელი, ფეხი, თავი...“ — ეს მათი საყვარელი ფრაზაა, ის პრაქტიკულად, არასდროს არჩევს სხვის იმედზე ყოფნას. ეს ნიშანი გამოირჩევა ძალზე სერიოზული დამოკიდებულებით საქმისადმი და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით. მოქმედებს პრინციპით: „ასჯერ გაზომე, ერთხელ გაჭერი“... ძალზე ფრთხილი და წინდახედულია. ამიტომ მას სულსწრაფობა მაინცდამაინც არ ახასიათებს. ტრადიციების, წეს-ჩვეულებების მიმდევარია. ამასთანავე, პედანტი და ბიუროკრატია... აქ უკვე ქალწულის უარყოფით თვისებებს მივადექით. ბიუროკრატიზმი ამ ნიშანს, ხშირად უშლის ხელს. გარდა ამისა, მას აქვს ისეთი ნეგატიური თვისებები, როგორიცაა, დროდადრო, ზედმეტი პირდაპირობა: შეუძლია, ადამიანს პირში მიახალოს ყველაფერი, რასაც ფიქრობს. დიდ ყურადღებას აქცევს წვრილმანებს, ამიტომ, არც ერთი დეტალი მისი ყურადღების მიღმა არ დარჩება. მტრისას, მის რეფერენტებს ან მდივნებს, თუ სადმე რაიმე დეტალი გამორჩათ! წარმომიდგენია, რას უზამს... ახასიათებს სიჯიუტე და ხშირად, მხოლოდ იმას აკეთებს, რაც თავად მიაჩნია საჭიროდ. ქალწული მესაკუთრის გამძაფრებული გრძნობით გამოირჩევა. მისთვის მიუღებელია ე.წ. კოლექტიური სარგებლიანობა. შინაგანი მრწამსით ინდივიდუალისტია. დიდად აფასებს ერთგულებას. თუ ადამიანში ერთგულება ვერ დაინახა, მის სხვა უარყოფით თვისებებსაც მიადგება და ყველა წვრილმანს გამოეკიდება... დავითის დაბადების დღეს, მთვარე აღმოჩნდა ზოდიაქოს ისეთ ნიშანში, როგორიც არის ტყუპი. ეს ნიშანი ანიჭებს ადამიანს ცნობისმოყვარეობას, ინტელექტის ამაღლების უნარს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქალწული დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში, აქვს საუცხოო ინტუიცია, საქმის უჩუმრად კეთებას ამჯობინებს. მისი ღრმა რწმენით, რაც უფრო მეტად დააჭერს ენას კბილს, ნაკლებად გაიხსნება თქვენთან, ჟურნალისტებთან ურთიერთობისას, მით უკეთესად გააკეთებს საკუთარ საქმეს... რაც შეეხება მის სასიყვარულო პარტნიორს: არ ვიცი, ვინ არის მისი მეუღლე და რა ნიშნის ქვეშ არის ის დაბადებული, მაგრამ სიყვარულის პლანეტა ვენერა მისი დაბადების მომენტში, მორიელის ზოდიაქოში იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, მას პარტნიორისადმი ზემაღალი მომთხოვნელობა ახასიათებს. წესით, მისი პარტნიორი გარეგნულად ძალზე მიმზიდველი, სიმპათიური უნდა იყოს, აგრეთვე, უნდა გამოირჩეოდეს ინტელექტით და ამასთანავე, კარგი მზარეული იყოს, რადგან ქალწულს არ უყვარს ნახევარფაბრიკატები — მას მამაპაპური, ბარაქიანი და რაც შეიძლება ხარისხიანი კერძები იზიდავს. ალბათ ზედმეტი იქნება იმის ხაზგასმა, რომ მისი პარტნიორი ერთგული უნდა იყოს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ის პირად ურთიერთობებში ძალზე ეჭვიანია, ამიტომ არანაირი ეჭვის საფუძველი არ უნდა მისცენ, თორემ, მტრისას!.. რაც შეეხება მის წარმატება-წარუმატებლობის საკითხს იმ თანამდებობაზე, რომელიც დავით კეზერაშვილს ამჟამად უკავია, — პირველ რიგში, უნდა ითქვას, მას წინ სერიოზული ბარიერების გადალახვა ელის. თუ შეცდომებს დაუშვებს, მას ბევრი ფარული მტერი და სერიოზული წინაღობები გაუჩნდება. მისი წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენებს საკუთარ დადებით თვისებებს. ჯერ-ჯერობით, ის სწორი გზით მიდის, რის გამოც, მას აღმასვლის შანსი ეძლევა. ახლა ის 28 წლისაა. კეზერაშვილის პირად ჰოროსკოპში 29-30 წლის ასაკში, სატურნი ერთ სრულ წრეს ასრულებს. ამ დროს, მის ცხოვრებაში ბევრი რამ გადაწყდება. ამგვარად, 2007-2008 წლები ძალზე მნიშვნელოვანია თავდაცვის მინისტრისთვის. თუ მას საქმიანობაში სერიოზული პრობლემები შეექმნება, ეს ნიშნავს, რომ სატურნმა მათრახი შემოჰკრა და გააფრთხილა, რომ რაღაც უნდა შეცვალოს საკუთარ თავში... 2007 წლის 3 სექტემბრის შემდგომი პერიოდი და 2008 წელი გადამწყვეტი იქნება მისთვის.

— წლის მიხედვით ვინ არის და რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

— დავით კეზერაშვილი დაბადებულია ცხენის წელიწადში. მომავალი წელი ცხენისთვის ცუდი არ არის, შესაბამისად, მას ეძლევა შესაძლებლობა, გამოავლინოს ცხენის გონებამახვილობა და კომუნიკაბელურობა. ცხენი აქტიური და ენერგიულია, უყვარს მოგზაურობა, ადამიანებთან ურთიერთობა და ამ მხრივ მომავალი წელიც არ იქნება მისთვის გამონაკლისი...

გია ჯავჯანიძე:

— პირველი ემოცია, რომელსაც ჩემში დავით კეზერაშვილი იწვევს, ეს ნდობაა: მას შეიძლება ენდო და დაეყრდნო. მიუხედავად იმისა, რომ ბატონ დავითს გარეგნულად არ ეტყობა ის ძალა და ინტელექტი, რომელიც მას აქვს, მაინც ვფიქრობ, რომ ძალზე ძლიერი პიროვნებაა. ამასთანავე, არის ძალიან ჯიუტი, მიზანდასახული და მიზანსწრაფული. ვფიქრობ, რომ ეს ადამიანი არ ცდილობს, თავი მოაწონოს საზოგადოებას, რაც ბევრ ჩვენს პოლიტიკოსს სჩვევია. მის დადებით თვისებად მიმაჩნია აგრეთვე ის, რომ როცა მის გარშემო რაიმე აჟიოტაჟია ატეხილი, ამაზე რეაქციას არ ავლენს და თავის გამართლებას არასოდეს ცდილობს. ის არ ფიქრობს იმაზე, რომ საკუთარი თავის „პიარკამპანია“ აწარმოოს.

გაგრძელება იხ. გვ. 61

მარგალიტები ლამის შავი ცის ფონზე...

კაი დრო რომ იყოო — ზაზამ — იმდროინდელ ამბავს გიყვებიო. კაი დროს ზაზა იმ დროს კი არ ეძახის, 10 მანეთად რესტორანში რომ შეხვიდოდი და კაი პურს ჭამდი, 37 მანეთად მოსკოვში გაფრინდებოდი, გააკეთებდი გასაკეთებელს და მეორე დღეს უკან დაბრუნდებოდი. არა, ასეთი კატეგორიებით ზაზა არ აფასებს ცხოვრებას და არც თვითონ ცხოვრობს ასე. მისი საზომი კაი დროობისა სულ სხვაა. უბრალოა, მარტივი და სადა. აი ასე, ყველაფერი ადამიანურად რომ იყო, მორჩა და გათავდა. ამას ეძახის ზაზა კაი ცხოვრებას.

ბიჭები სუბტროპიკულიდან

თემურ მიქაუტიძე

მოშტრიხინებს „ტავრია“ წყნეთიდან ქვევით, სისხამი დილაა.

ზაზამ გაუსაძლისს გაუძლო. დევნილიც იყო, უსახლკაროც, ულუკმაპუროც, უმუშევარიც. მაგრამ იმდენიც მოახერხა, რომ თავისი ალალი შრომით დაუყვედრებელი ადგილიც იპოვა (რა თქმა უნდა, არა სუბტროპიკული განხრით) და მოხუცებული დედ-მამაც თბილად ჰყავს. თითო-თითო სერიოზული ოპერაციაც გაუკეთა ორივეს (სიკვდილს გამოგვტაცაო, ამაყობენ ტკბილი მოხუცები და მისხლითაც არ აჭარბებენ), მშვენიერი ცოლიც მოიყვანა და ანგელოზი თათულიც შეეძინათ. სიხარულიანი, ნათელი ოჯახი აქვს ზაზას. „ტავრიათი“ დაშტრიხინებს სამსახურში ყოველდღე და გზად მეც დამატარებს (ბარემ).

თავისი ბედისა და განჩინების მიმართ უკმაყოფილების გამოხატვა არ სჩვევია ზაზას და მაინც, — კაი დრო რომ იყოო, — ომამდელ წარსულზე ამბობს.

— ჰოდა, ინსტიტუტში მოიყვანეს ტარიელი, გარცკია. აფხაზი. გოლიათი ბიჭი. „ნი ბუმ-ბუმ“, ერთი სიტყვით. ტვინი არავის გადმოგვდიოდა, მაგრამ ის მეტისმეტი იყო. მოკრივე იყო, სხვათა შორის, სერიოზული და ამიტომ „მოიტანეს და დადეს“. ხომ გახსოვს, სპორტსმენების მიმართ როგორი დამოკიდებულება იყო. სულ შეჯიბრებებზე დადიოდა, სასწავლებლად არც ეცალა. ან რინგზე იყო, ან რინგის მერე დაბეგვილ თავ-პირს იშუშებდა, ან ისევ თავ-პირის დასაბეგვად ემზადებოდა. ძალიან კეთილი გულის ბიჭი კი იყო. ხომ ამხელა ვირგლა იყო, ჩემი თავისხელა მუშტები ჰქონდა, მისი ნაწყენი არავინ მინახავს იმ ხუთი წლის განმავლობაში.

ერთი გვყავდა კიდევ — მელორი გვალია, მეგრელი, უბედურის ერთი. ასე, ამხელა, ნიკაპამდე ძლივს მწვდებოდა. პატარები ხომ იცი კიდევ, რანაირი „შკოდნიკები“ არიან, სულ ერთმანეთის შაყირში ვიყავით.

ახლა რომ ვიხსენებ, ერთმანეთს მეგრელებზე, აფხაზებზე, ანეკდოტებს ვუყვებოდით. მაშინ არ გვწყინდა, ახლაც ხომ ვუყვებით ერთმანეთს სვანებზე, კახელებზე, ხომ არ გვწყინს...

ერთ წამს ჩერდება. დაღმართზე თავის ნებაზე მიშვებული ფეფენოს (ასე ეძახის ზაზა თავის „ტავრიას“) ძრავას ზუზუნი ბატონდება სალონში.

— ამის დედა ვატირე! — განაგრძობს ზაზა. — რომ მცოდნოდა, მაშინ ასე წავიდოდა საქმე, ასეთი ხუმრობის უფლებასაც არ მივცემდი საკუთარ თავს.

ჰო, კაი. 80-90-იანი წლებია ახლა და დაწყებულია ეს კარატობია და რაღაც... მოსკოვიდან ჩამოვიდა „შავი ქამარი“, რომელიღაცა დანის მფლობელი, ჯაფარიძე. მე აღარ დავინტერესებულვარ. 20 წლისა ვარ, რაღა დროს ჩემი კარატეა-მეთქი.

ბიჭოს, ამ მელორმა არ დაიწყო ჯაფარიძესთან სერიოზულად სიარული? ერთი წელი იარა, მეორე წელი იარა, ფიგურაზეც შეეტყო, ხომ იცი. უკვე სხვანაირად ვექცევით, ავტორიტეტია უკვე, მელორი. ერთი სიტყვით, სხვა წონა აქვს.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, პრაქტიკაზე ვართ ეშერაში, უზარმაზარი მეურნეობა ჰქონდა ინსტიტუტს, სერიოზული ინსტიტუტი იყო, მსოფლიოში მსგავსი ორი ყოფილა, ერთი ინგლისში, მეორე — ჩვენი. აი, მარტო ამ მიმართულებით, სუბტროპიკული. ჩაიში ვართ, ჩაიში.

დადგა ეს ჩვენი მელორი — აბა პრესს ვინ გამისინჯავსო? — და ასე ფიიიუჰ, კარატისტულად ამოისუნთქა, ფილტვებიდან სულ გამოდევნა ჰაერი, ასე გვიხსნიდა, თუ არა, რა გამოდევნა აგერ ნახავ. ჰოდა, დგას მელორი. კუნთები აზის მუცელზე — მოგეწონება. ჩამოვიარეთ ამ სუბტროპიკულის ბიჭებმა ყველამ, ზოგი ისე რა, ურტყამს. — მიდი, მიდიო, ეს მელორი აქეზებს. ზოგი — სერიოზულად, გვარიანად იმეტებს. შენც არ მომიკვდე. უჭირავს პრესი მელორს. ვერ გავატანინეთ — ოო, აი მელორი, ძმაო, ახლა, ხომ იცი?

ბიჭოს, საიდანღაც არ გაიჩითა ტარიელი? ჰო, გარცკია. რა უნდოდა იქ იმ უპატრონოს, ახლაც არ ვიცი. ლექციებზე აქა-იქა თუ დაინახავდი, რა უნდოდა ჩაიში? გამოძვრა ერთი სიტყვით ბუჩქებიდან თუ ციდან ჩამოვარდა და — რა ხდება ბიჭებოო? — იკითხა.

ავუხსენით ახლა, აი, მელორს პრესი უჭირავსო და ვერ გავატანინეთო.

დაინტერესდა, შეიძლება მეც ვცადოო?

მელორს კი წაუვიდა ფერი, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს. ხომ იცი, მარტო მისი კი არა, მთელი კარატეს პრესტიჟი დევს სასწორზე.

— მოდიო, — და ფიიიიუჰ, გამოდევნა ფილტვებიდან ჰაერი.

დაუდგა ტარიელი წინ. გენახა, ერთი — სუფთა სპილო და მუმლი, ისეთი სურათია. გაისწორა ტარიელმა წინ ეს მელორი. გაისწორა და მოიმარჯვა მუშტი. მუშტი ახლა მთლად მელორის ნახევარი არ არის, მაგრამ არც ბევრი აკლია. დგას მელორი. დაკრუნჩხულია რაღაცნაირად, გადმოცვენაზე აქვს თვალები. ელოდება ტარიელს და ალბათ იმ კანონს წყევლის, გოლიათებს გამოთოფილი თავებით რომ უმაღლესში უგამოცდოდ სვამს.

მოუქნია, ბიჭო, ამ ტარიელმა და... არ გაუჩერა ზედ მზის წნულთან ეს ამხელა ურო? ბწკარედითაც არ შეხებია მელორს, მაგრამ შეხებოდა, ჯობდა. ზედმეტი დაძაბულობისაგან იმხელა გავარდა მელორას, რომ გვეგონა, ამოვარდა შიგნიდან ეს ჩვენი კარატისტი და თან გაჰყვა თავის საბოლოო ეტაპზე გამოშვებულ ჰაერს.

ტარიელი ყველაზე უმალ მოვიდა აზრზე და შეცბა. გახუმრება უნდოდა და თავი კი მოსჭრა ამხანაგს. უჰ-ო და მოეხვია აჭარხლებულ მელორს. აგვიტყდა ერთი ხორხოცი. ვიფხრიწებოდით სიცილით.

— ბიჭო, არ დაურტყამს და ამ დღეში ჩავარდი და, რომ დაერტყა, რა დაგემართებოდაო.

ტარიელი ცდილობდა გამოსარჩლებოდა.

— რა მოგვიდათ, ასეთი რამ, რამდენიც გინდათ, იმდენი დამმართვიაო.

რა გაგვაჩერებდა ახლა ჩვენ? არა, მაინცადამაინც მელორს კი არ დავცინოდით, უბრალოდ, სიტუაცია იყო ცირკი. ბიჭო, რა იყო, ა?

ტარიელმა:

— პრესისა არაფერი ვიცი, არ დამირტყამს, მაგრამ გული მართლა მაგარი ჰქონიაო.

— პრესიც მაგარი აქვს, პრესიცო, ჩვენ შევამოწმეთ, უბრალოდ, სხვა ადგილმა უმტყუნა და აწი ის ადგილი აქვს გასავარჯიშებელიო, — ვიცინოდით ჩვენ.

კიდევ ბევრ რამეს ჰყვება ზაზა, იმ კაი დროს მომხდარ ამბებზე. ამასობაში „ტავრიამ“ ბაგებამდე მანძილი ჩამოიშტრიხინა. თენდებოდა კიდეც. რამდენიმე წუთში მე ჩამოვდივარ.

სამსახურში მისვლა სატკივარივით მეზარება. გათენებასთან, ქალაქის გამოჩენასთან და სამსახურთან მიახლოებასთან ერთად, შინაგანი დისკომფორტი მიპყრობს. კიდევ ერთხელ მეძალება ფიქრი, რომ აღარ ღირს მუშაობა და დროა, სანამ ნახმარი ნივთივით გადამაგდებენ, მე თვითონ გავიდე პენსიაზე.

— მერე რა იყო, ომის დროს სად იყვნენ ეს ბიჭები?

— არ ვიცი, სხვათა შორის. რაც ომი დაიწყო აღარავის შევხვედრივარ. ისე კი საზიზღრად დაგვალაგა აქედან და იქიდან. აღარავის შევხვედრივარ მას მერე. მერე დიდი სიცარიელეა... დიდი ომით შევსებული.

მოვედით. ჩემი ჩამოსვლის დროა.

— მაგაზე შენ მერე დათოს დაგალაპარაკებ, შენ იცნობ დათოს. აი, შობა რომ მოგვილოცა, ალილოზე რომ იყო მგალობლებთან ერთად, ჩვენი ეკლესიის სტიქაროსანი... იმას ამბები გადახდენია!..

„ტავრია“ წაშტრიხინდა.

მე ვრჩები. სამსახურის შენობაში შესვლა არ მინდა.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს „კაი დრო“ წარსულში დარჩა. მერე რაღაც უაზროდ გაწყდა. აწმყო კი, თითქოსდა ვიღაცისაგან ძალით შემოჩეჩებული აწმყო, იმ წარსულის გაგრძელება არ არის. ის არალოგიკურად აგრძელებს, ან სულაც ვერ აგრძელებს წარსულს. მეტიც, იარაზე მარილია.

მე და ზაზა მოგონებებით ვცდილობთ ხოლმე წარსულისა და მომავლის ერთმანეთზე გადაბმას. მაგრამ, ეს ვირტუალურ რეალობაში ხდება. ■



ისტორიულად ქართული მიწა-წყალი, სამურზაყანო, დღევანდელი გალის რაიონის ის ადგილია, სადაც ქართული ენა ყველაზე ნაკლებად ისმის. კონფლიქტის ზონაში მეგრული დიალექტი ყველაზე კარგი საკონტაქტო და ამასთან ერთად, უსაფრთხო ენაა. ამიტომაც, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა იუმორით აღნიშნავს, ლამის რუსი მშვიდობისმყოფელებიც მეგრულად ალაპარაკდნენ. ასეა თუ ისე, აფხაზეთი და მით უფრო — გალი, ის ადგილია, სადაც წლების განმავლობაში არც ომია და არც მშვიდობა.

zRvari galis raionze gadis

`afxazebi xSirad amboben _ vinc problemis gadawyvetas ZaliT apirebs _ dasaxvretiao~

_ ლალი პაპასკირი

უკვე კარგა ხანია, გალელები ნახევრად დევნილის სტატუსს შეეგუვნენ და მართალია, რისკის ფასად, თუმცა, რაღაცის იმედით მაინც ცდილობენ, მშობლიური კერა არ გააცინონ. იმედი კი ენგურის ხიდზე (ადგილობრივთა თქმით — „ბოგაზე“) აღმართული, უზარმაზარ ბილბორდზე გამოსახული საქართველოს პრეზიდენტის სურათია, რომელიც მართლაც და იმედიანად იცქირება. ბილბორდის გვერდით მშვიდობის სიმბოლო — ბაფთით ლულააკრული რევოლვერია. ღამით, როდესაც ენგურგადმოღმა მდებარე ტერიტორია მთლიანად განათდება, პრეზიდენტ სააკაშვილის სურათი გალისა და ოჩამჩირის საზღვარზე მდებარე მაღალი სოფლებიდანაც მოჩანს.

ერთ კილომეტრამდე გადაჭიმული ენგურის ხიდის, პირობითად — ქართულ-აფხაზური საზღვრის გადალახვა ზუგდიდის მხარეს მდგარი ტაქსებითაა შესაძლებელი და ეს „სიამოვნება“ 2-3 ლარი ღირს. ენგურის ხიდი „საზღვარზე“ ყველაზე ცოცხალი და მოძრავი ადგილია. ხიდამდე ჯერ საქართველოს შსს-ს წარმომადგენლები შეგამოწმებენ, შემდეგ, რუსი მშვიდობისმყოფელები პატარა, სამლარიან ქვითარს გამოგიწერენ, რომელსაც „გასტევოის“ უწოდებენ და ბოლოს, გადამწყვეტი სიტყვა, თუმცა ფორმალურად, მაგრამ მაინც აფხაზებს ეკუთვნის, რომლებიც ორლარიან საშვს მოგცემენ და თუ მოინდომეს, ოდნავ ირონიანარევი, აფხაზური აქცენტის ქართულით, წარმატებულ მგზავრობასა და მშვიდობით დაბრუნებასაც გისურვებენ.

დანგრეული გზები, ცხენოსანი მგზავრები, ზურგზე ხურჯინმოკიდებული ქალები და მოხუცები, დამწვარი და შემდეგ სახელდახელოდ აღდგენილი სახლები — ასეთია გალის სოფლების ზოგადი სურათი. ყველაზე თამამად გაეროს თანამშრომლების მანქანები მოძრაობენ. თითქოს, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიბაძვით, სასიკეთო ძვრები გალშიც შეინიშნება, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები გაეროს უმადლიან. ცენტრალური გზების შეკეთება იქაც დაწყებულია და მოსახლეობისთვის ყველაზე პრობლემური, წყალგაყვანილობის სისტემის აღდგენა-რესტავრაციაც მიმდინარეობს.

უცხო ადამიანს ადგილობრივები ინტერესით აკვირდებიან. აშკარაა, რომ რაიონში ჩასვლას ახალგაზრდები ერიდებიან, მათი ნაწილი რუსეთში, დანარჩენი კი — თბილისში ცხოვრობს და მშობლიურ სახლში იშვიათად ჩადის. რევოლუციისშემდგომი ქართული ხელისუფლების დიდი მონაპოვარი — 24-საათიანი ელექტროენერგია გალელებისთვის დეფიციტი არასოდეს ყოფილა. ისინი წლის ბოლოს 1.800 რუსულ რუბლს იხდიან და დენის პრობლემაც არ არსებობს. იმ ახალგაზრდებსა და ქალებს თუ არ ჩავთვლით, რომლებიც ენგურის ხიდზე ხშირად მიდი-მოდიან, ქართული ტელემაუწყებლობა ადგილობრივი ქართველი მოხუცებისა და მამაკაცებისთვის დღემდე, ქართულ ფესვებთან დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებად რჩება.

პრესის გამოჩენა იქ ყველაზე ნაკლებად სიამოვნებთ, თუმცა, თუ მათ „შიშველი ხელებით“, დიქტოფონის გარეშე გაესაუბრები, წლობით დაგროვილ პრობლემებსაც საკმაოდ გახსნილად გაგიზიარებენ. რისკი დიდია, მაგრამ მალულად, თითქმის ყველა ოჯახში ნახავთ პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტოთი დამშვენებულ კალენდარს. „აფხაზებს ჩვენი პრეზიდენტის ეშინიათ“, — სიამაყით ამბობენ და იმასაც აღნიშნავენ, თითქოს

უბრალო აფხაზები გულის სიღრმეში, ენგურს გაღმა მცხოვრები ქართველების გაუმჯობესებულ ცხოვრებას შენატრიან(?!).

გალში გადასვლა პრობლემას მხოლოდ გალს იქით მცხოვრები დევნილებისთვის წარმოადგენს. როგორც ამიხსნეს, აფხაზები შიშობენ, ქართველები წლების წინ მიტოვებულ სახლ-კარს არ დაუბრუნდნენ, თუმცა ფაქტია, რომ უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, არც ქართველი დევნილები გაბედავენ შინ დაბრუნებას. გალის რაიონში კი, სადაც ყველაზე ნაკლები აფხაზი ცხოვრობს, თითოეული ქართველი ვიღაცის იმედად არის, თუ არ ჩავთვლით ლეგენდარულ მთიან სოფელს — ოქუმს, რომელიც კუნძულივით არის წამომართული. ეს ის ადგილია, სადაც მრავალგზის მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთმა აფხაზმა ვერ შეაღწია.

ადგილობრივთა თქმით, სოფელი ძირითადად, ბულისკირიებით არის დასახლებული და საზღვარს ისინი მორიგეობით, საგულდაგულოდ იცავენ. გალის რაიონის მილიციის უფროსმა — ოთარ ტურამბამ ბიზნესინტერესებისა და სხვა მიზეზების გამო, იქ ასვლა რამდენჯერმე სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

რაც შეეხება ბიზნესდაინტერესებას, რომელიც ხშირ შემთხვევაში, ადამიანთა გატაცებითაც სრულდება — სეზონურად. გალის რაიონის სოფლები ამ მხრივ, ორ ნაწილად იყოფა: პირველი — დაბალი ზონის სოფლებია, სადაც დაყაჩაღებები ციტრუსის სეზონის დროს ხდება აქტუალური. მანამდე კი, მაღალი ზონის სოფლებში ადრიან შემოდგომაზე, თხილის სეზონის დროს დაწყებული შეტაკებებიც ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, ზოგიერთი სოფელი შემოსავლებით მდიდარია და მოსახლეობას თხილიც მოჰყავს და ციტრუსიც.

გალის მოსახლეობა, რომელიც ძირითადად თხილის შემოსავლით ცხოვრობს, ყოველ სეზონზე ერთ ტონამდე თხილით იბეგრება. დაბალი ზონის სოფლებში მცხოვრები ქართველები კი ცოტა უცნაური, უგარანტიო უსაფრთხოების სანაცვლოდ, 700 კგ მანდარინს აბარებენ. ბოლო დროს, გალელებს კიდევ ერთი სეზონური პრობლემა აქვთ — წვევამდელების აფხაზურ ჯარში გაწვევა. ამ შემთხვევაში გამოსავალი არ არსებობს, ვერც გავლენიან აფხაზებთან ნაცნობობა ჭრის, ვერც ჩაწყობა, ვერც თხილი და მანდარინი აკეთებს თავის საქმეს. ჯარიმის სახით დაწესებული ფულადი გადასახადი კი საკმაოდ მაღალია.

გალსა და მთლიანად აფხაზეთში დაბრუნების იმედი, რომელიც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იქაურებს გაუჩნდათ, თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, თითქოს სადღაც გაქრა. როგორც ადგილობრივებმა აღნიშნეს, ქართული ჯარის გაძლიერებას და საქართველოს თავდაცვის მინისტრის სატელევიზიო გამოსვლებს აფხაზები ცოტა არ იყოს, შიშით ხვდებოდნენ.

ის, რომ გალში არც ქართული იურისდიქცია ვრცელდება და პარალელურად, არც აფხაზური მილიცია აკეთებს თავის საქმეს ხუთიანზე, უბრალო ადამიანებთან საუბრისას ყველაზე ნათლად ჩანს. ალბათ, დროისა და სხვა ბევრი მიზეზის გავლენაა ისიც, რომ გალელები ცენტრალურ ხელისუფლებას — საქართველოს მთავრობას, ენგურის ხიდს — „ქართულ საზღვარს“ და ლარს — „ქართულ ფულს“ ეძახიან. თუმცა, იმავდროულად, „აფხაზეთის მთავრობა“ და „რუსული მანეთიც“ ჩვეულებრივი ტერმინებია. იქ ჩასული ადამიანი მიხვდება, რომ რაიონის მოსახლეობის ცხოვრება ქართულ-აფხაზურ ზღვარს შორის გადის.

სასიკეთო ძვრები გალშიც შეინიშნება, რასაც ადგილობრივი მცხოვრებლები გაეროს უმადლიან

ზურაბი, *70 წლის, გალის მკვიდრი:*

— ვისაც ომი უნახავს, ყველაფრისთვის მზად არის, ოღონდ ის წლები არ განმეორდეს. ჩემი თანდასწრებით აფხაზებს ბევრჯერ უთქვამთ: ომი იმაზე საშინელება ყოფილა, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა და ის, ვინც პრობლემის გადაწყვეტას ძალით აპირებს, მართლა დასახვრეტიაო. აფხაზები ისედაც ძალიან ცოტანი დარჩნენ და როგორც ერს, გაქრობის მართლა ეშინიათ. არ არსებობს აფხაზური ოჯახი, 90-იანი წლების ომში ახლობელი არ დაეკარგა, ნაწილი რუსეთში გადაიხვეწა და დღეს, როგორც არასდროს, ისე ეშინიათ გადაშენების.

თ�, *63 წლის, სოფელ გაგიდის მკვიდრი:*

— ახალგაზრდების აფხაზურ ჯარში გაწვევამ ადგილობრივები წელში გაგტეხა. დადგენილია თანხა, რომლის გადახდის შემდეგ, წვევამდელი ერთი წლით თავისუფალია, მაგრამ თანხა საკმაოდ დიდია და მისი გადახდა ყველას არ შეუძლია. ეს ყველაზე უარესია, რისი გაკეთებაც აფხაზურ ხელმძღვანელობას ჩვენთვის შეეძლო. თითქმის ყველა სოფლიდან წაიყვანეს ბიჭები. იმაზე უარესი განწყობილებაა, ვიდრე საბჭოთა პერიოდის დროს, როცა ქართველები მეორე მსოფლიო ომში მიჰყავდათ. მაშინ საერთო მტერს — გერმანიას ვებრძოდით და ახლა შეიძლება, საკუთარი ხალხისთვის ტყვიის დაშენა უბრძანონ.

— მაგრამ ქართული მხარე პრობლემის ძალით გადაჭრაზე არ ლაპარაკობს...

— არა, მაინცდამაინც ომზე არ არის ლაპარაკი, უბრალოდ, ათასი რაღაც შეიძლება მოხდეს. ჯარისკაცი კი ვალდებულია, ბრძანება შეასრულოს. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენი შვილები ჩვენსავე ხალხის წინააღმდეგ წავიდნენ.

— როგორ ფიქრობთ, აფხაზური მხრიდან ამის რეალური საფრთხე არსებობს?

— ამათ ჩანაფიქრს კაციშვილი ვერ მიხვდება. ესენი ბოლომდე საკუთარ თავსაც არ ენდობიან. შორიდან ჩანს, თითქოს რუსების დიდი იმედი აქვთ, სინამდვილეში კი, არავინ სძულთ ისე, როგორც ისინი. ამას რუსებიც კარგად ხვდებიან და ცდილობენ, ფეხი კიდევ უფრო მყარად მოიკიდონ. უხმო ჭიდილი თანდათან სულ უფრო და უფრო იგრძნობა, ვერ გეტყვით, რამდენ ხანს იქნებიან ასე. გამოდის, აფხაზები უნდათ, რომ დაჩაგრონ. პატარა ერს, მით უფრო, თუ ის ეთნიკურ უმცირესობაშია, გაქრობის შიში ყოველთვის აქვს და თავის დამკვიდრებას ყველანაირად ცდილობს. აფხაზებთან ურთიერთობა ახალგაზრდობაშიც მქონდა და ამ ხალხს მეტ-ნაკლებად ვიცნობ. ბევრჯერ მომისმენია მათი აზრი ქართველებზე.

— როგორია მათი განწყობილება ქართველების მიმართ?

— რუსებს, ისევ ქართველები ურჩევნიათ, თუმცა, ჩვენი ეშინიათ. შიშის მიზეზი კი 90-იან წლებში განვითარებული მოვლენებია.

— ალბათ მოგისმენიათ, როგორ ამბობენ თქვენი ახლობელი აფხაზები ამ ორი ხალხის სადღეგრძელოს...

ეს ბილბორდი გალისა და ოჩამჩირის საზღვარზე მდებარე მაღალი სოფლებიდანაც მოჩანს...

— ძალიან მოკლედ: ღმერთმა ქნას, თქვენმა მთავრობამ იპოვოს ჩვენთან მოსასვლელი გზაო...

— როგორ ცხოვრობენ აფხაზები? ერთნაირი პრობლემები გაქვთ?

— რა თქმა უნდა. ჩაკეტილი, სამყაროს მოწყვეტილი ხალხი ვართ. სოფლის შემოსავლით — თხილით, ციტრუსითა და მეაქონლეობით ვირჩენთ თავს. აფხაზები ზარმაცი ხალხია, მუშაობა არ უყვართ. თუმცა, თხები თითქმის ყველას ჰყავს. მიწის დამუშავებას ურჩევნიათ, გალში ჩამოვიდნენ, ადგილობრივებისგან მანდარინი იყიდონ და ფსოუზე, ან თუნდაც, რუსეთში გაყიდონ. ქალები უფრო თამამები არიან და ლილოშიც უპრობლემოდ მიდიან. საქონლის რუსეთიდან ჩამოტანა ძვირი უჯდებათ და ძვირადაც ყიდიან. ლილოს ბაზრობაზე წასვლა გაცილებით იაფი ჯდება და გალში, ოჩამჩირესა და სოხუმში ქართული საქონელი იყიდება. რაც შეეხება სურსათს, ის ძირითადად რუსეთიდან შემოდის და ძვირია: შაქარი 25 რუბლი (თითქმის ორი ლარი) ღირს; საწვავიც ასე, 2 ლარამდე. ბაღაფშის მთავრობის პოლიტიკის შინაარსი ასეთია: ქართველი და აფხაზი ხალხი ერთმანეთს ფსოუზე ვხვდებით და შესაბამისად, ურთიერთობაც გარკვეულ დონეზე გვაქვს.

— გამოდის, გალი მაინც ქართულ ბაზარზეა დამოკიდებული?

— იცით, გალი სადღაც შუაშია. ზუგდიდსა და დანარჩენ საქართველოში ტვირთის გადატანას, ფსოუზე წასვლა სჯობია, რადგან აფხაზეთის მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით, ენგურის ხიდზე ტვირთის გადატანა დღითი დღე ძვირდება, გზის ხარჯი გაცილებით დიდია. იმასაც გაჩნია, პოსტზე ვინც დაგხვდება, იმას როგორი დამოკიდებულება აქვს ქართველებთან... დილის 6 საათზე ქალაქამდე ანუ გალის ცენტრამდე, ცხენითა და ოთხთვალით მივდივართ, იქიდან ფსოუმდე პირდაპირი მარშრუტით „კარობკა“ ავტობუსი მიდის. მგზავრობა არც ისე იაფი, ქართული ფულით, 7 ლარი ღირს. ამას წინათ, ჩემს დას, რომელიც პროფესიით ისტორიკოსია და ჩემს მეზობელ სოფელში ცხოვრობს, მეგრულენოვანი გაზეთის გამოშვება შესთავაზეს, სახელწოდებით — „ოდაბადე“ (მეგრ. — სამშობლო). გადაჭრით უარის თქმა არ გამოდიოდა, როცა აქ ცხოვრობ, იძულებული ხარ, საკუთარი პრინციპები დათმო. ჩემმა დამ შეაპარა — თუ ქართულ და მეგრულ ენებზე გამოვცემთ, კომერციული თვალსაზრისით უფრო მომგებიანი იქნებაო. თვეში ერთხელ უნდა გამოსულიყო, მერე სპონსორი ვერ იპოვეს და ეს იდეა საბედნიეროდ, ვერ განახორციელეს.

ადგილობრივთა მოზომილი, დაფიქრებული და აწონილ-დაწონილი საუბრის მიღმა აშკარად იგრძნობოდა, რომ სათქმელი ძალიან ბევრი აქვთ, მაგრამ არ ამბობენ. მიზეზი მარტივია — ოჯახი ყველას აქვს. იქ, სადაც უსაფრთხოების გარანტი არც ახლობელი აფხაზია და მით უმეტეს, არც ქართული მხარე, ალბათ თავის შეკავება ჯობია, მით უფრო, თუ წასასვლელი არსად გაქვს... ■

ნოემბრის ბოლოს, ქართველი მომღერლები — ნეკა სებისკვერაძე, აჩიკო ნიჟარაძე და ქრისტინე იმედაძე კიევს ეწვივნენ. ისინი იქ ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის 10 წლის იუბილეზე ჩავიდნენ. მომღერლებმა ქართული სიმღერით დაატკბეს კიევში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლები და უკრაინელი მსმენელები. მათი შესრულებით აჟღერებულმა მრავალფეროვანმა რეპერტუარმა იქ ჩასულ ქართველ პარლამენტარებს — ბესო ჯუღელსა და ნაზი არონიასაც ბევრი სასიამოვნო წუთი განაცდევინა. ყოველივე ამის შესახებ იმ დიალოგიდან შეიტყობთ, რომელიც ჩვენი რუბრიკისათვის, ჟურნალისტ-რესპონდენტის როლებში, ნეკა სებისკვერაძემ და აჩიკო ნიჟარაძემ გამართეს.

როგორ ესასალესს ბესო ჯუღელი ნეკამ, აჩიკომ და ქრისტინემ ანუ პოლიტკუტურული გასტროლი კიევში

ლალი ფაცია

ქურნალისტი – ნეკა სებისკვერაძე
რესპონდენტი – აჩიკო ნიქარაძე

— არჩილ, როგორც ვიცი, კიევში პირველად იყავი. მოდი, შთაბეჭდილებები გაგვიზიარე.

— სანამ გავემგზავრებოდი, ჩემა მეგობრებმა და მშობლებმა ბევრი საინტერესო რამ მიამბეს კიევის შესახებ. ამიტომ საკმაოდ კარგი განწყობილებით წავედი. ველოდებოდი ისეთ კიევს, როგორიც ვნახე. ულამაზესი ქალაქია, ხალხიც საოცრად თბილია. მოვიხიბლე იქაური კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, ღირსშესანიშნაობებით. ასე რომ, კმაყოფილი ვარ.

— როგორც შევიტყვე, პროფესიით ეკონომისტი ხარ და სულ ახლახან მუშაობა ერთ-ერთ ბანკში დაიწყე. სამსახურიდან კიევში უპრობლემოდ გაგიშვეს?

— გასტროლთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ყოფილა: ერთი თვით ადრე, შეთანხმებული მქონდა უფროსთან, რომ უნდა წავსულიყავი.

— როცა კიევში, კრეშატიკზე, კონსერვატორიის შენობაზე კონცერტის სარეკლამო უზარმაზარ ბანერზე ჩვენი სურათები იხილე, რა განიცადე?

— რა თქმა უნდა, გამიხარდა. ნამდვილად არ ველოდი ამხელა რეკლამას.

— ყველა ამბობს და შენც აღნიშნე, რომ კიევი ულამაზესი ქალაქია. იქიდან თბილისში რას წამოიღებდი ისეთს, რაც ჩვენს ქალაქს აკლია?

— უკრაინა და მისი მოსახლეობა ბევრი რამით ჩვენზე წინ არის. კიევი მოვლილი და ლამაზია, იდეალური სისუფთავეა, მაგრამ ერთს აღვნიშნავ, რომ ჩვენი კონსერვატორიის დარბაზი გაცილებით უკეთესია, ვიდრე იქაური...

— როგორც ვიცი, ჩვენი კონსერვატორია ისტორიულად და ტრადიციებითაც არაფრით ჩამოუვარდება კიევის კონსერვატორიას. თვითონ კონცერტზე რას იტყვი?

— აქედანვე მზად ვიყავი იმისთვის, რომ უნდა შეეხვედროდი იქაურ ქართველებს, ვისაც ძალიან ენატრებათ ქართული სიმღერა, ესტრადა. ისინი ძალიან თბილად დაგვხვდნენ და მიგვიღეს. ეს ყველაფერში — ურთიერთობაში, აპლოდისმენტებში და ა.შ. იგრძნობოდა. დარბაზში უკრაინელებიც იყვნენ.

— ძალიან მხიარული ადამიანი ხარ, გაქვს შესანშნავი იუმორი და როგორც ვიცი, კიევში გზად მიმავალმა თვითმფრინავშიც არავინ მოაწყინე.

— მხიარულად და კარგად ვიმგზავრეთ. ვესაუბრე თვითმფრინავში მჯდომ ყველა მგზავრს და წარმოიდგინეთ, პილოტსაც კი... ყველა იცინოდა.

— როგორც ამბობენ, ადამიანი მგზავრობისას გამოიცდებაო. ჩემზე და ქრისტინეზე, მას მერე, რაც ერთად ვიმოგზაურეთ, აზრი ხომ არ შეგიცვლია?

— არა, რას ამბობ. ჩვენ ვმეგობრობთ. კიევშიც ისევე ვატარებდით დროს, როგორც აქ. უპრობლემოდ ვიყავით და არაჩვეულებრივად ვერთობოდით.

— უკრაინაში დარჩენაზე ხომ არ გიფიქრია?

— იქ ცოტა ხნით სიამოვნებით დავრჩებოდი, მეგობრებთან ერთად.

— არჩილ, ისე მოხდა, რომ შენ კიევის დათვალიერება, ექსკურსიაზე წასვლა უჩემოდ მოგიხდა. სამაგიეროდ, შენთან ერთად იყვნენ ჩვენი პარლამენტის წევრები: ნაზი არონია და ბესო ჯუღელი. ქალბატონმა ნაზიმ მითხრა: ექსკურსიაზე რომ ვიყავით, აჩიკომ ბევრი გვახალისა.

— კი, ერთად ვიყავით. ბევრი ადგილი

მოვინახულეთ. მხოლოდ გიტარა არ გვქონდა თან, რაც ძალიან დაგვაკლდა...

— გიტარა ჩვენ გალა-ვახშამზეც დაგვაკლდა. ამიტომ, ყველამ ერთად, აკაპელაში, გიტარის გარეშე ვიმღერეთ. ახლა ის უთხარი მკითხველს: როგორ არ გიშვებდით უკრაინელი გოგონების გასაცნობად.

— ისე, სულ ერთად ვიყავით, არც ერთი წუთით არ მტოვებდით, თქვენ მიერ კონტროლზე ვიყავი აყვანილი, არსად მიშვებდით შენ და ქრისტინე. თან, მეც მარტო ხომ არ დაგტოვებდით *(იცინის)!..*

— ისე, ცოტა გადამეტებულად ხომ არ გეჩვენება ქართველი მამაკაცების აღტაცება, რომელსაც უკრაინელი ქალის ხსენებისას იჩენთ?

— ქართველი ქალი ყველას სჯობია!

— ამას იმიტომ ხომ არ ამბობ, რომ შეყვარებული გყავს?

— ჩემი შეყვარებული მსოფლიოში ყველას მირჩევნია. არავინ თქვას, რომ ქართველი ქალი ლამაზი არ არის!

— ვინ არის შენი შეყვარებული?

— ამ თემაზე ჟურნალის საშუალებით არ ვლაპარაკობ. რა საჭიროა?! მოვა დრო და ყველა გაიგებს.

— კარგი. ამჟამად „ჯეოსტარი-3“ მიმდინარეობს. ყველამ იცის, რომ პირველი „ჯეოსტარელი“ ხარ. თუ გულშემატკივრობ ახალ „ჯეოსტარელებს“ და საერთოდ, რას იტყვი ამ კონკურსზე?

— ყველა კონცერტს ვესწრები და თითოეულ მონაწილეს ვგულშემატკივრობ. მაინტერესებს, რას იზამენ კონკურსანტები.

— როგორი პირი უჩანს, რას იზამენ?

— უდავოდ კარგია, როდესაც ახალბედა მომღერლები გამოდიან და საკუთარი ძალების, შესაძლებლობების დემონსტრირებას ახდენენ. ამიტომ, კონკურსი თავისთავად სასარგებლო საქმეს აკეთებს. ამ კონკურსს ერთადერთი, შესაძლოა, ის დავუწუნოთ, რომ გამარჯვებული, SMS-ების საშუალებით ვლინდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ერთი და იგივე ადამიანი რამდენჯერმე ამესიჯებს. კარგი იქნებოდა, რომ თითოეულს მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება ჰქონდეს.

— შენი ალბომი უკვე იყიდება?

— დიახ, როგორც იქნა, ალბომის გამოცემას მოვაბი თავი. მასში 14 სიმღერა შევიდა. ასე რომ, ოცნება „ჯეოსტარმა“ ამიხდინა. პროფესიონალმა კომპოზიტორებმა სიმღერები მაჩუქეს, ყველა მეხმარება. მადლობა მათ.

— აჩიკო, შენ ისეთ დიდ მომღერალს გადარჩებენ, როგორიც გოგი დოლიძე იყო. ეს, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ გარკვეულწილად, შენში პროტესტის გრძნობას ხომ არ იწვევს? ბოლოს და ბოლოს, შენ — შენ ხარ და მორჩა!

— იმის გამო, რომ გოგი დოლიძეს შემადარეს, არ გავღიზიანებულვარ და უარყოფითი ემოციები არ გამჩენია. ეს ადამიანი ჩვენს მომღერლებს შორის გამორჩეულად მიყვარდა. საოცარი პიროვნება და განსაკუთრებული ნიჭის პატრონი გახლდათ. რაც შეხება იმას, რომ მას ვგავარ, ეს ცოტა სადავო საკითხია. ის სრულიად სხვანაირად მღეროდა. განსხვავებული მანერა ჰქონდა...

— სად დაეუფლე ასე კარგად ქართულ სიმღერას?

— ოჯახში. ჩვენთან ყველა მღერის. დედა მუსიკოსია, გუნდის დირიჟორი იყო; ბაბუაც დირიჟორი გახლდათ... ასეთ ატმოსფეროში გავიზარდე.

— დღეს ვინ ხარ — მომღერალი თუ ბანკირი?

— 17 წელია ვმღერი, ერთი თვეა, რაც ბანკში ვმუშაობ. ბანკირი რომ გავხდე, საამისოდ წლები მჭირდება...

— რომ არ ყოფილიყო „ჯეოსტარი“, მაინც იმღერებდი?

— ვიმღერებდი, მაგრამ ყველაფერი დროში გაიწელებოდა. კონკურსმა პროცესები დააჩქარა და წინ წამწია...

ჟურნალისტი – აჩიკო ნიჟარაძე
რესპონდენტი – ნეკა სებისკვერაძე

— ნეკა, გაგიცანი მომღერლად. ბოლო დროს ტელეჟურნალისტს ამბლუა მოირგე. როგორ მოხვდი ტელევიზიაში?

— პროფესიით ჟურნალისტი ვარ, ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე. ტელეჟურნალისტიკასთან ჩემი პირველი შეხება ისრაელის ქართულენოვან არხზე მოხდა. იქ მუსიკალური რედაქტორი გახლდით და ორი საავტორო გადაცემაც მიმყავდა. ისრაელიდან რომ დავბრუნდი, რადიო „უცნობში“ დავიწყე მუშაობა, მიმყავდა საავტორო გადაცემა — „ჩვენებური ამბები“. ამ რადიოში კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მონაწილეობა მივიღე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გამოცხადებულ წამყვანების კონკურსში.

— როგორ ათავსებ ჟურნალისტობას მომღერლობასთან?

— ძალიან რთულად. მუსიკა ისეთი რამ არის, რომ მას მთლიანად უნდა მიუძღვნა თავი, თუ გინდა, რომ ნორმალური შედეგი გქონდეს. როდესაც დროის უმეტეს ნაწილს პარალელურად, მეორე პროფესიას უთმობ, ძნელია. მაგრამ ვცდილობ, ორივე საქმე რაღაცნაირად შევათავსო.

— ბოლო ალბომი როდის გამოუშვი?

— თითქმის ერთი წელია, რაც გამოვიდა „უსიტყვოდ“ — ასე დავარქვი. მასში სულ 10 სიმღერა შევიდა. გამოშვებული ალბომებიდან ეს მესამე გახლავთ, რომელიც ჟანრობრივად ყველაზე მეტად მომწონს, შედარებით კარგად ისმინება.

— ალბათ, უკვე მუშაობა ახალ ალბომზეც დაწყებული გაქვს, არა?

— კი, ახალი, ამ ბოლო ალბომისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება, უფრო მეტად ჩამოყალიბებული და „გაზრდილიც“. დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს ალბომი ცოცხალი შესრულებით ჩავწერო — ამ შემთხვევაში, ორკესტრს ვგულისხმობ.

— ხომ არ გქონია სურვილი, საერთაშორისო კონკურსში მიგეღო მონაწილეობა?

— ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ვმონაწილეობ ამა თუ იმ კონკურსში? ვიტყვი, რომ კონკურსებისადმი ცოტა მწყრალად ვარ განწყობილი. ვფიქრობ, რომ მომღერალს ისედაც კარგად შეუძლია თავისი შესაძლებლობების დემონსტრირება. უბრალოდ, კონკურსს დადებითი ის აქვს, რომ კონტაქტების დამყარებაში გეხმარება. ბავშვობიდან, ამა თუ იმ ქვეყნიდან მიწვევები რომ მიმიღია, უსახსრობის გამო ვერ წავსულვარ. ახლა სხვა მიზნები მაქვს. შემოქმედებით ზრდაზე უფრო ვმუშაობ, ვიდრე სხვა რამეზე.

— ნეკა, ჩვენთან ერთად კიევში ქრისტინე იმედაძეც იყო. როდიდან მეგობრობ მასთან და რა გაქვთ საერთო?

— ქრისტინეს პატარაობიდან ვიცნობ, მაგრამ ბოლო სამი წელია, რაც უფრო დავახლოვდით. რა შემიძლია მასზე ვთქვა: ის არის ძალიან კეთილი ადამიანი, აქვს გვერდში დგომის საოცარი უნარი, ყურადღებიანი მეგობარია. მიზანდასახულიც გახლავთ — უნდა, რომ თავისი შრომით წარმატებას მიაღწიოს. მისი შრომისუნარიანობა ნამდვილად მისაბაძია... საერთოდ, ვამაყობ ჩემი სამეგობროთი. ამ წრეში ბევრი ღირსეული ადამიანია.

— პარლამენტარების — ნაზი არონიასა და ბესო ჯუღელის იქაურ მისიაზეც ვუამბოთ მკითხველს.

— ისინი სპეციალურად, საიუბილეო საღამოსთვის კიევის ქართულმა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრმა მიიწვია. ამ ადამიანების დასწრება მნიშვნელოვანი იყო, რადგან როდესაც ქართველი შემსრულებლები საზღვარგარეთ კონცერტებს მართავენ, მათ ხელისუფლების წარმომადგენლები, როგორც წესი, არ ესწრებიან. კონცერტით ძალიან ისიამოვნა ბატონმა ბესომ — მოეწონა ჩვენი რეპერტუარი, განსაკუთრებით კი, ჩვენი დუეტი. გვასახელეთო! — გვეუბნებოდა და მადლობას გვიხდიდა. ქალბატონ ნაზი არონიას მანამდე მხოლოდ ტელეეკრანიდან ვიცნობდი. კიევში დავუახლოვდი. ძალზე სასიამოვნო ადამიანია. ■

კონცერტით ძალიან ისიამოვნა ბაგონმა ბესომ

ორხელისუფლებიანობა ცხინვალში

დიმიტრი სანაკოევი: „ამ არჩევნებით ოსებმა მსოფლიოს დაანახვეს, რომ ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება სურთ“

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ახალი — ორხელისუფლებიანობის ეტაპი დაიწყო. 29 ნოემბერს, სოფელ ქურთაში, ალტერნატიულ არჩევნებში გამარჯვებული ალტერნატიული „პრეზიდენტის“ — დიმიტრი სანაკოევის ინაუგურაცია გაიმართა. კოკოითის ყოფილი კადრი, რომელიც 90-იან წლებში აუღიარებელი რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად მუშაობდა, მთავრობას აყალიბებს და კონფლიქტის მოგვარების მისეულ გეგმაზე მუშაობს.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? რამდენად რეალურია ორხელისუფლებიანობა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ? რაც მთავარია — შეუწყობს თუ არა ხელს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას ჩატარებული ალტერნატიული არჩევნები და დიმიტრი სანაკოევის გუნდის საქმიანობა?..

ლალი პაპასკირი

დიმიტრი სანაკოევი:

— კოკოითის პრეზიდენტობის დროს, თავდაცვის მინისტრად მუშაობას ჩემი პოზიციისა და პოლიტიკური ხედვის ჩამოყალიბებაში ხელი არ შეუშლია. პირიქით, მაშინ ყველაზე ცხადად დავინახე, რომ ქვეყანაში ძალზე ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი არასწორად, სხვა ძალების ზეგავლენით წყდებოდა. როდესაც ხალხში გავედი, მივხვდი, რომ სიტუაცია გაცილებით უარესად იყო, ვიდრე ეს მინისტრის პოსტიდან ჩანდა. ამ ყველაფერმა მაიძულა, კოკოითის ოპოზიციაში გადავსულიყავი. დღეს კი, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა — მე საკუთარი ხალხის უფლებებს ვიცავ. ვინც ჩვენ ორს შორის წააგებს, იმან ოსეთი უნდა დატოვოს. თუ ჩემი კონკურენტის წარსულსა და აწმყოს გადავხედავთ, ვფიქრობ, ჯაბას ძეს *(ედუარდ კოკოითს. — ავტ.)* რუსეთში თავის დამკვიდრება არ გაუჭირდება...

— როგორც ვიცი, თქვენც რუსეთის მოქალაქეობა გაქვთ მიღებული...

— დიახ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაცის მხარეს ვიხრები და ეს, არც ჩემს არაეროვნულობას უსვამს ხაზს. დადგება დრო და ყველაფერს ფარდა აეხდება. რუსეთთან იმ კუთხით ურთიერთობა, რასაც ის გვთავაზობდა, ჩემი ქვეყნისა და ხალხისთვის მიუღებელი იყო. ჩემი რუსული პასპორტი ერთგვარად, დროისთვის ხარკის გადახდას გულისხმობს, ამიტომაც არ არის მიზანშეწონილი, ეს საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განვიხილოთ.

— აუღიარებელმა არჩევნებმა აუღიარებელ რესპუბლიკაში ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა წარმოშვა. მით უმეტეს, როგორც გაირკვა, მთავრობის ჩამოყალიბებაც დაიწყეთ...

— სიტუაცია საკმაოდ რთულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დათმობაზე წავალ. საბოლოოდ, ეს ყველაფერი კოკოითის წასვლით — სახლში ან სულაც, საზღვარგარეთ — დასრულდება. გააჩნია, თვითონ რა მოვლენების განვითარებას შეუწყობს ხელს...

— დღეს ბევრს ლაპარაკობენ თქვენს პროქართულ ორიენტაციაზე და საერთოდ, ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს წლების წინ აფხაზეთის დღევანდელი ლიდერის, ბაღაფშის ირგვლივ ატეხილ ხმაურს, რომლებიც არ გამართლდა...

— დიახ, მსგავსება დიდია. მაგრამ განსხვავებაც არის. უნდა აღვნიშნო — თავის დროზე, აფხაზურ არჩევნებში ხაჯიმბას იმ ხალხმა მისცა ხმა, ვინც უშუალოდ მასზე იყო დამოკიდებული, დანარჩენებმა კი, ვისაც საკუთარი ცხოვრების შეცვლა მართლა უნდოდათ, სერგეი ბაღაფშს დაუჭირეს მხარი. გარდა ამისა, ბაღაფში არასდროს ყოფილა პროქართული ორიენტაციის, უბრალოდ, ის არ იყო რუსეთის კადრი და მას პროქართულობის იარლიყი „მიაკერეს“. მოგვიანებით, ყველაფერი გაირკვა და დღეს ყველა ვხედავთ, რომ ქართული მხარე მასზე ზეგავლენას ვერ ახდენს. თუმცა, ორივე მხარისთვის უფრო კონსტრუქციული ურთიერთობა გაცილებით მომგებიანი იქნებოდა. თანაც, აფხაზეთში, ურთიერთდაპირისპირებული ძალების გაერთიანება მოხერხდა, რაც აქედანვე გამორიცხულია სამხრეთ ოსეთში.

— ცნობილია, რომ ოფიციალური თბილისი სამხრეთ ოსეთში გამართულ არჩევნებს არ ცნობს...

— სამწუხაროდ, ასეა. ქართულ მხარეს დღეს ამის გაგონება არ უნდა. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყველაფერი შეიცვლება. ამ არჩევნებით ოსებმა ქართულ მხარესა და ზოგადად მსოფლიოს დაანახვეს, რომ ქართველებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება სურთ. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ, ამ არჩევნებში მონაწილეობითა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირებით, სამხრეთ ოსეთის მშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანა. ამით მათ მეზობელი ოსების ნდობაც მოიპოვეს, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ეს არის ის პუნქტი მხარეებს შორის ურთიერთობაში, რომლითაც საქართველოს ხელისუფლებასთან დიალოგს დავიწყებთ.

— სამხრეთ ოსეთის მოსახლეობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია რუსეთის ხელისუფლების პოზიცია — თუნდაც, იმავე ოსური მოსახლეობისთვის...

— რა თქმა უნდა. გმადლობთ ამ შეკითხვისთვის. ჩემი პრინციპია — თვითონ ოსებმა მოსთხოვონ რუსეთს, რომ არ ჩაერიოს ორი ხალხის ურთიერთობაში და ყველაფერი ნაბიჯ-ნაბიჯ, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით მოხდეს. პირველ რიგში, ორივე მხარემ, კომპრომისზე წასვლა უნდა ვისწავლოთ. ქართული მხარე დაჟინებით მოითხოვს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა დატოვონ კონფლიქტის ზონა, რაც, ერთი ხელის მოსმით, შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ მათი პოტენციალი საკმაოდ დიდია, მაგრამ ამის გამოყენება არც ერთ მხარეს არ უნდა. კოკოითის პოზიცია გასაგებია: მან იცის, რომ რუსი მშვიდობისმყოფლების წასვლასთან ერთად, მისი ბატონობაც დასრულდება.

— რაც შეეხება ქართული მხარის მოთხოვნას?

— აქ საქმე გაცილებით დიდ პოლიტიკასთან და კიდევ უფრო დიდ პრინციპებთან გვაქვს. სწორედ ამიტომ ვამბობ — რუსეთი ყველანაირად ცდილობს, გვერდი აუაროს ქართული მხარის მოთხოვნას და დროის გასაყვანად, ახალ-ახალ პრობლემებს ქმნის.

— რა გეგმა აქვს შემუშავებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის ალტერნატიულ პრეზიდენტს კონფლიქტის მოსაგვარებლად?

— მიმაჩნია, რომ ადგილობრივი კრიმინალების დასამარცხებლად, რომელიც კოკოითის ხელისუფლებაში საკმაოდ ბევრია, აუცილებელია, სამხრეთ ოსეთის შსს-ს ოპერატიულ ჯგუფებთან და ქართულ პოლიციასთან ერთად, რუსეთის სამშვიდობო ძალებიც მონაწილეობდნენ. კარგად ვიცნობ ჩემი ხალხის ბუნებას და დარწმუნებული ვარ, პირველ რიგში, ეს მოსახლეობაზე დადებითად აისახება. მოგეხსენებათ, კრიმინალური მდგომარეობა იქ საკმაოდ მძიმეა.

— რაც შეეხება კონფლიქტის მოგვარებას და ქართულ მხარესთან ურთიერთობას...

— მე ვარ ოსი, რომელსაც საკუთარმა ხალხმა და მათ შორის, ქართულმა მოსახლეობამ ნდობა გამოუცხადა. ამ ხალხმა პირველ რიგში, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების დაწყებასა და მშვიდობიანი გზით პრობლემის მოგვარებას დაუჭირა მხარი — ანუ ეს ის მთავარი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაც მას ჰაერივით სჭირდება და რასაც მე მას ვთავაზობდი. როგორმე უნდა გამოვნახოთ საერთო ენა. აშკარაა, რომ გარკვეულ კომპრომისზე ორივე მხარე უნდა წავიდეს... ■

ლუგანჩი, პოკოშინი... სტალინი
და სხვა ჭრაჭაღი „ქართული თანასტეხი“

სიმართლე გითხრათ, ამჯერად, ქვემოთ მოხმობილი პუბლიკაციების საერთო სათაურქვეშ გაერთიანება საკმაოდ გამიჭირდა. თუმცა, ბოლოს ერთი, ცოტა არ იყოს უცნაური შეხების წერტილის გამონახვა მაინც მოვახერხე. საქმე ისაა, რომ პრობლემებში, რომლებზეც ამ სტატიებში მახვილდება ყურადღება, თითქოს, არაერთი დიდი ქვეყანა, გავლენიანი ორგანიზაცია თუ კონკრეტული პირი (თვით ათწლეულების წინ გარდაცვლილი ბელადის აჩრდილიც კი) არის ჩართული, მაგრამ როგორც კი საქმე საქმეზე (პრობლემების რეალურად გადაჭრაზე) მიდგება, საქართველო მათ პირისპირ სრულიად მარტო რჩება. ისმის კითხვა, რატომ?..

რუსუდან ლებანიძე

ენერგეტიკა – შანტაჟის ახალი იარაღი

(Риа-Новости, **რუსეთი**)

ამერიკის სენატის უცხოეთის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი რიჩარდ ლუგარი აცხადებს, რომ ნატო მზად უნდა იყოს იმ „თავდასხმისა“ და „ენერგეტიკის, როგორც შანტაჟის იარაღად გამოყენებაზე პასუხის გასაცემად“, რომელსაც რუსეთმა ან ირანმა შეიძლება მიმართონ. სენატორის თქმით, შარშან, რუსეთის მიერ უკრაინისთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ენერგიის გამოყენების აშკარა დემონსტრირება იყო. მართალია, დასავლეთის მძაფრი რეაქციის შემდეგ მოსკოვმა უკან დაიხია, მაგრამ ასე რომ არ მომხდარიყო, „უკრაინის ეკონომიკა და შეიარაღებული ძალები ერთი გასროლის გარეშე აფეთქდებოდა“, — ასკვნის ლუგარი. ამიტომ, „ნატო ვალდებულია, ზუსტად განსაზღვროს, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას მან იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი საფრთხე პოლონეთს, გერმანიას, უნგრეთს ანდა ლატვიას დაემუქრება“.

რიჩარდ ლუგარის აზრით, ნატოს წესდების მეხუთე თავი, რომელშიც ნათქვამია, რომ ალიანსის ერთ-ერთ წევრზე თავდასხმა მთელ სამხედრო ბლოკზე თავდასხმად განიხილება, ენერგეტიკის სფეროზეც უნდა გავრცელდეს. „რადგან იმაში, თუ რა გზით შეეცდებიან ნატოს წევრი ქვეყნის დამორჩილებას — სამხედრო თუ ენერგეტიკული ბლოკადით — დიდი სხვაობა ნამდვილად არ არის“.

„BALLY“ – თვალში საცემი, კომფორტული და მოხდენილი სტილი

ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენო... თუმცა ადამიანები, მით უფრო ქალბატონები ყველაზე მეტ დროს, სწორედ რომ სხვების გემოვნების თუ უგემოვნობის განხილვაში ატარებენ...

მოდა და სტილი – სფერო, სადაც ცნობისმოყვარეობასა და მრავალფეროვნებას საზღვარი არა აქვს, ამიტომაც არის, რომ დიზაინერები ყველას პრეტენზიულობას ითვალისწინებენ და ჩვენებებს ჩვენებებზე აწყობენ. ალბათ იმიტომაც, რომ ფიქრისა და კრიტიკის დრო აღარავის დარჩეს და არჩევანი დროულად, ზედმეტი კრიტიკის გარეშე გააკეთონ.

მოკრძალებული ფერები, თამამი აქსესუარები, ქუდები, ქამრები... – გვთავაზობენ ფეხსაცმლის მწარმოებელი ფირმა „BALLY”-ს დიზაინერები და გვაფრთხილებენ: ხელოვნურსა და სხვების დამკიდრებულს ნუ მიჰყვებით, ყველაფერი თქვენი გემოვნებით შეარჩიეთ და გაითვალისწინეთ, რომ ფეხსაცმელი კი არ უნდა გაწუხებდეს, პირიქით უნდა გსიამოვნებდეს, გიხდებოდეს და თქვენზე უნდა იყოს მორგებული.

ყველაფერი კი ასე დაიწყო... „BALLY”-ს ისტორია XIX-ის 50-იანი წლებიდან იწყება. 1847 წელს კარლ ფრანც ბალი და მისი ძმა მამის საამქროს ჩაუდგნენ სათავეში. 1850 წელს, პარიზში მოგზაურობისას კარლი ლამაზ, ორიგინალურ და დეკორატიულ ჩუსტებს გადააწყდა, ძალიან მოეწონა და ერთი წყვილი მეუღლისთვის საჩუქრად შეიძინა. შვეიცარიაში დაბრუნებულმა მეწაღეები მოიწვია და ფეხსაცმლის წარმოება დაიწყო.

1851 წელს კარლ ფრანც ბალიმ წარმოება გააფართოვა და ფეხსაცმლების კომპანია „BALLY&Co” დააარსა. მოიწვია გერმანელი მეწაღეები და მუშაობა საკუთარი სახლის სარდაფში განაგრძო. მოგვიანებით, 1854 წელს, პირველი მაღაზია ქალაქის ცენტრში ააშენა, ხოლო მას შემდეგ, რაც ბიზნესი კარლის ძმამ მიატოვა, კომპანიამ მოღვაწეობა „C.F.BALLY”-ის სახელით განაგრძო.

კომპანიამ პირველი ექსპორტი ბერნში, ციურიხსა და სამხრეთ აფრიკაში განახორციელა. 1970 წლიდან ფეხსაცმელის სხვადასხვა აქსესუარებიც დაემატა, მათ შორის მაღალი კლასის ჩანთები, ქამრები, საფულეები... „BALLY” წლების განმავლობაში სპორტული ტიპის ფეხსაცმელს აწარმოებდა, ხოლო 1990 წლიდან ფირმამ სტრატეგია შეიცვალა და მისთვის დამახასიათებელ სტილს გადაუხვია, პროდუქციაში უცხო ელემენტები შეიტანა, როგორიცაა მაღალი ქუსლების ლასტები და სხვა. მოგვიანებით „BALLY”-ის დიზაინერები სოლიდური ტიპის ფეხსაცმლის წარმოებაზე გადავიდნენ.

დღეს „BALLY” ძირითადად ორიენტირებულია ევროპის მაღალ საზოგადოებაზე, და მისი კლიენტების წრე მაქსიმალურად, ყოველწლიურად ფართოვდება. მას საქვეყნოდ ცნობილი და შეძლებული ადამიანები იცვამენ. „BALLY”-ის საფირმო მაღაზიაში სხვა კლიენტებს შორის აუცილებლად შეხვდებით ჰოლივუდის ვარსკვლავებსა და ლამაზმანებს, როგორებიც არიან ჯულია რობერტსი, ანჯელინა ჯოლი, მონიკა ბელუჩი, რობერტ დენირო, ჰარისონ ფორდი, ჟერარ დეპარდიე, შონ კონორი და სხვები.

„მაღალ საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ თუ „BALLY“ გაცვია, ე.ი. ყოველთვის იქნები ყურადღების ცენტრში და არც მამაკაცის მზერა მოგაკლდებათ“, – ამაყობენ ფეხსაცმლის ორიგინალურობით მოხიბლული ქალბატონები. ამიტომაც არის, რომ როდესაც რომელიმე ვარკვლავს გარშემოყოფთა მოხიბვლა სურს, ის „BALLY”-ის მიმართავს და მის ორიგინალურ ფეხსაცმელს იცვამს.

ბალის ფეხსაცმლის სტილი ყოველთვის თვალში საცემია. ნებისმიერ დროს აქცენტი კეთდება მოხდენილობაზე, ორიგინალურ შტრიხებსა და რაც უმთავრესია, ფერზე – ძირითადად თეთრი, ყავისფერი, შავი და მათი გარდამავალი ფერები.

წლევანდელი 2006-2007 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციაში კარგად არის დაცული მისთვის დამახასიათებელი სტილი – კლასიკური და სპორტული შტრიხები. წლევანდელი კოლექცია მნიშვნელოვანია სიახლით, დიზაინერებმა „BALLY”-ის სტილში მკაცრი ხაზის შეტანაც სცადეს, რომელიც საქმიანი და ენერგიული ქალბატონებისთვისაა განკუთვნილი. მის პროდუქციაში შეინიშნება მამაკაცური ელემენტებიც, რომელიც ქალის ფეხს სულაც არ აუხეშებს.

„არა თვალში საცემები ფერები, ვულგარულობა და მოჭარბებული ემოციები, არამედ სინაზე, სიდიადე და ფარული ვნება. მისი ნებისმიერი მოდელი კომფორტულია და მოხდენილი, და რაც უმთავრესია, ხარისხიანი, – აღიარებენ კრიტიკოსებიც.

გაგიფუჭდათ მანქანა? ან იქნებ, გასეირნება გადაწყვიტეთ და ამინდი ხელს არ გიწყობთ? ჩაიცვით „BALLY”-ის კომფორტული ფეხსაცმელი, იარეთ რაც შეიძლება ბევრი, მით უფრო წვიმა და თოვლი ნუ შეგაშინებთ, თქვენ ხომ „BALLY” გაცვიათ!

უბრალოდ, ენერგომატარებლებით ბრძოლა შეიძლება, ერთი შეხედვით, ნაკლებად საშიში ჩანდეს, ვიდრე სამხედრო ძალის გამოყენება. მაგრამ ეს — მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან „შუა ზამთარში, რომელიმე ევროპული ქვეყნისთვის ბუნებრივი აირის გამორთვამ შეიძლება, მასშტაბური სამხედრო ოპერაციის ტოლფასი ეკონომიკური რღვევა და ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვიოს“...

დუმის დეპუტატი ქართული ბატალიონების ბედზე „წუხს“

(Риа Новостиб, *რუსეთი*)

რუსეთის დუმის დსთ-სა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარის, ანდრეი კოკოშინის თქმით, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას და მასში საქართველოს „ჩათრევას“ რუსეთი პირველ რიგში, იმიტომ ეწინააღმდეგება, რომ ეს მის „სტრატეგიულ სტაბილურობასა და ეროვნულ უსაფრთხოებას“ დაემუქრება. თუმცა, თუ ბატონ კოკოშინს დავუჯერებთ, ნატო თავად საქართველოსთვის არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს და რომ „იმ მდგომარეობის გამო, რაც ამჟამად ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებშია შექმნილი, საქართველო რუსეთის კი არა, იმ დასავლელ და ქართველ პოლიტიკოსებს უნდა შემოსწყრეს, რომლებიც მას ნატოსკენ ჯიუტად „მიათრევენ“.

რუსი პარლამენტარი იმაზეც „წუხს“, რომ „ნატოს წევრობის დაუოკებელ სურვილს გამოდევნებულ საქართველოს“ ვერ შეუგნია, რომ ალიანსს ის და „ახალი ევროპის“ სხვა ქვეყნები, პირველ რიგში, თავისი სამხედრო კონტინგენტის შესავსებად სჭირდება. „როგორც ჩანს, — შენიშნავს იგი, — „ძველი ევროპის“ ქვეყნებსა და კანადას აღარ სურთ თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლის გაწირვა, ამიტომაც, დღეს „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამით მომზადებული ჯერაც მცირერიცხოვანი ქართული ბატალიონები ხვალ ვაშინგტონისა და ბრიუსელისთვის „ძალზე მნიშვნელოვან შენაძენად“ შეიძლება იქცნენ. „და თუ მართლა ასე მოხდა, — დასძენს ქართველების მიუხვედრელობით „გულმოკლული“ კოკოშინი, — მაშინ ამ უკანასკნელთ *(ვაშინგტონსა და ბრიუსელს. — მთარგმ.)* ავღანეთში ამერიკელების, ფრანგების, გერმანელების, ინგლისელებისა და იტალიელების დამატებითი ფორმირებების გაგზავნა აღარ დასჭირდებათ“...

გაგრძელება იხ. გვ. 57

ცოლად შერთვის მიზნით ძმამ ძმის შეყვარებული მოიტაცა

„...უკან დასახევი გზა აღარ მქონდა“, – განაცხადა სასამართლოში განსასჯელმა

_ მეგი ცანავა

ადამიანისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, დამნაშავეთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითა და წინასწარი შეცნობით — სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ეს დანაშაული საქართველოში, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში დაფიქსირებულ კრიმინალურ ფაქტებს შორის, იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენს. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა ბოროტმოქმედების მსხვერპლი არასრულწლოვანი ხდება. ეს ჩადენილ დანაშაულს კიდევ უფრო ამძიმებს. 25 წლის განასასჯელის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეც სწორედ მსგავს კრიმინალურ ქმედებას ეხება. თუმცა, როცა სასამართლო კოლეგია აღნიშნულ საქმეს გაეცნო, გამოძიების მასალებში აღწერილი ფაქტი, ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და მიზეზი, ჩვენი რეალობისა და ქართული მენტალიტეტისთვის საკმაოდ უჩვეულო აღმოჩნდა...

როგორც გამოძიების მასალებით ირკვევა, თბილისში მცხოვრებმა, 25 წლის ამირან ბიწაძემ (გვარები შეცვლილია), ცოლად შერთვის მიზნით, საკუთარი ძმის შეყვარებული მოიტაცა. მოტაცებული გოგონა, რომელიც იმ მომენტისთვის არასრულწლოვანი გახლდათ, მან დასავლეთ საქართველოში წაიყვანა, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მალავდა და რაიონიდან რაიონში გადაჰყავდა. ბიწაძე თავის მძევალთან ერთად, ხან ერთ სოფელს აფარებდა თავს, ხან — მეორეს. შემთხვევის დღიდან მოყოლებული, თეონა სებისკვერაძეს მშობლები და ნათესავები თითქმის მთელი თვე ეძებდნენ, მაგრამ მისა და დამნაშავის კვალს ვერსად აგნებდნენ. გოგონას თავისუფლება 28 დღის მანძილზე ჰქონდა აღკვეთილი. საქმის მასალების მიხედვით, ბიწაძისა და მისი მძევლის ადგილსამყოფლის შესახებ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, არაფერი იცოდა არც მისმა ძმამ და არც რომელიმე ნათესავმა. გამოძიების მასალებში ისიცაა აღნიშნული, რომ ბიწაძეს დანაშაულში თანამონაწილეებიც ჰყავდა, თუმცა მათი ვინაობა გამოძიებით, დღემდე დაუდგენელია. დაზარალებული მხარე ამბობს, რომ ბიწაძეს ძმაკაცები დაეხმარნენ, მათ შორის ერთ-ერთი მისი ღვიძლი ბიძაშვილიც იყო. დაზარალებულის ახლობლების ეს ვარაუდი ოფიციალურად დაუდასტურებელი დარჩა...

გარდა ამისა, დაზარალებული მხარე, განსაკუთრებით კი თეონა სებისკვერაძის დედა — ნუნუ ბენდელიანი თავის ჩვენებებში იმასაც აღნიშნავს, რომ ბიწაძისა და სხვა თანამონაწილეების მიერ, მოტაცებული გოგონას მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და მუქარას ჰქონდა ადგილი. მართალია, გამოძიების მასალებში, ძირითადად, ჩვენებებში, ამის შესახებ აღნიშნულია, მაგრამ საბრალდებო დასკვნის მიხედვით, დაზარალებულის მიმართ ფიზიკური განადგურების მუქარის ფაქტი, ძიების შედეგად არ დადასტურდა. საქმე ის გახლავთ, რომ თავად დაზარალებულმა — თეონა სებისკვერაძემ მის მიმართ სიცოცხლისთვის საშიში ძალადობა ან მუქარა, ჩვენებაში არ დააფიქსირა. არც განმეორებითი დაკითხვის დროს დაუწერია ამის შესახებ რამე და არც სასამართლო პროცესზე დაადასტურა დედის სიტყვები. ნუნუ ბენდელიანი ყოველივე ამას, ბიწაძეების მხრიდან ქალიშვილზე ზეწოლით ხსნის. ერთ-ერთ ჩვენებაში ის წერს: *„...ჩემი შვილი ჯერ დააშინეს, შემდეგ კი, სიმართლე თავისი მომავალი ქმრისა და მისი ნათესავების ჩარევის შედეგად დამალა...“*

იმ დროისთვის, როცა აღნიშნულ საქმეზე სასამართლო პროცესი დაიწყო, დაზარალებული უკვე განსასჯელის ძმის მეუღლე გახლდათ. სხდომაზე თეონა სებისკვერაძემ, როგორც ამას მისი მშობლები აღნიშნავენ, ბიწაძისთვის (იმ მომენტისთვის უკვე მაზლისთვის) მდგომარეობის შემსუბუქება გადაწყვიტა და ამ მიზნით, სასამართლოს მსუბუქი სასჯელის დანიშვნის თაობაზე სთხოვა. მისი თქმით, მომხდარ ფაქტს მისი და მისი შეყვარებულის ურთიერთობაზე გავლენა არ მოუხდენია...

ნუნუ ბენდელიანის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„...ჩემმა ქალიშვილმა ახსნა-განმარტებაში, რომელიც სამართალდამცავებს მისცა, ყველაფერი სიტყვასიტყვით, დეტალურად აღწერა. მაშინ მას სიმართლე არ დაუფარავს. ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც ირაკლის (ამირან ბიწაძის ძმა) შეხვდა. მე მასთან, ისევე როგორც ბიწაძეების ნებისმიერ ახლობელთან, ამ საშინელი სტრესის შემდეგ ჩემს შვილს სასტიკად ვუკრძალავდი შეხვედრას და რაიმე კონტაქტს. სახლიდან არც გასულა, მარტოს ბინაშიც არ ვტოვებდით. ისე ვიყავით დაშინებულები, რომ დღედაღამ ვყარაულობდით. სკოლაშიც არ გაგვიშვია. ვიცოდით, რომ დამნაშავე აიყვანეს, მაგრამ ეს არ გვამშვიდებდა. ბიწაძეებს, აგრესიის საფუძველზე, ნებისმიერ მომენტში შეეძლოთ, რაიმე გაუთვალისწინე-

ბელი ჩაედინათ. ამ ამბის შემდეგ კატეგორიულად გამოვრიცხე ჩემი შვილისა და ირაკლი ბიწაძის ურთიერთობის გაგრძელება. სხვათა შორის, ამის წინააღმდეგი ყოველთვის ვიყავი... ბავშვი ფსიქოლოგიურად და მორალურად გახლდათ განადგურებული, გაუწონასწორებელი იყო და მასზე გავლენის მოხდენა ძალიან ადვილად შეიძლებოდა. ირაკლი ბიწაძე მაინც არ მოეშვა და ჩვენი ერთ-ერთი მეზობლის დახმარებით, თურმე ფარულად მაინც ეკონტაქტებოდა მას. თეონას პოვნიდან და მისი სახლში წამოყვანიდან მეთორმეტე დღეს ისინი, სწორედ იმ მეზობლის დახმარებით გაიპარნენ. მისი ბინა ჩვენს ბინას ესაზღვრებოდა, ერთი კედელი გვყოფდა. მეოთხე სართულზე ვცხოვრობთ. ბავშვი აივნიდან გადაძვრა მის ფანჯარაში და ისე გაიპარა. ამას ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ მასზე გავლენის მოხდენა შეძლეს. ეს დღემდე ასე გრძელდება. შვილთან ურთიერთობა ფაქტობრივად არ მაქვს, რადგან მას ამის საშუალებას არ აძლევენ, არწმუნებენ იმაში, რომ ქმრის და ოჯახის წინააღმდეგ განვაწყობ, რათა შურისძიებას მისი ბედნიერებაც შევწირო... ჩემი შვილი ზუსტად ისე ამბობს ყველაფერს, როგორც არიგებენ და კარნახობენ. იმ დღეს, როცა როგორც იქნა, მის ადგილსამყოფელს მივაკვლიეთ და გატაცებული შვილი პირველად ვნახე, ატირებულმა მითხრა: ამირან ბიწაძემ სანადირო თოფი გამოიტანა, მაჩვენა და მითხრა, — შენმა მშობლებმა თუ მოგვაგნეს და შენ მათთან ერთად წასვლა გადაწყვიტე, აი, ამ თოფით, შენ თვალწინ მოვკლავ ორივეს, მერე შენც მოგკლავ და თავს არც მე ვიცოცხლებო... გზაში, როცა ერთ-ერთი სოფლისკენ მიდიოდნენ, მათი მანქანა თურმე პატრულს გაუჩერებია. პატრულის თანამშრომლებს საეჭვოდ მოსჩვენებიათ ბიჭებით გატენილ მანქანაში ერთადერთი გოგონა რომ იჯდა, თანაც ტირილისგან თვალებდასივებული. თეონასთვის უკითხავთ კიდეც, — რამე პრობლემა ხომ არ არისო? ბავშვს უპასუხია, არაო. თვითონ მითხრა: დედა, ამირანმა როგორც კი პატრული შენიშნა, მაშინვე მითხრა, იცოდე, ხმა არ ამოიღო, თორემ შენს მშობლებს არ გავახარებო... ბავშვს ჩემი და ჩემი ქმრის ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდნენ და აშინებდნენ. დღეს ამ სიტყვებს ჩემი შვილი უარყოფს და ამას მხოლოდ ქმრის ოჯახის გამო აკეთებს. მისი მიამიტობით და გულუბრყვილობით სარგებლობენ. ამირან ბიწაძეს ძმისთვის ციხიდან შემოუთვლია, მდგომარეობას ნუ დამიმძიმებთ და როცა აქედან გამოვალ, ახლოსაც არ გაგეკარებითო. შეიძლება მის მშობლებს და ძმას მისი სიტყვების სჯერათ, მაგრამ მე — არა. მისმა გარშემომყოფებმაც ძალიან კარგად იციან, რომ ამ ადამიანის ნდობა არ შეიძლება... ყველამ იცის, რომ ამირან ბიწაძე ყოველთვის ცუდ წრეში ტრიალებდა, არსად სწავლობდა, არ მუშაობდა, არაფრით იყო დაკავებული და მთელ დროს ქუჩაში ატარებდა, ნარკომანებთან და გზას ამცდარ ხალხთან ერთად. მის უბანში ცხოვრობს წლების მანძილზე ჩემი და, რომელიც ამბობს, რომ ამირან ბიწაძე ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი არასდროს უნახავს, ან მთვრალია, ან ნარკოტიკებით გაბრუებულიო...“

თეონა სებისკვერაძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში მისი მოტაცების დეტალებს დაწვრილებით აღწერს. თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც თავისუფლებაღკვეთილიყო, ამირან ბიწაძისგან ფიზიკურ ძალადობას ან რაიმე შეურაცხმყოფელ ქმედებას ადგილი არ ჰქონია. დაზარალებულის თქმით, მას ყოველთვის ცალკე ოთახში ეძინა, ამირან ბიწაძე კი ეუბნებოდა, რომ თავს არ დააძალებდა მანამ, სანამ თავად არ მისცემდა უფლებას. *„სექსუალურ ძალადობას ადგილი არ ჰქონია. ის მხოლოდ მასთან დარჩენას მთხოვდა და მშობლებთან დაბრუნებას მიკრძალავდა კატეგორიულად... კარგად მექცეოდა, საჭმელს მაჭმევდა და ზრუნავდა ჩემზე“*, — წერს ჩვენებაში დაზარალებული.

ოფიციალური ცნობების თანახმად, ამირან ბიწაძე წარსულში ნასამართლევი არ ყოფილა. თეონა სებისკვერაძის ცოლად შერთვის მიზნით მოტაცების ფაქტი მან სამართალდამცველების წინაშე დაადასტურა, თავი დამანაშავედ ცნო და ისიც აღნიშნა, რომ ჩადენილ დანაშაულს გულწრფელად ინანიებდა. გამოძიების მასალების მიხედვით, მისი განზრახვის შესახებ, თეონა სებისკვერაძემ ეჭვადაც არაფერი იცოდა. გოგონა ჩვენებაში წერს, რომ არ იცოდა, თუ მისი შეყვარებულის ძმა მას სხვა თვალით უყურებდა და მის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა ჰქონდა. დაზარალებული აღნიშნავს, რომ ამის შესახებ პირველად მოტაცების დღეს შეიტყო. შემთხვევის დღეს, ვიდრე ყველაფერს გაარკვევდა, მიუხედავად იმისა, რომ მანქანაში ირაკლი ბიწაძე არ იჯდა, მაინც ეგონა, რომ მას შეყვარებული იტაცებდა, ამირანი კი მხოლოდ ძმას ეხმარებოდა. მოგვიანებით შეიტყო, რომ სინამდვილეში მისი გამტაცებელი სწორედ ამირან ბიწაძე იყო, შეყვარებულმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. მომხდარის წარმოდგენა და დაშვება, მით უმეტეს არ შეეძლოთ როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის ახლობლებს. დაზარალებულის მშობლები ჩვენებებში წერენ, რომ მსგავს საშიშროებას ირაკლი ბიწაძისგან უფრო ელოდნენ, მის ძმაზე კი ვერასდროს იფიქრებდნენ. სამართალდამცველებმა დაჰკითხეს ბრალდებულის ძმაც. *„...ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ასეთ რამეს ვერც ვიფიქრებდი“*, — წერს ის და სამართალდამცველებს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ძალიან მოკლე და მწირ ჩვენებას აძლევს.

თავად დანაშაულის ფაქტს ნუნუ ბენდელიანი შეესწრო. გოგონა სწორედ დედის თვალწინ მოიტაცეს. *„...იმ დღეს, სკოლაში მშობელთა კრება იყო. სასწავლო წელი სრულდებოდა, თეონა სკოლას ამთავრებდა და დირექტორმა და დამრიგებელმა დამამთავრებელი კლასების მშობლები გამოცდებთან და სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, სკოლაში დაგვიბარეს. კრება რომ მორჩა, მე, თეონა, მისი ორი კლასელი გოგონა და მათი მშობლები ერთად გავედით შენობიდან, რადგან ერთი გზა გვქონდა. ქუჩას ფეხით გავუყევით. გოგონები წინ, ჩვენგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით მიდიოდნენ, ჩვენ უკან მივყვებოდით. ჩვენს საცხოვრებელ კორპუსამდე სულ ცოტა მანძილი იყო დარჩენილი. მე იქვე მდებარე მაღაზიაში შევიარე, რათა პროდუქტები მეყიდა. მშობლებიც შემომყვნენ. დაახლოებით ორ-სამ წუთში გარედან მანქანის ძლიერი დამუხრუჭების ხმა მოგვესმა, რასაც რამდენიმე წამში კივილი მოჰყვა. ალბათ, გულმა მიგრძნო, მაშინვე გარეთ გავვარდი და საშინელება დავინახე. ჩემს შვილს ვიღაც ორი ბიჭი ეჭიდავებოდა და თეთრი „ჟიგულისკენ“ ექაჩებოდა, თეონა ყვიროდა, დანარჩენი გოგონებიც კიოდნენ, მაგრამ მათ ახლოს ვერ ეკარებოდნენ. იქვე დავაგდე პარკი და ჩანთა, რაც ხელში მეჭირა და იქითკენ გავიქეცი. სანამ მივედი, მანქანა დიდი სისწრაფით დაიძრა. ისე მოსწყდნენ ადგილს და გააქროლეს, რომ ჩემი შვილი ნახევრად გარეთ იყო და ღია კარიდან ფეხები მოუჩანდა...“* — წერს ჩვენებაში **ნუნუ ბენდელიანი**.

გაგრძელება იხ. გვ. 69

„რა კაცი დაკარგა და რემონტი, კაცოოო! რემონტიოოო!“

სიმართლე გითხრათ, ნატალის გადაუარა ხალისმა, რომ მისი ამბავი ჟურნალში დაიბეჭდოს, მაგრამ ახლა უკვე გვიანია და იძულებულია, მკითხველის მოთხოვნას დაემორჩილოს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნება თქვენი აზრი. როგორ ფიქრობთ, ზურასა და ნატალის ამბის ბეჭდვა უნდა განვაგრძოთ? როგორც უკვე იცით, ერთ-ერთი მკითხველი, ირინე გამოთქვამს სურვილს, რომ მისი ამბავიც ასევე ონლაინ-რეჟიმში დაიბეჭდოს. მას უკვე შევხვდი და მინდა გითხრათ, რომ წინ კიდევ ერთი, საკმაოდ საინტერესო ამბავი გელით...

მარი ჯაფარიძე

„შესაძლოა, ნატალიმ და ზურამ ჩემი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვან და მეორედან გამოუშვან, მაგრამ მათი სიყვარული ყოველგვარ ზღვარს სცდება და რა ვქნა?“

„ნატალის და ზურას ამბის ფინალი მაინტერესებს, ნევროზი დამმართა ამ წყვილმა. მათ ბედნიერებას ვუსურვებ! ხალხს კი ვეტყვი, რომ არ განიკითხონ, რადგან არავინ იცის, ბედი ვის რას უმზადებს. ყველას თავისი ცხოვრება აქვს და როგორც უნდა, ისე წარმართავს. გკოცნით. მარი“.

„გამარჯობა. დღეს პირველად წავიკითხე ნატალისა და ზურას ამბავი. ესეც ახალი ტიპის სერიალია. კარგია, ვერაფერს იტყვი... ახლა კიდევ, კაცო, ვინ არის ის ირინე? მარი, იქნებ დასდო პატივი და შეხვდე? ცდა ბედის მონახევრეა“.

„მაპატიონ ნატალიმ და ზურამ. სიყვარულის მოტრფიალე ვარ და წრფელ გრძნობას მივესალმები, მაგრამ გვაქვს კი ასეთი სიყვარულის უფლება? ერთ შეკითხვაზე მინდა, ზურასგან პასუხი მივიღო: ხვალ რომ ისევ დაჯდე კომპიუტერთან და ახალი ნატალი „გაჩითო“, რას იზამ? დარწმუნებული ვარ, ღალატი პანდორასაც არ ასცდება ისევე, როგორც შენს ცოლს. ასეთია კაცის სიყვარული. ეს მარტო ზურას არ ეხება. და კიდევ ერთი: თუ კაცს ცოლი არ უყვარს, ის არავითარ შემთხვევაში, მასთან შვილის ხათრით არ გაჩერდება. ასე რომ, ნუ ხართ ეს ქალები ყვლაფერში თავდაჯერებულები. ნატალის მხოლოდ ისეთი ადამიანები ამხნევებენ, რომელთაც არანიარი გამოცდილება არ გააჩნიათ, მხოლოდ ოცნებებში დაფრინავენ. მე მხოლოდ ჩემი აზრი, გამოცდილება გაგიზიარეთ და ამისთვის ნუ დამძრახავთ. მადონა, საბერძნეთი“.

„ნატა და ზურა, თუ მართლა არსებობთ, ამ ხალხის აზრს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. ნატა, არ წახვიდე ამერიკაში მარტო, ზურაც წაიყვანე, ნუ მიატოვებ“.

„ვაიმეეე! ახლა კი „დავიგრუზეე“... რა მოხდებოდა, რომ ნატალისა და ზურას ამბისთვის ერთი გვერდი კიდევ მიგემატებინათ? აუუუ! რა გაძლებს ხუთშაბათამდე?“

„მარი, ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე რომ გვემშვიდობები, გული არა გაქვს? ამდენი ხანი ზურასა და ნატალის გარეშე როგორ გავძლოოო?“

„ნატალი, იმ ლიკასთვის ერთი კარგად უნდა დაგენაყა ცხვირ-პირი... რა უნდოდა შენთან? რას მოდიოდა? ისეთი აღშფოთებული ვარ, მეტი არ შეიძლება. ეჰ, შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, რა „გალამაზებულს“ გავუშვებდი სახლიდან! ყოჩაღ, შენს მოთმინებას. რემონტი არა და ქლიავი... არ უნდა გეთქვა ზურასთვის, რომ ლიკას რემონტი დაუმთავროს. უნიტაზი თუ არ ექნება, ეგ გვადარდე კიდევ. გკოცნი, ჩემო ნატალია... კარგად, არ გეწყინოს“.

„ნატუშკები, გოგო, რა მაგარი ტიპი ხარ! დედას გეფიცები, არ მიკვირს, ზურას ასე რომ შეუყვარდი. საყვარელი ვინმე ხარ, ძალიან“.

„ქალო, ის დებილი ლიკა ასე როგორ ალაპარაკე? ან ზურას რა მაგარი ნაშა ჰყოლია! „მალადეც“, ბიჭო! მაგის ღირსი იყო ალბათ და იმიტომ. ზურა შენნაირ ქალს არ იმსახურებს. ისე, შენი გაცნობისთანავე მიუტოვებია ეგ კახპა ქალი. აფსუს, ნატა!“

„რომანის დასაწყისიდანვე ვგულშემატკივრობ ნატალის და ზურას. ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი. სულ ვფიქრობ, ნეტავ, კიდევ რა უნდა მოხდეს ახალი-მეთქი, მაგრამ როგორც ჩანს, საკმაოდ საინტერესო ცხოვრება აქვს ამ გოგოს. ისე, სიმართლე გითხრათ, ძალიან მეცოდება. საწყალი, რა ყველაფერმა მაგისთვის მოიცალა... ნეტავ, ზურა მაინც არ მიატოვებდეს და ერთად იქნებოდნენ. ისე, ჩვენი ხათრით მაინც არ უნდა აწყენინოს იმ გოგოს. აბა, ამდენი ნერვიულობა წყალში რომ ჩაგვეყაროს, ჩვენც ხომ ცოდო ვართ?“

„გული ძალიან მწყდება და იცით, რაზე? ნატა ასეთი კარგი გოგოა და ცხოვრებაში არ უმართლებს. რა იქნებოდა, რომ ღირსეული მამაკაცი შეჰყვარებოდა? ვფიქრობ, რომ სწორად მოიქცევა, თუ ამერიკაში, სონასთან წავა და ცხოვრებას იქ განაგრძობს. ყველაზე ერთგული ადამიანის გვერდით იქნება და თან, ცხოვრებასაც მოიწყობს. წადი, ნატა, წადი!“

„რა მოხდება, რომ ზურამ ცოტა ვაჟკაცობა გამოიჩინოს და ნატა შეირთოს? შვილს არაფერს მოაკლებს და თვითონაც ბედნიერი იქნება. მგონი, ყველაზე კარგი გადაწყვეტილება ეს გახლავთ. ზუუუ, მიდი, რაა! ოღონდ არ იფიქრო, რომ ნატას მოგზავნილი ვარ“.

„ჩემი უბედურება არ მყოფნიდა, ახლა ამათი სადარდებელი რომ დამემატა? მეც ცოლიანი მამაკაცი მიყვარს, ოღონდ, ჩვენ შორის ის სხვაობაა, რომ მეც მყავს ქმარი. ლამის ჭკუიდან შევიშალო, ისეთ დღეში ვარ. ჩემი საქმისთვის ვერ მომივლია, მაგრამ მინდა, ნატას ვურჩიო, რომ არ მიაქციოს ყურადღება ლიკასნაირ ქალს. რემონტი მოუნდა, არა? კაცი და თანაც, რა კაცი დაკარგა, ის კი იმას ჩივის, რემონტიო, კაცოოო! რემონტიოოო!“

„ნატალი, საყვარელო, იქნებ, დაფიქრდე — რად გინდა ასეთი ურთიერთობა? შესაძლოა, უკვე გვიანაა, მაგრამ მაინც კარგად დაფიქრდი. შვილი არ გინდა? ოჯახი? გათხოვდი ვინმე კარგ ბიჭზე, მიაფურთხე ზურას და იცხოვრე ბედნიერად. ახლა იტყვი, თუ ზურა მიყვარს, სხვასთან ბედნიერი როგორ ვიქნებიო, მაგრამ მერწმუნე, ისიც შეგიყვარდება. ბედნიერებას გისურვებ, ჩემო კარგო. შენი ლიდა დეიდა“.

„მეც ცოლიანი ვარ. უკვე 14 და 12 წლის შვილები მყავს და შემიყვარდა ძალიან კარგი გოგო. ის გასათხოვარია, ჯერ მამაკაცი არ ჰყოლია. მის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია. მთელი 2 წელი გაუძლო ჩემს შემოტევებს და ბოლოს გამოტყდა, რომ ვუყვარვარ. ერთად ვმუშაობთ. ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებით და ალბათ, ჩვენი თანამშრომლები უკვე ჩვენზე ჭორაობენ კიდეც. მას მხოლოდ რამდენჯერმე ვაკოცე და ერთი სული მაქვს, როდის გახდება ჩემი... მაგრამ რა ვუყო ოჯახს? ჩემი ცოლი ისეთ ამბავს დაგვაწევს, რომ არ გაგვახარებს და ვიცი, მასაც ძალიან ატკენს გულს. არადა, რა ვქნა? ფსიქოლოგთან ვიყავი და მირჩია, რომ ცოლს ყველაფერი გულახდილად ვუთხრა. იოლი სათქმელია, არა? ეჰ... ალბათ, ერთი ომის გადატანა მოგვიწევს მე და ჩემს სიცოცხლეს... არადა, იცით, ცოლი როგორ მიყვარდა? დედას გეფიცებით, ხშირად ვფიქრობ — სად გაქრა ის გრძნობა, მაგრამ ვერ გავრკვეულვარ. თუმცა, მესმის ზურასი და თანავუგრძნობ. მე კი იმის გამბედაობაც არ მყოფნის, რომ თუნდაც, სახალხო განსჯის საგნად ვაქციო ეს ყველაფერი. მარი, თუ გინდა, ნუ დაბეჭდავ. უბრალოდ, გული გადაგიშალე“.

„მარი, კალამი ძალიან კარგად გიჭრის და რატომ ცდები ამ „საპნის რომანზე“? რაიმე სერიოზულს მოჰკიდე ხელი. დიალოგებიც მშვენივრად გამოგდის და საინტერესოდაც იკითხება. გისურვებ წარმატებებს სერიოზულ ლიტერატურაში! გიო“. ■

შეაბი.ge პარალელურ სამყაროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

გაგრძელებებით

დასაწყისი იხ. „გზა“, №35-48

ნატალის, ზურას ყოფილი საყვარელი, ლიკა ესტუმრა და სთხოვა, რომ ზურასთან ეშუამდგომლა და მასთან დაწყებული რომანტი დაემთავრებინა. ნატალი შეეჰპირდა, რომ ამ თხოვნას შეასრულებდა. რაღა თქმა უნდა, ზურას ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა. მათ შორის ამის გამო კონფლიქტი არ მომხდარა. ნატალი იმ დღეს 2 პაციენტს ელოდა. ზურამ გადაწყვიტა, რომ მთელი დღე შინ იქნებოდა და მის პაციენტებს მოუსმენდა. როდესაც ნატალი ტანისამოსის გამოსაცვლელად საძინებელში შევიდა, ტელეფონმა დარეკა. ზურამ ზარს უპასუხა და გაოგნებულმა აცნობა ნატალის, რომ ბაჩომ დარეკა და 10 წუთში ისევ გადმორეკავდა.

მარი ჯაფარიძე

— რა იცი, რომ ბაჩო იყო? — ისეთი ხმით ვკითხე, რომ ჩემი მღელვარება არ გამომემჟღავნებინა, მაგრამ ცუდი მსახიობი ვარ და ხმაში ხრინწი გამერია.

— მითხრა — ბაჩო ვარ და გადმოვრეკავო. შენ ხომ ამბობდი, ბაჩო უგზო-უკვლოდაა დაკარგული და მის შესახებ არაფერი ვიციო?

— მართლა არაფერი ვიცი... არ გჯერა?

— მაგრამ ბედნიერი ხარ, რომ გამოჩნდა, არა?

პასუხი აღარ გამიცია, მივბრუნდი და კვლავ საძინებელში გავედი. დაძაბული ვიყავი. 10 წუთი თითქოს საუკუნედ იქცა. როგორც იქნა, ისევ დარეკა ტელეფონმა. ნელი ნაბიჯით მივედი და ყურმილი რაც შეიძლება, მშვიდი სახით ავიღე.

— გამარჯობა, ნატალი, — მომესმა ნაცნობი ხმა და ერთბაშად დავმშვიდდი.

— გაგიმარჯოს, ბაჩო... — ვუპასუხე და ზურასკენ მთელი ტანით შევბრუნდი. ხელით ვანიშნე, რომ ჩემთან ახლოს მოსულიყო. მომიახლოვდა და წინ დამიდგა. ხელი მოვხვიე და ჩემკენ მივიზიდე. მომყვა და თვითონაც მომეხვია. მე კი ტელეფონზე ლაპარაკს განვაგრძობდი.

— კი, როგორ არა, ბაჩო, არსად წასვლას არ ვაპირებ, ოღონდ, ერთი პაციენტი 4 საათზე მყავს დაბარებული, მასთან ექვსამდე ვიმუშავებ. ექვსის მერე შეგიძლია, მოხვიდე. — მერე დავემშვიდობე და ყურმილი დავკიდე.

— შე სულელო, ბაჩოს აჩრდილი დაგდევს თუ რაშია საქმე? მეც გული გამიხეთქე...

— მომესმა? ბაჩო არ იყო?

— კი, ბაჩო იყო, მაგრამ შენ რომ იფიქრე, ის ბაჩო — არა. ეს ჩემი პაციენტია, რომელიც 2 საათზე უნდა მოსულიყო და მთხოვა, რომ შეხვედრა საღამოსთვის გადამედო.

— კი, მაგრამ მე რა ვიცოდი, რომელი ბაჩო იყო? მე მეგონა...

— შენ გეგონა... შენ გეგონა... — გამოვაჯავრე და მე თვითონაც ვიგრძენი, როგორ მომეშვა გულზე. „რა იქნება, რომ ბაჩო გამოჩნდეს?“ — ვფიქრობდი

— გაგიმარჯოს, ბაჩო... — ვუპასუხე და ზურასკენ მთელი ტანით შევბრუნდი. ხელით ვანიშნე, რომ ჩემთან ახლოს მოსულიყო

და ვერ წარმომედგინა, როგორ მოვიქცეოდი ამ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ზურას ვერ დავთმობდი. ზურა ჩემი სულისა და სხეულის ნაწილია და მასთან განშორება ჩემი გარდაცვალების ტოლფასი იქნებოდა.

ფიქრებიდან ზურას ხმამ გამომარკვია.

— ნატ, ის ბაჩო რომ ყოფილიყო, რას იზამდი? — მომეჩვენა, რომ ჩემს პასუხზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული, მაგრამ გულწრფელი პასუხი ვარჩიე:

— არ ვიცი, ზურა, მართლა არ ვიცი...

— გიყვარს?

— არც ეგ ვიცი... საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ...

— პირველი მამაკაცი იოლი დასავიწყებელი არ არის... თანაც, ასე გიყვარდა... და კიდევ ერთი — რატომ ამოისუნთქე შვებით, როცა გაიგე, რომ ის სხვა ბაჩო იყო?

— ჩემი ცხოვრების ბოლო წლები ძალიან დაძაბული და მღელვარე იყო... ახლა, თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და დავმშვიდდი. ამ სიმშვიდის დარღვევა არ მინდა... შენთან თავს კარგად ვგრძნობ... მიყვარხარ... თან დავიღალე კიდეც...

— კარგი, პატარავ, კარგი... ამჯერად გადავრჩით... იმედი მაქვს, რომ ის კარგად არის, მაგრამ აქ, ჩვენთან არასოდეს გამოჩნდება. იცი, რა მინდა?

— რა? მითხარი, რა გინდა და გაუჩენარს გაგიჩენ. გშია?

— მშია, მაგრამ ახლა მაგაზე არ ვლაპარაკობ. მე მინდა, რომ ჯვარი დავიწეროთ...

გაოცებულმა შევხედე. ამას ნამდვილად არ ველოდი მისგან. დავიბენი და ვერაფერი ვუთხარი.

— რომ მიყურებ დასაკლავი ხბოსავით, ვერ გაიგე, რა გითხარი?

— გავიგე... მაგრამ...

— მაგრამ — რა? ჩემი ოჯახი? მე და ხათუნას ჯვარი არ გვაქვს დაწერილი. ჩვენ დავიწერთ ჯვარს და ვიქნებით ცოლ-ქმარი ღვთის წინაშე. ხალხის აზრი კი არ მაინტერესებს...

— თუ სწორად გავიგე, ვიქნებით ცოლ-ქმარი მხოლოდ ღვთის წინაშე, ხოლო ხალხის წინაშე კვლავ საყვარლებად დავრჩებით? — ვკითხე და თვალები ცრემლით ამევსო... ზურამ უხერხულად ჩაახველა. როგორც ჩანს, ჩემს ასეთ რეაქციას არ ელოდა. ალბათ ფიქრობდა, რომ სიხარულით ჭყლოპინს დავიწყებდი და ბედნიერებისგან გული წამივიდოდა...

— ჰო, დაახლოებით ასეა, — მიპასუხა ცოტა ხნის შემდეგ...

— არა, ზურა, მე ამაზე თანახმა არ ვარ. თანაც, ეს იქნება დიდი ტყუილი, რომელსაც სწორედ ღმერთი არ გვაპატიებს. ნებისმიერ მოძღვარს ჰკითხე,

დაგწერს თუ არა ჯვარს. ოღონდ, იმის თქმა არ დაგავიწყდეს, რომ ცოლ-შვილი გყავს და ჯვრისწერას სხვა ქალთან აპირებ. ნუთუ ასეთი მიამიტი ხარ, რომ ვერ ხვდები, რას მთავაზობ ახლა?

— ვხვდები... მაგრამ მე ასე მინდა...

— შენი სურვილი კანონი არ არის... მით უმეტეს, ღვთისთვის... ახლა უბრალოდ, შეგეშინდა ჩემი დაკარგვის. ჯვრისწერით ცდილობ, ჩვენ შორის ურთიერთობის გამყარებას, მაგრამ ეს არ არის კანონიერი და სწორი გზა. მე არ მითხოვია შენთვის, რომ ოჯახი დაანგრიო და ჩემთან მოხვიდე და არც არასოდეს გთხოვ ამას. რა საჭიროა მსხვერპლის გაღება? მე შენ გვერდით თავს კარგად ვგრძნობ და მეტს არ ვითხოვ... — გავჩუმდი, მაგრამ მალევე დავამატე: — თუმცა, რატომაც არ ვითხოვ? ერთი თხოვნა მაქვს. ძალიან, ძალიან დიდი თხოვნა და უნდა შემისრულო, — ბოლო სიტყვა კატეგორიული ტონით წარმოვთქვი და თვალებში ჯიქურ შევხედე.

— მითხარი, ხომ იცი, შენი გულისთვის შეუძლებელსაც შევეჭიდები.

— შეუძლებელი არაფერია... ისე გააკეთე, რომ არც შენი ყოფილი, არც ახლანდელი, „მოქმედი“ საყვარლები და არც შენი ცოლი ჩემთან არ მოვიდნენ. ეს სათხოვარი მაქვს სულ... — ერთი ამოსუნთქვით ჩავამთავრე სათქმელი, რომელიც გუშინდელის მერე თავში მიტრიალებდა და არ ვიცოდი, როგორ მეთქვა მისთვის.

— ნუთუ გეშინია მათი? — სრულიად მოულოდნელი კითხვა დასვა ზურამ...

— ჰო, მეშინია...

— კარგი, კარგი... ყველაფერს ვიღონებ საიმისოდ, რომ შენ არავინ შეგაწუხოს. ისე, კარგი დასანახავი კი იქნებოდა შენი და ლიკას საუბარი. ეჭვი არ მეპარება, მშვენივრად გაართმევდი თავს მის მასპინძლობას...

— ძალიან გთხოვ, ამ თემაზე ნუ ხუმრობ... მე კი ეჭვი შენს გემოვნებაში მეპარება...

— არ მოგეწონა ლიკა? — მკითხა და მომეჩვენა, რომ პასუხი ძალზე აინტერესებდა.

— ფერი — ფერს და მადლი — ღმერთს... ისე ხართ, როგორც ყველი და პური.

— კარგი, ნუ იკბინები, შეცდომა ყველას მოსდის... თანაც, კარზე აკაკუნებენ...

საათს შევხედე. უკვე 4 საათი სრულდებოდა და პაციენტის მოსვლის დრო მოსულიყო. ზურაც მიხვდა სტუმრის ვინაობას და ვიდრე მე კარს გავაღებდი, ის სამზარეულოში გავიდა. როგორც ჩანს, სეანსზე დასწრება გადაიფიქრა.

დილით ზურას ხმამ გამომაღვიძა. მისი ფეხის ნაბიჯები და ხმა სამზარეულოდან ისმოდა. ვიღაცას ხმამაღლა ელაპარაკებოდა. მივხვდი, ხელქვეითს რაღაცის გამო საყვედურობდა. ძილს უკვე ვეღარ გავაგრძელებდი. ავდექი და ზურას თავზე დოინჯით დავადექი.

— კი, მაგრამ ოჯახში რომ ვინმეს სძინავს, დანარჩენები ვალდებული არ არიან, რომ ჩუმად იყვნენ და მათ ძილი არ დაუფრთხონ? — ვკითხე მას შემდეგ, როცა ტელეფონი გათიშა.

— სამსახურში წასვლის დროა, — თქვა და საათს დახედა. ტუჩები წინ წამოსწია და დაუსტვინა, აქაოდა, რამდენი დრო გასულაო... სწორედ ამ დროს დაუსტვინა ჩაიდანმაც და მე გულიანად ავხარხარდი...

— ხომ ხედავ, შენს ოჯახში ყველაფერთან როგორი ჰარმონიული ურთიერთობა მაქვს? შენ ვერ მიგებ მარტო...

— შენ რომ ჩაიდანივით ორთქლს ვერ უშვებ? საინტერესოა, მე რატომ ვერ გიგებ?

— იმიტომ, რომ სამსახურში მაგვიანდება, შენ კი ჩაისაც არ მისხამ... კარაქიანი და თაფლიანი პური მიყვარს დილაობით... — კატეგორიული ტონით თქვა, ნებიერა ბავშვივით და ამის გამო კიდევ ერთხელ გადავიხარხარე...

უბრალოდ, შეგეშინდა ჩემი დაკარგვის. ჯვრისწერით ცდილობ, ჩვენ შორის ურთიერთობის გამყარებას, მაგრამ ეს არ არის კანონიერი და სწორი გზა

— იცი, სონაც ყოველ დილით კარაქიან და თაფლიან პურს ჭამდა... მე კი თაფლი არ მიყვარს და ამიტომ არც ვყიდულობ. ამჯერად მარტო კარაქს და ყველს უნდა დასჯერდე, საყვარელო... — ვუთხარი და ვიდრე კიდევ რაიმეს იტყოდა, თვალის დახამხამებაში გავუწყვე საუზმე და სააბაზანოში შევედი.

— მე ნუ დამელოდები, კარგა ხანი დამჭირდება მოსამზადებლად. ჩემი „ხოდით“ წავალ, — გამოვძახე იქიდან.

— ნატალი, მივდივარ... კარი გამიღე 2 წუთით, რომ დაგემშვიდობო...

— არ გინდა დამშვიდობება, ომში ხომ არ მიდიხარ?!

— კარგი, საღამომდე, — მომესმა მისი ხმა, რომელსაც მალევე კარის გაჯახუნების ხმა მოჰყვა. ერთ წუთში სახლის ტელეფონმა დარეკა. არ ვაპირებდი გასვლას, მაგრამ აღარ გაჩერდა და ვიფიქრე, რომ ალბათ შინაური რეკავდა და რაღაც უჭირდა, თორემ ასე დილაუთენია და ასე გამწარებით უცხო არ დარეკავდა. საპნიან ტანზე პირსახოცი შემოვიხვიე და აბაზანიდან გამოვედი. მივედი თუ არა ტელეფონთან, მაშინვე შეწყდა ზარის ხმა. უკან დავბრუნდი და ისევ დარეკა. ისევ გამოვედი და ვერ მივუსწარი. გავბრაზდი. ცოტა ხანს დაველოდე, მაგრამ ზარი აღარ განმეორდა და ის იყო, აბაზანისკენ უნდა წავსულიყავი, რომ ჩემს ყურთან ვიღაცამ ჩაახველა. შიშისგან ხმამაღლა შევყვირე და იქითკენ შევბრუნდი, საიდანაც ხმა მომესმა. ჩემს ზურგს უკან გაღიმებული ზურა იდგა.

— აბა, რომ არ დამემშვიდობე და არ მაკოცე წასვლის წინ? — მივხვდი, რომ წასვლის სცენა გაითამაშა და მობილურით დარეკა. თავი გადავაქნიე და ასე, ქაფიანი ჩავეხუტე. ძლივს გაწმინდა პიჯაკი, კიდევ ერთხელ მაკოცა და წავიდა.

სულ მალე, მეც გავიჯახუნე კარი და სამსახურში წავედი. მეორე სართულზე მეზობელი დამხვდა, მარინა.

— ნატო, ხომ არ გათხოვდი, გოგო? — მკითხა და თან აშკარად გზა გადამიღობა.

— არა, მარინა, არ გავთხოვილვარ. ქორწილს ხომ არ გამოგაპარებდი!

— აბა, ის ლამაზი კაცი რომ მოდის, 50-ათასიანი ჯიპით, ვინ არის?

— მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება, — ვუთხარი და ხელით გავწიე ყაჩაღივით გზაზე გადამდგარი მეზობელი.

მთელი გზა მარინაზე ვფიქრობდი და მეცინებოდა. ისიც კი იცოდა, ზურას ჯიპი რა ღირდა. „ალბათ რა ამბავია ახლა ჩემს სამეზობლოში!“ — ვფიქრობდი და ვცდილობდი, გულთან ახლოს არ მიმეტანა ეს ამბავი.

სამსახურის საათებმა ჩვეულ რეჟიმში ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სოფომ დამირეკა და საღამოს შეხვედრაზე შემითანხმდა. როდესაც ყურმილი დავკიდე, ის დღე გამახსენდა, როცა მე და სოფო პირველად შეეხვდით ერთმანეთს. მაშინ გავიცანი ბაჩოც, რომელიც წლების შემდეგ, ციხეში ვეღარ ვიცანი. ან კი როგორ უნდა მეცნო, როცა სულ ერთხელ მყავდა ნანახი.

...დილით მამაკაცმა დამირეკა და მიღებაზე ჩაწერა მთხოვა. დათქმულ დროს ახალგაზრდა გოგონა მარტო მოვიდა. ეს სოფო იყო. შეშინებული და დათრგუნვილი ჩანდა. შეცივებული წინწილასავით აბუზული იდგა კართან. კარგა ხანს ვერ იღებდა ხმას. როდესაც ფრთხილი კითხვებით ვცადე, მის პრობლემაში გავრკვეულიყავი, ხმამაღლა ატირდა. დავუყვავე, დავაწყნარე და იმ დღეს საერთოდ აღარ გვისაუბრია იმაზე, რაც მას ასე აწუხებდა. უბრალოდ, ვცდილობდი, ლაპარაკში ამეყოლიებინა. ვისაუბრეთ თეატრზე. ვკითხე:

— რომელმა სპექტაკლმა მოახდინა შენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება-მეთქი? — „კავკასიურმა ცარცის წრემო“, — მიპასუხა. როდესაც მიზეზი ვკითხე, ისევ ატირდა. მივხვდი, რომ მისი

საწუხარი შვილთან იყო დაკავშირებული. ეს სრულიად საკმარისი იყო ერთი დღისთვის. ჩვენმა საუბარმა სხვა, განყენებულ თემებზე, 3 საათს გასტანა. წასვლის დრო რომ მოახლოვდა, ტელეფონზე დარეკვა მთხოვა და ვიღაცას სულ 1 სიტყვა უთხრა: — მოდი. მართლაც, ცოტა ხანში ეზოდან მანქანის სიგნალის ხმა მოისმა. სოფოს წასვლიდან ხუთიოდე წუთის შემდეგ, კარზე კვლავ დააკაკუნეს. გავაღე. ისეთი აღნაგობის მამაკაცი იდგა, რომ ლამის კარს მთლიანად ავსებდა.

— მე სოფოს ძმა ვარ. შეიძლება?

— მობრძანდით, — ვუთხარი და ერთი ნაბიჯით უკან დავიხიე.

— ბაჩო... — ხელი მას შემდეგ გამომიწოდა, როცა ზღურბლს გადმოაბიჯა. ოთახში შევიპატიჟე. დაჯდა თუ არა, მაშინვე ლაპარაკი დაიწყო:

— სოფოს ძალიან დიდი პრობლემა აქვს.

— მივხვდი, მის გამოხედვაშიც კი იგრძნობა.

— მას ნარკომანი ქმარი ჰყავს... ჰყავდა... — ლაპარაკი უჭირდა, საუბრისას ყვრიმალის ძვლები უთამაშებდა და სახის კუნთები ეჭიმებოდა. — ერთი წლის წინ კი შვილიც შეეძინა. მისი ქმრის მდგომარეობის გამო ბიჭუნა ცერებრალური დამბლით დაიბადა და ამავე დროს, ბრმაც. — გული მომეწურა, ბავშვისა და დედის საცოდაობით. ბაჩო კი აგრძელებდა: — საქმე ის არის, რომ სოფოს ქმარი ძალიან ცუდად ექცეოდა. სცემდა და თან აშინებდა, რომ თუ ჩემთან რაიმეს იტყოდა, შვილსაც მოუკლავდა და მასაც მოკლავდა. — დავინახე, როგორ მომუშტა ხელები ამ დროს. თითქოს სიძე წინ ედგა და მის გასანადგურებლად ემზადებოდა. — მე შემთხვევით, დედაჩემისა და სოფოს ლაპარაკს მოვკარი ყური და ყველაფერი გავიგე. სოფო და ბავშვი ქმრის ოჯახიდან წამოვიყვანე. რამდენიმე ხნის მერე, მე ერთი თვით ქალაქიდან გავედი, იმ ნაბიჭვარს კი სოფოსთვის ბავშვი წაურთმევია. ვერც მამას მივაგენი და ვერც შვილს. ჩემი და კი ამის გამო ძალიან ცუდადაა და თქვენი დახმარებაც სწორედ ამიტომ სჭირდება.

— ახლა ყველაფერი გასაგებია ჩემთვის. ვეცდები, შევუმსუბუქო მდგომარეობა, მაგრამ ამაში ოჯახის წევრებიც უნდა დამეხმაროთ.

— ჩვენზე რაცაა დამოკიდებული, არაფერს დავიშურებთ ჩემი დისთვის. თქვენი იმედი მაქვს. — მითხრა და წამოდგა.

ასეთი იყო ჩვენი პირველი შეხვედრა. ამის შემდეგ ბაჩო აღარ მინახავს. რა ვიცოდი, რომ ეს ადამიანი ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცეოდა. ის მხოლოდ ციხეში ვნახე. ამ ამბიდან 3 წლის შემდეგ ის სწორედ სოფოს ქმრის მკვლელობისთვის დააპატიმრეს, თუმცა, თვითონ ამტკიცებდა, რომ დანაშაული მას არ ჩაუდენია, მაგრამ არც იმას უარყოფდა, რომ გამალებით ეძებდა მას მოსაკლავად, მაგრამ ვიღაცამ დაასწრო. სოფო კი მთელი წლის განმავლობაში დადიოდა ჩემთან. ის ნელ-ნელა გამოკეთდა. დასძლია შიში, დეპრესია და ცხოვრება განაგრძო იმ იმედით, რომ შვილს აუცილებლად დაიბრუნებდა. ბაჩოსგან ვიცოდი, რომ ბავშვი გარდაიცვალა და ეს სოფომაც იცოდა. სწორედ ამიტომ აღარ ვკითხე სოფოს შვილის შესახებ არაფერი, როცა 2 დღის წინ ჩემთან მოვიდა.

საღამოს სოფო სამსახურთან დამხვდა. იქიდან ხელკავით წამოვედით და იქვე, ერთ მყუდრო კაფეში შევედით. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. მივხვდი, სოფოს საუბრის დაწყება უჭირდა.

— მკითხე: სოფო, ვიცი, ბაჩოზე გინდა საუბარი.

— მე მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რაც პრესაში დაიწერა. თხრობა იქ შეწყდა, როცა ბაჩომ გაიგო, რომ ჩემს დას, შორენას საქმრო ჰყავდა და ის ბიჭი მისი თანამოსაქმე იყო.

— როდესაც ბაჩომ შენი დისა და ლევანის სიყვარულის შესახებ გაიგო, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არაფრით დაუშვებდა მათ ქორწინებას. თან ეცოდებოდა შორენა, რადგან ხვდებოდა, რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ როგორც კი ის ღამე წარმოუდგებოდა თვალწინ, როდესაც საქმეზე ერთად იყვნენ წასული, მაშინვე გული გამალებით უწყებდა ცემას და მზად იყო, ლევანი ნებისმიერი ხერხით ჩამოეცილებინა შორენასთვის. იმის შემდეგ, რაც მათ პირველი საქმე ერთად გააკეთეს, კიდევ რამდენიმე ძარცვა ჩაიდინეს. ლევანი და ბაჩო თითქოს გარეგნულად არ გამოხატავდნენ ერთმანეთის მიმართ აგრესიას და სიძულვილს, მაგრამ მათ შორის აშკარად დაძაბული სიტუაცია იყო. ამასობაში დედათქვენმაც გაიგო მისი გაცდენების შესახებ და ოჯახში დიდი ამბავი ატყდა.

— ვიცი, მახსოვს ეგ დღე. დედა ჩხუბობდა, ბაჩო კი გაჩუმებული უსმენდა და ხმას არ იღებდა. დედამ ვერაფრით მიიღო პასუხი კითხვაზე: — სად იყო ბაჩო იმ დროს, როცა ის გაკვეთილებზე უნდა მჯდარიყო? საღამოს მამას დაწვრილებით უამბო ყველაფერი და მაშინ ბაჩო პირველად გაილახა, ქამრით. მეათე კლასამდე ხუთოსანი იყო ჩემი ძმა. მეათე კლასი კი სამებზე ძლივს დაამთავრა, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირველსავე წელს ჩაირიცხა უნივერსიტეტში.

— ბაჩომ მითხრა, რომ როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, ცოტა ხნით ჩამოშორდა კიდეც ძველ მეგობრებს და ეს გასანას დამსახურება იყო. ის ხშირად ამბობდა, რომ გასანა ეწინააღმდეგებოდა მის „გაფუჭებას“. ცდილობდა, მაქსიმალურად შეეშალა ხელი, რომ ბაჩო გზას არ ასცდენოდა, მაგრამ თავადაც ვერ ხვდებოდა, რატომ იზიდავდა ის სამყარო, სადაც ერთხელ შედგა ფეხი და ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი ცხოვრება ია-ვარდით არ იქნებოდა მოფენილი. ბაჩო ნელ-ნელა იმკვიდრებდა ადგილს შავ სამყაროში.

— მიუხედავად თავისი მცდელობისა, მან ვერ მოახერხა, რომ შორენასა და ლევანისთვის ხელი შეეშალა. ისინი დღესაც ცოლ-ქმარი არიან და ძალიან უყვართ ერთმანეთი. ბაჩო კი ისე დაიკარგა, რომ ლევანს არ ელაპარაკებოდა. ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ მისი და მისსავე თანამოსაქმეს გაჰყვა ცოლად.

— თუმცა, ბაჩო ჩემთან საუბრისას ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ლევანი კარგი ქმარი და მამა დადგა და ძველ საქმიანობასაც მანამდე შეეშვა, ვიდრე დაიჭერდნენ. ახლა რას საქმიანობს ლევანი?

— ახლა მას კერძო საქმე აქვს. მართალია, დიდი შემოსავალი არ აქვს, მაგრამ ოჯახს არაფერს აკლებს. ნატა, ბაჩო როგორ გრძნობდა თავს ციხეში? გახდა? — სოფოს ამ სიტყვებზე გამეცინა. მან არ იცოდა, რომ ბაჩო ციხეში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი — წყალში და ის ფულიც, რომელიც ბაჩოს მეგობარს მათთან ყოველთვიურად მიჰქონდა და ეუბნებოდა, რომ ის, ბაჩოს ბიზნესის წილი იყო, ციხიდან ეგზავნებოდა.

— არა, კარგად გამოიყურებოდა. არაფერი აკლდა ბაჩოს. ოჯახი ენატრებოდა მხოლოდ და თქვენი დარდი ჰქონდა. ამბობდა, უამრავი დანაშაული მაქვს ჩადენილი, არასოდეს დავუჭერივარ, ახლა კი იმ დანაშაულისთვის უნდა ვაგო პასუხი, რომელიც არ ჩამიდენიაო.

მე და სოფომ იმდენი ვილაპარაკეთ, რომ გვარიანად დაღამდა.

— ყველაფრის მოყოლა მაინც ვერ მოვასწარით, მაგრამ ალბათ უარს არ მეტყვი, რომ კიდევ შემხვდე.

— ჩემთან წამოდი სტუმრად, თუ გინდა, დარჩი კიდეც, — შევთავაზე სოფოს, მაგრამ თავაზიანი უარი მივიღე. მივხვდი, რომ ზურასთან შეხვედრას ერიდებოდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენ-ჩვენი საფიქრალით დამძიმებულები შინისაკენ გავემართეთ. ჩემთვის იოლი არ იყო ბაჩოზე საუბარი. თითოეული ამბის მოყოლის დროს თვალწინ ის მომენტი მედგა, როგორ მიამბობდა მას ბაჩო. როგორ იჯდა, როგორი სახის გამომეტყველება ჰქონდა...

შინ მისულს არაფრის ხალისი არ მქონდა. ის-ის იყო, გავიფიქრე — ნეტავ, ზურა არ მოვიდეს-მეთქი, რომ ჩემმა ტელეფონმაც დარეკა. ზურა იყო.

— ნატალი, ნახევარ საათში შენთან ვიქნები და თანაც სიურპრიზი მაქვს შენთვის!

— იმედია, სასიამოვნო სიურპრიზი იქნება... — ჩავძახე ტელეფონში.

— კი, ნამდვილად სასიამოვნო. ისეთი ადამიანი მომყავს შენთან სტუმრად, რომ შესაძლოა, სიხარულისგან გული გაგიჩერდეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. ტეხვრა დიდი ყინვაა.

2. რუსეთში ქინძს ვანიუჩკას ეძახიან.

3. მახათი სოფელია, მარტვილის რაიონში.

4. ვატიკანის რკინიგზის სიგრძე 120 მეტრია.

5. „არა“ — ყველაზე უსიამოვნო სიტყვაა ნარკომანთათვის.

6. „აშიბაისია კოლეკტივნო“, — რჩევას იძლევა სტანისლავ ეჟი ლეცი.

7. „უ ნას ო ბუდუშემ ნე დუმაიუტ, უ ნას ო ბუდუშემ მეჩტაიუტ“, — ოხრავენ რუსები.

8. ირმა სოხაძის დებიუტი 4 წლის ასაკში შედგა. იგი სცენაზე სკამზე იდგა და ისე მღეროდა.

9. მეხრმლე — ასე ერქვა ძველ საქართველოში ჯალათს, რომელიც სიკვდილმისჯილს თავს ჰკვეთდა.

10. „არ გაშიშვლდება ქართველი ქალი, მას შეიძლება ჭიპი უჩანდეს...“ — მომკალით და არ ვიცი, ეს ვინ თქვა.

11. ჰოკეის კლუბ „ნიუ-კასლის“ მოთამაშეებს, შავ-თეთრი ფერის ფორმის გამო, მეტსახელად კაჭკაჭები შეარქვეს.

12. ჯორჯ ბუში წლიურად 400.000 დოლარს იღებს ხელფასს. ამდენივე შემოსავალი მას საკუთარი ბიზნესიდან აქვს.

13. იუგოსლავიაში მას „ნოგომეტი“ ჰქვია, პოლონეთში — „პილკა ნოჟნა“, ქართულად — ფეხბურთი.

14. უკანასკნელი 5500 წლის განმავლობაში კაცობრიობამ 14513 ომი გადაიტანა, რომლშიც 5640 მილიონი ადამიანი დაიღუპა.

15. მოსკოვში ზოოპარკი 1864 წელს გაიხსნა, პარიზში — 1793 წელს, მადრიდში — 1774 წელს, ვენაში — 1752 წელს.

16. 1936 წელს, მსოფლიოში მხოლოდ სამი მილიონერი იყო: ენდრიუ უილიამ მელონი, ჰენრი ფორდი და ჯონ დევისონ როკფელერი.

17. ცათამბჯენი პირველად უილიამ ლე ბარონის მიერ ჩიკაგოში, 1885 წელს აშენებულ სადაზღვევო ფირმისათვის განკუთვნილ შენობას უწოდეს. იგი ათსართულიანი იყო.

18. დელტაპლანის სახელწოდება ბერძნული ასო „დელტას“-გან წარმოდგება, რადგან ეს საფრენი აპარატი, ამ ასოს ფორმისაა. ზოგიერთ ქვეყანაში მას დელტაპლანს სერვოლანს უწოდებენ.

19. მირეი მატიეს პოპულარობამ პიკს 1966 წელს მიაღწია, როდესაც მისი მილიონზე მეტი ფირფიტა გაიყიდა. ამ მომღერალს, რატომღაც ყოველთვის ედიტ პიაფს ადარებენ და ამბობენ, მისი სიღრმისეულობა აკლიაო.

ლობის იქით ძალა და შეძლება, აქეთ კი ჯოჯოხეთი ზეიმობს?!

„...ერთმა ქალმა მითხრა – განწყობილებას მიფუჭებო“

დეა ცუცქირიძე

მათხოვარი! მისგან ამ სიტყვის გარდა არაფერია დარჩენილი... როგორ მივმართო?! — ქალბატონო?! ასეთი მიმართვა უტიფარი ქილიკია; დეიდა — ფამილარობაა; ბებო?! — ჰო, ამას თითქოს არა უშავს, რა.

მათხოვარი ბებო, წყნარი და უპრეტენზიო, მოტეხილიც და გატეხილიც...

— ბებო, აქ რატომ ზიხარ (მიმართვის ფორმა — შენობითი)?

მის ზურგს უკან უზარმაზარ შენობას აგებენ. ბედნიერებაა მშენებლობის ცქერა, მაგრამ დისონანსი, რომელსაც თითქოს ასე შევაჩვიეთ თვალიც და გონებაც, ჩვენს ფსიქიკას ანგრევს, თუ უკვე დაანგრია?! ასეა თუ ისე, სამათხოვროდ გაშვერილი ხელი დიდი ვერაფერი ტრაგიკული სურათია და მას ყურადღებას აღარც კი ვაქცევთ...

— ადრე ასე არ იყო, — მეუბნება ბებო მათხოვარი. ასე ჩემს ბავშვობაში, ბებიაჩემი მელაპარაკებოდა წარსულ დიდებაზე. როგორც ჩანს, ბებიების წესი ასეთია — განადიდონ წარსული და აქილიკონ აწმყო. იქნებ, ეს ცხოვრებისგან გამობრძმედილი ადამიანების ლოგიკაა?! მივხვდი! — ბებო, შენ ადრე ახალგაზრდა იყავი, ახალგაზრდას კი თვალიც უჭრის და მუხლიც ერჩის. მაშინაც იქნებოდა ქვეყნად უსამართლობა, მაგრამ ძალა გერჩოდა და ერეოდი.

— ადრე... ადრე რწმენა მქონდა და ეგ იყო ჩემი ძალა.

ჩემ წინ, ბორდიურზე ჩამომჯდარი მათხოვარი წარმოსახვით ნიღაბს იხსნის და დაჭმუჭნილ სახეზე, ჩავარდნილ თვალებში სხივი უდგება.

— ადრე, ადამიანები მარტივები მეჩვენებოდნენ, მაგრამ აქ რომ ჩამოვჯექი, მაშინ მივხვდი, ახლა დადგა ის დრო, როდესაც ადამიანის გონიერება და სულიერება სულს ღაფავს. ყველაფერში კი სატანაა დამნაშავე.

ხელს შლის, რომელშიც მათხოვროობით მოპოვებული ხურდა ფული უჭირავს.

— ვინ ხართ (მიმართვის ფორმა — თქვენობითი!)?

— ქეთო ვარ.

— ქეთო?

— ქეთო, თამარი, ნინო, ლიზა, მაიკო, ნუცა, ელისო... რა მნიშვნელობა აქვს სახელს. შენ ვინ ხარ?

— ჟურნალისტი.

— ხედავ, შენც საზოგადო სახელი „ხარ“.

— არა, დეა ვარ, დეა ცუცქირიძე. მაპატიეთ, ადრე უნდა წარმედგინა თქვენთვის ჩემი თავი.

— მოდი, დაჯექი!

ჩამოვჯექი ბორდიურზე. არ ველოდი საკუთარი თავისაგან ასეთ საქციელს, მაგრამ ხომ ვსხდებით ჟურნალისტები შემოთავაზებულ სკამზე რესპონდენტთან სტუმრობისას? ვისაც რა აქვს, იმას გთავაზობს...

— ადრე... ადრე რწმენა მქონდა და ეგ იყო ჩემი ძალა

— აქ როცა ზიხარ, ვერ გხედავენ.

ჩემს ფიქრს კითხულობს ქეთო მათხოვარი.

— მაგრამ ფულს ხომ გაძლევენ?! ე.ი. გხედავენ კიდეც.

ჩემი ნათქვამი პატარა პროტესტია, ადამიანების რწმენის სახელით გამოთქმული.

— არა, უფალი თავის გაჩენილს დაარჩენსო... აქ მხოლოდ ეს ხდება.

— და ქართველებს ცოდვა-მადლი დაგვავიწყდა?

— არა, ცოდვა-მადლი მათ დაავიწყდათ, ვისაც ამაზე ღირებული არაფერი ჰგონიათ (ისევ ხურდა ფულს მიჩვენებს).

დამპალი კაპიტალიზმი! — მახსენდება ბავშვობიდან გადმოყოლილი ფრაზა. მაშინ, როგორც ზღაპარში, მეგონა, რომ ჩვენთან იყო ლხინი და ფქვილი, მათთან კი — ქატო და ჭირი. ახლა აქ მხოლოდ ჭირი დარჩა? რა სისულელეა, ქვეყანა, სადაც არ იყო მათხოვარი, მხოლოდ ფიქცია გახლდათ!

— შვილები არა გყავთ?

— ხედავ, ჩემი შვილის გაკილვა გინდა. ეს კითხვა ამას ნიშნავს. თუ შვილი გყავს, რატომ გაგიშვერია, ქალო, ხელიო — მეუბნები.

ეს აგრესიაა, ამიტომ ვდუმვარ.

— შვილი არა მყავს, არც მყოლია ოდესმე. ამიტომ ღირსი არა ვარ არსებობის?!

თუ არ მოვიფიქრე რაიმე, ახლა რესპონდენტი გამექცევა.

— წეღან რწმენაზე ვსაუბრობდით. ურწმუნონი ასეთ ყოფას ვერ უძლებენ. ალბათ, მაინც გწამთ, რადგან სიცოცხლის შენარჩუნებაზე ფიქრობთ...

მგონი, მიზანში მოვარტყი. დაფიქრდა.

— სიცოცხლეზე ვზრუნავ?! არა, უბრალ-

ოდ ტკივილი არ მინდა გამოვცადო. ფიზიკური ტკივილის მეშინია. კიდევ, სიბნელის მეშინია და ჭუჭყის. მუდმივად მაწუხებს კითხვა: აქ ხომ არ არის-მეთქი ის ჯოჯოხეთი, რომელში მოხვედრითაც ეკლესია გვაშინებს მორწმუნეებს. აბა, ამხელა მარტოობა და ტკივილი რატომ არსებობს?!

— ახალგაზრდობაში ვინ იყავით?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, ახლა აქ ვარ. ნეტავ, მთელი ცხოვრება არაფერი მეკეთებინა, ახლა გული მაინც არ დამწყდებოდა.

— პენსიას იღებთ?

სისულელე წამოვროშე, ამიტომ სწრაფადვე გავაგრძელე.

— ადამიანებზე რატომ გწყდებათ გული? ძალიანაც რომ უნდოდეთ, უმეტესობას ნამდვილად არა აქვს თქვენი დახმარების საშუალება.

— მაგრამ ის ხომ შეუძლიათ, რომ შეურაცხყოფა არ მოგაყენონ. ერთმა ქალმა მითხრა — განწყობილებას მიფუჭებო. უარესებსაც მეუბნებიან. მიყვირიან, დამცინიან, აგრესიას ანთხევენ.

— ადრე რისი გწამდათ?

— უფლის იმედი ახლაც მაქვს. ადამიანების რწმენაზე გეუბნები. ადრე მწამდა, რომ ქვეყანა წინ მიდიოდა. ბოლო წლებში დამეკარგა იმედი.

— ჩვენი პრეზიდენტი არ მოგწონთ?

— გაურკვევლობაში ვარ. რომ ვუყურებ, მომწონს, როცა ვუსმენ — მჯერა, მაგრამ მოვალ აქ, ჩამოვჯდები, გავიშვერ ხელს და აღარ მჯერა არავისი და არაფრის.

— პირველად როდის გამოხვედით სამათხოვროდ?

— შევარდნაძის დროს. მანამდე ყველაფერი გავყიდე, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა.

ველოდები, რომ გააგრძელებს. ის კი ფიქრობს.

— რამდენიმე დღე არავის გავხსენებივარ და მშიერი ვიწექი. ფეხზე დგომა შემეძლო, მაგრამ ძალას ვზოგავდი. ჩაი და შაქარი მქონდა სახლში, საბედნიეროდ. ის მაძლებინებდა. მერე წარმოვიდგინე, როცა ძალა გამომეცლებოდა და ვეღარ ავდგებოდი, როგორ საზიზღარ დღეში ჩავვარდებოდი. საკუთარი სიდამპლემორეული სხეულის სუნი როგორ გამტანჯავდა. სიკვდილის კი არ შემეშინდა, ჩემს ცოცხალ სხეულზე სიბინძურისგან დახვეული მატლები წარმოვიდგინე და გარეთ გამოვვარდი. არსად დავმჯდარვარ. რამდენიმე შემხვედრს ვთხოვე, დამეხმარე-მეთქი. ერთმა ბიჭმა პურის ფული მომცა. ვიყიდე თეთრი პური, მოვბრუნდი სახლში, მთლიანად შევჭამე, ცხელ ჩაისთან ერთად და დავიძინე. დილით აზროვნება ისევ დაბინდული მქონდა. მოვწესრიგდი და ქუჩაში გავედი. როცა არ გშია, ძნელია ხელის გაშვერა. შუადღემდე არავინ არაფერი მომცა. როცა ძალიან დავიღალე და „გადავლასლასდი“, ჩამოვჯექი ბორდიურზე, გავიშვირე ხელი და ტირილი დავიწყე. მას მერე აღარ მიტირია. იმ დღეს იმდენი ვიშოვე, რომ ორ დღეს მეყო საჭმელად. სარეცხი ფხვნილი და კბილის პასტაც კი ვიყიდე. დავემსგავსე ადამიანს, ტელევიზორიც ჩავრთე და ქვეყანაზე რომ რაღაც ხდებოდა, ისიც გავიგე. ვჭამე და დავუბრუნდი ცხოვრებას, გესმის? მერე მეზობლებმაც მომაშველეს ცხელი კერძი, ეზოშიც გამოვედი, ბავშვებსაც მივეფერე... მოკლედ, ისევ გავხდი ადამიანი და დავიწყე... ახლა, ყოველდღე გამოვდივარ ქუჩაში. თუ ძალიან ცივა, შემიძლია არც გამოვიდე, რადგან მარაგი მაქვს. ფულს კი არ ვინახავ, პროდუქტს, სარეცხ საშუალებებს ვყიდულობ. წამლების მარაგიც მაქვს. არ მშია. გადასახადებსაც ვიხდი. სასაცილოა, არა?! მეც ისეთივე წესით მიჭრიან შუქს და გაზს, როგორც ახალგაზრდა, ჯანმრთელ ადამიანს. საიდუმლოდ გეტყვი, გაზის ფულს თვეში მხოლოდ ორ-სამ ლარს ვიხდი. ვიპარავ და არ მრცხვენია ამის. პირიქით, საოცარ სიამოვნებას ვიღებ, რადგან ვფიქრობ, რომ სახელმწიფო, რომელიც თავის მოქალაქეს მათხოვრობისკენ უბიძგებს, დანდობის ღირსი არ არის.

— სულიერებამ სული დაღია და მხოლოდ სხეულზე ვზრუნავთ?!

— ჰო, ასეა. ეს ჩემნაირების ტრაგედიაა და არა მგონია, რომ ამას მიხვდე. ისე, ჯვარი გწერია!..

— როცა მოგიახლოვდით, ვფიქრობდი, როგორ მივმართო-მეთქი? სწორია, „ბებოს“ რომ გეძახით?

— იცი, რა? დაწერე, რომ საქართველოში არსებობს სოციალური ფენა, რომელსაც სახელს არავინ არქმევს. ქვეყანა კი, რომელიც ამ ფენას იგნორირებას უკეთებს, არც თავადაა უკეთესი შეფასების ღირსი... ჩამოიფერთხე ახლა მტვერი და გააგრძელე შენი ცხოვრება!

ჩვენს უკან მშენებლები საქმიანობენ. ღობის იქით ძალა და შეძლება ზეიმობს, ღობის აქეთ, ცხოვრებით დამცირებული ადამიანისგან გულახდილობას ვითხოვ. იქნებ, არ ვიყავი მართალი, როცა სალაპარაკოდ გამოვიწვიე?! ვინ დაეხმარება ქეთოს?!



ჩვენს უკან მშენებლები საქმიანობენ. ღობის იქით ძალა და შეძლება ზეიმობს, ღობის აქეთ...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

20. ალაბამელი ანა ჰოჯეზი ერთადერთი ადამიანია დედამიწაზე, რომელსაც მეტეორიტი მოხვდა. 1945 წლის 30 ნოემბერს, 4-კილოგრამიანმა ქვამ მისი სახლის სახურავი გახვრიტა და დიასახლისს მხარი და თეძო დაუზიანა. მიუხედავად უმნიშვნელო ტრავმისა, მის გასასინჯად მისულმა ექიმმა ქალი სასწრაფოდ ჰოსპიტალში გადაიყვანა, რათა ცნობისმოყვარეთა ბრბოსგან დაეცვა.

21. მას შემდეგ, რაც მოსკოველმა წყალბურთელებმა 1934 წელს სოლიდური ანგარიშით დაამარცხეს სტოკჰოლმის გუნდი, გაზეთებში წერდნენ, რომ ამ მატჩში რუსებმა ჯერ შვედურად დაამარცხეს შვედები, შემდეგ კი — რუსულად. საქმე ის არის, რომ იმ დროს, სხვადასხვა ქვეყანაში წყალბურთის სხვადასხვა წესი არსებობდა. ამის გამო, გუნდებმა თამაშის დაწყებამდე მოილაპარაკეს, პირველი ტიმი შვედური წესებით ჩატარებულიყო, მეორე ტაიმი — რუსული წესებით. რუსებმა ჯერ პირველი ტაიმი მოიგეს — 2:1 და შემდეგ, მეორე ტაიმი — 8:2.

22. 1987 წლის 14 მაისს, ნიუ-იორკში, კრისტის აუქციონზე 1873 წელს გამოშვებული 45 კალიბრის რევოლვერი — კოლტი რეკორდულ ფასად, 242 ათას დოლარად

გაიყიდა. ასეთი მაღალი ფასი იარაღის სერიულმა ნომერმა — „1“-მა განაპირობა.

23. ერთ-ერთი სპექტაკლის დადგმისას მოლიერი იძულებული გახდა, საკუთარი კომედიის პერსონაჟის, მსახური სგანარელის რეპლიკა — „ეს ღმერთის ნება-სურვილია“, შეეცვალა რეპლიკით: „ეს ზეცის ნება-სურვილია“. იმ დროს, სცენიდან ღმერთის სახელის ხსენებას ეკლესია კრძალავდა.

24. როდესაც კალიგულამ სენატის დარბაზში კონსულად არჩეული საკუთარი ცხენის, ინციტატუსის ჭიხვინი გაიგონა, კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: „აი, ახლა კი მესმის ჭკვიანური სიტყვა სენატში“...

25. გაგრაში, სტალინის ცნობილი აგარაკი ბორის ელცინის ნათესავმა, ოლიგარქმა ოლეგ დერიბასკამ 10 მილიონ დოლარად იყიდა. „აჩრდილების არასდროს მშინებია“, — ძუნწად გადაუგდო ორი სიტყვა ჟურნალისტებს აგარაკის ახალმა მფლობელმა.

„ჯეობარის“ ინტერნეტფორუმი ანუ „ყველა უნდა გამოვიყვანოთ სააშკარაოზე“...

მიუხედავად იმისა, რომ „ჯეობარზე“ ძალზე ბევრი ტელემაყურებელი უარყოფით აზრს გამოთქვამს, დიდი თუ პატარა, მაინც ინტერესით ადევნებს თვალყურს ამ პროექტს. ინტერნეტში, ერთ-ერთ საიტზე „ჯეობარელთა“ ფანკლუბია შექმნილი. ამ ფორუმში ადამიანები ერთმანეთს აზრს უზიარებენ, „ჯეობარის“ მონაწილეთა ახლობლები მათ შესახებ საინტერესო ამბებს ჰყვებიან. ვფიქრობ, ბევრი მკითხველის ცნობისმოყვარეობას დავაკმაყოფილებთ, თუ ზოგიერთ მათგანს გაგაცნობთ. მანამდე კი, მოკლედ მიმოვიხილოთ წინა კვირას მომხდარი ამბები.

ოთხშაბათს, ყველასთვის მოულოდნელად, კვლავ კოსტა გახდა პლუს-კანდიდატი. ეთო კი „გამინუსდა“. „ჯეობარელებმა“ ბევრი იმსჯელეს იმაზე, თუ ვის დასვამდა კოსტა აუტსაიდერის სკამზე ეთოს გვერდით და თითქმის გამოიცნეს კიდეც, რომ მისი მეწყვილე, ვლასი გახდებოდა. ეთო სიხარულით შეხვდა ამ ფაქტს და კოსტას მადლობაც კი გადაუხადა იმის გამო, რომ ვლასის დასახელებით, მას პროექტში დარჩენის შანსი მისცა.

ამჯერად მოგახსენებთ ფორუმის მონაწილეთა აზრს სწორედ იმ 3 ადამიანის შესახებ, ვინც მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა. თავდაპირველად, გავეცნოთ განსხვავებულ აზრს პლუს-კანდიდატზე.

მარი ჯაფარიძე

კოსტა

— ეს ის „როჟა“ არაა, „მაესტროზე“ გრძელი თმით რომ „ჩითავდა“?.. არ მევასება!

— რადგან შენ არ „გევასება“, დიაგნოზითაც ბანძია?

— მაინც, რა კაცი ხარ, კოსტაიეე, მამაა!

— ნორმალური ტიპია, ერთი ნაკლი ის აქვს, რომ ჩუმჩუმელაა. ჩხუბის დროს, ორივე მხარეს დაძვრება, მაგრამ ამით დიდხანს გაიტანს თავს.

— ძალიან მაგარი არაა, მაგრამ აქ ყველას სჯობია. ჩელესავით, არ იმსახურებს მოგებას, მაგრამ კოსტა თამაშს თამაშობს. როცა უნდა, ანგელოზია, როცა უნდა — გველი...

— მე ერთი კარგი თვისება შევნიშნე ამ ადამიანს. შესაძლოა, ტყუოდეს, მაგრამ თავს მაინც გაიმართლებს.

— „ჯეობარი“ არა, ლეღვი! წადით, წიგნი გადაშალეთ, თორემ, ვერც კოსტა გიშველით და ვერც მაო ძედუნი.

— დღეს მართლა გამაოცა „ჯეობარელთა“ უვიცობამ. კოსტას ინტელექტულურ შესაძლებლობებს (რასაც ადამიანურ ღირსებებზე ვერ ვიტყვი) გაცილებით მაღალ შეფასებას ვაძლევდი და დღეს მწარედ გამიცრუა იმედები. ადამიანმა, რომელიც ასეთი ამბიციურია და საკუთარ თავზე შეყვარებული, უნდა იცოდეს, ვინ არის „შუშანიკის წამების“ ავტორი, რას ერქვა ადრე კონსტანტინოპოლი და სად ცხოვრობდნენ ბიჭუნა და კარლსონი. თუ ის არ იცი, სად ცხოვრობდნენ, ის მაინც უნდა მოტვინო, რომ მოსკოვში ვერ იცხოვრებდნენ. ეს ხომ უმაღლესი მათემატიკა არ არის! ეს საშუალოზე დაბალი სირთულის კითხვებია. ასე რომ, კოსტას მიმართ ის სიმპათიაც დავკარგე, რომელიც ასე თუ ისე, მქონდა.

— საინტერესოა, ეს „სასტავი“ როგორ შეარჩიეს. მაგრად მიკვირს, სკოლა და ინსტიტუტი კი არა, 2 კლასი როგორ დაამთავრეს? „მოვიხიბლე“ კოსტას განათლებით. ხოშტარიას სთხოვოს, „ყველაზე ჭკვიანში“ გაიყვანოს, იქ მოიგებს.

თავისებურია, მაგრამ სხვებივით ბოღმას არ ანთხევს

— ეჰ, კოსტენკა! ჩამოსკუპებულიყავი შენც, ირაკლის მსგავსად, ფანჯრის რაფაზე. ბედნიერი, დებილი მოსწავლესავით რომ ეჯექი წინ ვლას მასწავლებელს.

— ხელი ასწიეთ — რამდენმა დაიჯერა, რომ შაბათის „ლაივ-შოუზე“, როცა კოსტამ ვლასი დაასახელა, ეთოს გადარჩენა უნდოდა და არა ბიჭის მოშორება? ეთო ირაკლის რომ ვერ გაუშვებდა სახლში, ამდენს მიხვდა. იქნებ, ვლასი მომაშოროსო?.. ეთოს შესაძლებლობებზე, ისევე, როგორც საკუთარზე, გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საწყალ კოსტაიას.

როცა უნდა, ანგელოზია, როცა უნდა — გველი...

ვლასი

— გაურკვეველი წარმოშობის, სქესისა და აზროვნების ადამიანია.

— თავიდან რომ დავინახე, უკნიდან ქალი მეგონა და წინიდან — დ'არტანიანი.

— დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ვლასის ორიენტაცია საინტერესო იქნებოდა, ნამდვილად. პირველ დღეს რომ შევიდა, იკითხა — მე ბიჭებთან თუ გოგონებთანო?.. გამაჟრიალა... შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ თქვას, რა, ვინ არის, ბოლოს და ბოლოს...

— უნდა თქვას! თუ არ იტყვის, ჯოხებით, მაშხალებითა და მათრახებით მივადგებით და გავარკვევთ. ამავე დროს, აუცილებლად უნდა გავარკვიოთ სხვების სექსუალური ორიენტაცია და მიდრეკილებები. ჩემში ვლასის გარდა ეჭვს იწვევენ: „ტურფა“ ირაკლი, მელორია მალარია, I სტერეოს „ბერძნული ნიმფა“, კოსტაკურტა და კიდევ... ვანიას ცოლი კი ჰყავს, მაგრამ რაცხა, საეჭვოდ გრძელი თმა აქვს. ყველა უნდა გამოვიყვანოთ სააშკარაოზე და მათი სახელით ბავშვებს უნდა ვაშინებდეთ. დარჩა ვინმე?.. ჰო, სოფია დამავიწყდა, ია, ეთერა და თვით ჟორჟიკა.

— აუუუ, ეს დ'არტანიანი დებილია, მაგრამ — სასაცილო.

— თავისებურია, მაგრამ სხვებივით ბოღმას არ ანთხევს. არც არავის უშლის ნერვებს.

— ეჰ, ვლასი... რა უნდოდა მაგას პროექტში? „იმენნა“, „როჟას“ შანსი აქვს ნული. შეჭამენ მაგ უბედურს.

— ძალიან ალალია, ასეთი ადამიანები ცხოვრებაში ბევრს ვერ აღწევენ. ეგ თავს ვერ გაიტანს, „ია ტაკ დუმაიუ“.

— მაგარ სისულელეს წავაწყდი ახლა. ვითომდა, ვლასი მოცისფრო ელემენტია. მე მასთან ერთად ვსწავლობდი გოეთეს ინსტიტუტში და სრულიად ნორმალური ორიენტაციის, მშვენიერი პიროვნებაა.

— თურმე, კოპები ჰქონია თავზე, კო-

სტა მხეცმა რომ „ჩუპა-ჩუპები“ ურტყა.

— გილოცავთ, ვლასის ფანებო! კარგია, ვლასი რომ დარჩა. ეთო იმდენად ამომივიდა ყელში, რომ მეც ვლასს ვგულშემატკივრობდი.

— ვლასკა, საღოლ! მაგრად გამახარე! რა „როჟა“ იყო, კამერას რომ უყურებდა!

— ვასკა ყველაზე მაგარია. ძალიან გამიხარდა, რომ დარჩა. „ლაივის“ მეორე ნაწილში ეთოს დედის ისტორიამ ცოტა შემაშფოთა, რადგან მეგონა, ეს ვლასის საწინააღმდეგოდ იმოქმედებდა, მაგრამ შევცდი. ეთოს თანავუგრძნობ, მაგრამ მე ასეთ ინტიმურ თემას საჯარო განხილვის საგნად არ გავხდიდი. დასაწყისში, ეთომ რომ თქვა, კოსტამ 2%-ით გადამარჩინა, ვლასი რომ დამისვაო, ეს არ უნდა ექნა. ხალხი ამას არ აპატიებდა. ასე რომ, მგონი, ვასკა ფინალამდეც მივა. 13 ათასი ხმა ხუმრობა, არ გახლავთ.

— ვლასი როგორ დარჩა? 100% ჩაწყობაა ეს „ჯეობარი“.

— ჩემო კარგო ადამიანო, 100% აქიცი, რა არის? შენ ან ეთოს ვინცხა ხარ, ან ვლასი არ გიყვარს! ჩაწყობაა, ჰოო, მე ვიცი, ვინც ჩააწყო ეგ საქმე. ათოსმა, პორთოსმა და არამისმა. „რუსთავი 2“-ის დირექტორის ძმაკაცები ყოფილან და — ვლასკა არ დაგვიჩაგროთო, — ასე უთხრეს, აპაა...

— ჰოდა, მერე მოსულა ლუდოვიკო X და ეგ „ვაბშე“ „რუსთავი 2“-ის ერთ-ერთი ოპერატორის ძმაკაცი ყოფილა...

— არა, ვასკა მეფის კატას იცნობს თურმე, და ის შეაწევდა 1-2 სიტყვას...

— არავითარი ჩაწყობა მანდ არ არის. თუ შეამჩნიეთ, რომ ეს „ლაივი“ მთლი-

ეთოს, როგორც დიდ ინტრიგანს, მომავალი არ აქვს

ანად ეთოს რეკლამა იყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვლასკა მაგარია!

ეთო

— ეთოს, როგორც დიდ ინტრიგანს, მომავალი არ აქვს. „გამინუსდება“ და გავარდება...

— ეს როგორ მოხდა? ვლასმა როგორ მოუგო?

— ეთოზე „სტერვა“ ჯერ არ ყოფილა „ჯეობარში“, მაგრამ დედა რომ ნახა და იტირა, მართლა შემეცოდა. გულწრფელი ტირილი იყო.

— „ურაااა“... წავიდაااა...

— მე იმათი კუბო დავდგი, ვისაც ეთოს წასვლა გაუხარდა...

„დაშჯაულული“ სახე და დამალული დეფექტები

ანუ რატომ არ უნდა გაიკეთოს მამაკაცმა ცხვირის ოპერაცია

„ძირითადად, ბუნებრივ ნიღბებს ვიკეთებ და ეს პროცესი მსიამოვნებს კიდეც. როცა ნაოჭების გაჩენის საშიშროება დამემუქრება, პლასტიკურ ოპერაციას აუცილებლად გავიკეთებ, სახის კანს დავიჭიმავ“, — მითხრა მსახიობმა ია სუხიტაშვილმა, რომელიც სოლარიუმში მხოლოდ იმიტომ აღარ დადის, რომ იქაურობა კუბოს აგონებს.

სოფო ჭონიშვილი

— როცა დილით ადრე ადგომა მიწევს, ხასიათი და განწყობილება დამძიმებული მაქვს, მაგრამ თუ კარგად გამოძინების საშუალება მეძლევა, მაშინ არაჩვეულებრივ ხასიათზე ვიღვიძებ და როცა სარკეში ვიყურები, დაწყნარებულ, დამშვიდებულ თვალებს ვხედავ, რაც ძალიან მახალისებს.

— დილით, როგორ მოგყავს თავი ფორმაში?

— პირველ რიგში, შევდივარ აბაზანაში და შხაპს ვიღებ. ამ პროცედურის გარეშე, არც გამოფხიზლება შემიძლია, არც დაძინება. „დუში“ ერთადერთი საშუალებაა, რომელიც ენერგიას მმატებს. ამის შემდეგ, სახის კანის მოვლას ვიწყებ. საკმაოდ ალერგიული და პრეტენზიული კანი მაქვს. ძალიან დიდი ხანი მჭირდება იმისთვის, რომ ჩემი კანისთვის შესაფერისი კრემი შევარჩიო. ტონალური კრემის წასმა ყოველდღე მიწევს, რათა რაღაც დეფექტები დავფარო.

— ბუნებრივ ნიღბებს თუ იკეთებ?

— ძვირად ღირებული ნიღბები, რომლებსაც სხვები ძალიან აქებენ, ჩემს კანს არ უხდება. ძირითადად, ბუნებრივ ნიღბებს ვიკეთებ და ეს პროცესი მსიამოვნებს კიდეც. ბევრი კარგი სილამაზის რეცეპტი ვიცი. მაგალითად, პრობლემური სახის კანისთვის ძალიან კარგია კვერცხისა და ლიმონის ნაზავი. ასევე, კარგია მაწვნის და არაჟნის ნიღბები. ხშირად, მჭადის ფქვილში შერეული სოდითაც ვიწმენდ სახეს, რაც საკმაოდ ეფექტურია.

— ე.წ. სახის კანის გამწმენდ ლოსიონებს თუ იყენებ?

— ასეთი ლოსიონი ყველა მანდილოსანმა უნდა გამოიყენოს. დღის განმავლობაში იმდენი მტვერი ხვდება სახის კანს, რომ საღამოს, ის აუცილებლად უნდა გავისუფთავოთ. წინაღმდეგ შემთხვევაში, კანი სუნთქვას ვერ შეძლებს და ადვილი შესაძლებელია, რომ გაუხეშდეს. ასეთი ლოსიონები განსაკუთრებით მსახიობებს სჭირდებათ, რადგან ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე, თანაც, სისტემატურად, დიდი რაოდენობით გრიმს იკეთებენ. რომ ნახოთ, სპექტაკლისთვის როგორ ვიღებები, შეიძლება, გული გაგისკდეთ, რადგან ფაქტობრივად, სახეს „ვიშპაკლავ“.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებ?

— მკვეთრი მაკიაჟი (მით უმეტეს, ყოველდღიურად) არ მიყვარს. ყველაზე ხშირად, თვალის ტუშს ვიყენებ, იმიტომ, რომ თხელი წამწამები მაქვს და ვცდილობ, ის ოდნავ მკვეთრი გავხადო. საერთოდ, არ მომწონს, როცა პატარა გოგონები მაკიაჟს იკეთებენ. გარდატეხის პერიოდში, როცა სახეზე გამონაყარი უჩნდებათ, თინეიჯერი გოგონები ტონალური კრემით ცდილობენ მის დაფარვას და გამოდის, რომ სახეს მართლა „იშპაკლავენ“. ამას სჯობს, ბუნებრივი ნიღბების საშუალებით მიხედონ სახის კანს. ტონალური კი, მას უფრო გაუღიზიანებს. და საერთოდაც, რაც უფრო გვიან დაიწყებენ მაკიაჟის გაკეთებას, მით უკეთესია.

— რამდენი წლის იყავი, როცა მაკიაჟი პირველად გაიკეთე?

— ინსტიტუტი ისე დავამთავრე, რომ მაკიაჟი არ გამიკეთებია... მსახიობებს ადრეული ასაკიდან უჩნდებათ ნაოჭები. ამის მიზეზი კი ის მკვეთრი მიმიკაა,

თუ შენი ფერის თმა გიხდება და პროფესია არა გაქვს ისეთი, როცა თმის შეღებვა იძულებით გიწევს, არ უნდა გარისკო

რომელსაც სპექტაკლების დროს მსახიობი აუცილებლად მიმართავს. წლების შემდეგ, როცა ეს საშიშროება დამემუქრება, აუცილებლად პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ — სახის კანს დავიჭიმავ. ეს სამარცხვინო სულაც არ არის. თუ ქალს საკუთარ გარეგნობაში რაღაც არ აკმაყოფილებს, მან ამ მეთოდს აუცილებლად უნდა მიმართოს, რასაკვირველია, თუ ამის შესაძლებლობა აქვს. მაგრამ, როცა მამაკაცი იკეთებს პლასტიკურ ოპერაციას, ეს ცოტა არ იყოს, მაღიზიანებს. როგორი დიდი ცხვირიც არ უნდა ჰქონდეს მამაკაცს, მიმაჩნია, რომ ოპერაცია მაინც არ უნდა გაიკეთოს, იმიტომ რომ ძლიერი სქესის წარმომადგენელია და „ქალური“ სილამაზე არაფერში სჭირდება...

— თუ გიფიქრია, შენს გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?

— სიმართლე გითხრა, ერთი პერიოდი, წარბების ფორმის შეცვლა მინდოდა, რადგან მიმაჩნია, რომ დახრილი წარბები მაქვს და ვიფიქრე: სასურველ ფორმას მივცემ-მეთქი. ისიც კი გავიგე, თუ რა დამიჯდებოდა ამის გაკეთება, მტკივნეული იყო თუ არა ეს პროცედურა და ა.შ. მაგრამ როცა ჩემი ჩანაფიქრი ოჯახის წევრებს გავუმხილე, სერიოზულ წინააღმდეგობას წავაწყდი...

— ოპტიკური ლინზები თუ გამოგიყენებია ოდესმე?

— ჩემმა მეგობარმა ცისფერი ლინზები მაჩუქა. ვერ ვიტყვი, რომ არ მიხდებოდა, მაგრამ რაღაც მაინც არ მომწონდა. ვფიქრობ, რომ ბუნებრიობაში მეტი ხიბლია.

— სილამაზის სალონებში ხშირად დადიხარ?

— მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ვსტუმრობ სილამაზის სალონს, რადგან ვიცი, რომ ფენის ხშირი გამოყენება თმას წვავს. ძალიან თხელი და ნაზი თმა მაქვს, საშრობის ხშირი გამოყენებით კი, შეიძლება ის დავაზიანო ან სულაც, ადვილი შესაძლებელია, რომ ბოლოჭამიები გამიჩნდეს. არ მიყვარს თმის შეღებვა და შესაბამისად, ამის სურვილიც არასდროს გამჩენია. მხოლოდ ერთხელ გავიღე მსხვერპლი, ისიც სპექტაკლის გამო და მთელი 4 წელი დამჭირდა იმისთვის, რომ საღებავი თმიდან საბოლოოდ მომეცილებინა. თუ შენი ფერის თმა გიხდება და პროფესია არა გაქვს ისეთი, როცა თმის შეღებვა იძულებით გიწევს, არ უნდა გარისკო. ბუნებრივ ფერს არაფერი სჯობს. როცა გაჭაღარავდები, ამას მერეც მოასწრებ.

— თმის ბუნებრივ ნიღბებს თუ იკეთებ?

— სხვათა შორის, თმაზე „მასკას“ ხშირად ვიდებ. ძალიან მომწონს შემდეგი ნიღაბი: ერთი კვერცხის გულში ერთი ლიმონის წვენი უნდა შეურიო და ეს მასა თმაზე წაისვა. რაც უფრო დიდხანს გაიჩერებ, მით უფრო კარგი შედეგი გექნება. ხშირად ვისვამ აგრეთვე ბუნებრივ, უფერო ინას, რომლის ჩამობანა მართალია, საშინელებაა, მაგრამ რას იზამ — სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს (*იცინის*)...

— სამკაულებთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?

— ადრე სამკაულები არ მიყვარდა და შესაბამისად, არაფერს ვატარებდი. თუმცა, ბოლო დროს ისინი შემიყვარდა, მაგრამ დიდი ზომის სამკაულებს არ ვიკეთებ. ძირითადად, სადა და ნაზ აქსესუარებს ვატარებ. ერთადერთი, რაც დღესაც არ მომწონს — ყელსაბამია.

— შენთვის ძვირად ღირებული სამკაული თუ მოუძღვნიათ?

— კი, როგორ არა. ძალიან მიყვარს მომინანქრებული სამკაულები და ახლახან, ჩემმა საქმრომ სწორედ ასეთი ბეჭედი მაჩუქა. საერთოდ, ძვირფასი ადამიანის მიერ ნაჩუქარი ნივთი, თუნდაც იაფფასიანი იყოს, ჩემთვის მაინც უძვირფასესია.

— შოპინგზე სიარული თუ გიზიდავს?

— ძალიან. როცა არაფრის ყიდვას არ ვაპირებ, მაღაზიებში მაინც მივდივარ ხოლმე და რაღაცებს ვათვალიერებ. დიდ სიამოვნებას მანიჭებს ტანსაცმლის შერჩევის პროცესი, სხვადასხვა სტილის სამოსის ჩაცმა. აქ გამყიდველები აგრესიულები არიან — როცა რაღაცას ისინჯავ და არ ყიდულობ, ღიზიანდებიან. საზღვარგარეთ ასე არ ხდება, რამდენიც გინდა, იმდენი ჩაიზომე და მოირგე. ამიტომ, როცა გასტროლებზე ვიმყოფებით, თავისუფალ დროს ყოველთვის შოპინგს ვუთმობ.

— რა განსხვავებაა შენს ცხოვრებისეულ და სცენურ იმიჯს შორის?

— მე და ჩემი პერსონაჟები ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით. სცენაზე ხან გიჟი და სულელი ქალი ვარ, ხან — ჭკვიანი, განათლებული. მოკლედ, ყველანაირი ადამიანის როლი მითამაშია. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრებაში მორცხვი და მორიდებული ვარ, მაგრამ სცენაზე კიდევ უფრო თამამი ვხდები... როცა სცენაზე დგახარ, ბევრი რაღაც გეპატიება, ცხოვრებაში კი, შეცდომებს არავინ გაპატიებს. მაგალითად, დღეს „ვანილის მოტკბო, სევდიან სურნელში“ ვთამაშობ საკმაოდ თამამი ქალის როლს, რომელმაც იცის — სად, როდის, როგორ გამოიყენოს ყველა. ოღონდ თვითონ იყოს კარგად და სხვები არ აინტერესებს. ის განათლებული არ არის, უბრალოდ, მოხერხებული ადამიანია. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ასეთი ქალების კატეგორის არ მივეკუთვნები.

— სოლარიუმში თუ დადიხარ?

— ადრე დავდიოდი, მაგრამ ახლა, ამის სურვილი აღარ მაქვს. ძალიან ცუდი პროცესია — როცა იქ გაწვენენ, თავი კუბოში გგონია... ამიტომაც გადავწყვიტე, სოლარიუმში აღარ ვიარო. ზაფხულს დაველოდები და ბუნებრივად გავირუჯები. თან მეცოდინება, რომ კანი არ დამიზიანდება.

— სპორტულ დარბაზებს თუ სტუმრობ?

— არა (*იცინის*). სცენაზე იმდენ ენერგიას ვხარჯავ, რომ სპორტულ დარბაზებში სიარული აღარ მჭირდება. ყოველდღე, რეპეტიციების დროს, კილომეტრების გავლა მიწევს. თუ გავსუქდები და ფორმას დავკარგავ, მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ სავარჯიშოდ... ■

სცენაზე იმდენ ენერგიას ვხარჯავ, რომ სპორტულ დარბაზებში სიარული აღარ მჭირდება

ჩინოვნიკი, მსახიობი თუ შოუმენი ანუ ვინ შეაშინა ღავით მესხიშვილი

ის კარგად მღერის, კარგად ცეკვავს, არც ფანტაზიას უჩივის და არც სამსახიობო ნიჭს. მას სცენაზე ბევრი დრო აქვს გატარებული, თუმცა პროფესიონალი მსახიობი არ არის. დავით მესხიშვილი დღეს შრომისა, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის მოადგილე გახლავთ.

ნათია ქარუმიძე

— სტუდენტობისას „კავეენს“ თამაშობდით, ეი. საზრიანი და მხიარული სტუდენტი ყოფილხართ. ყველაზე მეტად, რა გენატრებათ იმ პერიოდიდან?

— „კავეენის“ თამაშის დროს მართლაც, ბევრს ვხალისობდი და ის პერიოდი სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. მენატრება ის ურთიერთობები, რომლებიც იყო და სამწუხაროდ, აღარ არის. ყველანი ძალიან დაკავებულები ვართ და ველარ ვიცლით ერთმანეთთან შესახვედრად.

— პროფესიული არჩევანი თავად გააკეთეთ?

— რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება თვითონ მივიღე. თუმცა, გარკვეულწილად, ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენა ბაბუაჩემმა იქონია. ის სამხედრო ექიმი გახლდათ.

— რომ არა ბაბუა, რა პროფესიას აირჩევდით?

— კარგი მსახიობი ვიქნებოდი. ამის თქმის უფლებას ის მაძლევს, რომ პროფესიონალურ სცენაზე დიდხანს ვიდექი, გამოცდილება მაქვს.

— ექიმობა კი გადაწყვიტეთ, მაგრამ კარიერა, როგორც პრაქტიკოს ექიმს, არ დაგიწყიათ. რატომ?

— ჩემზე ხშირად უთქვამთ: პაციენტი არ ჰყოლია და მაგან ექიმობის რა იცისო!.. მინდა გითხრათ, რომ საქართველოში ბევრი კარგი ექიმია. ვფიქრობ, მათი წარმოჩენაა საჭირო. ჩემი ერთ-ერთი მიზანიც, ამ პროფესიის რაც შეიძლება აქტიურად და სწორად მართვაა...

— თქვენს გუნდს რა კრიტერიუმებით არჩევთ?

— ძალიან მალე, სამინისტროში სერიოზული რეორგანიზაცია დაიწყება. 1200 თანამშრომლიდან დაახლოებით, 700 ადამიანი უნდა დარჩეს და ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ ჩაივლის. ეს რეორგანიზაცია აუცილებელია — მხოლოდ ძლიერი კადრები უნდა დარჩეს. შერჩევა კონკურსის წესით მოხდება, ყოველგვარი ნაცნობმეგობრობის გარეშე.

— წინასწორობიდან რას გამოჰყავხართ?

— არაორგანიზებულობას, უცოდინარობას, უპასუხისმგებლობას. სხვათა შორის, ჟურნალისტების ერთი ცუდი თვისებაც მაღიზიანებს: შეკითხვას გისვამენ და პასუხს არც კი უსმენენ. ამიტომ, ერთი და იმავე შინაარსის შეკითხვაზე რამდენჯერმე გიწევს პასუხის გაცემა.

— გაბრაზებული საშიში ხართ?

— თუ ძალიან გავბრაზდი, რა თქმა უნდა, საშიში ვარ. ოღონდ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმეს რაღაცას ვესვრი. ყველაფერი ყვირილით გამოიხატება. თუ ჩემმა თანამშრომელმა რაიმე დააშავა, ეს მისი სამსახურიდან წასვლით დამთავრდება.

— კომპრომისზე არასდროს მიდიხართ?

— მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმძღვანელობა ჩემს აზრს მიუღებლად მიიჩნევს. მინისტრმა რომ მითხრას: შენს გადაწყვეტილებას არ ვეთანხმებიო, რა თქმა უნდა, კომპრომისზე წავალ.

— თქვენი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული რომ იყოთ, მაინც დაუჯერებთ მინისტრს?

— ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა, მაგრამ თუ მოხდა, წინასწარ ვერ გეტყვით, რას მოვიმოქმედებ.

— თქვენს კარიერაში პირველი დაბრკოლება რა იყო?

— ძალიან აქტიური თინეიჯერი ვიყავი, თან — გაბრაზებულიც. იმ პერიოდში არსებობდა (ახლაც არსებობს) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი. იქ მივედი და ვითხოვე: უფასოდ მამუშავეთ-მეთქი. ძალიან ცუდად შემხვდნენ და უარით გამომისტუმრეს. გაოგნებული დავრჩი და მაშინ დაიწყო ჩემი გაბრაზებაც. ამას თავისი პლუსი ჰქონდა — მაქსიმალურად მობილიზებული გავხდი. მინდოდა, ძლიერი ვყოფილიყავი და ბრძოლის სურვილი გამიჩნდა.

— თვითკრიტიკა თუ გიყვართ?

— საკმაოდ. თუმცა, ჩემი გადმოსახედიდან, ბევრი შეცდომა არა მაქვს დაშვებული. ჩემი ცუდი თვისება ისაა, რომ მაქვს ფეთქებადი ხასიათი, ძალიან ემოციური ვარ, მაგრამ ადამიანის ამოჩემება არ ვიცი. ავფეთქდები, ვიყვირებ, უკმაყოფილებას, რისხვას გამოვხატავ და მორჩა, ბოლმას გულში არ ვიდებ. ამ ბოლო დროს ვცდილობ, მაქსიმალურად გაწონასწორებული ვიყო.

— ხელჩართულ ჩხუბში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?

— მიმაჩნია, რომ მამაკაცმა აუცილებლად უნდა იჩხუბოს. მიჩხუბია გოგოს გამო, ბავშვობაში კლასელებს სხვა კლასელებთან გვიჩხუბია...

— გოგოს გულისთვის ჩხუბი ვისი წარმატებით დასრულდა?

— გამარჯვება იმაში გამოიხატება, რომ გოგო შენთან დარჩება. გამოდის, რომ ორივე დავმარცხდით... ასეთ კონფლიქტებს ქალს ვაბრალებდი. მანდილოსანმა ორ მამაკაცს შორის ურთიერთობა ისე უნდა დაარეგულიროს, რომ მათ არ იჩხუბონ.

— თქვენზე, როგორც თინეიჯერზე, თავის დროზე „ქუჩის აკადემიამ“ რა გავლენა იქონია?

— ზომიერი. როდესაც ამბობენ, ქუჩის ცხოვრება აუცილებლად უნდა გაიაროო, ამას არ ვეთანხმები. ვინ არის იმის გარანტი, რომ ეს ახალგაზრდა იქ არ ჩარჩება... ბოლოს და ბოლოს, რისთვის იხსნება ამდენი სპორტული მოედანი?!

— სპორტთან თავად როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

— ფეხბურთს ვთამაშობ და აქტიურადაც ვგულშემატკივრობ. ამას წინათ, მე და ჩემმა მეგობრებმა მოვილაპარაკეთ, რომ ვიქირაოთ მოედანი და ფეხბურთი ვითამაშოთ (შემტევი ნახევარმცველი ვარ)... საბჭოთა კავშირის პერიოდში ესპანეთში ვიყავით წასულები, ფეხბურთი ზანგებთან უნდა გვეთამაშა. მანამდე შავკანიანები ნანახი არც ერთს არ გვყავდა. ამდენი შავი ხალხი რომ დავინახეთ, თანაც, ჩვენკენ მორბოდნენ, სულ დავიბენით. შეშინებულები დავრბოდით და წავაგეთ...

— ზანგ კაცებს შეუშინებიხართ, თუმცა ვიცი, რომ ზანგი ქალები ძალიან გხიბლავთ. როგორი ქალები არ მოგწონთ?

— ქალს არ უხდება უხეშობა, სითამამე, ლიდერობა. არა, რა თქმა უნდა, ქალი უნდა იყოს ლიდერი, მაგრამ მამაკაცური ქცევები არ უნდა ჰქონდეს. არ მიყვარს ზედმეტად აქტიური ქალი, ისეთი, მამაკაცს ლაპარაკს რომ არ აცდის.

— რა კორექტივებს შეიტანდით ქართველი ქალის ხასიათში?

— მეტი შინაგანი თავისუფლება უნდა ჰქონდეს. ქართველი ქალი ძალიან შეზღუდულია, თითქოს, გალიაში ჩაკეტესო.

— თქვენი აზრით, რამ ან ვინ ჩაკეტა?

— თქვენ გინდათ მათქმევინოთ, რომ ეს მამაკაცის დამსახურებაა, რადგან ქართველი მამაკაცი „აზიატია“, არა? თუ ქალი აქტიური იქნება, მამაკაცს „აზიატობა“ არ გამოუვა...

— თქვენ თუ ხართ „აზიატი“?

— ქალს არასდროს ვეტყვი: გინდა თუ არა, კოჭებამდე კაბა უნდა გეცვას და არ უნდა იმუშაო-მეთქი. ვფიქრობ, მამაკაცმა მეტი თავისუფლება უნდა მისცეს ქალს.

— როგორ ფიქრობთ, ქართველი ქალის მსგავსად, ქართველ მამაკაცსაც ხომ არა აქვს შინაგანი თავისუფლების დეფიციტი?

— გეთანხმებით, აქვს. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ „ჩაკეტილ“ ქვეყანაში ვცხოვრობდით...

ყიბორჩხალა ქმარი და ბოიკოტი „გზას" ანუ აყოცაა... აყოცაა...

სირცხვილი ისეთი გრძნობა გახლავთ, რომელიც იწვევს ლოყებისა და ყურების სიწითლეს, გულისცემის აჩქარებას, უნებლიე თავის დახრას, ნაბიჯის არევას... მას განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა რაღაცებიც ახასიათებს. თუ რას ვგულისხმობ, ამას მკითხველების მესიჯებიდან გაიგებთ, რომელთა ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი. ამ კვირაში ბევრმა თქვენგანმა დამანამუსა — არ გრცხვენია, ჩემს მესიჯს რომ არ ბეჭდავო? ერთსა და იმავე მკითხველს, ყოველ კვირას უნდა, საყვარელ ადამიანს ხმა მიაწვდინოს და სიყვარულში საქვეყნოდ გამოუტყდეს, მაგრამ ალბათ, თქვენთვისაც მოსაწყენი იქნება, ყოველ ხუთშაბათს იმის წაკითხვა, თუ როგორ უყვარს ლელას კოსოვიჩი. ის კი, მიუხედავად იმისა, რომ მესიჯი რამდენჯერმე დავუბეჭდე, მაინც დიდ საყვედურს მითვლის... კოსოვიიიიჩ! ლელას უყვარხარ! ბოლოს და ბოლოს, ეს რით ვერ გაიგე? — იმედია, ახლა მაინც დავაკმაყოფილე ლელას თხოვნა და აღარ მექნება საქმე სასირცხვილოდ... ახლა კი პირველი მკითხველის მესიჯი:

მარი ჯაფარიძე

მძინარა გადამგდები

„ძალიან ხშირად ვვარდები ისეთ სიტუაციაში, როცა უზომოდ მრცხვენია ხოლმე. ამას უკვე ისე შევეჩვიე, რომ სირცხვილისაც მრცხვენია. ამას წინათ, „მარშრუტკით" ვმგზავრობდი. ფიქრებში ვიყავი გართული და გაჩერებას გავცდი. როცა აზრზე მოვედი, წამოვიყვირე. მერე შემრცხვა და ისე დავიბენი, რომ მძღოლს ფული არ გადავუხადე. დამედევნა ის დალოცვილი და თან ქვეყნის გასაგონად ყვიროდა: გოგონა, ფული გადამიხადეო... გავწითლდი და სიკვდილი ვინატრე. მისთვის მისაცემი ლარიანი ხელში მეკავა. მივეცი და უკანმოუხედავად წამოვედი ისე, რომ ხურდასაც არ დაველოდე... მქონდა ისეთი შემთხვევაც, როცა ლექციაზე ჩამეძინა. ლექტორს შეუნიშნავს და ბავშვებისთვის უთხოვია — არ იხმაუროთ, გაეღვიძებაო. რა თქმა უნდა, ახარხარდნენ. მათ სიცილზე გამეღვიძა და ძალიან შემრცხვა. ასეთი რაღაცა ხშირად მემართება და არც კი ვიცი, რა გავაკეთო, რომ სირცხვილი თავიდან ავიცილო".

მამობანა

„ღმერთო, არც კი მინდა იმის გახსენება, რაც თავს გადამხდა, მაგრამ მაინც უნდა მოგიყვეთ. ერთხელ, უნივერსიტეტელი მეგობარი შემხვდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ ქუჩაში და ბევრი რამ გავიხსენეთ. ბოლოს, ძლივს მოვიფიქრე მეთქვა, რომ იქვე ახლოს ვცხოვრობდი და სახლშიც დავპატიჟე. უარი არ უთქვამს. შინ მხოლოდ ჩემი 6 წლის ვაჟი იყო. სტუმარი ბავშვს მიეფერა, მე კი ყავის მოსადუღებლად სამზარეულოში გავედი. ხმაური შემომესმა. ოთახში შევიხედე და რას ვხედავ? ბავშვი ოთახში დადის და ყველაფერს ძირს ყრის. გადმოყარა წიგნები, ტანისამოსი, გადააყირავა სკამები და თან, ყვირის. — „დათუნა, დაწყნარდი, რა დაგემართა?" — ვკითხე პატარას. — „შენი დედა! სად არის მანქანის გასაღები?" — იღრიალა ბავშვმა. წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა, რადგან დათუნამ ნათლად წარმოადგინა სიტუაცია ჩემს ოჯახში. არადა, წუთის წინ, ჩემს სტუმარს ვუმტკიცებდი, რომ ძალზე ბედნიერი ოჯახი მქონდა და ქმარი ხელისგულზე მატარებდა... ასეთი სირცხვილი არასოდეს მიგრძნია. აბა, მეტი რა მოგწეროთ? კარგად!"

საიდუმლო

„არ ვიცი, მამაკაცებიც გწერენ თუ არა მესიჯებს, მაგრამ მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ. 34 წლის კაცი ვარ და უკვე 15 წელია, ოჯახი მაქვს. ამ ხნის განმავლობაში, ალბათ ერთი კვირაც არ გასულა ისე, რომ ცოლისთვის არ მეღალატოს. მიყვარს ქალები და რა ვქნა? ერთ პატარა ქალაქში ვცხოვრობთ, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს. ჩემს ცოლს არასოდეს უგრძნობინებია, რომ ეჭვიანობდა და მეგონა, თავი ქუდში მქონდა. ძმაკაცებში ვტრაბახობდი — ისეთი მოხერხებული ვარ, ჩემი ცოლი ვერაფერს იგებს-მეთქი. მოკლედ, როგორც იტყვიან, „გავჯეჯილდი". ერთ დღეს კი, მე და ჩემმა ცოლმა ვიკამათეთ. მომიბრუნდა და მითხრა: დეგენერატი ხარ და ამას მთელ ქალაქს გავაგებინებ, რომ თავი მოგეჭრასო. — ნეტავ, ამას როგორ გააკეთებ? ქუჩაში გახვალ და ხმამაღლა იყვირებმეთქი? — არა, საწოლის თავთან დიდ პლაკატს გავაკრავ და ყველა წაიკითხავსო. რაღა დაგიმალოთ და, მაგრად შემრცხვა. მერე გავარკვიე, რომ თურმე, ჩემმა ცოლმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ მაგრძნობინებდა. აი, ასე შევრცხვი. ახლა კი ვფრთხილობ, მაგრამ ქალებში სიარულს მაინც არ ვეშვები. როდის იყო, რომ ღორი „იმის" ჭამას გადაეჩვეოდა ხოლმე?"

ფიგურული სრიალი

„ეეეჰ, როგორც წინა ზამთარს შევრცხვი, ისე არასდროს შევრცხვენილვარ. ამას ახლა კი ვიხსენებ სიცილით, მაგრამ აბა, მაშინ გენახეთ! მოგეხსენებათ, წინა წელს როგორი მკაცრი ზამთარი გვქონდა. ჩემი სკოლის აღმართთან წყალი ჟონავდა და თოვლი დადებას ვერ ასწრებდა, ისე იყინებოდა. მე კიდევ, ისეთი ფეხსაცმელი მეცვა, რომ სულ ძირს ვეგდე. ჰოოოდა, ერთხელ, როცა გაკვეთილები დამთავრდა, ჩემმა დაქალმა გადაწყვიტა, ყინულზე ესრიალა. ვინაიდან წაქცევის ეშინოდა, მე დამეყრდნო და წავიდააა... თითქოს ელენე გედევანიშვილი იყო. ვემუდარე, ხელი არ გამიშვა-მეთქი, მაგრამ ორიოდე წუთის მერე, ყინულზე დავეხეთქე. დამესივნენ მასწავლებლები და წამომაყენეს. მეც შევიფერე და მთელი დღე ომის ვეტერანივით კვნესით დავდიოდი. პუპსიკუნა".

სიშიშვლე კრედიტისთვის

„ეს ამბავი ამ ზაფხულს მოხდა. ცხელოდა. შინ მივედი თუ არა, მაშინვე სააბაზანოში შევედი. თან ვბანაობდი და თან, მუსიკას ვუსმენდი. შინ მარტო ვიყავი. ამიტომ სააბაზანოდან შიშველი გამოვედი და „ზალაში“ შევედი. პირსახოცით თმას ვიმშრალებდი და ვერ შევნიშნე, რომ იქ ხალხი იყო. უცებ, მამაჩემის ჩახველების ხმა მომესმა. თავი ავწიე და რას ვხედავ? მამაჩემის დაბრიალებულ თვალებს და სტუმრების გაკვირვებულ მზერას. სირცხვილისგან ისე გავწითლდიიიი... დაბნეულობისგან გაშეშებული ვიდექი, სანამ მამაჩემმა არ მითხრა, ოთახიდან გადიო. მამაჩემს ბანკიდან კრედიტი უნდა გამოეტანა და საგარანტიოდ ბინა უნდა ჩაედო. თურმე, ის უცხო ხალხი ბანკის თანამშრომლები ყოფილან, რომლებიც ბინის სანახავად იყვნენ მოსული. აი, ასეთი სირცხვილი ვჭამე ჩემი უყურადღებობით“.

რა არის ჩატი!

„ეჰ, ნეტავ იცოდეთ, რა დღეში ვარ! მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა? მეუღლე მყავს, მაგრამ ამ ჩატმა სულ გადამრია. ერთ ბედნიერ დღეს ჩავრთე ინტერნეტი, მაგრამ თავიდან, ჩატს ვერაფერი გავუგე, მერე კი ისე შევეჩვიე, როგორც წუწკი მელა — საქათმეს. ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე. ერთი ბიჭი კი რატომღაც, შიგ გულში ჩამივარდა. ურთიერთობა მესიჯებით ავაწყვეთ და ერთხელ შევხვდი კიდეც. კარგი ტიპია, გული მეორედ შეხვედრას მთხოვს, მაგრამ რა ვუყო ქმარს? ალბათ, აღარ უნდა შევხვდე — ყოველდღე ამას ვუმეორებ ჩემს თავს. არადა, ერთი სული მაქვს დაღამდეს, რომ ქმარს დაეძინოს და ვიჩატაო! მრცხვენია, მაგრამ რა ვქნა? ასე როდემდე და სადამდე უნდა ვიყო, ააა? თუ ქმარმა გამიგო, მერე დამერხევა, მე უბედურს! დიდი სიყვარულით, სონია“.

საწყალი...

„ჩემს სირცხვილსაც მოგწერთ და სხვისასაც. ვიდრე გავთხოვდებოდი, ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. მეხვეწებოდნენ, მაგრამ ცოლად არც ერთს არ გავყევი. შეყვარებულიც ვიყავი რამდენჯერმე, მაგრამ ხომ იცით, ბედის ამბავია ყველაფერი. ბოლოს, ყველაზე „სტაჟიანს“ გავყევი, ვისაც მთელი ცხოვრება ვუყვარდი. როგორც ცოლმა, დიდი ძალისხმევის შემდეგ შევიყვარე, მაგრამ უკვე 10 წელია, რაც ის ევროპაში წავიდა. როგორც კი მარტო დამიგულეს, ძველი კავალერები გამოფხიზლდნენ. არავის ვიკარებდი, მაგრამ მერე, როცა ჩემმა ქმარმა გამაბრაზა, ერთ-ერთს ნება მივეცი, სურვილი აესრულებინა. ის ისე მაწუხებდა თავის სიყვარულსა და ტემპერამენტზე ლაპარაკით, მეგონა, ცოცხლად გადამყლაპავდა, მაგრამ... შერცხვა. არაფერი გამოუვიდა და მე დამაბრალა: იმდენი მაწვალე, ძალიან ვნერვიულობო. იგივე დაემართა მეორესაც და იმანაც მე დამაბრალა... ჰოოდა, მეც ადამიანი ვარ. ძალიან მრცხვენია, მაგრამ ახლა ნუგეშს სხვის მკლავებში ვპოულობ. ბედნიერი ვარ, რადგან ვუყვარვარ. არადა, იმ ორს წყვილ-წყვილი შვილები ჰყავთ და არც ქალებში სიარული აკლიათ. ჩემთან რა დაემართათ, არ ვიცი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

„ცხვირი მაქვს ამოსანაყი“

„22 წლის ვარ. პირველი სიყვარული და პირველი ცოლი უკვე დავკარგე. ახლა 19 წლის გოგონა მიყვარს. ერთ კვირაში ხელმეორედ გავბედნიერდები. პირველი ცოლი კი იჯდეს და იდარდოს“.

„ჩემი შემარცხვენელი საქციელის გამო, შესაძლოა, მალე საყვარელი ადამიანი დავკარგო. მესამე წელია, ჩემი ფაკულტეტელი მიყვარს. მას ლექსებს ვუძღვნიდი, რისიც საშინლად მრცხვენია. მაშინ მას სხვა უყვარდა, ოღონდ, ცალმხრივად. მე კი, ყოველთვის მაკვირდებოდა ხოლმე. ახლა ვიცი, არავინ უყვარს და მის ყურადღებასაც ვგრძნობ, მაგრამ ერთმანეთისთვის გამარჯობის მეტი არაფერი გვითქვამს. ძალიან უცნაური ტიპია. სწავლას წელს ამთავრებს და საბოლოოდ გაქრება. მე კი მრცხვენია, რომ მივიდე და დაველაპარაკო. ან კი, რა უნდა ვუთხრა? კ.ლ“.

„მარი, მაპატიე, რომ ასე გვიან გიმესიჯებ, მაგრამ მინდა, ჩემი სირცხვილის შესახებ გიამბო. ძალიან შემრცხვა, როცა ჩემი მეგობრის მანქანის ნაცვლად, სხვის მანქანაში ჩავჯექი. ვაიმე, შენ უნდა გენახა იმ ტიპის „როჟა“, გაოგნებული რომ მიყურებდა“.

„ერთხელ ბაზრობაზე ვიყავი. მოტკეცილი ჯინსის შარვალი მეცვა. ვერ ვიტყვი, რომ გამხდარი ვარ, მაგრამ ჩემზე მსუქანიც არ ითქმის. ერთმა ქალმა მითხრა: ამხელა ტრაკი გაქვს და შარვალი რატომ გაცვიაო. ირგვლივ ბევრი ბიჭი იდგა. ლამის სირცხვილით მოვკვდი. ნეტავ, მიწა გამსკდომოდა. ნატა, ბათუმი“.

„პრივეტ, მარი, გაუმარჯოს სვანებს! მალე სვანების რძალი გავხდები და არ იციან, რა ქალი ვარ! ჩემს გიოზე ვგიჟდები. მი სი მალათ (მიყვარხართ), თქვენც და გიოც“.

„ახლა „გზას“ ვკითხულობდი და დამესიჯება ძალიან მომინდა. მაგრები ხართ, მე კი უსირცხვილო ვარ, რადგან არასოდეს ჩამიდენია ისეთი სასირცხვილო რამ, რასაც მოგიყვებოდით. შამილა (დათო)“.

„მსოფლიოში ყველაზე მაგარი — „გზა“! საუკეთესო რუბრიკა — „გზავნილები“! მისი გაგრძელებისთვის — „მთელ ქვეყანას, საიდუმლოდ“ — გაიხარე, ჩვენო მარია“.

„აუ, მარი, მე ზაფხულში სირცხვილი ვჭამეეე? ახალგაზრდები მდინარეზე დავდიოდით ხოლმე, გასაგრილებლად. ჰოდა, ერთხელ შევიკრიბეთ და წავედით. ბლომად ხალხი დაგვხვდა. საკმაოდ დეკოლტირებული მაისური მეცვა და თავს უხერხულად ვგრძნობდი. წყალში რომ ჩავედი, ამოსვლისას ჩემი ბიძაშვილის ხმა გავიგონე: აუუ, არ ამოულაგებია 9 ნომერი მკერდიო? გეფიცებით, ისე შემრცხვა, რომ სიკვდილი ვინატრე, მაგრამ არ შევიმჩნიე. მხოლოდ ის ვკითხე: ხომ არ გშურს-მეთქი? მის სახეს რა დამავიწყებს? მერი-ჯეი“.

„მარო, სირცხვილი ჩემი სუსტი წერტილია, რადგან ეს გრძნობა არ გამაჩნია. შემიძლია, ქუჩაში ისტერიკა მოვაწყო და მოღიმარი სიფათის მქონე უცხო ხალხიც გამოვლანძღო. გიჟი მერწყული“.

„მინდა, ერთი პატარა და სასაცილო ამბავი მოგიყვეთ. შეყვარებული მყავს. ხშირად ისე ხდება, რომ მას ძმაკაცთან ერთად ვხვდები. ერთი ასეთი შეხვედრის დროს, ისეთი კაბა მეცვა, რომელსაც წელზე რეზინი ჰქონდა. მე და ჩემი საქმრო ერთად ვისხედით. ადგომა დავაპირე და ამ დროს, კაბა ჩამძვრა. წარმოიდგინეთ, როგორ შემრცხვებოდა“.

„ჩემი შვილის ნათლია შემიყვარდა. ის სიცოცხლეს მირჩევნია. მასთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ვიცი, ცუდად ვიქცევი, მაგრამ თავს ვერ ვერევი. მრცხვენია ჩემი საქციელის. იმერეთი, გიო“.

„ერთხელ მეგობართან ვიყავი, დაბადების დღეზე. უზარმაზარი ტორტი ჰქონდათ. უცებ, რაღაცას ფეხი წამოვკარი და ტორტში ჩავჯექი. ისე შემრცხვა, რომ იმის მერე, ტორტის „მეშინია“.

„ქორწილში ცეკვის დროს, პატარძალს კაბაზე ფეხი დავადგი. ვერაფერს მივხვდი, მაგრამ ყვირილმა გამომაფხიზლა.

შიშველ პატარძალს კორსეტი წელამდე ჰქონდა ჩამოტანილი“.

„გამარჯობათ, ათენიდან გიმესიჯებთ. საქართველოში ერთი მორცხვი გოგო ვიყავი და გამარჯობის თქმის დროსაც ვწითლდებოდი. ახლა? ახლა... ო-ოო! ლატოტო“.

„ეს მესიჯი დამიბეჭდე,/ მარი, ასე, ამგვარად,/ თორემ სვანის ხასიათი,/ შენც ხომ იცი, სხვაგვარად?/ უზრდელადაც ნუ მიმიჩნევთ,/ ეს ცდუნებამ მატარა,/ შემოგევლეთ, ყველას გკოცნით,/ თქვენი სვანი, პატარა“.

„ჩემი ამბავი დედიკოს ბიჭის ამბავს ჰგავს. შებინდდება თუ არა, შინ უნდა ვიყო, თორემ ისტერიკებს მომიწყობს. სირცხვილი არაა? ვცდილობ, შინ ადრე მივიდე, მაგრამ არ გამომდის. მეგობრებთან შემოვრჩები ხოლმე და ყოველდღე ლექციების მოსმენა მიწევს. ხალხო, მირჩიეთ რამე! როგორ დავაჯერო დედაჩემი, რომ ღამე სიარული საშიში არ არის. ლევონ“.

„ჩემი სირცხვილი ის არის, რომ ერთ იდიოტთან ვცხოვრობ იმის გამო, რომ შვილები მყავს. მე კი სხვასთან მინდა რომანის გაბმა და ვერ ვბედავ. გამაგებინეთ, სირცხვილია?“

„მე 16 წლის ვარ და მინდა, ჩემს ლამაზ, მაგრამ სირცხვილით სავსე სიყვარულზე მოგიყვეთ. ჩვენ ერთი წელია, ერთმანეთი გვიყვარს. მთელი 2 თვე მეხვეწებოდა — მაკოცნინეო. ძლივს დამითანხმა. გავბედე დ ვაკოცნინე. ახლა მეხვეწება, მომაფერებინეო, მე კი ამის საშუალებას არ ვაძლევ და მეუბნება: არ გიყვარვარ და ასე იმიტომ იქცევიო. მე კი, მის გარდა მართლა არავინ მიყვარს“.

„მარი, ამას რომ გწერ, ძალიან მრცხვენია, რადგან ჟურნალ-გაზეთებში თავით ვარ გადავარდნილი და თუ ჟურნალ „გზაში“ მესიჯით გულისტკივილის გადმოცემა შეიძლებოდა, ნამდვილად არ ვიცოდი. სირცხვილი ჩემი!.. საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა. საბოლოოდ, არჩევანი ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერე და გავთხოვდი. ჩემი არჩევანით ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ გათხოვების მერე მივხვდი, რომ სხვა მყვარებია. ძალიან განვიცდი ამ ამბავს და ჩემი ქმრის მრცხვენია, მაგრამ გამოსავალს ვერ ვხედავ. არადა, ვიცი, რომ ღაშასაც ისევე ვუყვარვარ, როგორც მე მიყვარს. ბაკურიანი“.

„ყველაზე მეტად მაშინ შემრცხვა, როცა ჩემმა სიხარულმა პირველად მაკოცა. თიკო“.

„ყველაზე მეტად მაშინ შემრცხვა, როცა ძმაკაცმა მკითხა — ქალიშვილი ხარო? თან მთხოვა, მისთვის ისეთი რამ ამეხსნა, რაზეც არავისთან ვისაუბრებ“.

„ჰედლაინები მაგარი იქნება! მარი, „გზას“ რომ ვიყიდი და შენგან რაიმე სიახლე არ მხვდება, მიკვირს. ნუთუ, ამ კვირაში ფიქრი დაეზარა-მეთქი? საიდან მოგაქვს ამდენი სიახლე? იდეების „ცეხი“ გაქვს თუ რა ხდება? „მალადეც“, ძმაო! აი, სვანიიიი!“

„ჟურნალის გარეკანზე გლობუსი რომ ხატია, ნახევარი რატომაა მოჭმული? ვიფიქრე, გადავავლებ თვალს მსოფლიოს, იქნებ, კარგ ბიჭს გადავეყარო სადმეთქი, მაგრამ...“



„მარი, ეს რა წავიკითხე,/ ხასიათი წამიხდა,/ „სტიქიასთან“ პაექრობა/ ფასიანი გამიხდა,/ 6 თეთრს მუდამ გამოვნახავ,/ (ცუდი რაა, ამაში?)/ მე არ მომწონს, გენაცვალე,/ შენებური თამაში!“

„გამარჯობა, მარი! მართალია, ჩემნაირი „მათხოვარი“ ბევრი გყავს, მაგრამ მაინც გთხოვ, რომ დამიბეჭდო. ჩემს მასას ის ყოველთვის აძლევ საშუალებას, რომ სასიყვარული მესიჯებით გამანებივროს. ამას ისედაც ახერხებს, მაგრამ საქვეყნოდ მოწერილს სხვა „მუღამი“ აქვს. თან ისეთი ამაყია ხოლმე, როცა მის მესიჯს ბეჭდავ... მინდა, ყველა უიმედო შეყვარებული გავამხნევო“.

„შემრცხვა? ეს „ლაითად“ ნათქვამია. გავწითლდი, გავმწვანდი და გავლურჯდი — პირველი კოცნის შემდეგ. ეს იყო ყველაზე სასიამოვნო სირცხვილის განცდა“.

„დაქალმა სიმპათიური ბიჭი გამაცნო და პაემანიც გამიჩალიჩა. შემაყვარა და მერე მასთან ერთად გაიპარა. ნათია, ქორწილში მოვალ და მაგრად შეგარცხვენ“.

„მე ერთი ქუჩის ბიჭი ვარ,/ მიყვარს ღვინო და არაყი,/ ისე ვუბერავ, ხანდახან,/ ცხვირი მაქვს ამოსანაყი,/ მეორე დღეს კი იწყება,/ ხალხთან ტანჯული შეხვედრა,/ სირცხვილისაგან ვიწვები,/ მიმძიმს თვალებში შეხედვა./ ეს მართალი არ გეგონოთ,/ მხოლოდ ლექსად ვაქციე,/ ერთი ბეწო ჭიანჭველა,/ სპილოდ გადავაქციე. „სტიქია“.

„ვაიმე, სირცხვილოოო! ერთხელ დაქალებმა ზღვაზე „გავქუსლეთ“. მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი დაქალის შეყვარებულიც იქ ისვენებდა. ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ თიკოს მასთან ერთად ზღვაში ჩასვლის რცხვენოდა. პაკომ მოინდომა და ძალით ჩაათრია... ამ ჭიდაობისას პაკოს ხელი გამოედო „კუპალნიკზე“ და რას ვხედავთ? — თიკო ბიუსტჰალტერის გარეშე დარჩა. თვითონ ვერც მიხვდებოდა, რა მოხდა, გოგონებს წივილ-კივილი რომ არ აგვეტეხა. საწყალი პაკო კი გაწითლებული მისდევდა „კუპალნიკს“, დასაჭერად. ბებრები“.

„თუ ახალ წელს თოვლის ბაბუამ ხურჯინში „ჩაგტენა“, არ შეგეშინდეს. იცოდე, რომ ჩემი სურვილი ასრულდა. „გზის“ ფანი“.

„აუუუ, მარიიი, რომ იცოდე, როგორი სიამოვნებაა, როდესაც „გზაში“ შენს მესიჯს კითხულობ! წეღან, ჩემს „ესემესს“ ზუსტად 2 საათის განმავლობაში ვკითხულობდი. გჯერა, ჩემი? ძალიან, ძალიან დიდი მადლობა!“

„მაკუნა 30 წლისაა, მე კი — 22-ის. ძალიან მაგრად მიყვარს, მაგრამ არ სჯერა“.

„ჰედლაინები მაგრად „გაასწორებს“. რაც შეეხება სირცხვილს, რამდენიმე წლის წინ, სკოლის გამოსაშვებ საღამოზე კლასელ გოგონას ავეტორღიალე. იმდენი ვიჩალიჩე, რომ ორივე მაგრად დავთვერით. ვიფიქრე, რომ შემდეგ განვმარტოვდებოდით. ამის გამო, საპირფარეშოში შესვლა შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა. ისე, არ ვნანობ, რადგან ახლა „პამპერსების“ ფულზე უნდა მეფიქრა და არა, „გზის“ ფულზე“.

„მარი, რატომ არ დამიბეჭდე მესიჯი? არადა, როგორი სიყვარულით მოგწერე... იმედი მაქვს, შეგრცხვება და ახლა მაინც დამიბეჭდავ. მიყვარხართ ყველა. იკო“.

„მარი, შენ არ გრცხვენია? ზედიზედ მერამ-

დენედ გიმესიჯებ, შენ კი ჯიუტობ და არ მიბეჭდავ. მე კი იმის მრცხვენია, რომ მე და მორიელს ერთმანეთი გვიყვარს. რა პასუხი გავცე ჩემს კიბორჩხალა ქმარს, არ ვიცი“.

„გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, ჩემი გიჟი შეყვარებული ეზოდან ყვიროდა: მიყვარხარ და ცოლად გამომყევიო. მასწავლებელმა გარეთ გამიშვა — წადი, დააწყნარეო... აუ, იცით, როგორ შემრცხვა? მიყვარხარ, გიო!“

„ეეე... სირცხვილია, აბა, რა არის, გოგონებთან შეხვედრის მრცხვენოდა. მეგონა, რომ არ მოვეწონებოდი. არადა, პირიქით მოხდა — რამდენი გოგოც გავიცანი, არც ერთი არ მომეწონა. გოგოს ხმის გაგონებაც აღარ მინდა“.

„სირცხვილი როდის ვჭამე, იცით? შეყვარებულს ვითომ ჩუმად ვკოცნიდი და მისმა ბებომ დაგვინახა. მეორედ მაშინ შევრცხვი, როცა იმ ბებომ ყველას გააგებინა — აკოცااა... აკოცااა... მის ბამბუჩა“.

„საშინლად შევრცხვი. შავი ზღვის ტალღებს ვეთამაშებოდი და ჩემს ახლოს „მოლივლივე“, სიმპათიურ ბიჭს გავუღიმე. მერე მოზრდილმა ტალღამ ვნებიანად დამარტყა და წამით, წყლის ქვეშ აღმოვჩნდი. როცა ლურჯმა ცამ ისევ შემომანათა თვალებში, დავინახე, როგორ მეფურად მიაპობდა ტალღებს ჩემი ბიუსტჰალტერი. გავშეშდი. ალმური მომეკიდა. ის სიმპათიური ბიჭი კი დაედევნა ჩემს ჭრელ „ლიფჩიკს“, დაიჭირა, „მოლივლივდა“, გამომიწოდა და თვალები რაინდულად დახუჭა. საოცრად იღიმოდა. მრცხვენია, მაგრამ მაინც ვეძებ მას!“

„მარი, გაიხარე. სიხარულით ამბურძგლა, როცა ჩემი მესიჯი „გზავნილებში“ ვნახე. მეუღლე გამომიყოლებს ხოლმე „გზას“, როდესაც სამსახურიდან ბრუნდება და თან, ტრანსპორტში კითხულობს, რადგან იცის, რომ სახლში კარგა ხანს მოუწევს ლოდინი. ახლა კი, პირდაპირ „გზავნილებზე“ გადაშლილი დამიდო წინ და მკითხა: რატომ უნდა მოვუხმო ჭკუასო? — ნიკით მიცნო. გკოცნით, თითა“.

„ვიცი, რასაც ახლა მოგწერთ, უამრავ ადამიანს აწუხებს. ჩემი საუკეთესო მეგობარი შემიყვარდა. მისთვის თვალებში შეხედვის მრცხვენოდა და არც ის შემეძლო, რომ სხვების დასანახავად მისთვის მეგობარი მეწოდებინა. ამიტომ გადავწყვიტე, გამემხილა მისთვის. აი, მაშინ ვიგრძენი ნამდვილი სირცხვილი. გაწითლებული და ალეწილი ვიჯექი მის გვერდით. ის შესანიშნავი ადამიანია და გამიგო. მას შემდეგ თითქმის ერთი წელი გავიდა. მე კი ისევ მიყვარს. დღეს დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. თან მითხრა, რომ მოვენატრე და ძალიან ვჭირდები. საოცრად დაბნეული ვარ. დავთანხმდე? იქნებ, არ ღირს ჩემი ტანჯვის თავიდან დაწყება? კიკი“.

„დამიბეჭდე მესიჯები, თორემ ექიმს ვესინჯები. მინდა, ერთ ადამიანს ვუთხრა, რომ ძალიან მომწონს, ის კი მეგობრად მიმიჩნევს. ნინუცი“.

„ჩემზე 20 წლით უფროსი ბიჭი მიყვარს. ყველა ეწინააღმდეგება ჩვენს სიყვარულს. როგორ მოვიქცე, არ ვიცი. დავიჯერო, მართლაც სირცხვილია? სამტრედია, ნანუკა“.

„13 წლის ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა. 5 წელი ველოდი მისგან იმ სიტყვის გაგონებას, რომელიც ასე ძალიან მინდოდა, მაგრამ არ იყო და არ მაღირსა. მერე კი გავიგე, რომ თურმე, ჩემს დაქალს შეუბია და მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სიყვარულის ამბავი იცოდა, ცოლად გაყოლასაც აპირებდა. მეც არ დავაყოვნე და პირველსავე მთხოვნელს გავყევი, ტრადიციული ქორწილით. ჩემმა წინდაუხედავმა ნაბიჯმა ცუდი შედეგი გამოიღო“.

„ახლა უნივერსიტეტის ბუფეტში ვზივარ და ვცდილობ, თემა დავწერო. ტვინი გამეყინა და ვერაფერს ვახერხებ. მიშველეეეთ! თუ არა და, ამ საზიზღარი ზამთრის გადამკიდე, ასათიანზე მომიწევს სირბილი. გმადლობთ, ცოტა გულზე მომეშვა“.

„არ ვიცი, ცდუნება იყო თუ სირცხვილი, როცა ჩემზე 7 წლით უმცროსი ბიჭი შემიყვარდა. ძალიან ბედნიერი ვიყავი. გვქონდა დაუვიწყარი პაემნები, ერთმანეთს გრძნობით სავსე მესიჯებს ვწერდით. მერე კი მოხდა ის, რასაც ველოდი — ერთმანეთს დავშორდით. ამას ველოდი იმიტომ, რომ ჩვენი საზიზღარი მენტალიტეტი ადამიანს ხშირად ართმევს ბედნიერების უფლებას. ხუტუ“.

„ეჰ, სირცხვილი კარგია, მაგრამ მარი, შენ არ შეგრცხვა, ჩემი მესიჯი რომ არ დაბეჭდე? ეს ბოლოა. ბოიკოტი „გზას“! ახლა ავტობუსიდან ჩავალ, ჟურნალს ბუნკერში მოვისვრი და აღარც ვიყიდი“.

„ბავშვობაში კარატეზე დავდიოდი. ერთხელ, საბრძოლველად რომ გავედი და მოწინააღმდეგეს ველოდი, ბავშვების სიცილი მომესმა. დავიხედე და რას ვხედავ? თურმე კიმონოს შარვალი ჩამძვრა. შარვალს ხელი ვტაცე და კუთხეში მივიყუჟე. მასწავლებელმა კი ბავშვებს ჩამოუარა და დაემუქრა: ვინც გაიცინებს, ვცემო. მაშინ არც ისე პატარა ვიყავი. თამთა“.

წინა კვირას შემოგთავაზეთ, რომ თუ თქვენი ნება იქნებოდა, ახალ „ქვერუბრიკას“ შემოვიღებდით, რომელსაც „მკითხველის ჰედლაინებს“ დავარქმევდით. უმეტესობას ეს აზრი მოეწონა და სწორედ ამიტომ, დღეს რამდენიმე საინტერესო მესიჯს გთავაზობთ. ისინი ყოველგვარი შესწორების გარეშე იბეჭდება. მანამდე მინდა, ერთი მკითხველის მიერ გამოგზავნილ ლექსს გაეცნოთ, რომელიც სწორედ ამ რუბრიკას მიუძღვნა:

„ახალ რუბრიკას მოველით,/ და შანსიც მეტი გვექნება,/ ალბათ ამ ახალ რუბრიკას,/ ჰედლაინები ერქმევა./ მერე კი, თავის მესიჯებს,/ ყველა იხილავს ჟურნალში,/ შეეშლებათ და მოხვდება,/ ჰედლაინების ურნაში. ლალა“

ახლა კი

მკითხველთა ჰედლაინები

„კაროჩე“, მინდა, პატარა ამბავი მოგიყვეთ, რა, ეხლა ციხეში ვარ, რა! აქ სიყვარულმა მომიყვანა. ერთი გოგო მიყვარდა, თამუნა ხ-ძე, ცოლათ მინდოდა მოყვანა, მაგრამ მაგრად მიჭირდა. საკუთარი სახლიც კი არ მქონდა და მაგრად მიტყდებოდა. არ მინდოდა ამ გოგოს დაკარგვა, რა, ჩემი მთელი ცხოვრება ქუთაისში ვცხოვრობ. სულ ძაღლებს გავურბოდი და ბოლოს, მაინც ჩავვარდი. ასე მოვხვდი ციხეში. ბინის დათრევა მინდოდა და აქ ამოვყავი თავი. მაგარი მიტყდებოდა, მარა მალე შევეჩვიე აქაურობას. ერთი წელია, აქ ვარ უკვე, მაგრამ მაგარი დაგრუზული ვარ. როგორც გავიგე, გამითხოვდა საცოლე. მარი, მაგარი ცუდ პონტში ვარ, რა, ასე, რომ ყველას ვურჩევდი, გაუფრთხილდეს თავის სიყვარულს. მაგარი ტეხავს, სიყვარულის დაკარგვა, რა, თუ ვინმეს მოუნდება ჩემი გაცნობა, მაგრად გთხოვ, მიეცი ეს ნომერი. იქნებ, ახლა მაინც გამიმართლოს. გიორგი“.

„მე ლექსებმა დამძლია,/ ამაღებინა კალამი,/ თუ „სტიქია“ წაიკითხავს,/ ვაფშე, ქურდული სალამი! ლაპიდუს გლოუ“.

„მინდა, მივმართო ყველა ხალს, რომელმაც გადადგა ან აპირებს გადადგას ასეთი ნაბიჯი. ხალებო, ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვით ცოლიან მამაკაცებზე კავშირის დამყარებაზე. რომ გაიგებთ, ცოლიანია და მაინც აგრძელებთ ურთიერთობას მათთან, ამიტომაც ინგრევა ოჯახები. არას რომ მოუჭრით ვაჟბატონებს, თავს დაგანებებენ, აბა, რას იზავენ? მეც ასე დამენგრა ოჯახი. აბა! რა, მე არ შემიძლია? მეც იგივე გავაკეთო და ცოდვა ჩავიდინო? მაგრამ არა! ეგეთ ხალხს კი ღმერთი აუცილებლად აგებინებს პასუხს. გთხოვთ, გამომეხმაუროთ, ვინც დათანხმდებით. გთხოვთ, რომ დამიბეჭდოთ, ეს ხომ მართლაც ყურადსაღებია?“

„მეც მინდა, რომ ჩემი ლექსები დაიბეჭდოს „გზაში“. ჩემს შეყვარებულს ვუძღვნი: გაზაფხულია მოსული,/ თოვლი დადნა უკვე,/ რას ვიფიქრებდი გუშინ,/ თუ არ ვუყვარდი დათოს?“

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. სულ სიყვარული და სიყვარული... როდემდე, კაცო? დაიღალა ხალხი! ამიტომ, მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიძულვილი.

*გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: **8(77).45.68.61** ან მომწერეთ ელ. ფოსტაზე: marorita77@yahoo.com მომწერეთ, ვინ და რატომ გძულთ ამქვეყნად ყველაზე მეტად. შეგახსენებთ, რომ „გზავნილებში“ დამესიჯება კვლავ 6 თეთრი ღირს. მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

მკერდის გადიდება, ლიფტინგი და ლიპოსაქცია

ანუ სად მალავენ პლასტიკური ოპერაციის შემდეგ დარჩენილ ნაწიბურებს

დღეს რომ ფაუსტი ცოცხალი იყოს, ახალგაზრდობის დასაბრუნებლად ეშმაკს სულს არ მიჰყიდდა. მეცნიერები ისედაც ყველაფერს აკეთებენ ადამიანთა სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და გასაახალგაზრდავებლად.

გაგაცნობთ სხვადასხვა ქვეყნის მანდილოსანთა თავის გალამაზების საიდუმლოებებს.

აშშ — ამერიკელი ქალები ხშირად მიმართავენ დიეტას. ტენდენცია აქვთ — ყველაფერი უმი ჭამონ. თმის გასამაგრებლად და მისთვის ბრწყინვალების მისანიჭებლად ავოკადოს ნიღაბს იკეთებენ: მწიფე ავოკადოს ნაყოფს ორად ჭრიან, თესლს ამოაცლიან და მას თმაში შეიზელენ. ამ მასას თმაზე ერთ საათს იჩერებენ, შემდეგ კი, თავს შამპუნით იბანენ... ამერიკაში პლასტიკური ქირურგია პოპულარობის ზენიტშია. „პლასტიკური ქირურგიის ამერიკული ასოციაციის“ გასული წლის მონაცემებით, ფიზიოლოგიური ხსნარით მკერდი ამერიკელ ქალთა 45-მა პროცენტმა გაიდიდა. ასევე, პოპულარული ოპერაციებია: კლასიკური ცხვირი, ლიპოსაქცია (ცხიმების ამოსრუტვა), ლიფტინგი.

გერმანია — გერმანელი ქალები უპირატესობას ბოსტნეულსა და მისგან დამზადებულ წვნიანებს ანიჭებენ. კვირაში ორჯერ, ორგანიზმის გამწმენდ რეჟიმს იცავენ. თმას ყოველდღიურად ვიტამინების ნარევით კვებავენ, სახეზე არაჟნის ნიღაბს იკეთებენ. აქაური ქალები ბუნებრივ დაბერებას უფრო ეგუებიან, ვიდრე მათი მეზობელი ევროპელები. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ პლასტიკური ოპერაციები აქ მოდაში ნაკლებადაა. გერმანელი ქალები ყველაზე ხშირად ქუთუთოების ქირურგიას მიმართავენ. ფრანგი ქალების მსგავსად, ისინი ამ „პატარა საიდუმლოს“ მხოლოდ უახლოეს მეგობრებს უმხელენ.

აფრიკა — მშვენიერების დიდი ინსტიტუტია. აფრიკელი ქალები თავს ყავისფერი თიხით იმშვენიერებენ. მას იყენებენ როგორც საპნის, ასევე შამპუნის ნაცვლად. თიხა თმას აცოცხლებს და ჭარბ ცხიმიანობას არეგულირებს. იგი ფირფიტების სახით იყიდება, მაგრამ როგორც კი მას თბილ წყალში გახსნიან, მაშინვე კრემად იქცევა. თიხა მშვენიერი ნიღაბია მთელი სხეულისთვის... აფრიკელი ქალებისთვის სხეულის მოვლა კულტურის შემადგენელი ნაწილია. აქაური ქალები ეპილაციის საინტერესო მეთოდს ფლობენ. მასალა თაფლისა და ლიმონისგან მზადდება. კანზე თმისა და ბეწვის მოსაცილებლად მომზადებული კარამელის გუნდას, ზონიდან ზონამდე აგორებენ. თავის გალამაზების უახლეს მეთოდებს — ლიფტინგს, მკერდის გადიდებას, ცხვირის გადაკეთებასა და ლიპოსაქციას — უმეტესად იქ მცხოვრები თეთრკანიანი ქალბატონები მიმართავენ, ხოლო ადგილობრივი შავკანიანი მოსახლეობა, უფრო — იშვიათად.

მექსიკა — გაღვიძებისთანავე ერთი ჭიქა თბილი წყალი ლიმონის წვენით, სისხლის გაწმენდის ყველაზე იაფი და ეფექტური საშუალებაა. მექსიკაში დიეტის კულტი არსებობს. ქალები გაძლიერებულ პროტეინულ დიეტას ამჯობინებენ. კვირაში 4 დღე, მიყოლებით მხოლოდ თევზს, ფრინველის ხორცს და კვერცხს გეახლებიან... თმამ რომ იბრწყინოს, მექსიკელი ქალები თავის დაბანის შემდეგ, ნახევარ ჭიქა წყალში 1 ჩ/კ ძმარს ურევენ და თმაზე ივლებენ. სახის კანს სხვადასხვა ხილის ნიღბით კვებავენ. ინდური წარმოშობის მექსიკელი ქალებისთვის ცხვირის ოპერაცია მაღალ სოციალურ საფეხურზე ასვლის ერთ-ერთი საშუალებაა. წინაპართაგან ბოძებულ მემკვიდრულ საჩუქარზე — მეტისის კეხიან ცხვირზე უარს აცხადებენ და მას პაჭუა, დასავლურ ცხვირს ამჯობინებენ. სხვა სახის პლასტიკურ ოპერაციებს იშვიათად მიმართავენ.

ბრაზილია — აქაური ქალები აბაზანაში კენჭებს ყრიან. მათი რწმენით, ისინი დადებითი ენერგიითაა დამუხტული და მთელ სხეულზე დადებით ეფექტს ახდენს. ბანაობის შემდეგ, სხეულზე ერთგვაროვანი ზეთებით მასაჟს იკეთებენ, სახეს ნუშის ზეთით ისუფთავებენ, რაც ნაოჭების წარმოქმნას აბრკოლებს. კვირაში ორჯერ ორგანიზმს იწმენდენ... ბრაზილიელი ქალები პლასტიკურ ოპერაციებზე ისე ხშირად დადიან, თითქოს ტანვარჯიშის მორიგ სეანსზე მიდიოდნენ. თავს ნაწიბურების ჩვენებით იწონებენ. უფრო მეტიც, პლასტიკურ ოპერაციებზე საუბარი კულტურის მაჩვენებლადაა მიჩნეული. აქაური ქალები უპირატესობას ლიპოსაქციას, მკერდისა და გავის პროთეზს ანიჭებენ.

ესპანეთი — აქაური ქალები ფერების რეჟიმით ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ორშაბათს ჭამენ თეთრი ფერის საკვებს (თევზი, თეთრი ყველი, კვერცხის ცილა, კანგაცლილი ბადრიჯანი, ვაშლის ჟელე); სამშაბათს წითელ ან ქარვისფერ საკვებს და ა.შ. ესპანელი ქალებისათვის ზეითუნის ზეთი არა მარტო ძვირფასი საკვები პროდუქტია, არამედ, მას დაბანის შემდეგ, სახის მშრალ კანზე იცხებენ, ზეითუნის ზეთისა და თაფლის ნარევის ნიღაბს იკეთებენ. მანიკიურის გაკეთების წინ, თითებს თბილ ზეითუნის ზეთში ყოფენ. ფრჩხილების ირგვლივ კანი რბილდება და ნუნები უმტკივნეულოდ იჭრება. ესპანელი ქალები სახის გაახალგაზრდავებაზე მეტად, ფეხების სილამაზეზე ზრუნავენ — ლიპოსაქციას ფეხზე იკეთებენ. ასევე, მიმართავენ მკერდისა და ქუთუთოების ოპერაციებს, მაგრამ არც ისე ინტენსიურად, როგორც საფრანგეთსა და აშშ-ში.

ინგლისი — ინგლისელი ქალები გამწმენდ წვენებსა და ბალახეულ ნაყენებს ეტანებიან. მიირთმევენ შერჩევით: ხილი და ბოსტნეული. აქაური ქალები ძალიან პრაქტიკულები არიან. გამოყენებულ ჩაის პაკეტს კი არ აგდებენ, არამედ მაცივარში ინახავენ. როგორც კი თვალების დაღლას იგრძნობენ, მას მაცივრიდან გამოიღებენ და რამდენიმე წუთით ქუთუთოებზე იდებენ — ეს პროცედურა ტკივილსა და დაღლილობას სწრაფად ხსნის. ძალიან უყვართ ხილის ნიღბები და მათი მეშვეობით სახეს ვიტამინებით კვებავენ. საუკუნის დასაწყისში ინგლისი ესთეტიკური ქირურგიის აკვანს წარმოადგენდა. სადღეისოდ კი, სულ სხვა სურათი გვაქვს. ამჟამად, საფრანგეთსა და აშშ-ში კვალიფიციური სპეციალისტების განსაკუთრებული სიმრავლეა, ვიდრე ლონდონში. ბევრი ინგლისელი ქალი თავის გასალამაზებლად პარიზს სტუმრობს. თუ რამდენიმე ხნის წინ ინგლისელ მანდილოსნებს ამერიკელი ლამაზმანების სტანდარტული გარეგნობის შეძენა სურდათ, ახლა ისინი გარეგნობასთან ერთად, ინდივიდუალურობისა და ჰარმონიულობისკენ ისწრაფვიან. მათ დიდი ტუჩები და ახალგაზრდული იერის მიღება სურთ. ამიტომ, უმეტესად ლიფტინგითა და მკერდის გადიდებით არიან დაინტერესებული.

იაპონია — აქაური ქალები ფიგურას იოგის მეშვეობით იხვეწენ. მათთვის ბანაობა, ნამდვილი რიტუალია, უფრო მეტიც, ის დასვენების ტოლფასია. ქალი აბაზანაში სურნელოვანი ზეთებით გაჟღენთილ ტომსიკას აგდებს, რომელსაც მატონიზებელი და დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. იაპონელი ქალები ცხიმიანი კანით გამოირჩევიან. ცხიმის მოსაშორებლად წითელი ლობიოს მარცვლებს ფქვავენ, ფქვილს წყალში ურევენ და წებოსმაგვარი სითხით სახეს იწმენდენ... ■

ჯულია რობერტსის დიეტა

ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი, ექიმი პერიკონეს დიეტის ანუ როგორც მას სხვანაირად ეძახიან — დიეტა, რომელიც სახის კანს ჭიმავს და აწესრიგებს — თაყვანისმცემელია.

ამ დიეტის დაცვის მთელი არსი ორაგულის ჭამაშია. თანაც, ეს თევზი უნდა მიირთვათ საუზმეზეც, სადილსა და ვახშამზეც. პერიკონე დარწმუნებულია, რომ ორაგული კანის ელასტიკურობის გარანტია და ებრძვის ფერიმჭამელებს, მუწუკებს. თუ ამ დიეტის დროს თქვენი რაციონიდან გამორიცხავთ შაქარს და ცხიმს, მაშინ სასურველ წონას აუცილებლად მიაღწევთ.

გალვიძებისთანავე: დალიეთ 350 მლ მინერალური წყალი.

საუზმე: 100 გ მოხარშული ორაგული, ნახევარი ულუფა წყალზე დამზადებული შვრიის ფაფა, მწვანე ვაშლი და 350 გ მინერალური წყალი.

ლანჩი: 250 გ დაკონსერვებული ორაგული, მწვანე სალათის რამდენიმე ფურცელი, რომელსაც წინასწარ ჩაალბობთ ზეითუნის ზეთსა და ლიმონის წვენში და 350 მლ მინერალური წყალი.

სადილი: 50 გ ქათმის მკერდის ხორცი, 4 ცალი კაკალი, ნახევარი მწვანე ვაშლი, 350 მლ მინერალური წყალი.

ვახშამი: 250 გ დაკონსერვებული ორაგული, მწვანე სალათის რამდენიმე ფურცელი, რომელსაც წინასწარ ჩაალბობთ ზეითუნის ზეთსა და ლიმონის წვენში და 350 მლ მინერალური წყალი.

ძილის წინ: 50 გ ქათმის მკერდის ხორცი, 4 ცალი კაკალი, ნახევარი მწვანე ვაშლი, 350 მლ მინერალური წყალი. ■

ხილის ჩაი

მოსამზადებლად საჭიროა: 2 ჩ/კ ჩაის ნაყენი, 1 ცალი ვაშლი, 1 ჩ/კ შაქარი, 1 მუჭი მოცხარი.

მომზადების წესი: აიღეთ ჩაიდანი, ჩაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და აადუღეთ. მას დაამატეთ ჩაის ნაყენი, წვრილად დაჭრილი ვაშლი, მოცხარი და ცეცხლიდან 2-3 წუთის შემდეგ გადმოდგით. გააჩერეთ 5 წუთი, შემდეგ კი, გემოვნების მიხედვით დაატკბეთ და გემრიელად მიირთვით. ■

იტალიური პუნში

მოსამზადებლად საჭიროა: 1 ლ თეთრი ღვინო, 80-100 გ შაქარი, 3 ს/კ ლიმონის წვენი, ამდენივე ატმის წვენი, 2 ჭ ადუღებული წყალი, 0,5 ჭ კონიაკი.

მომზადების წესი: აიღეთ ღვინო, დაამატეთ შაქარი, ლიმონის წვენი, ატმის წვენი და ადუღებული წყალი. მოურეთ და ბოლოს, ჩაასხით კონიაკი. შემდეგ, ეს ყველაფერი გააცხელეთ 80 გრადუსამდე. ცხელი პუნში შეგიძლიათ სუფრასთან მიიტანოთ. ■

სოკოს სალათა – სომხურად

მოსამზადებლად საჭიროა: 100 გ სოკო, 150 გ ღორის ქონი, 120 გ უმი ან დაკონსერვებული ბულგარული წიწაკა, 50 გ ნიახური, 1 კონა ოხრახუში, 1 ს/კ ზეთი.

მომზადების წესი: აიღეთ უმი სოკო, დაჭერით წვრილ ნაჭრებად და შეწვით ზეთში. დაუმატეთ პატარა კუბურებად დაჭრილი ღორის ქონი და შემდეგ, შედგით ცეცხლზე 2-3 წუთით. დააყარეთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში და აურიეთ. ცალკე აიღეთ ნიახური და ბულგარული წიწაკა, დაჭერით წვრილად, დაამარილეთ და მოათავსეთ სასალათეზე, მერე მასზე ლამაზად გაანაწილეთ გაცივებული სოკო.

შენიშვნა: სოკოს სალათა უფრო მიმზიდველი იქნება, თუ ბოლოს ოხრახუშს მოაყრით და ბროწეულის მარცვლებით მორთავთ. ■

ვარდის ხის როიალი

რუსეთის იმპერატორის ოჯახიდან — ქუთაისელი წარჩინებულის ხელში

მუსიკალური სამყაროსთვის გვარი სეილერი მრავლის მთქმელია. ამ გვარს უკავშირდება მთელ მსოფლიოში საუკეთესოდ მიჩნეული ფორტეპიანოსა და როიალის ერთ-ერთი ქარხნის დაარსება. სეილერის როიალი 4 მილიონ 700.000 გირვანქა სტერლინგი ღირს. ცხადია, აქვთ უფრო იაფფასიანი პიანინოებიც. ცნობილია, რომ ისეთი დიდი ავტორიტეტები, როგორებიც იყვნენ ლეონკავალო, არტურ ნიროში, ენრიკო კარუზო, მხოლოდ სეილერის როიალზე უკრავდნენ. აღნიშნული ქარხანა 1849 წელს დააარსა ცნობილმა გერმანელმა კომპოზიტორმა ედუარდ სეილერმა. მინიქარხანა ქალაქ ლიგნიცში აიგო. მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიამ დაკარგა ეს ტერიტორია და ახლა ლიგნიცი პოლონეთს ეკუთვნის. ედუარდ სეილერის საქმე მისმა ერთადერთმა ვაჟმა იოჰანმა და შვილიშვილმა ანტონმა გააგრძელეს. მინიქარხანა, რომელიც ცეცხლმა შთანთქა, ომის დამთავრების შემდეგ აღადგინეს და გააფართოეს. თუმცა ვერაფრით შეძლეს ყოფილი აღდგენა. დღემდე ის გასაიდუმლოებულია.

ლელა ჭანკოტაძე

ედუარდ სეილერი, ქარხნის დაარსებამდე, საკუთარი ხელით ამზადებდა როიალებს მეფეებისა და დედოფლებისთვის. მან სულ ოთხი როიალი გააკეთა, მინიქარხანამ კი 120 როიალი გამოუშვა. ოთხივე როიალი ენციკლოპედიაშია შეტანილი. ამ ოთხიდან ყველაზე ძვირფასი, ვარდის ხისგან დამზადებული როიალია. როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ის ქუთაისში, ერთ ჩვეულებრივ სახლში დგას. გვესაუბრება მისი მფლობელი, ქალბატონი **ნარგიზა გიგაშვილი:**

— უკვე 100 წელია, რაც როიალი ჩვენს ოჯახს ეკუთვნის. ვიცოდი, რომ ძვირფასი ნივთი იყო, ამიტომ გადავწყვიტე, გამერკვია, რა ქონებას ვფლობდი. ამ რამდენიმე წლის წინ შევიტყვე, რომ არსებობდა სეილერის ქარხანა და წავედი ქალაქ ლიგნიცში. ეს მოხდა 2001 წელს. ახლა ქარხანას ქალები — ურსულა და მანუელა სეილერები ხელმძღვანელობენ. სწორედ ქალბატონ ურსულას შევხვდი. ფოტოები რომ ვაჩვენე, გაოცდა, არ იჯერებდა, რომ მსოფლიოში მსგავსი ნივთი არსებობდა.

— **რატომ?**

— საქმე ის გახლავთ, რომ მსოფლიოში გაფანტულ სეილერის როიალებიდან მხოლოდ ოთხს აწერია: „Eduard Seiler Liegnitz“ დანარჩენებზე წერია „ED.SEILER“ მათ შორის, იმ როიალებზეც, რომლებზეც თუნდაც კარუზო და ლეონკავალო უკრავდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ეს ოთხი როიალია ედუარდ სეილერის ხელით დამზადებული. სიცოცხლეში, თავისი უდიდესი დამსახურებისთვის ხელოვნების დარგში, სეილერმა აიღო ექვსი მედალი. ექვსივე მედალი მარტო ჩვენს როიალს არტყია, დანარჩენ სამს, 4-4 მედალი აქვს. ჟღერადობისთვის, მოსკოვში, 1872 წელს მიღებული ნიკოლოზ მეორის გერბი, ასევე დედოფალ ვიქტორიას გერბი ჩვენს როიალს ამშვენებს. ჩვენს როიალს აქვს ნომერიც 3201.

— **იქნებ თქვენი როიალი სულაც არ არის ორიგინალი?**

— ქარხანაში, ვინც ნახა ჩვენი როიალის სურათები, ყველა გაოცდა, ამ ორი მედლის არსებობაც ვერ წარმოედგინათ. ქარხანა ომის დროს მთლიანად ცეცხლმა შთანთქა და არქივი განადგურდა. მაგრამ სიმართლის დადგენა მათთვის რთული არ აღმოჩნდა. თუმცა დღემდე გაურკვეველია, თუ რომელ წელშია დამზადებული. მისცეს როიალს წერილობითი დასკვნა. მასში ნათქვამია: „თქვენი როიალის დამზადების ზუსტი თარიღის დასახელება არ შეგვიძლია. დაახლოებით 1868, 70 ან 72 წელში უნდა იყოს დამზადებული“. ახლა ქარხნის ხელმძღვანელობა ახალი კატალოგის გამოცემას აპირებს, სპეციალურად ჩვენი როიალისთვის. გვთხოვეს, როიალი ჩამოგვიტანეთ, რათა ჩვენს მუზეუმში დავდგათო, მაგრამ მის გაყიდვას ნამდვილად არ ვაპირებდით. როცა გაყიდვა მოვინდომეთ, ისევ დავუკავშირდით და ვთხოვეთ, ფასი მოეწერათ. სწორედ მაშინ მივხვდით, თუ რა განძის მფლობელი ვიყავით. ქარხნის ექსპერტებმა ჩვენს როიალს ფასი ვერ დაადეს. ურსულა სეილერმა წერილობით გვაცნობა: **„ჩვენ უკვე მოგახსენეთ, რომ დავკარგეთ ქარხანა მეორე მსოფლიო ომის დროს. არ გვაქვს ინფორმაცია თითოეულ პიანინოზე, მაგრამ ეს არის ყველაზე ძველი როიალი, რომელიც ოდესმე მინახავს. ამიტომ მიძნელდება ფასის განსაზღვრა“.**

— **რა მასალისგან არის დამზადებული?**

— ოთხი როიალი, რომელიც თავად ედუარდ სეილერმა დაამზადა, სხვადასხვა მასალისგანაა დამზადებული: ერთი — კაკლის, მეორე — ლიმონის, მესამე — შავი ლეიბანის. ჩვენი როიალი კი — ვარდის ხისაა. ვარდის ხის ავეჯი თბილისში არაერთ ოჯახში დგას. მაგრამ ჯიში „зазорчатая роза“ უკვე გადაშენებულია და ამდენად, უნიკალურიც. ვარდის ეს სახეობა ამაზონიის ჯუნგლებში იზრდებოდა. მოსკოვიდან ჩამოსულმა ხის ექსპერტმა ნახა, შეამოწმა და თქვა: აღფრთოვანებული და ბედნიერი ვარ, ასეთი უძველესი და იშ-

ვიათი ჯიშის ნივთი საკუთარი თვალით რომ ვნახეო. თანაც ისეა შენახული, უროც რომ ურტყათ, ვერ გატეხთ. სპეციალისტებისთვის ეს ფაქტიც საოცარია.

— დაუჯერებელია, რომ ასეთი ნივთის გაყიდვა გიჭირთ...

— ჩვენ თაღლითებისა და გადამყიდველების ხახაში აღმოვჩნდით, ვინაიდან მყიდველებთან მოლაპარაკებები პირადად არ გვინარმოებია. ერთი კაცი გაორმაგებულ თანხას გვაძლევდა — იმაზე მეტს, ვიდრე ვაფასებდით, მაგრამ ვარდების რევოლუციის შემდეგ, როგორც ბევრმა სხვა მდიდარმა ადამიანმა, მანაც ჩრდილში დარჩენა და ფულის დამალვა არჩია. როცა გაყიდვა დავაპირეთ, გავაკეთეთ დისკეტები, რომლებზეც როიალია აღბეჭდილი. მაკლერებმა ისინი ალბათ მთელ თბილისში გაავრცელეს და თვითონვე დაადეს ფასები. ზოგი 500.000-ად აფასებს, ზოგი — მილიონ დოლარად. საქართველოში ჩემი როიალით ყველამ ბიზნესის გაკეთება მოისურვა და იმდენმა ადამიანმა მისწერა სეილერის ქარხანას, რომ დაგვიკავშირდნენ და გვკითხეს: გაგვაგებინეთ, როიალი თქვენი საკუთრებაა თუ არა, რამდენი ადამიანი აცხადებთ ამ ნივთზე პრეტენზიასო?! ერთი სიტყვით, დააფრთხეს ის ხალხი.

— ალბათ, სხვა ძვირფასი ნივთებიც გექნებოდათ?

— რაც კი რამ ძვირფასი ნივთი მქონდა, ყველაფერი ვარდის ხისგან იყო დამზადებული. დიდიმ ჭეიშვილის დანატოვარი ამ უძვირფასესი ნივთებიდან აღარაფერი შემოგვრჩა. 1993 წელს, „ერმიტაჟიდან“ ქუთაისში დელეგაცია იყო ჩამოსული, სპეციალურად ანტიკვარიატის შესაძენად. მოგეხსენებათ, ქუთაისი უძველესი ქალაქია. იქ ბევრ ოჯახში ისეთი განძი დევს, მისი ფასიც რომ არ იციან. მოვიდნენ ჩვენ-



დიდიმ ჭეიშვილი

თანაც. იყიდეს ჭაღი და ბუფეტი. ისინი ახლა „ერმიტაჟს“ ამშვენებს. ძალიან იაფად გავყიდეთ — ორივეში მხოლოდ 30.000 დოლარი ავიღეთ. გაოცდნენ, როიალი რომ დაინახეს. იცით, რამდენი ხანი გვეხვეწნენ, მოგვყიდეთო?! 150.000 დოლარს გვაძლევდნენ, მაგრამ არ მივეცით. არ ვყიდდით და იმიტომ. სამი თვის შემდეგ კიდევ გამოგვიგზავნეს წარმომადგენლები. ისევ უარით გავისტუმრეთ. წლების შემდეგ, როცა ამ ძვირფასი ნივთის გაყიდვა მოვინდომეთ და დავრეკეთ იმ ნომრებზე, რომ-ლებიც დაგვიტოვეს, გვიპასუხეს: ეგ ხალხი აქ აღარ მუშაობს, თქვენს ნივთს კი გლინკას მუზეუმი შეიძენსო. მიგვასწავლეს, ვისთვისაც უნდა დაგვერეკა. მართლაც, დავრეკეთ მოსკოვში, ახალი ნივთების შესყიდვაზე პასუხისმგებელმა ქალმა გვიპასუხა. ვუთხარი: სეილერის როიალი გვაქვს-მეთქი. „ედუარდ სეილერი“ თუ „ედუარდ სეილერ ლიგნიციო?“ — მკითხა. ედუარდ სეილერ ლიგნიციის-მეთქი. — ვუპასუხე. შეუძლებელიაო, — თქვა. მეორე დღეს უქმე ჰქონდათ. დირექტორმა გამოართვა ყურმილი და მითხრა: თუ თქვენ ინტერნეტით დაზუსტებულ ინფორმაციას გამოგვიგზავნით, ხვალ არ დავისვენებთ, მთელი დღე დაგელოდებითო. სამი დღე მირეკავდნენ, ფასზე არც შემვაჭრებიან — 250.000 დოლარს ვაფასებდი.

— რატომ აღარ იყიდეს?

— მუზეუმს ამხელა ფული სად ჰქონდა? ფული კულტურის სამინისტროს უნდა გამოეყო. სამინისტრომ თანხა არ გამოყო. ის კაცი ისე შეწუხდა, დამშვიდობებისას მითხრა: ეჰ, შვილო, თქვენ სახლში შედევრი

ეს ქარხანა 1849 წელს დააარსა ცნობილმა გერმანელმა კომპოზიტორმა ედუარდ სეილერმა

გიდგათ, შეუფასებელი ნივთები არ არსებობს, მაგრამ ჩემთვის ეს როიალი შეუფასებელიაო. ერთი სიტყვით, ჩვენი ნივთი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს გაოცებულს ტოვებს.

— ეს როიალი თქვენს ოჯახში საიდან მოხვდა?

— ბაბუაჩემის მამა იყო ვიქტორ ჭეიშვილი. დაიბადა 1838 წელს. დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია. სწავლა ჯერ პეტერბურგში, შემდეგ კი საფრანგეთში გააგრძელა. მერე დაბრუნდა საქართველოში და ხიდების მშენებლობას მიჰყო ხელი. თავისი სახსრებით ააშენა ჭოროხის ხიდი, რომელიც ასლან აბაშიძის ხელისუფლების დამხობის დროს მოვლენათა ეპიცენტრში მოექცა. თავისსავე სახსრებით, ქუთაისში ააგო ეკლესია. ბოლშევიკებმა ბაბუას ყველაფერი ჩამოართვეს, თუმცა თავისი საგანძურის ძალიან მცირე ნაწილის გადარჩენა მაინც შეძლო. ამ მცირე ნაწილს მიეკუთვნება აღნიშნული როიალი. 98 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს ყველაფერი გადმოცემით ვიცი. მამა მიამბობდა ხოლმე, რომ ვიქტორი მიღებული იყო იმპერატორის კარზე, რუსეთში ხშირად დადიოდა, იმპერატორი და გუბერნატორები მას წვეულებებზე ეპატიჟებოდნენ... შესაბამისად, რაღაც თანამდებობაც ექნებოდა. მისი შვილი — დიდიმ ჭეიშვილი გახლდათ მწერალი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე. მუშაობდა ახალციხის და გორის თეატრების რეჟისორად. წლების განმავლობაში იყო მესხიშვილის თეატრის დირექტორი და დასავლეთ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ხელმძღვანელი. მისი მეუღლე გახლდათ მსახიობი მარგალიტა ჯაფარიძე. ჩვენ აღარაფერი შეგვარჩინეს. ყველაფერი მოგვპარეს. ტელევიზიით ნახეთ ალბათ, დიდიმ ჭეიშვილის სახლი როგორ განადგურდა, წიგნებიც კი წაიღეს. სახლი სულ დააცარიელეს. ეს ამბავი მეც ტელევიზიით შევიტყვე. მაშინ თბილისში ვიყავი, ამ ორი დიდებული ადამიანისგან დამრჩა როიალი და კიდევ რამდენიმე ძვირფასი ნივთი.

— ისინიც გაყიდეთ?

— დიახ. იცით, როგორი ჭურჭელი მქონდა?!. მაგრამ არ მენანება და იცით რატომ? — თავი მომაბეზრა ამდენმა ხელუხლებელმა ავეჯმა და ჭურჭელმა. თუ ვერ გამოვიყენე, რად მინდა?! როიალთან განშორება კი ნამდვილად გვენანება, გვიყვარს — მასზე ჩემი დიდი ბებია და ჩვენი ოჯახის ყველა ქალი უკრავდნენ. რომ გავთხოვდი, მზითვში მომცეს. როცა დავიბადე, მაშინ უთქვამს დიდიმ ჭეიშვილს: ეს როიალი უნდა ჰქონდეს ნარგიზას, მან თავის ქალიშვილს გადასცეს, იმან კიდევ — თავისას და ა.შ; ის უნდა გადავიდეს შთამომავლობით, თაობიდან თაობაზეო.

— რატომ ყიდით? ანდერძს რატომ არ ასრულებთ?

— ძალიან რომ გაგვიჭირდა, გაყიდვა ამიტომ გადავწყვიტეთ, თორემ მასზე უკეთესი, სახლში რა უნდა დავდგათ? რაც დრო გადის, ფასი უფრო ემატება. გადმოცემით ვიცი, რომ საუკუნის წინ რუსეთის იმპერატორის ოჯახის ერთ-ერთმა წევრმა ეს როიალი საყვარელი მომღერალი ქალისთვის დაამზადებინა. უნდოდა, მისთვის სიყვარულის ნიშნად რაღაც განსაკუთრებული ეჩუქებინა. მაშინ გრძნობები რომ გამოგეხატა, ქალისთვის ვარდი უნდა მიგერთმია. ვარდი დაჭკნებოდა და გადაგდებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, ვარდის ხის ნივთი შეეძინა. ეს ნივთი აღმოჩნდა როიალი. შეუკვეთა, დაამზადებინა, ჩამოატანინა პეტერბურგში, მაგრამ ჩუქება გადაიფიქრა: თურმე საყვარელმა ქალმა სხვა მამაკაცში გაცვალა. განრისხებულმა დიდებულმა როიალი გაყიდა. მისი ყიდვა ბევრს სურდა თურმე, მაგრამ მაშინაც ძალიან ძვირი ღირებულა. მაშინ, ქართველ წარჩინებულს, თავად ვიქტორ ჭეიშვილს გამოუჩენია თავი და ის თავისი საცოლისთვის შეუძენია. მას შემდეგ, ვარდის ხის როიალი ჩვენი ოჯახის ქალების საკუთრებაა. ჩვენთვის ის სიყვარულის, ერთგულებისა და სიძლიერის სიმბოლოა. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

C ჰეპატიტი — ვიმკურნალოთ დროულად!

C ჰეპატიტი ღვიძლის მძიმე დაავადებაა, რომელიც დღეისათვის ყველაზე გავრცელებულ ინფექციებს მიეკუთვნება. იგი სისხლის მეშვეობით გადაეცემა. ჩვენს ქვეყანაში C ჰეპატიტით 200 ათასი ადამიანია ავად, მთელ მსოფლიოში კი 200 მილიონი ავადმყოფია რეგისტრირებული.

C ჰეპატიტით ინფიცირებისთვის ინფიცირებულის სისხლი ან ქსოვილოვანი სითხე ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმში უნდა მოხვდეს. ეს სხვადასხვა გზით ხდება. ხშირად ადამიანი ვერაფრით ხვდება, სად და როგორ დაინფიცირდა C ჰეპატიტის ვირუსით.

რისკ-ჯგუფში შედიან:

- ნარკომანები;
- ადამიანები, რომელთაც მრავალი სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ;
- ისინი, ვისაც ჩატარებული აქვთ ტატუირება ან პირსინგი;
- ჰემოდიალიზზე მყოფნი;
- მედიცინის მუშაკები, რომელთაც უშუალო კონტაქტი აქვთ სისხლთან;
- პირები, რომელთაც ჩატარებული აქვთ სისხლის გადასხმა ან ორგანოთა გადანერგვა იმ დრომდე, ვიდრე ვირუსს აღმოაჩენდნენ (C ვირუსი 1989 წელს აღმოაჩინეს).

C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირების მიზეზად შეიძლება იქცეს ინფიცირებულის პირადი ჰიგიენის საგნებიც: კბილის ჯაგრისი, საპარსი, ფრჩხილების მაკრატელი.

თუ ადამიანი ეჭვობს, რომ C ვირუსით დაინფიცირდა, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს და შესაბამისი გამოკვლევები ჩაიტაროს. C ვირუსით ინფიცირებული პირი ინფიცირებიდან ორი კვირის თავზე უკვე გადამდებია. ასე რომ, ნუ დააყოვნებთ ექიმთან მისვლას. ამჟამად არსებობს მკურნალობის ეფექტური საშუალებები, რომლებიც დაავადების პროგრესირებისაგან გიხსნით.

დაავადების სიმპტომები

დაავადება შეუმჩნევლად ვითარდება. ინფიცირებული კარგა ხანს თითქმის ვერაფერს გრძნობს. იმ დროისათვის, როცა დაავადების სიმპტომები იჩენს თავს, ღვიძლის დაზიანების ხარისხი უკვე საკმაოდ მაღალია.

C ჰეპატიტის სიმპტომები ხშირად წააგავს გრიპის, მსუბუქი კვებითი მოწამვლის, უბრალოდ გადაღლილობის ნიშნებს. ეს სიმპტომები გახლავთ:

- ადვილად დაღლა;
- უმადობა;
- მუცლის ტკივილი;
- გულისრევის შეგრძნება;
- მუქი შარდი;
- სიყვითლე.

ორი უკანასკნელი სიმპტომის გამოვლენა დაავადების გვიან სტადიაზე მიუთითებს.

ვინაიდან C ჰეპატიტით ინფიცირებულთა უმრავლესობას ჩივილები საერთოდ არა აქვს, უმჯობესია, რისკ-ჯგუფში მყოფნი დროულად იქნნენ გამოკვლეულნი — დროული დიაგნოსტირება და მკურნალობა გამოჯანმრთელების საწინდარია.

მიმდინარეობის თავისებურებანი

C ჰეპატიტი თითოეული ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვანაირად პროგრესირებს, ამიტომ წინასწარ შეუძლებელია იმის თქმა, რამდენად სწრაფად გაუარესდება მდგომარეობა. მკურნალობამ დაავადებულის სისხლში ვირუსის კონცენტრაცია შეიძლება იმდენად შეამციროს, რომ მისი აღმოჩენა, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდეს. ასეთ შემთხვევაში, ღვიძლს შემდგომი დაზიანება არ ემუქრება.

C ჰეპატიტი მწვავედაც შეიძლება მიმდინარეობდეს და ქრონიკულადაც. მწვავე ჰეპატიტი დაახლოებით 6 თვეს გრძელდება, ქრონიკული კი, უფრო მეტხანს გასტანს.

ქრონიკული C ჰეპატიტი დუნედ მიმდინარე ინფექციაა. ის დიდხანს, 10-40 წლის განმავლობაში პროგრესირებს. არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმადაც, თუ ინფიცირება შუახნის ან ხანდაზმულ ასაკში მოხდა, დაავადების პროგრესირება უფრო სწრაფია.

ქრონიკული C ჰეპატიტი მძიმე დაავადებაა და თუ სათანადოდ არ ვუმკურნალებთ, ერთობ სავალალო გართულებებს იწვევს. მაგალითად, ციროზს ან ღვიძლის კიბოს.

ზოგჯერ C ჰეპატიტით დაავადებულნი, რაკი თავს კარგად გრძნობენ, დაავადებას სერიოზულად არ აღიქვამენ და უგულისყუროდ ეკიდებიან. ორგანიზმში მოხვედრილი C ვირუსი კი გამრავლებას იწყებს და ღვიძლის უჯრედებს აზიანებს. დაზიანება თანდათან ღრმავდება. დაავადებული ღვიძლი ცდილობს, აღიდგინოს დაზიანებული უბნები, რის შედეგადაც მასზე ნაწიბურები წარმოიქმნება. მალე ღვიძლი მთლიანად იფარება ნაწიბურებით — ვითარდება ციროზი და ღვიძლს ნორმალური ფუნქციონირება აღარ ძალუძს.

როგორ მკურნალობენ

მკურნალობის მიზანი ვირუსისგან ორგანიზმის გაწმენდა გახლავთ. თერაპიის შედეგად, დაავადებული თავადვე გრძნობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. უმჯობესდება ლაბორატორიული მონაცემებიც. ვირუსის განადგურება ან მისი გამრავლების შეჩერება დაავადების შემდგომ პროგრესირებას აფერხებს.

C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინა არ არსებობს. ამჟამად ყველაზე ეფექტურ მკურნალობად მიიჩნევა კომბინირებული თერაპია ალფა-ინტერფერონითა და რიბავირინით. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მკურნალობა საგრძნობლად დაიხვეწა და განკურნების შანსი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ინტერფერონი ცილაა, რომელსაც ადამიანის ორგანიზმი თავადვე გამოიმუშავებს, თუმცა მისი სინთეზი ხელოვნურადაც შესაძლებელია. ინტერფერონი ინიექციით შეჰყავთ ორგანიზმში და მის კონცენტრაციას ზრდიან. ამას ბიოლოგიური თერაპია ეწოდება. ინტერფერონი ორგანიზმის იმუნურ სისტემას ვირუსის გამრავლების დათრგუნვაში ეხმარება. მისი ორი სახეობა არსებობს: სტანდარტული და პელიგირებული. პელიგირებული ინტერფერონი სტანდარტულზე მეტხანს რჩება ორგანიზმში და შესაბამისად, ეფექტურობაც უფრო მაღალი აქვს, გარდა ამისა, უფრო მოხერხებულიც არის, რადგან მისი შეყვანა კვირაში მხოლოდ ერთხელ არის საჭირო და არა სამჯერ, როგორც სტანდარტული ინტერფერონისა.

რიბავირინი ანტივირუსული საშუალებაა, რომელსაც მხოლოდ ინტერფერონთან ერთად, კომბინირებულად უნიშნავენ. ის კაფსულების სახით მიიღება. C ჰეპატიტის დროს მისი დამოუკიდებლად გამოყენება უშედეგოა.

ინტერფერონითა და რიბავირინით კომბინირებული მკურნალობა 24 ან 48 კვირის განმავლობაში ტარდება. მკურნალობის ეფექტურობას კი სპეციფიკური ვირუსული გამოკვლევით ამოწმებენ. ეს გამოკვლევა მკურნალობის დასრულებიდან 6 თვისთავზე ტარდება. ■

მკურნალი კომბოსტო

კომბოსტო გემრიელი და თან არაჩვეულებრივი სამკურნალო თვისებების მქონე ბოსტნეულია. იგი ვიტამინების მთელ კომპლექსსა და 16-მდე ამინომჟავას შეიცავს. კომბოსტოს წვენში აღმოაჩინეს წყლულის საწინააღმდეგო ფაქტორი — U ვიტამინი. კომბოსტო შეიცავს მჟავას, რომელიც აფერხებს ორგანიზმში ნახშირწყლების ცხიმებად გარდაქმნას. ეს მცენარე მდიდარია ბოჭკოებით, რომლებიც დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაზე და ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას უწყობს ხელს.

სამკურნალო მიზნით გამოიყენება კომბოსტოს ფურცლები, ახალგამოწურული წვენი, მწნილი და მისი მარილწყალი. ეს უკანასკნელი სამკურნალო თვისებებს დამჟავებისას იძენს, როცა ვიტამინების ნაწილი და ბიოაქტიური ნივთიერებები მასში გადადის. 2-3 დღის განმავლობაში კომბოსტოს მწნილის თბილი წვენის რეგულარული მიღება ნაღვლის გამოყოფას აძლიერებს და პანკრეასის მუშაობას ასტიმულირებს.

კომბოსტოს ფოთლების ჭარბად მიღებას მეტეორიზმი მოსდევს, ამიტომ, წვენის სმა უმჯობესია.

კომბოსტოს ფურცლები წვენსაწურშიც შეგიძლიათ გაწუროთ და ხორცსაკეპ მანქანაშიც გაატაროთ, მერე კი დოლბანდში გაახვიოთ და გამოწუროთ. წვენი ვარგისია მხოლოდ 2 დღე, თანაც აუცილებლად 2 გრადუსზე დაბალ ტემპერატურაზე უნდა ინახებოდეს. სხვაგვარად სამკურნალო თვისებებს დაკარგავს.

• ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს, ხველის დაასამებლად და ნახველის ამოღების გასაადვილებლად რეკომენდებულია კომბოსტოს ნაყენი ან თაფლიანი წვენი. თბილ წყალში გაზავებულ წვენს ყელის ტკივილის დროს პირის ღრუში ივლებენ. ზედა სასუნთქი გზების მწვავე კატარისა და ხველების სამკურნალოდ 5-6 დღის მანძილზე უნდა მიიღოთ 1 ჩ/კ შაქრით დამტკბარი 0,5 ჭიქა კომბოსტოს თბილი წვენი.

● თავის ტკივილი დაგიამდებათ, თუ კომბოსტოს ფურცელს მტკივან ადგილას დაიფენთ.

● მაღალი სიცხის დროს, ავადმყოფს წინათ შუბლსა და საფეთქლებზე კომბოსტოს ფურცლებს აფენდნენ.

● ღრძილებიდან სისხლდენის დროს, რეკომენდებულია დიდხანს, ნელ-ნელა, მჟავე კომბოსტოს ღეჭვა ან პირის ღრუში მარილწყლის გამოვლება. ძალზე ეფექტურია ასეთი პროცედურა: დილას და საღამოს, ძილის წინ, კომბოტოს წვენში დასველებული დოლბანდით ან ბამბით კბილები და ღრძილები გაიწმინდეთ და შემდეგ, წვენი პირში გამოივლეთ. კურსი 1 თვეს გრძელდება.

● ათეროსკლეროზის პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება კომბოსტოს ფურცლები, მწნილი, წვენი. წვენს სვამენ 0,5-1 ჭიქას 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

● კომბოსტოს წვენი ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის შეხორცებას. მკურნალობა ასეთი სქემით უნდა წარიმართოს: 3 დღე ზედიზედ, დილა-საღამოს, ჭამამდე 2 საათით ადრე, მიიღეთ 0,5 ჭიქა თბილი წყალში გაზავებული 30-40 გ თაფლი, შემდეგ კი დაიწყეთ ძირითადი მკურნალობა. ორი დღე სვით 0,5 ჭიქა კომბოსტოს წვენი. შემდეგი 12 დღის მანძილზე კი მიიღეთ 1 ჭიქა ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. თუ წყლული ამის შემდეგაც არ შეხორცდა, ათდღიანი შესვენების შემდეგ, კურსი გაიმეორეთ.

● პოდაგრის დროს 5 დღე ზედიზედ, შესივებულ ადგილას დაიდეთ კომბოსტოს ფურცელი, შეიხვიეთ და მთელი ღამით გაიჩერეთ.

● თუ გაწუხებთ ბუასილი, რომელიც შეკრულობითა და სისხლდენით მიმდინარეობს, დღეში 1-2-ჯერ, ჭამამდე 30 წუთით ადრე, მიიღეთ 1 ჭიქა კომბოსტოს მწნილის მარილწყალი და დოზა თანდათან გაზარდეთ 3-4 ჭიქამდე დღეში.

● ჩირქოვანი დაავადებების, დამწვრობისა და წყლულების შემთხვევაში გაატარეთ კომბოსტოს ფურცლები ხორცსაკეპ მანქანაში, შეურიეთ უმი კვერცხის ცილა და დაიდეთ დაზიანებულ კანზე.

თუ თქვენ გაქვთ...

კოჟიჟი — ფეხებზე რეგულარულად იკეთეთ სოდიან-საპნიანი წყლის და გვირილის ნაყენის ნარევის (1:1) აბაზანა. აბაზანის მოსამზადებლად 1 ს/კ სოდა უნდა გახსნათ 3 ლ წყალში. აბაზანის მიღებამდე ფეხის ძირი ფრთხილად უნდა გაიხეხოთ პემზით. კოჟიჟისა და ნახეთქების მოსაშორებლად, საკმარისია 20-წუთიანი 6-10 პროცედურა. კოჟიჟები შეიძლება მოიშოროთ ნივრის გამოყენებითაც. ამისთვის ნივრის წვენში უნდა დაასველოთ ბამბის ან დოლბანდის ტამპონი, შემდგომ კი დაიფინოთ წინასწარ სოდიან აბაზანაში დარბილებულ კოჟიჟზე; პროცედურა სასურველია ჩატარდეს საღამოს, ძილის წინ.

კენჭები თირკმელში — სვით ნაყენი, რომელიც მზადდება თანაბარი რაოდენობის თაფლის, არყის, ბოლოკისა და ჭარხლის წვენების შერევით. ნარევის კომპონენტები ერთმანეთს კარგად უნდა შეურიოთ და ჭურჭელი დადგათ თბილ ადგილას. პერიოდულად შეანჯღრიეთ, მიღების წინ კი, 1 ს/კ ნაყენი გახსენით 1 ჭიქა თბილ წყალში. მკურნალობის კურსის ჩასატარებლად დაგჭირდებათ 1 ლ ნაყენი.

ჰაიმორიტი — წვრილ სახეზე გახეხეთ ხახვი და გამოწურეთ წვენი ორფა დოლბანდის გამოყენებით. დაიორთქლეთ სახე კანიანად მოხარშული კარტოფილის ორთქლით, შემდგომ კი ჩაიწვეთეთ ხახვისა და სპირტის (თანაბარი რაოდენობით), ნარევის 2-2 წვეთი თითოეულ ნესტოში.

ათეროსკლეროზი — კვირაში 2-3-ჯერ ჩართეთ რაციონში თევზი და შინაური ხაჭო. ერთი თვის განმავლობაში დილაობით უზმოზე, ყოველდღიურად მირთვით ერთი მუჭა ქიშმიში, რომელიც წინაღამეს უნდა ჩაალბოთ თბილ წყალში.

ცხიმიანი კანი — კვირაში ერთხელ გაიკეთეთ კომბოსტოს მწნილის ნიღაბი: კომბოსტოს სქელი ფენა დაიდეთ სახეზე, დაიფარეთ ხელსახოცი, ნახევარ საათში მოიშორეთ და სახის კანში კრემი შეიზილეთ. ასეთი ნიღბის რეგულარული გამოყენების შედეგად ცხიმიანი და გამონაყარიანი კანი რბილი და ელასტიკური გახდება, თანაც გათეთრდება.

სლოკინი — ჩაის კოვზზე ერთმანეთს შეურიეთ ცოტა მდოგვი და სუფრის ძმარი. ფაფისებური ნარევი ენის წვერზე წაისვით და 2-3 წუთი გაიჩერეთ. სლოკინი გაგივლით.

კუჭის წყლული — გიშველით 100 გ პროპოლისის, 20 გ სელის თესლის, 50 გ შვრიის მარცვლებისა და წვრილად დაჭრილი ოროვანდის ფოთლის ნარევი. ამ ნარევს უნდა დაასხათ 0,5 ლ წყლისა და არყის ნაზავი (1:1), დადგათ 8 დღე, გაწუროთ და სვათ თითო ს/კ, ჭამის წინ.

ეროვნული საკითხავი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. ეს ესპანელი მხატვარი წარმოშობით ბერძენი იყო. მისი ნამდვილი გვარი — თეოტოკოპულო გახლდათ. რა სახელით ვიცნობთ ჩვენ მას?

2. დაასახელეთ თბილისში მდებარე ორსართულიანი ეკლესია, რომლის ქვედა სართული სულიწმიდის სახელობისაა, ზედა სართული — წმინდა გიორგის სახელობის.

3. 1878 წელს, ინგლისში საფეხბურთო მატჩის დროს, მსაჯმა პირველად გამოიყენა სასტვენი. როგორ აჩერებდნენ მატჩის მსვლელობას მანამდე?

4. ეს სპორტული ინვენტარი, როდესაც მას უმაღლესი დონის შეჯიბრებებში იყენებენ, აუცილებლად ერთი წლის ბატის ბუმბულისგან უნდა იყოს დამზადებული.

5. სად მისცა შეერთებული შტატების მოქალაქემ, ლეროი ჩაომ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს ხმა?

6. ერთხელ, მარკ ტვენის დედა მატარებლით მგზავრობისას გაცხარებულ დავას შეესწრო: მგზავრების ერთი ჯგუფი ამტკიცებდა — მარკ ტვენი ჰანიბალის შტატშია დაბადებულიო, მეორე ჯგუფი კი ამბობდა — მწერალი ფლორიდელიაო. ქალბატონი ჯეინ კლემენსი ამ უკანასკნელთ მიემხრო, რამაც დანარჩენები საშინლად აღაშფოთა და მოხუც ქალბატონს უკმეხი სიტყვები აკადრეს: როცა არ იცი, რატომ ლაპარაკობო?! რა უპასუხა ქალმა?

7. როდესაც ოლივერ კრომველის ჯარი მეფის არმიასთან შესაბრძოლებლად, მდინარის გადასალახავად ემზადებოდა, ლორდ-პროტექტორმა ასეთი სიტყვებით მიმართა თავის ჯარისკაცებს: „ღვთის შემწეობის იმედს ნუ დაკარგავთ, მაგრამ მდინარის გადალახვისას ეცადეთ...“ — დაასრულეთ კრომველის სიტყვები.

8. სამხედრო პირი წმინდანად არასდროს შეურაცხავთ. დაასახელეთ ერთადერთი გამონაკლისი.

9. „სანტა კლაუსი ყველგან მარხილით როდი გადაადგილდება. მაგალითად, ჰავაიზე საშობაო გემით ჩადის“. რა ტრანსპორტით სარგებლობს იგი კალიფორნიაში ჩასასვლელად?

10. „ეეჰ, მაგას ბერია თუ დაიჭერს...“ — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ფეხბურთელმა ვლადიმერ ბარქაიამ, როდესაც მატჩის წინ, ამ ფეხბურთელის ვარჯიში ნახა. ვინ მოახდინა მასზე ასეთი შთაბეჭდილება?

11. რატომ მალავდა დიურერი თავის ავტოპორტრეტს, რომელიც ანფასში იყო შესრულებული?

12. ჰყვებიან, რომ თეატრში მომუშავე მხატვარი, ალექსანდრ ტიშლერი სპექტაკლის დეკორაციების ესკიზის შექმნისას, ფურცლის კუთხეში პატარა მწვანე ძაღლს ხატავდა. სამხატვრო საბჭოს ეს ძაღლი უკვე დასანახავად სძულდა და მხატვარს ყოველთვის უხდებოდა მისი წაშლა. თუმცა, ნახატი ერთგვარ ფსიქოლოგიურ ფუნქციას მაინც ასრულებდა. რა ფუნქციას?

ანეკდოტები

***

კაცი ტურისტულ სააგენტოში მივიდა, საზღვარგარეთ გამიშვითო. აგენტმა ჰკითხა:



— ამერიკა გაწყობთ?

— 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, ამერიკაში წასვლის მეშინია.

— მაშინ ისრაელში გაგიშვებთ, — უთხრა აგენტმა.

— ვერც იქ წავალ, მეშინია, პალესტინელები სულ რაღაცას აფეთქებენ.

— გერმანიაში?

— გერმანიაშიც ბევრი კრიმინალია და მეშინია.

— მაშინ, აი, შენ გლობუსი, მე შესვენებაზე მივდივარ ერთი საათით და რომ დავბრუნდები, თითს სადაც დაადებ, იქ გაგიშვებ.

ერთი საათის შემდეგ აგენტი დაბრუნდა.

— აბა, რა გადაწყვიტე, სად გინდა?

— სხვა გლობუსი ხომ არ გაქვთ?

***

კოჭლი ლევანა არ იშლის — მოხალისედ უნდა წავიდე ერაყშიო.

— ერაყში რა გინდა? დაეგდე სახლში, აქ ხომ მე მომკალი და იქ კიდევ, სნაიპერი უნდა შეშალო ჭკუაზე?! — გადაირია მამამისი.

***

ორმა სვანმა ტაქსი გააჩერა:

— მთაწმინდაზე აგვიყვან?

— დაჯექით, — უპასუხა მძღოლმა.

დაიწყეს ჩხუბი, თუ ვინ დაჯდებოდა წინ. მძღოლი წონასწორობიდან გამოვიდა:

— უკან დასხედით და „ზადნი ხოდით“ წავალ!

***

კამიკაძე ბავშვებს გაკვეთილს უტარებს:

— კარგად მიყურეთ, ბავშვებო, თორემ, ამას ვეღარ გაგიმეორებთ.

***

სვანეთის ერთ სოფელს თვითმფრინავმა გადაუფრინა. სოფლელებმა საკენკი დაუყარეს, — მოვიშინაუროთო.

***

ქმარი ცოლს ეკითხება:

— რა გაჩუქო დაბადების დღეზე?

— უი, არც კი ვიცი!..

— კარგი, მოსაფიქრებლად ერთ წელს გაძლევ.

***

— აუცილებლად გიჩივლებთ: თქვენ რომ ჩრჩილის წამალი მომეცით, არაფრად ვარგა!

— რატომ, არ კლავს?

— კლავს კი არა, ხალვასავით ჭამს!

— ჭამოს, მერე, გაძღება და ტანსაცმელს აღარ გაეკარება!

***

ორი ქალი ხვდება ერთმანეთს.

— გამარჯობა, როგორ ხარ? 25 წელია, ერთმანეთი არ გვინახავს. როგორ გასუქებულხარ! უცებ, ვერც კი გიცანი...

— შენც ძალიან გამოცვლილხარ და რომ არა შენი ყვავილებიანი კაბა, ნამდვილად ვერ გიცნობდი...

***

ბავშვი არაფრით იძინებს. დედა მამას ეკითხება:

— ხომ არ ვუმღერო?

— რატომ, ასე პირდაპირ? იქნებ, ჯერ მოფერება გეცადა.

***

ქუთაისელს საბაჟოზე ჩემოდანს უჩხრეკენ.

— ხომ იცი, სპირტიანი სასმელების შემოტანა არ შეიძლება.

— ვიცი, ბატონო!

— ამ ბოთლში რა არის?

— წმინდა წყალია, იერუსალიმიდან მომაქვს.

შეამოწმეს და ხუთვარსკვლავიანი

კონიაკი აღმოჩნდა.

— მოხდა სასწაული! — თვალები ზე აღაპყრო ქუთაისელმა. — წყალი კონიაკად იქცა! მართლაც, სასწაულების ქალაქია იერუსალიმი!

***

მამაკაცი უცნობ ქალს ეკითხება:

— მილიონ დოლარად ჩემთან დაწვებით?

— რასაკვირველია!

— ერთ დოლარად?

— თქვენ მე ვინ გგონივართ?!.

— ვინცა ხართ, ეგ უკვე გავარკვიე, ახლა ფასზე შევთანხმდეთ.

***

— რა გჭირს, მეგობარო? სახე დაკაწრული გაქვს, თვალები — ჩალურჯებული, ტანსაცმელი — დახეული! წამოდი, სახლში მიგიყვან.



— თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, სახლიდან მოვდივარ!

***

სვან ყასაბთან მყიდველი მივიდა:

— ბიძაჩემო, ეგ ხორცი ადრე ყეფდა თუ კნაოდა?

— ადრე ეს ხორცი უამრავ სულელურ შეკითხვას იძლეოდა...

***

ორი კახელი ქალი ავტობუსში საუბრობს:

— აღარ შემიძლია, რაც ჩემი შვილი ინსტიტუტში მოეწყო, ერთი ფეხი ლაგოდეხში მაქვს, მეორე — თბილისში.

უკან მჯდომი კაცი თავისთვის ჩაიბურტყუნებს:

— იფ, რა სანახავი იქნები საგარეჯოდან!..

***

მამა ქალიშვილს ეკითხება:

— როგორ არის შენი ვატოს საქმეები?

— წვრილმანებზე ვკამათობთ.

— მაინც, რაზე?

— მაგალითად, მე მინდა, რომ ქორწილში თეთრი კაბა ჩავიცვა, იმას კი, დაქორწინება საერთოდ არ უნდა.

***

— დღეს სკოლაში წარმატებული დღე მქონდა.

— როგორ?

— მასწავლებელს უნდოდა, კუთხეში დავეყენებინე, მაგრამ ოთხივე კუთხე დაკავებული აღმოჩნდა.

***

ჩანაწერი დღიურში:

„პახმელიაზე“ ვარ! ხელები დილიდანვე მიკანკალებს. ვიხსნი პიჟამოს ღილებს — ღილები სწყდება. ვიღებ კეისს — სახელური სძვრება. მეშინია, ტუალეტში შესვლის...“

***

განცხადება:

„ხერხემლის გამრუდება, ახლომხედველობა, საკვებით მოწამვლა, გადაღლა და გამოთაყვანება — გარანტიით. 645-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია“.

***

ახალი ამბები:

„ქალაქის საავადმყოფოში გუშინ მიკროქირურგიული ოპერაცია გაკეთდა. ქირურგის სიმაღლე 85 სანტიმეტრი გახლდათ“.

***

მაღაზიაში:

— რას ჰგავს ეს? მომიტანეთ თქვენი საჩივრის წიგნი!

— რომელი ტომი მოგართვათ?

***

— გუშინ კინოში მაგარი სასიყვარულო სცენები ვნახე!

— ფილმს რა ერქვა?

— არ ვიცი, შუქი რომ აანთეს, მაშინ მივხვდი, ეკრანისკენ ზურგით რომ ვიჯექი.

ჭორაობის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ელ გრეკო.
2. ქაშუეთის ეკლესია.
3. ყვირილით.
4. ბადმინტონის ვოლანი.
5. კოსმოსში, ორბიტულ სადგურზე.
6. დედა ვარ და დამეჯერება, მე თვითონ ვესწრებოდი მის დაბადებასო.
7. „...დენთი მშრალად შეინახოთ“.
8. ადმირალი თეოდორ უშაკოვი, რომელიც ახლახან გამოაცხადეს წმინდანად.
9. სერფინგის დაფით.
10. პელემ.
11. იმ პერიოდში ანფასში მხოლოდ წმინდანებს ხატავდნენ.
12. ამ გამოსახულების გამო ჩხუბით არაქათგამოცლილი, სამხატვრო საბჭოს წევრები მხატვარს სხვა შენიშვნებს ფაქტობრივად, აღარ უსვამდნენ.

***

— რა მიჭყლეტილი გაქვს ცხვირი, მოკრივე ხარ?

— არა, ფანჯრებს ვწმენდ ქალების აბანოში.

***

განცხადება:

„დაგიმზადებთ ტუალეტის ქაღალდს თქვენი დაუძინებელი მტრის გამოსახულებით“.



„აქ ვერ დაგნებდები, ხორხალ...“

veluri wablis xeivani

„pantera“

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-48

ზაზა ვაჩნაძე

გრძელდება ანი ბერიძის ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც მისი მულის, ნუციკოს საყვარლის (ამავე დროს, მამამთილის, გაიოზის ბავშვობის მეგობრის), ბიზნესმენ ლევან იაშვილის იდუმალი სიკვდილის გარემოებათა გარკვევას ისახავს მიზნად. გამომძიებელ მურად ოქროპირიძესთან ერთად, ის სამხილების მოპოვებას ცდილობს და შესთავაზებს მას, ლევანის საახლობლო წრის ბიზნესმენებს ეწვიოს და რაიმე ინფორმაცია გამოსტყუოს. მათ შორისაა თენგიზ გომართელი, რომელიც ერთობ ექსცენტრიკული ადამიანი აღმოჩნდება, მურადის მოსვლისთანავე კარადიდან კონიაკის ბოთლს გამოაძვრენს, ხოლო როცა შეიტყობს, რომ გამომძიებელს ქვემოთ, მანქანაში ჟურნალისტი ქალი ელოდება, ამოაყვანინებს მას, თავის მდივან ქალს, ჯულიეტას უხმობს, კალთაში ჩაისვამს და ახალგაცნობილებთან ერთად, „ბაირამობას“ მიჰყოფს ხელს. კულმინაცია მაშინ დადგება, როცა მასპინძელი კონიაკის მთელ ბოთლს ვაზაში ჩააპირქვავებს და გამომძიებელს მოსთხოვს — გამოცალეო!..

მურადმა საცოდავად შეხედა ანის. ანი წამოხტა და მურადს გამოექომაგა:

— რატომ უნდა დალიოს?! მერე, მე ვინ წამიყვანს აქედან?

— ვინ და მიქელ-გაბრიელი!.. თუ არ დაცლის, აბა! — გაიცინა თენგიზმა.

ანიმ ჯულიეტას შეხედა, რომელმაც უხმოდ აიჩეჩა მხრები და ხელი ჩაიქნია:

— ვერ გააგებინებთ მაინც...

— იცოდე, თუ ამას არ დაცლი, ორჯერ უფრო დიდ ვაზას გადმოვაღებინებ! გაწყობს? — დაემუქრა მურადს თენგიზი.

— „დავაი“, დავლიოთ! — გამწარდა მურადი, მოჰკიდა ვაზას ხელი და... სწორედ ამ დროს, მისმა მობილურმა დარეკა. — ბოდიში... დიახ, ბატონო ზაურ! ამწუთას, ბატონი თენგიზ გომართელის ოფისში ვიმყოფები... დიახ... დილამდე ხომ მაქვს დრო?.. დილაზე, მაგიდაზე გედებათ პატაკი. მანამდე, ბატონო ზაურ, ერთ რამეს გთხოვთ, რა! ბრძანება მჭირდება, რა, ეგებ დააბეჭდვინოთ, სანამ გახვალთ და ხელიც მოაწეროთ, რა, — ლალი იაშვილის დაკავების თაობაზე... აუცილებელია, აბა, რა: სხვანაირად არ შვრება ეს დედაკაცი არაფრით და რა ვუყო, ლავუაზიე ხომ არა ვარ, არა?! — მურადმა მობილური გამორთო და ჯიბეში ჩაიდო...

— მეე? — იკითხა მუქარით თენგიზმა. — მე რატომ არ მიჭერ, ძმაო?! ვერ გავიგე? შენ რა, მე კაცად არა მთვლი?! დაურეკავ ამწუთას მაგ შენს ზაურას და ჩემი დაჭერის ბრძანებასაც დააბეჭდვინებ! მე მოვკალი ის კაცი, მე! თუ არ დამიჭერთ, სხვებსაც დავხოცავ, დანარჩენებს!.. — და ისევ კონიაკით სავსე ვაზაზე მიუთითა მურადს. — მოჰკიდე ხელი! ქალს იჭერ და მე არ მიჭერ?!.

— დაგიჭერ, შენც დაგიჭერ, ყველასაც დაგიჭერთ! — აყვირდა ჭკუიდან გადასული მურადი. — თორემ, არა ხართ ყველა დასაჭერები! პატიოსანი გზით იშოვეთ ფული? თუ მამაშენმა დაგიტოვა ოქროთი სავსე ქოთანი?..

— მურად! — მაგრად შეშინდა ანი.

— ჰოდა, დამიჭირე, რაღას უყურებ?! მკვლელი ვაარ? — ვარ! ქურდი ვაარ? — ვარ! — ჯერ ეს დავლიოთ და მერე დაგიჭერ!

— ძალიან კარგი. დავლიოთ!

მურადმა ვაზა მიიყუდა და გამოცალა.

— ა, ეს არის საქართველო!.. არ ღირს, რა, ამ ქვეყანაში არაფერიც არ ღირს... გინდა, რომ საქმე გამოიძიო, გინდა, რომ მკვლელი იპოვო... მოდიხარ და კაცი გეუბნება — მე მოვკალი ის კაცი, მკვლელიც მე ვარ და ქურდიც, დამიჭირეო... მაშინ, რაღა საჭიროა გამომძიებელი?! მე ვიღას ტიკიტომარა ვარ?! ასე ხომ სამსახურს დავკარგავ...

— არ დაკარგავ, არა. მე თუ დამიჭერ, პირიქით — დაგაწინაურებენ, ძმაო, დამიჯერე! ამწუთას გაჩვენებთ, როგორც იყო, — და თენგიზმა უეცრად უჯრიდან „ბრაუნინგი“ დააძრო.

— ვაიმე, დაიწყო!.. — თქვა, რაღაც ცუდი წინათგრძნობით შეშინებულმა ჯულიეტამ.

თენგიზმა „ბრაუნინგის“ მჭიდის მრგვალ ბუდეს ჩამოჰკრა ხელი და დაატრიალა.

— აი, ხომ ნახეთ — ცარიელია... — სასხლეტი გადმოსწია და გამჭვირვალე ლულა უჩვენა დამსწრეთ. — ასე ვისხედით, როგორც ახლა ჩვენ ვზივართ, რა. ზუსტად ოთხნი ვიყავით, ის — თავისი საყვარლით, მე — ჩემით... — თან პერანგის გულის ჯიბიდან ტყვია ამოიღო და „ბრაუნინგის“ ბუდეში ჩადო. — არ გინდა, სცადო? — გაუწოდა მან იარაღი მურადს.

ანის რომ ეგონა, მურადი შეშინდებოდა, პირიქით, საოცრება მოხდა: მურადმა იარაღი ჩამოართვა თენგიზს, დახედა და ხელში აწონ-დაწონა.

— კაი რამეა, — თქვა მან. — მაშ, ვცადოთ ბედი, არა? დავატრიალოთ და გამოვკრათ სასხლეტს თითი... რის სანაცვლოდ? — იკითხა უეცრად გულუბრყვილოდ მურადმა.

— სიცოცხლის, სხვა — რის? — გაიკვირვა თენგიზმა.

— აბა, მე ჯერ სიცოცხლე არ მომბეზრებია, — თქვა მურადმა და იარაღი თენგიზს

დაუბრუნა. — თუ გინდა, შენ სცადე, — დააყოლა მან.

— ჰოდა, ზუსტად ასე იყო... — თენგიზმა „ბრაუნინგის“ ბუდე დაატრიალა და ჩახმახი შეაყენა, თან ხმამაღლა განაგრძო: — ჩადო ლევან იაშვილმა ბუდეში ერთი ტყვია, — თენგიზმა იქ მყოფთ ტყვიის მსრა დაანახვა და მჭიდში ჩადო, — მიიდო საფეთქელთან და...

— ااااااااااا!!! — ჯულიეტას წივილმა

იქაურობა გააყრუა.

თენგიზმა „ბრაუნინგი“ მიუშვირა.

— გინდა, ამწუთას გაგაჩუმო? — ჯულიეტა მთლად გათეთრდა. — ჰოდა, მოკეტე!.. მოკლედ, მიიდო საფეთქელთან იარაღი და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

გასროლის ხმამ იქაურობა გააყრუა. თენგიზი დაბარბაცდა, მერე მარცხნივ გადაიხარა და „წაეყუდა“... ამ მომენტში, ცოცხლები უფრო ჰგავდნენ მკვდრებს, ვიდრე მკვდარი. მკვდარმა კი, იარაღიანი ხელი ასწია, „ბრაუნინგი“ ჯულიეტას მიუშვირა და სასხლეტს გამოჰკრა. ჩხაკ! — გაიჩხაკუნა სასხლეტმა და მკვდარიც გაცოცხლდა. წამოჯდა და ახარხარდა.

ანი მურადს ასწებებოდა. მურადი კი, ჯერაც გონზე ვერ მოსულიყო.

— აი, ასე იცის, აი... სათამაშო პისტოლეტი აქვს, დანიიდან ჩამოუტანეს და ასე აფეთიანებს ხალხს! ცარიელი ვაზნები აქვს, მარტო ხმას გამოსცემს... — დაასრულა სიცილით ჯულიეტამ.

— დაასხი, ძმაო, ერთი! — მურადმა ვაზა მოუმარჯვა თენგიზს. — გიჟების ქვეყანაა, დამთხვეულების. ამათ ვერც ევროპა უშველის, ვერც ამერიკა...

— ისე, ხომ მაგარი იყო?.. ხომ არ დაგავიწყდებათ, არა, არასოდეს?! — ხარხარებდა თენგიზი.

— და საერთოდ, რა!.. ამ ქვეყანაში ადამიანები აღარ არიან, არა. ჩვენ ანტიპოდები ვართ, ადამიანების ანტიპოდები... ჰო, ჰო... აი, ეს ქალი, რა... — თითი დაადო მკერდზე ანის მურადმა. — ქალია, ყველაფერი აქვს, რაც ქალს სჭირდება: სახე, მკერდი... დაბლაც ყველაფერი აქვს, რაც ქალს უნდა ჰქონდეს... მაგრამ რაც მთავარია, ის არა აქვს, ხალხო!

— ვაიმე, რა საინტერესოა! რა არა აქვს, რა არის მთავარი? — საოცრად დაინტერესდა ჯულიეტა.

— სული, სული არა აქვს!.. — გამოაცხადა მურადმა.

— საიდან დაასკვენი? — შეეკითხა თენგიზი.

— არ ვეცოდები. აი, თუ გინდათ, ჰკითხეთ, აქ არ ზის?! იცის კი, რა არის სული?

— არც ვიცი და არც მაინტერესებს... რაც არ არსებობს, რატომ უნდა მაინტერესებდეს?! ან თქვენ კი, გაქვთ სული?.. ან — იყენებთ რამეში, გჭირდებათ?.. შეგიძლიათ მაჩვენოთ, დამანახვოთ?

— დიახ, გვჭირდება. თუ ადამიანს სული აქვს, ფასიც მეტი აქვს. აი, თქვენ იცით ჩემი ფასი? — გამოაცხადა თენგიზმა.

— რა-ა? — შეეკითხა მურადი.

— ჰო, რამდენი ვეღირები, აბა? — ანიშნა ხელით საკუთარ პერსონაზე, უკვე კონიაკით გვარიანად გალეწილმა თენგიზმა.

მურადმა ჯერ კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერა, წამით ჩაფიქრდა და უეცრად მთელი ხმით ამღერდა:

— „შაური — შენ, შაური — მე, შაურიც — მამაშენს, სამ შაურად სულ გიყიდით, შენ და მამაშენს“... ოსა-ა! — და გაგრძელდა, რაღა თქმა უნდა, თბილისური გრიალი...

ცოტა ხანში, ღამის სიბნელეში, საჭესთან მჯდომი გალეწილი მურადი თბილისის ქუჩებს „რვიანებით“ მიუყვებოდა. გვერდით კი, შეშინებული ანი ეჯდა და ცდილობდა, მურადს საჭის სწორად დატრიალებაში მიხმარებოდა. ხან მანქანას ააცდენდნენ, ხან — ბოძს, ხანაც — ჩანთიან ქალს და ასე, ანის წივილ-კივილში, როგორც იქნა, პროკურატურამდე მიაღწიეს. ანი მანქანიდან გადავიდა და შენობაში შევიდა. თეჯირს იქით მორიგე პოლიციელი იჯდა და ყვინთავდა. ანიმ დაუბრახუნა. მორიგე გამოფხიზლდა.

— რა ამბავია?! ნელა რომ დააკაკუნოთ, არ გამეღვიძება?

— ბოდიში. ლალი იაშვილის დაკავების ბრძანება თქვენთან დევს? — შეეკითხა ანი.

— რა-ა?

— ბრძანება — ლალი იაშვილის დაკავების.

მორიგემ მაგიდას დახედა. რაღაც ფურცელი აიღო.

— ეს? თქვენ ვინა ხართ?

— მე მურად ოქროპირიძის ასისტენტი ვარ, გამომძიებლის.

— ახალი ხარ?

— არც ისე...

— მაშ, მე რომ პირველად გხედავ? რა გქვია?

— მომეცი, რა, ეგ ფურცელი, სხვა დროს ვილაპარაკოთ, ახლა მეჩქარება.

— აჰა! — მიაწოდა მორიგემ ფურცელი და თვალიც ჩაუკრა.

ანიმ ფურცელი გამოართვა.

— დახუჭე, რა, თვალები და დაიძინე! — ურჩია მან მორიგეს, შეტრიალდა და უკანალის სექსუალური რხევით გავიდა. მორიგეს თვალები გაუფართოვდა. ანი კართან შეჩერდა, მოტრიალდა, მორიგეს ფურცლიანი ხელი დაუქნია, გაუღიმა და გარეთ გავიდა.

ანი მანქანაში ჩაჯდა თუ არა, მურადი დაელმებული თვალებით მიაშტერდა.

— მოგცეს? — ჰკითხა მან.

— აი, — უჩვენა ფურცელი ანიმ. — გამოფხიზლდი, რა, ბიჭო, ცოტათი მაინც.

— წავედით ახლა პოლიციაში. — მაგარი მთვრალი იყო მურადი. სიმღერების ხასიათზე დამდგარიყო: — „სიყვარულო, სიყვარულო, რა ხარო... იმისთანა საყვარელი რამ ხარო, აბა, მითხარ, გულო, რით გაგახარო... ისღა დამრჩა, თავი კედელს ვახალო“. — მოკლედ, ემღერებოდა და ისიც მღეროდა...

მანქანა პოლიციასთან გაჩერდა. ანი ფურცლით ხელში გადახტა და მორიგეს მიადგა. მის დანახვაზე მორიგემ რატომღაც, შუბლი შეკრა. ანიმ კი ფურცელი დაუდო წინ.

— ეს რა არის? — იკითხა მორიგემ.

— ბრძანებაა... ქალბატონია დასაჭერი. ერთი, — მოახსენა ანიმ.

მორიგე ფურცელს დასცქეროდა.

— ვინ აწერს ხელს?

— დარჩიაშვილი, პროკურორი. დარეკილია. იციან, — მოახსენა ანიმ.

— ჰოო? ახლავე უნდა გავიდნენ? — იკითხა მორიგემ.

— კი, — უპასუხა ანიმ.

— კაი, შევუტან, — თქვა მორიგემ და წამოდგა.

— მე წავიდე? — შეეკითხა ანი.

— როგორც გინდა, გენაცვალე! — გაიკრიჭა მორიგე.

— ჰმ... — ვითომ ეწყინა ანის და გარეთ გავიდა.

— რა ქენი? — შეეკითხა მურადი, როცა ანი მანქანაში ჩაჯდა.

— აიყვანენ. ესეც ასეე!.. — ხელები მოიფშვნიტა ანიმ. — ახლა ვასიკოს გავუაროთ და წავიყვანოთ, რომ გადაიღოს ყველაფერი.

— რაში გავყავი, ნეტავ, თავი, წარმოდგენა არა მაქვს... — ჩაილაპარაკა მურადმა.

— მახეში, მა-ხე-შიიი! — „მიულოცა“ ანიმ.

მანქანა ღამის თბილისში გასრიალდა.

მეორე დილას, ნამთვრალევი, დაღლილი და დახეულ ჯინსში გამოწყობილი ანი რედაქციაში პირველი გამოცხადდა, მაგიდას მიუჯდა, ჩანთიდან კოსმეტიკური საშუალებები ამოალაგა და თავის მოწესრიგებას შეუდგა. სარკიდან თითქოს ვიღაც სხვა შემოჰყურებდა. „აუ, რა მაგრად მაქვს ქუთუთოები შესივებული!..“ საათს შეხედა და ვასიკო გაახსენდა. „სად არის ეს კრეტინი აქამდე?!.“ მოძებნა ვასიკოს ნომერი მობილურში და ზარი გაუშვა.

— ვასო, ცოცხალი ხარ? სადა ხარ აქამდე? მოვკვდი ნერვიულობით. დერეფანში?

— აქა ვარ, აქ? — შემოგლიჯა რედაქციის კარი ვასიკომ.

— დებილი ხარ, რა! რაღას მპასუხობდი, ვერ გამითიშე?! რას დამაკარგვინე ტყუილად?

— შენსას გაიგებს კაცი რამეს? ვიფიქრე — რომ არ ვუპასუხო, ტელეფონი არ დაახეთქოს და არ გატეხოს-მეთქი... — ვასიკომ კამერა მაგიდაზე დადო.

— მასეთ გიჟადაც მთვლი?! — შეეკითხა ანი.

— რა, არა ხარ?.. სულ მგონია, რომ სატანაზე ერთი, ასი დღით ადრე მაინც უნდა იყო დაბადებული.

— ჰა, აბა, აბა, მთლად მოუკრეფავშიც ნუ გადადიხარ, თორემ, შეიძლება, ნაღმზე დაგედგას ფეხი და აფეთქდე... ეს პომადა მიხდება?

— რა ვიცი, აბა, როგორ გითხრა?.. მე შენში ქალს ვერ ვხედავ, საერთოდ...

— არ მოვინდომო, თორემ, ისე გაგთიშო...

— შე-ენ?.. მე-ე?.. ასი ათას კილომეტრ-

ში გადავსახლდები...

— ასეთი ურჩხულიც გგონივარ? — ეწყინა ანის.

— მგონიხარ კი არა — ხარ!

— რა დაგემართა, ვასო?! გიჟი, ურჩხული, დრაკონი... კიდევ რას დამარქმევ?

— მომკლავ, რომ გითხრა.

— ისეთი რა უნდა მითხრა?.. თქვი, ნუ გეშინია.

— არა, ტო, მაგრად გაგიტყდება... — ყოყმანობდა ვასიკო.

— არ გამიტყდება, თქვი! — გაათამამა ანიმ.

— ნაბოზარი! — წამოსცდა ვასიკოს.

— რა-ა?! — სკამიდან წამოფრინდა და ძუ მგელივით დაეტაკა ანი ვასიკოს. — ვინ არის, ნაბოზარი, ვინ?! მე ქმარი მყავს, შე დაუნო, ოფიციალური ქმარი!.. — თან, მთელი ხმით კიოდა და ისეთი გამეტებით და ისე ოსტატურად ურტყამდა მტკივან ადგილებში, რომ ვასიკოს სუნთქვაც კი შეეკრა. მალე სკამი გადააყირავეს და იატაკზე გაგორდნენ. ვასიკო იძულებული იყო, თავი დაეცვა და რომ როგორმე გაეკავებინა ანი, ორივე მკლავი შემოაჭდო. მერე კი, რადგან ქალი ფეხებს არ აჩერებდა, შუაკური იხმარა. ანი კი, ვეღარაფერი რომ ვერ გააწყო, კბილებით მის ყბას ჩააფრინდა. ისე, რომ ვასიკო მთელი ხმით აბღავლდა. ბიჭს ერთი რამ ვერ აეხსნა ვერაფრით: ანი ერთადერთი არ იყო, ვისაც ქმარი ჰყავდა, მაგრამ ნებისმიერ მომენტში თავისუფლად ღალატობდა. არადა, ანიც და სხვებიც, ვინც ქმრებს ღალატობდნენ, სწორედ იმით ტრაბახობდნენ, რომ ისინი გათხოვილები იყვნენ. ეს ხომ უარესიაო?! — ფიქრობდა ვასიკო და რატომ აწვებოდნენ თავიანთ ქმრიანობას ეს კახპები, ვერაფრით აეხსნა...

მოკლედ, რედაქციაში შემოსულმა ლოლამ სწორედ იმ მომენტს შეუსწრო, როცა ანი კბილებით ვასიკოს ნიკაპს ჩააფრინდა და მის თავში, რა თქმა უნდა, ამ სცენამ სექსუალური აქტის შთაბეჭდილება დატოვა. ლოლას დანახვაზე, ანიმ ვასოს ყბას თავი ანება და წამოდგა. მძიმედ სუნთქავდა, სწორედ ისე, როგორც ეს „პარტიის“ დამთავრებისას ხდება და ლოლას შერცხვა კიდეც, რომ ასე უდროო დროს შემოვიდა. ვასიკო არ დგებოდა, იატაკზე იყო გაშხლართული და ყბაზე ეკიდა ხელი. ლოლამ ჩანთა მაგიდაზე მიაგდო და სკამზე ჩამოჯდა. საშინლად „გაუტყდა“.

— ხელი ხომ არ შეგიშალეთ?.. — იკითხა მან, ვითომ გულგრილად.

— გიჟია, რა, სუფთა, დამთხვეული! — თქვა ვასიკომ.

ანი კი სარკეში იყურებოდა და თავს იწესრიგებდა.

— ერთხელაც იტყვი და უარესი მოგივა! — დაემუქრა ის ვასიკოს.

— მერე, ყბაზე უნდა მიკბიჩო მაგის გამო?! — უყვირა ვასიკომ.

— შემეცოდე კიდევ, დებილო, შემეცოდე! — იყო ანის პასუხი.

— რა? მგონი, კბილები შიგ ჩამიტოვა, ე, და შემეცოდეო, ტო!.. — გაგიჟდა ვასიკო.

— ბავშვებო, ნიკოს ამბავი ხომ არ იცით? — იკითხა ლოლამ.

— რა ამბავი? — შეეკითხა ვასიკო.

— რა და, ღამე შინ არ გაუთევია და არც აქ გამოჩენილა... — თქვა ლოლამ.

ეს ამბავი ანისა და ვასიკოსთვის ახალი იყო.

— კაი, რა, გადაეყრებოდა ვინმეს, ან მეეზოვეს, ან დამლაგებელს... მაგისთვის ხომ სულერთია... — თქვა ვასიკომ.

— კაი, მაგრამ მობილურზეც რომ არ მპასუხობს? — თქვა ლოლამ.

— კაი, რა! მე რატომ უნდა ვინაღვლო ნიკოს ამბავი?! — ჩაერია ანი. — უცხოეთში ქუჩაში კაცი რომ გდია, ზედ არავინ უყურებს, „რაც მოგივა დავითაოს“ პონტი უჭირავთ...

— აქ ხომ ტახტრევნით გააქანებენ იმწამს!.. აქაც მასე არ არის? ხომ არ გამოიბრუჟა, როგორც იცის, და სადმე ხომ არ გდია ქუჩაში ეგ უბედური?.. — თქვა ლოლამ.

— სახლს მაინც მიაგნებდა, ალბათ, რაც არ უნდა მთვრალი ყოფილიყო, — ჩაილაპარაკა ვასიკომ.

ამ დროს რედაქციის ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილი ლოლამ აიღო.

— დიახ, ბატონო მერაბ, ლოლა ვარ... კარგად, გმადლობთ, თქვენ როგორ გიკითხოთ?.. არ გახლავთ, იცით, არ მოსულა ჯერ... დიახ, აუცილებლად... — ლოლამ ყურმილი დადო. — ა, ბატონო. შეფი იყო. ნიკო უნდოდა. როგორც კი გამოჩნდება, შემოვიდესო... — ამოიღო მობილური და ზარი გაუშვა. — არ პასუხობს ეს მობილური და რა გინდა, რომ ქნა?!

— რამე ხომ არ ჩაიდინა? — იკითხა ანიმ.

წინა საღამოს, ნიკოს თავისი კორპუსის სადარბაზოში ორი ტიპი დახვდა. დაადგა თუ არა კიბის საფეხურზე ფეხი, ნიკოს მოეჩვენა, რომ ქსოვილში გახვეული გირი ჩაარტყეს კეფაში. მეტი არაფერი დაამახსოვრდა. როცა გონს მოვიდა და სიბნელეს თვალი შეაჩვია, ტანშიც სტეხდა, თავიც სტკიოდა, თვალიც და ყბაც. ყველაზე დიდი უბედურება კი ის იყო, რომ შიშველ-ტიტველი, ნესტიანი სარდაფის შუაში მდგარ უნიტაზზე იჯდა და ხელებით წყლის ჩამრეცხი ავზის მილზე იყო მიბმული, ფეხები კი ჰაერში ეკიდა... ნიკო მთლად გათოშილიყო, კბილებს

აკაწკაწებდა. ქვემოთ ჩაიხედა და დაინახა, რომ უნიტაზი კუნძზე იყო შემოდგმული. ყოველივე ამ სიკეთესთან ერთად, ნიკოს აშკარად ესმოდა თაგვის გაბმული წრუწუნი, რომელიც უნიტაზიდან ამოდიოდა და ნიკოს საშინელ დისკომფორტს უქმნიდა. როგორია, სადღაც ბნელ სარდაფში დაგსვან უნიტაზზე, რომელშიც ვირთხა ზის და გატოკების უფლებაც კი არ გქონდეს?!. მისდა საბედნიეროდ, სარდაფში პატარა სარკმლიდან შუქი ჩამოდიოდა. ნიკომ თვალი შეაჩვია და კედელზე დაკიდული თავისი სამოსიც შენიშნა. მოკლედ, ცოტა ხანს კი ითმინა, მაგრამ თავი რომ ვერაფრით გაითავისუფლა, მერე კი აბღავლდა. ჯერ „ეე“-ს ყვიროდა, მერე „ბიჭებოს“, მერე „ადამიანებოს“, რაც ცოტა უცნაურიც ეჩვენა. უკვე ხმაც ჩაეხლიჩა, ის კი ისევ ყვიროდა... მოეჩვენა, რომ ვირთხამ დუნდულაზე კბილები ჩაასო და ზედ ჩამოეკიდა. ეს მდგომარეობა და ნიკოს პიროვნება, იმდენად კონტრასტული რამ გახლდათ, რომ ამაზე დიდი ტრაგიზმის წარმოდგენა, ნიკოს ინტელექტუალური ტვინისთვის შეუძლებელიც კი იყო და ნიკოს უკანასკნელი, სასიკვდილო ბღავილი ამოსკდა ხახიდან. ეტყობა, ამ ბღავილმა გაჭრა, რადგან სარკმელში ექვსიოდე წლის ბავშვმა შემოიხედა.

— ბიჭი, წადი და დედას დაუძახე, დედას! — რაც პირველად მოუვიდა თავში, ის დაუყვირა ბავშვს ნიკომ... ბავშვი იმწამსე გაქრა და ნიკოს დაძახილზე აღარ მობრუნდა. ნიკოს გააჟრიალა, ვაითუ, მართლაც დედა მოიყვანოს და ქალს ასე შიშველ-ტიტველი როგორ დავენახვოო?! — ფიქრობდა. სამწუხაროდ, ბავშვს მისი თხოვნა შეესრულებინა და სარდაფში მართლაც, ქალმა შემოიხედა, ალბათ, ბავშვის დედამ.

— კაცებს დაუძახეთ, რა, კაცებს! დაბმული ვარ... — დაუყვირა ნიკომ.

ქალმა მის თხოვნას ყური არ უგდო, სიბნელეს თვალი შეაჩვია და განცვიფრებული მიაშტერდა.

— ბატონო, ეგ უნიტაზი არ მუშაობს, ეგ ტყუილად დევს კუნძზე... — წამოიძახა გაკვირვებულმა ქალმა.

— მიბმული ვარ, მიბმული!.. გამძარცვეს! თავში გირი ჩამარტყეს! უნიტაზი სულ არ მჭირდება. მშიერი ვარ, მშიერი!.. — უხსნიდა ნიკო და თავს იმართლებდა.

ვაი, ვაიო! — ერთი კი დაიძახა ქალმა და წავიდა.

მალე სარდაფის კარი გაიღო და შიგ მილეთის ხალხი შემოლაგდა. ალბათ, ახლომახლო კორპუსების მცხოვრებლებიც აქ მოჯოგდნენო, — ფიქრობდა ნიკო. იდგა ერთი ყაყანი და გუგუნი... მისკენ ყველაზე მეტად ბავშვები იწევდნენ, რომლებმაც ვირთხა მოკლეს და მკვდარი ვირთხის გამო ისეთი ჩხუბი მოუვიდათ, — ესენი, ალბათ, ჭამენო ამ ვირთხებს, — გაიფიქრა ნიკომ. ქალები ტიტველ კაცს გარშემო უვლიდნენ და ვიშვიშებდნენ. მამაკაცებმა ხელები გაუხსნეს, ტანსაცმელი ჩააცვეს და გარეთ გამოიყვანეს. ერთი გალიალა მინდა და ალბათ, შიმპანზედაც ვიქცევიო, — ფიქრობდა ნიკო. ჯიბეები მოიჩხრიკა. მობილური და ფული

წაელოთ, სხვა არაფრისთვის ეხლოთ ხელი. „კეთილმა ადამიანებმა“ ნიკო „ჟიგულიში“ ჩასვეს და „არამიანცის“ საავადმყოფოში წაიყვანეს. ის ღამე იქ გაათია. ვარკეთილის სულ ზედა მასივის რომელიღაც კორპუსის სარდაფში ყოფილიყო დამწყვდეული.

თაზოს, თუ პატარ-პატარა ქეიფებს და ლოთურ-შფოთურ პონტებს არ ჩავთვლით, საქმე არც ისე ცუდად მისდიოდა. თან, ეს ანგელოზი!.. სუფთა, სუფთა, როგორც პირველი თოვლი, სულ რამდენიმე დღის მიღებული ჰყავდა სამსახურში... რა ვიცი, იქნებ, თაზოს ეჩვენებოდა კიდეც, რომ ეს ბავშვი ასეთი სპეტაკი იყო, თორემ, ფულს ისეთი სისწრაფით ითვლიდა და ისე ახვევდა და ნასკვავდა, შვეიცარიული ბანკის მოლარე მონაგონი იყო იმასთან.

თაზოს მოეწონა კოჭწვრილი, ლამაზი მოხაზულობის ფეხი, ოდნავ ამობურცული თეძო და — ღმერთო, რა სასრესი მკერდი!.. აუუ, თაზოს ამ მკერდის დანახვაზე მაშინვე ნერწყვი ეყლაპებოდა და პატარა, ოდნავ ფერდაკარგული ტუჩების ამოწოვის ხასიათზე აყენებდა... რა თქმა უნდა, ორი-სამი დღე იოცნება და ერთ-ერთ სადილზე, როცა ოთხი-ხუთი მოლარე და თაზო ნაყრდებოდნენ ხოლმე, მისი და გურანდას თლილი მუხლის კვერები შემთხვევით ერთმანეთს შეეხნენ... შეეხნენ და მიეწებნენ კიდეც, ისე, რომ მაგიდის ზემოთ, როგორც მუდამ ასეთ დროს, არაფერი ხდებოდა. დაბლა კი, ერთიმეორის სისხლი ისეთი სისწრაფით გადაჩქეფდა ძარღვებში, რომ... უკვე მეორე დღეს, ზუსტად ამ დროს, მუხლის კვერებთან ერთად, მათი მარჯვენა და მარცხენა ხელის თითებიც გადაეწნა მაგიდის ქვეშ ერთმანეთს და საღამოს გახელებულ ვნებას უკვე თალიკოს საუნაში, რომელიც თაზოს ახლახან შეგულებული ჰქონდა, დიდი ხნის ნაშიმშილებივით იცხრობდნენ.

...„პირველი თოვლი“ ძალზე სწრაფად „გადნა“ და თაზოს აღარც კოჭი და აღარც ზემოთ წამოსული ფეხის მოხაზულობა ისეთი სრულყოფილი აღარ ეჩვენა, როგორიც პირველ შეხებამდე ეგონა. თან, გურანდა წუთში იმდენ და ისეთ სისულელეს ტლიკინებდა, რომ თაზოს რა სისწრაფითაც მოსწყურდა ხელების ფათურის სურვილი, იმ სისწრაფითვე საბოლოოდ დაეკარგა. ხოლო ნომრიდან გამოსულს და საერთო აუზში გასაგრილებლად შეცურებულს, ვიღაც „შკაფივით“ ტიპმა, ვითომ შემთხვევით, რამდენჯერმე რომ ჩაყვინთვინა და წყალი აყლაპვინა, „პირველი თოვლის“ არსებობის ამბავი საერთოდ გადაავიწყა.

იმ ტიპმა კიდევ ბევრი წყალი აყლაპვინა, მერე, ნახევრად მკვდარი, აუზიდან ამოათრია და ჩასჩურჩულა: ახლა გვიპატიებია, მაგრამ თუ შენი ცოლი არ „დაატორმუზებს“ და თავის გოთვერნობას გააგრძელებს, ჩათვალე, რომ „ტრუპი“ ხარო. ხოლო როცა გურანდა ნომერში აღარ დახვდა და ვერც საუნის ადმინისტრატორმა დააკვალიანა, სად და როდის გაქრა, თაზო სერიოზულად აიტანა შიშმა, იმდენადაც კი, რომ სულ ერთი საათის წინ, როცა გურანდას ანგელოზობას მის შიშველ ტანზე საფუძვლიანად ამოწმებდა და თავის სასიმღერო რეპერტუარს აბულბულებდა, ახლა ვერც ერთ მელოდიას და ვერც ერთ სტრიქონს იმ სიმღერებიდან, თავში ეროკ რომ გერტყათ, ვერ გაიხსენებდა. შიში არ იყო უსაფუძვლო: ორი-სამი ყლუპიც რომ ჩაეყლაპინებინათ, ნამდვილად დავიხრჩობოდიო, — უყვებოდა ის ანის და ეჩხუბებოდა — როგორც შეძვერი ამ ჩიხში და მეც შემაძვრინე, სიცოცხლე ტკბილია და უკანვე გამომაძვრინეო!..

მოკლედ, ლევან იაშვილის ნამდვილი მკვლელის საცეცების შხამიანი ნესტრის გემო ჯერჯერობით, მხოლოდ ნიკომ და თაზომ იწვნიეს. ეს მხოლოდ მუქარა იყო, მაგრამ ეწერა თუ არა ამ მუქარას ასრულება, ეს მთლიანად ანის ქცევაზე იყო დამოკიდებული. ანი კი თამაშიდან გამოსვლას არ აპირებდა, ეს მის ხასიათში არ იყო.

როცა, ნიკომ „ელიტქრონიკის“ რედაქციის კარი შეაღო და ცალთვალახვეული, შიგნით შევიდა, სამივე თანამშრომელი ადგილზე დახვდა. ეტყობა, ცალი თვალით კარგად ვერ ხედავდა, რის გამოც, თავი მაღლა ჰქონდა აწეული, თითქოს ჭერში იყურებაო... თანამშრომლებს არ მიესალმა. წავიდა და თავის მაგიდასთან დაჯდა. დაჯდომისას, ბეჭზე მოივლო ხელი.

— ვაი, ვაი, ვაი...

— რა გჭირთ, ბატონო ნიკო, რა დაგემართათ?! — სახტად დარჩენილი, თანამშრომლებიდან მხოლოდ ლოლამ გაბედა კითხვა.

ნიკომ არ უპასუხა, პირდაპირ ანის დაეძგერა:

— შენ, ქალბატონო, აგრძელებ, არა, ისევ, იმ შენს ავანტიურას, იაშვილის თვითმკვლელობასთან დაკავშირებით რომ წამოიწყე?!

— დიახ. წუხელ, შუაღამისას, იაშვილის ცოლი ავაყვანინე!

— შენ ააყვანინე?! — ნიკომ ყურებს არ დაუჯერა.

ანიმ კი ხმას აუწია:

— დიახ. მე რომ არ მივწოლოდი, არც მაგას აიყვანდნენ... ვასიკომ გადაიღო, ჩაბარებული გვაქვს მასალა... თორმეტზე უნდა იყოს „ახალ ამბებში“.

— ძალიან კარგი. მაგ გამოძიებაში მეც უნდა ჩავერთო, — გამოაცხადა ნიკომ.

— რატომ? — გაუკვირდა ანის.

— გუშინ საღამოს, 100 დოლარი გადავახურდავე. სადარბაზოში დამხვდნენ. მაგათ უნდა... — ნიკო გაჩუმდა, ყურებად ქცეულ თანამშრომლებს შეხედა და ერთი მაგრად შეიკუნთხა. — თავში ჩამარტყეს და გამთიშეს! ყველაფერი მტკივა. ის ფული ხომ წაიღეს!.. საავადმყოფოში ერთი იმდენი გადამახდევინეს კიდევ. ჰო, მარტო ერთი ღამის გათევაში. უნდა ჩავერთო და ბოლომდე გამოვიძიო ეგ მკვლელობა.

— არ გინდათ, რა, ბატონო ნიკო, თორემ, თქვენი ამბავი რომ ვიცი, თავდაყირა უნდა დააყენოთ ყველაფერი. ისევ ჯობს, ანი მივუშვათ, თორემ, ამის გაჟიმვა უნდა იმ გამომძიებელს, ეს კიდევ აწამებს, არ შვრება და რით დამთავრდება ეს ყველაფერი, კაცმა არ იცის...

— მაშ, ეს ვაპატიო, ტო?! თვალი გამოთხრილი მაქვს ლამის!.. ხელკეტებით ვარ მგონი, ნაცემი. დასერილი მაქვს მთელი წელი. აი! — ნიკო შეტრიალდა და პერანგი აიწია. წელი მართლაც, დასერილი და დაწითლებული ჰქონდა.

— ვაییییი! — ერთხმად აღმოხდათ ლოლასა და ანის.

— როგორ ვაპატიებ, რანაირად?! ან რამდენ ხანს უნდა მქონდეს ეს თვალი ასე ახვეული?! — დაიჩივლა ნიკომ.

— მაგრად გიხდებათ, გეფიცებით. კუტუზოვსაც ჰგავხართ, ნილსონსაც და ალიბაბასაც, ჰო, ჰო, სამივეს ერთად!.. — გაეხუმრა ვასიკო.

გოგოები ახარხარდნენ.

— თქვენ გეცინებათ და მე სანამ მაგათ სისხლს არ დავლევ, ვერ მოვისვენებ! — თქვა ნიკომ.

— სანამ მაგათ სისხლს დალევთ, ყავას მოგიდუღებთ და იმას დაგალევინებთ, — შესთავაზა ლოლამ. — ხომ გნებავთ?.. ჰო, მართლა — ბატონმა მერაბმა დარეკა; როგორც კი გამოჩნდება, ჩემთან შემოვიდესო...

— მერაბმა?.. მერე, ამ თვალით როგორ შევიდე, რა ვუთხრა?.. — დახმარებას ითხოვდა თანამშრომლებისგან ნიკო.

— რა და — სიმართლე, ტო! უთხარით, როგორც იყო, ხომ არ მოატყუებთ, — ურჩია ვასიკომ.

— რას ლაპარაკობ შენ?! თავში ტვინი გაქვს?! ხომ ჩაიფსა იქვე!.. ისედაც ერთი ადგილის კანკალი აქვს ყველაფერზე... — უთხრა ნიკომ.

— მაშინ უთხარით, ბანდიტები დამხვდნენ სადარბაზოში და იმათ ვერკინებოდითქო, — თვითონაც არ იცოდა, რა ეთქვა, ვასიკომ.

— ჰო, გავალ, ვნახავ, რა უნდა, ხომ არ გვშლიან, ნეტავ?.. არ მომანატრეს დამპალი კომუნისტები?! აუჰ!.. — ნიკო წამოდგა, წელს ითრევდა, აშკარად ეტყობოდა, რომ ეზარებოდა მერაბის ნახვა. — თუ გვშლიან, დაგვშალონ, რა, მართლაც, ბოლო-ბოლო, და დაამთავრონ!.. დაჟეჟილს გატეხილი სჯობიაო, — ნათქვამია...

— მობილურიც დაკარგეთ, ბატონო ნიკო? ვრეკავ გუშინდლის მერე და არ მპასუხობთ, — შეეკითხა ლოლა.

— მობილურს დამიტოვებდნენ, ლოლა?!.

— ყავას, რომ შემოხვალთ, მაშინ დავადგამ, კარგი?..

— ჰო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პირს ბროსნანი

გადამდგარი ჭეიმს ბონდი და ოჭახურ ინტრიგებში გახლართული „უმწეო“ მამაკაცი

პირს ბროსნანის მთელ მსოფლიოში გაბნეულ თაყვანისმცემლებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ მათი კერპი მისი სამეფო უდიდებულესობის, დიდი ბრიტანეთის დედოფლის სამსახურის საიდუმლო აგენტის საპატიო პოსტს მეხუთედაც დაიკავებდა. როდესაც ცხადი გახდა, რომ ბროსნანი გააადაყენეს, მათი აღშფოთება უსაზღვრო იყო. კინოსტუდიის ხელმძღვანელის ოფისი ათასობით საპროტესტო წერილმა წალეკა. მაყურებელი მომდევნო ფილმის ბოიკოტირებით იმუქრებოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შექმნილ სიტუაციას თავად ბროსნანი სრულიად სხვაგვარად აფასებს...

ცოტა ხნის წინ, პირს ბროსნანი სრულიად დარწმუნებული იყო, რომ „ბონდიანის“ ავტორები გადაღებებზე ისევ მიიწვევდნენ. კონტრაქტის თანახმად, ბროსნანს „ბონდიანის“ 4 ფილმში უნდა ეთამაშა. ეს პირობა მან კეთილსინდისიერად შეასრულა და მზად იყო, კონტრაქტი გაეგრძელებინა. ბუნებრივია, როდესაც შეიტყო, რომ პროდიუსერი ბარბარა ბროკოლი მის შემცვლელს ეძებდა, წყენა ვერ დამალა: „ამ სიტუაციაში ჩემი ცოლი, კილი დამეხმარა. ის ხომ ნამდვილი სიბრძნის წყაროა. მან მითხრა: შენი საქმე კარგად შესასრულე. ახლა, მოგონებები გვერდზე გადადე, ცხოვრება განაგრძე და სიცოცხლით დატკბიო!“ მოგვიანებით, ერთ-ერთ ინტერიუში მსახიობი იტყვის: „ბედის მადლიერი ვარ იმისთვის, რომ მან ლეგენდარული გმირის როლი მარგუნა, შესანიშნავ რეჟისორებთან შემახვედრა და თავად შონ კონერის შემცვლელი გამხადა. კიდევ იმიტომაც, რომ სოლიდური ჰონორარი ავიღე, მაგრამ უნდა ვაღიარო: ბოლო ხანებში სარკეში საკუთარი ფიზიონომია გულს მირევდა. მსახიობობა იმიტომ ვარჩიე, რომ ეს პროფესია სხვადასხვა პერსონაჟის თამაშის საშუალებას მაძლევდა. 10 წლის განმავლობაში ერთი და იმავე როლის თამაში კი ძნელი აღმოჩნდა“.

პირს ბროსნანმა მისი მომავალი მეორე მეუღლე 1994 წელს გაიცნო. მაშინ ცნობილი ტელეჟურნალისტი კილი შეისმიტი რუხი ვეშაპების გადარჩენის პრობლემით იყო დაკავებული. ისინი ერთმანეთს იმ საქველმოქმედო საღამოზე შეხვდნენ, რომლის მიზანიც, ადამიანთა მიერ შევიწროებული გიგანტების გადასარჩენად თანხის შეგროვება იყო. წყვილი იმისთვის შეხვდა, რომ აღარასოდეს დაშორებულიყო...

იმ დროს პირსს ცხოვრებაში უმძიმესი პერიოდი ედგა. მათ შეხვედრამდე 3 წლით ადრე, მისი უსაყვარლესი მეუღლე კასანდრა ჰარისი ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. პირსზე 5 წლით უფროსმა კასანდრამ მეუღლეს 3 შვილი დაუტოვა. ორი მათგანი — შარლოტა და კრისტოფერი კასანდრას პირველ მეუღლესთან შეეძინა. პირსმა ბავშვები იშვილა და საკუთარი შვილებივით შეიყვარა. მესამე შვილი — შონი პირს ბროსნანის ერთადერთი ღვიძლი შვილია, რომელიც მას კასანდრასთან შეეძინა. ბროსნანი მალე მიხვდა, რომ ის, ცნობილი მსახიობი, მარტოხელა მამის როლს ვერ გაუმკლავდებოდა და გადაწყვიტა, ისეთი ქალი ეპოვა, რომელიც დაობლებულ ბავშვებს დედას შეუცვლიდა. ბევრ ახალგაზრდა ქალბატონთან სცადა ბედი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალთა გულთამპყრობლის როლის თამაში მხოლოდ ეკრანზე შეეძლო. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბროსნანს საქვეყნოდ ცნობილ ულამაზეს ქალებთან ერთად ხედავდნენ. ერთმანეთს ცვლიდნენ: სუპერმოდელი ტატიანა პატიცი, რეპორტიორი კეტრინ კინლი, მსახიობი ჯულიანა ფილიპსი, მაგრამ პირსმა სერიოზული რომანის გაჩაღება ვერც ერთთან ვერ შეძლო... „ამ შეხვედრებს შიშით ვიხსენებ. განაფული კავალერი არასდროს ვყოფილვარ. ახალგაზრდობაშიც კი მერჩივნა, დავლოდებოდი, გოგონა ყურადღებას როდის მომაქცევდა და ინიციატივას თავად გამოიჩენდა. როდესაც არჩევანის წინაშე დავდექი, დავიბენი. უხერხულად ვდუმდი, სალაპარაკო თემას ამაოდ ვეძებდი და არასდროს ვიცოდი, ქალისთვის რა მეჩუქებინა... მოკლედ, ქალთა გულთამპყრობლის ამპლუაში სრულ ფიასკოს განვიცდიდი“...

საბედნიეროდ, მისი მორიგი ნაცნობი სწორედ კილი აღმოჩნდა. მან ინიციატივა საკუთარ ხელში სიამოვნებით აიღო და პირსი ბუნებისდამცველთა საქმიანობაში ჩაითრია. ცოტა ხანში, როგორღაც, შეუმჩნევლად მის სახლში გადასახლდა... სამ წელიწადში კი, პირსს ვაჟიშვილი დილან თომასი აჩუქა...

პირსი და კილი 7 წელი სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობდნენ. ბროსნანი მათი ურთიერთობის დაკანონებას ვერა და ვერ ბედავდა, რადგან მოვლენები გაუთვალისწინებლად განვითარდა. უფროსმა შვილებმა კილი აითვალწუნეს. პირსი კი, სწორედ მათ გამო ცდილობდა, უბრალოდ ქალი კი არა, ოჯახის დედა ეპოვა!

თავდაპირველად, ყველაფერი მშვენივრად აეწყო. შესანიშნავმა დიასახლისმა და ჭკვიანმა ქალმა ბავშვებთან კონტაქტი სწრაფად დაამყარა. მაგრამ შემდეგ, პირსის დიდებისა და სახელის ზრდის კვალდაკვალ, კრისმა, შარლოტამ და შონმა შენიშნეს, რომ კილი მათ მამას სათანადო პატივისცემით არ ეპყრობოდა. პირსს კი პირიქით, სწორედ ის მოსწონდა, თუ როგორ საქმიანობდა კილი ოჯახში. თუ როგორ ვერ იცლიდა ბავშვებისთვის (2001 წლის თებერვალში კილის კიდევ ერთი ვაჟიშვილი, ჰერის ბეკეტი



პირს ბროსნანი პირველ ცოლთან, კასანდრასთან ერთად 1981 წ

შეეძინა), რომ დრო არც საზოგადოებრივი საქმიანობისთვის ჰყოფნიდა და არც ოჯახისთვის. ამიტომ, ერთ მშვენიერ დღეს გაოცებული დარჩა, როდესაც კრისმა და შარლოტამ განუცხადეს, რომ მშობლიურ სახლს და ამერიკას ტოვებდნენ და ინგლისში ბრუნდებოდნენ. ერთი შეხედვით, ამ ამბავში უჩვეულო არაფერი იყო, რადგან უფროს შვილებს სკოლა უკვე დამთავრებული ჰქონდათ, მაგრამ კრისმა და შარლოტამ მამას განუცხადეს, რომ მათი გადაწყვეტილების მიზეზი, სწორედ კილი და მის მიერ ოჯახში შემოღებული წესები იყო. ამ ცნობამ პირსი გაანადგურა. მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და მთავარი პრობლემები წინ ელოდა! თავი პირველად კრისმა „გამოიჩინა“. მან სწავლა ლონდონის სამსახიობო სკოლაში გააგრძელა, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს, სასწავლო აუდიტორიების ნაცვლად, კლუბებსა და წვეულებებზე ატარებდა. რამდენჯერმე, მთვრალი, მანქანის მართვისთვის დააკავეს. შემდეგ, ბარში იჩხუბა. ბოლოს კი, მართლაც წარმოუდგენელი რამ ჩაიდინა: პირს ბროსნანის უფროსი ვაჟი კლუბში ქალის ხელჩანთიდან მობილური ტელეფონის ქურდობისთვის დააკავეს!

ყოველთვის, როდესაც კრისი მორიგ გასაჭირში ჩავარდებოდა, პირსი ყველა საქმეს გვერდზე გადადებდა და შვილის დასახსნელად ლონდონისკენ მიიჩქაროდა. მოგვიანებით, შარლოტას ჯერი დადგა. მან უფროსი ძმის მაგალითს მიჰბაძა და მსახიობობა გადაწყვიტა, მაგრამ სწავლის გაგრძელებაში ხელი სიყვარულმა შეუშალა. მას მსახიობი ალექს სმიტი თავდავიწყებით შეუყვარდა და მალე უმშვენიერესი არსება — პატარა იზაბელი გააჩინა. 45 წლის პირს ბროსნანი ბაბუა გახდა, შარლოტამ კი საყვარელი ადამიანი დაკარგა, რადგან აღმოჩნდა, რომ ღამღამობით ბავშვის ტირილის მოსმენა და პამპერსების გამოცვლა ალექსისთვის საოცნებო საგანს არ წარმოადგენდა. შარლოტას დეპრესია დაეწყო, რასაც ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მეშვეობით „შეებრძოლა“... პირსმა ქალიშვილი კერძო სარეაბილიტაციო კლინიკაში დააწვინა და მეგობარს გულისტკივილით შესჩივლა: „მე ხომ ისინი უზომოდ მიყვარს, ამდენ ტკივილს რატომ მაყენებენ?“

მალე, შონმაც თავი „წამოყო“. 15 წლის ბიჭი პრივილეგირებული სკოლიდან ჩხუბის გამო გარიცხეს. 16 წლისა, იმ წვეულებაზე აღმოჩნდა, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა: უგონოდ მთვრალმა კომპანიამ მანქანით გასეირნება გადაწყვიტა, გასეირნება კი, უმძიმესი ავტოკატასტროფით დაგვირგვინდა. პირს ბროსნანმა ერთი თვე დასახიჩრებული შვილის საწოლთან გაატარა და ამის გამო, დანიშნული ქორწილიც კი 6 თვით გადადო; მაგრამ როგორც კი შონი გამოჯანმრთელდა, კილიმ ქმარი მკაცრად გააფრთხილა: „შენს შვილებს მიხედე! ისინი ჩემს შვილებს ცუდ მაგალითს აძლევენ. არ მინდა, რომ ჩემები მათ კვალს გაჰყვნენ!“ პირსს მართლაც რომ თავზარი დაეცა. ცოლმა „ჩემი“ და არა „ჩვენი“ შვილები ახსენა და თვალნათლივ მიანიშნა, რომ შესაძლოა, წავიდეს

პირსი მეორე ცოლთან — კილი შეი-სმიგთან ერთად

და პატარები თან წაიყვანოს! მაშინ ბროსნანმა უფროსებს ულტიმატუმი წაუყენა: ისინი ან წესიერად მოიქცევიან ან პირსი მათთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტს!

როგორც ყოველთვის, კილი ახლაც მართალი აღმოჩნდა. ულტიმატუმმა გაჭრა. შარლოტამ და კრისმა მკურნალობის კურსი გაიარეს და ბოლო ერთი წელია, კარგად იქცევიან, მათგან დიდი მსახიობები აღბათ არ დადგება, მაგრამ მათი სახელები აღარც სკანდალურ ქრონიკებს ამშვენებს. სამაგიეროდ, შონი დიდ იმედს იძლევა. კინოსა და თეატრში მისი დებიუტი უკვე შედგა. მამა ირწმუნება, რომ ბიჭი „საოცრად ნიჭიერია“.

ამ უსიამოვნებებიდან პირსმა სწორი დასკვნები გამოიტანა და ახლა ცდილობს, უფროსი შვილების აღზრდის დროს დაშვებული შეცდომები, პატარებთან აღარ გაიმეოროს. „როდესაც კრისი და შარლოტა პატარები იყვნენ, კარიერის გამო მათ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი და მწარედ მომეზღო. ახლა ვცდილობ, პატარებს მეტი დრო დავუთმო“. ასე რომ, დილანს და პერისს ერთდაერთი საფრთხე ემუქრებათ — პირსმა შესაძლოა, შვილები ძალზე გაანებივროს. კილი ირწმუნება, რომ „უშიშარი ჯეიმს ბონდი“ ოჯახში საოცრად წყნარი და მორჩილია. მწარე გამოცდილებამ ასწავლა, რომ ბავშვების აღზრდის დროს სიმკაცრე აუცილებელია, მაგრამ პატარებთან სიმკაცრის გამოჩენა საოცრად უძნელდება.

ბროსნანების ოჯახი წლის უმეტეს ნაწილს მაიამიში ატარებს, ზაფხულს და არდადეგებს კი — ჰავაიზე. „როდესაც გადაღებებისგან თავისუფალი ვარ, ვცდილობ, ცოლს დავეხმარო. ბავშვებს დილით საუზმეს ვუმზადებ და სკოლაში დამყავს“. თავისუფალ დროს მსახიობი საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს და ბავშვთა ადგილობრივ საფეხბურთო გუნდს ავარჯიშებს.

როდესაც ოჯახი ჰავაის კუნძულებს მიაშურებს, პირსი პაპარაცებისგან ისვენებს. ცოლი ბავშვებს უვლის და ბაღში მუშაობს — ეს მისი ჰობია. პირსი თევზაობს, სერფინგში ვარჯიშობს და ბევრს ხატავს. მისი პეიზაჟები — სრულყოფილი პროფესიონალის ნამუშევარია და ეს გასაკვირი არც არის — პირს ბროსნანის შრომითი ბიოგრაფია სწორედ მხატვრობით დაიწყო.

უცნაურია, როდესაც პირს ბროსნანს ეკითხებიან, თუ რომელი როლით ამაყობს, ის ჯეიმს ბონდს როდი ასახელებს, მისი საამაყო კინოროლები მცირებიუჯეტიან ფილმში — „ეველინი“ შექმნილი მრავალშვილიანი მამის სახე (2002) და კომედიურ ტრილერში — „მატადორი“ განსახიერებული დაქირავებული მკვლელის როლია (2005). ეს ფილმები საპროდიუსერო კომპანია Irish Dream Time-ს ნაწარმოებია, რომელიც თავად ბროსნანს ეკუთვნის. კომპანია პირსმა კილის რჩევით დააარსა, რათა სწორედ ისეთი სურათები გადაეღო, როგორიც თავად მოსწონს. მსახიობს არც სხვა შეთავაზებები აკლია. „მისი სამეფო უდიდებულესობის სამსახურში“ გატარებული 10 წლის განმავლობაში, მან სხვა, არანაკლებ პოპულარულ სურათებშიც ითამაშა — ისეთებში, როგორებიცაა: „ტომას კრაუნის აფერა“ (1999)

პირსი შონთან, კრისთან და შარლოტასთან ერთად. 1998 წ

ან „მომხიბვლელობის კანონი“ (2004). ასე რომ, ბროსნანის მიერ განსახიერებული პერსონაჟების სია ბონდის გარდა, სხვა მრავალი საინტერესო და წარმატებული როლებისგანაც შედგება, მაგრამ პირსი მაინც ღელავს: „ვცდილობ, მომავალს ოპტიმიზმით შევხედო, მაგრამ არის წუთები, როდესაც შიში მეუფლება: ჩემი „ბონდიანა“ დასრულებულია. ახალი, შეუცნობელი ცხოვრება იწყება... წარმატებული როლები კიდევ მექნება თუ მაყურებლისთვის სამუდამოდ „ყოფილ ჯეიმს ბონდად“ დავრჩები?“ ■

ჯონი დეპი კინოპრემია — „ხალხის არჩევანის“ მთავარი პრეტენდენტია

ჯონი დეპი კინოპრემიის — „ხალხის არჩევანი“ (People`s Choice Award) ერთ-ერთი უმთავრესი პრეტენდენტია. მასთან ერთად, ყველაზე მეტ ნომინაციაში წარდგენილნი არიან: ჰოლი ბერი, ჯენიფერ ენისტონი და მომღერალი შაკირა. ყოველწლიური დაჯილდოების 33-ე ცერემონია 2007 წლის 9 იანვარს ლოს-ანჯელესში ჩატარდება. სხვა პრესტიჟული ამერიკული კინოპრემიებისგან განსხვავებით, „ხალხის არჩევანის“ გამარჯვებულებს მაყურებელთა ინტერნეტ-კენჭისყრა გამოავლენს და არა შოუბიზნესის გავლენიანი მაგნატები. Fox News-ის ცნობით, ნომინანტთა ვინაობა სასტუმრო Peninsula-ში (ბევერლი-ჰილზი) გამართულ პომპეზურ ცერემონიაზე დასახელდა. ჯონი დეპი „ხალხის საყვარელი მსახიობის“ კატეგორიაში სიკველში — „კარიბის ზღვის მეკობრეები“ ნათამაშები ჯეკი-ბეღურის როლის გამო დასახელდა. ამ კატეგორიაში მისი კონკურენტები არიან: ტომ ჰენქსი და დენზელ ვაშინგტონი. ნომინაციაში — „ბოევიკების მონაწილე საყვარელი მსახიობი“ ჯონი დეპთან ერთად დასახელებულნი არიან: სამუელ ლი ჯექსონი და ჯეტ ლი. მესამე ნომინაციაში — „კინოროლის საუკეთესო ინტერპრეტაცია“, დეპის კონკურენტი „კარიბის ზღვის მეკობრეებში“ მისივე პარტნიორი, მსახიობი კირა ნაიტლი იქნება. ჰოლი ბერი ფილმში — „X-ის ადამიანები: უკანასკნელი ბრძოლა“ შექმნილი კინოროლისთვის 2 ნომინაციაზეა წარდგენილი („ხალხის საყვარელი მსახიობი“, „ბოევიკებში მონაწილე საყვარელი მსახიობი“). ნომინაციაში — „კინოსახის საუკეთესო ინტერპრეტაციისათვის“ წარდგენილნი არიან: ჯენიფერ ენისტონი და ვინს ვონი („განქორწინება ამერიკულად“). ამ ჯილდოს პრეტენდენტები აგრეთვე არიან: მეთ დეიმონი, ჯეკ ნიკოლსონი და ლეონარდო დი კაპრიო (ფილმში — „განდგომილი“ შექმნილი როლებისთვის). ამ კონკურსზე შაკირა ორ ნომინაციაში — „ხალხის საყვარელი მომღერალი“ და „საუკეთესო პოპსიმღერა“ გამარჯვებისთვის იბრძვის. ნომინანტთა სია ასე გამოიყურება:

„ხალხის საყვარელი მსახიობი მამაკაცი“ — ჯონი დეპი, ტომ ჰენქსი, დენზელ ვაშინგტონი.

„ხალხის საყვარელი მსახიობი ქალი“ — ჯენიფერ ენისტონი, ჰოლი ბერი, სანდრა ბალოკი.

„წამყვანი მსახიობი ქალი“ — კამერონ დიასი, კირსტენ დანსტი, სკარლეტ იოჰანსონი.

„წამყვანი მსახიობი მამაკაცი“ — მეთ დეიმონი, ბრედ პიტი, ვინს ვონი.

„საუკეთესო მსახიობი ქალი ბოევიკის ჟანრში“ — კეიტ ბეკინსეილი, ჰოლი ბერი, უმა თურმანი.

„საუკეთესო მსახიობი მამაკაცი ბოევიკის ჟანრში“ — ჯონი დეპი, სამუელ ჯექსონი, ჯეტ ლი.

განრისხემული მერაია ქერი

იმის გამო, რომ მერაია ქერის ჰონკონგში დაგეგმილი გამოსვლა ჩაიშალა, მომღერალმა კონცერტების აზიელ ორგანიზატორთა კონსორციუმის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. პრესა იუწყება, რომ შოუს ორგანიზატორი კომპანია One Group Investment Private Limited იძულებული იყო, 28 ოქტომბრისთვის დანიშნული კონცერტი გაეუქმებინა და ამის მიზეზად, „მერაიას აზიაში მოგზაურობის დროს, მომღერლის მიერ წამოყენებული წარმოუდგენელი მოთხოვნები“ დაასახელა. მერაიას ადვოკატები ფიქრობენ, რომ კონცერტის ჩაშლაზე პასუხისმგებლობა პრომოუთერებს ეკისრებათ და ჰონკონგში დანიშნული კონცერტისთვის მოსამზადებლად დაკარგული დროის საკომპენსაციოდ, კომპანიისგან 1 მლნ დოლარის გადახდას მოითხოვენ.

რიზ უიზერსპუნი ქონების ნახევარს კარგავს

განქორწინების შემთხვევაში, რიზ უიზერსპუნის მეუღლე — რაიან ფილიპი იმ ქონების ნახევარს მიღებს, რომლის უდიდესი ნაწილიც უიზერსპუნის შრომითაა მოპოვებული. ცოლ-ქმარი ცდილობს, რომ მათი განხეთქილება განქორწინებაში არ გადაიზარდოს, მაგრამ თუ მათი ოჯახი მაინც დაინგრა, რიზის საქმე ცუდად იქნება! ფილმის — „ქერათმიანი ადვოკატი“ ვარსკვლავი, თითოეული როლისთვის 20 მლნ დოლარს იღებს, მას უკვე სანუკვარი „ოსკარიც“ აქვს და ამა ქვეყნის სხვა, მრავალი სიკეთეც, მაგრამ ერთი, უმნიშვნელოვანესი რამ არ აქვს, და ეს — საქორწინო კონტრაქტია. რაიანს ფილმებში ნათამაშები როლებისთვის 3 მლნ დოლარზე მეტი ჯერ არ მიუღია, მაგრამ კალიფორნიის შტატის კანონმდებლობის თანახმად, მას მეუღლესთან საერთო ქონების 50% ეკუთვნის. კანონმდებლობა იმ ფაქტსაც კი არ ითვალისწინებს, რომ განხეთქილების მიზეზი, რაიან ფილიპის ღალატია, რამაც ორი შვილის დედას, რიზ უიზერსპუნს გული მოუკლა.

კრისტინა აგილერას ახალი სექსუალური იმიჯი

უკანასკნელ ხანს, კრისტინა აგილერას სასცენო იმიჯი შეიცვალა: უფრო რთული და მოწიფული გახდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ახლა მომღერალი ნაკლებად სექსუალური და გულახდილია, პირიქით; გაზეთი Sun იუწყება, რომ ახალი ალბომის Back To The Basics პოპულარიზაციის მიზნით მოწყობილი ტურნეს საკონცერტო პროგრამაში მეტად დამაინტრიგებელი მომენტები და პიკანტური კოსტიუმები იქნება წარმოდგენილი. ზოგიერთი ცნობით, ერთ-ერთ ნომერში სადომაზოხისტური ელემენტებია გამოყენებული: მომღერალი მსმენელს სცენაზე მათრახითა და ცეცხლმოკიდებული „სიკვდილის რგოლით“ შეიარაღებული მოევლინება. სხვა ნომერში, კრისტინა აგილერა რომელიმე იღბლიანი მაყურებლისთვის სტრიპტიზს იცეკვებს. თავად შოუ თემატურად განსხვავებული 3 ნაწილისგან შედგება. საკონცერტო პროგრამა ძირითადად, მომღერლის ახალ ალბომში შესული სიმღერებისგან შედგება. თაყვანისცემელთა გასახარად, კრისტინა ძველ ჰიტებსაც შეასრულებს. ისეთებს როგორიცაა: Come On Over, Lady Marmalade და სიმღერის What A Girl Wants რეგი-ვერსია. მართალია, კრისტინას თაყვანისმცემლები ამ კონცერტებზე სუპერ-ჰიტს — Genie In A Bottle ვერ მოისმენენ, მაგრამ სამაგიეროდ, ფინალში ძალზე პოპულარული სიმღერები — Beautiful და Fighter აჟღერდება.

MK

მოხერხებული დონჟუანი...

ინგა ჯაყელი

დონჟუანის სახელი მანამდე გაუვარდა მერაბიას ქალაქში, ვიდრე სრულწლოვანი გახდებოდა და პასპორტი მისცემდა ქალებში „ძრომიალის“ უფლებას. ხან ვინ ჟეჟა და გაუერთიანა ცხვირ-პირი — ცოლის, დედის თუ შვილის დევნის გამო და ხან — ვინ?!. როგორც კი 18 წლის გახდა, საწყალმა მამამისმა სასწრაფოდ შერთო ცოლი, მაგრამ არც ამან უშველა. ვერ მოიშალა სხვისი ცოლებისკენ კისერმოღრეცილი სიარული და „ანეკდოტიც“ კი გამოუთქვეს ამიტომ: თავისი ცოლი ისე უყვარს, უდროოდ რომ არ გაცვდეს მარინა, ზოგავს და „იმ საქმეზე“ სხვის ცოლებთან დაიარებაო...

— როის ვიქნები კვტარი, თუ იცით?! — მოძღვრავდა ძმაკაცებს საჩვენებელი თითით ზეაღმართული — ქალის დანახვაზე რომ არც „შემახურებს“ და არც „შემამცივნებს“...

მოკლედ, მერაბია ბევრისთვის დონჟუანის სახელით უფრო იყო ცნობილი და ბევრს ჭირის დღესავით ეზარებოდა საკუთარ უბანში და სახლთან მისი გამოჩენა, ცოლსა და შვილს ეჭვის თვალით უწყებდა ცქერას და კარადის თუ ლოგინისქვეშეთს ფარნით ათვალიერებდა, ავის მოლოდინით შეპყრობილი...

ასეთი სიფრთხილე სულაც არ იყო ზედმეტი და უადგილო იმ თავგადასავლების ფონზე, მერაბიას რომ გადახდენია და ერთ-ერთის შესახებ მსურს ახლა გიამბოთ. ეს ამბავი კი, მისმა მეგობრებმა განგებ გამაგებინეს — ღირსია საქვეყნოდ გამოაჭენოო!..

მოკლედ, ნაკლები დონჟუანის სახელი არც ნიკოლოზს ჰქონდა ქალაქში და სწორედ მის ცოლს დაადგა მერაბიამ თვალი, ამტკიცებდა: ყოველი ჩავლისას, რაცხა სხვანაირად მიყურებს, უეჭველად ქმარზეა გაბრაზებული და შურისძიებას აპირებს, ამფერ მარწყვივით ქალს რაფრა არ „დეევეხმაროო“?!.

ბევრი უშალეს, მაგრამ არ დაიშალა და მართლაც, მოახერხა ნიკოლოზას თინიკოსთან დაახლოება და შინაც დააპატიჟებინა თავი. როგორც კი მივლინებაში წასული დაიგულა ქმარი, თინიკომ კაი სუფრა დაახვედრა გაშლილი მერაბიას და ორი ჭიქა რომ დალიეს, არც წყენის მიზეზი დაუფარავს: ვინმე ღირსეულზე მაინც გევეცვალე! კარის მეზობლად რომ ნაბოზარი თამრიკიე შემოგვისახლდა, იმასთან წანწალს დეეჩვია, არც ნამუსი შეირჩინა და არც სინდისი, მე მივლინებაში რომ მეგონა წასული, კედლის იქიდან მესმოდა მისი ხვნეშა და კრუსუნი... კიდო არ დევიჯერებდი და ვიფიქრებდი, ვინცახში ემერია-თქვა, დილით ჩემი თვალით რომ არ დემენახა, თამრიკიეს ბინიდან გამოთრეული, გულმა არ მომითმინა და დოვუდარაჯდი... იმის მაგიერად, ბოდიში მეეხადა, აქით მომდო შარი — საღათას ძილით ხომ არ გეძინა, ერთი საათია, გიკაკუნებდი და თამრიკომ შემიპატიჟაო! — არ ჩამართვევინა სიტყვა და მაშინ დევიფიცე სტორედ შურისძიება!

— ახლაც იქ ხომ არ იქნება?! — კედლისკენ გააპარა შემკრთალმა მერაბიამ თვალი, რადგან დევივით ჩასკვნილი ნიკოლოზა ერთი დარტყმით გააბრტყელებდა ლავაშივით, ცოლთან რომ წაესწრო!

— არა, ახლა მართლა მივლინებაშია, ტელევიზორშიც დევინახე წეღან, ტყიბულის შახტაში მიძვრებოდა! — დაამშვიდა ქალმა და... საძინებელშიც გადაინაცვლეს. მერაბიამ ის იყო, გაიფიქრა — ეჰ, დიდი არაფერი ქალი ყოფილა, მეორედ არ ღირს ამისთვის რისკზე წასვლაო! — რომ კარზეც დააბრახუნეს.

საათი ღამის ორს აჩვენებდა.

— დამლუპე, შე ჩემა?! — ლამის კისერში წაუჭირა ხელები ქალს.

— რა ვიცოდი, ამ შუაღამეზე თუ ჩამეეთრეოდა, მოხიკე ტანსაცმელი, გავარდი აივანზე და წყლის „ტრუბას“ ჩაჰყევი, რომც ჩავარდე, რა მოგივა, მეორე სართულია!

მეტი რა გზა ჰქონდა მერაბიას?! ...გატრუნული უცქერდა, როგორ შემოვიდა ნაქეიფარი ნიკოლოზა საძინებელში, გაიხადა და იმ ლოგინში შეგორდა, რომელშიც ათიოდე წუთის წინ „ლაღობდა“ მერაბია...

ის იყო, ყველაფერი ჩაწყნარდა და იფიქრა — დროა, ჟოლობს ჩავყვე და გევიპაროო, — აივნის მოაჯირზეც შედგა, რომ რკინამ ვერ გაუძლო და უკან გადმოვარდა, ლეწვა-ხრიგინით...

წამში აინთო საძინებელში შუქი და ნიკოლოზა ისე გამოვარდა აივანზე, მერაბიამ წამოდგომაც ვერ მოასწრო, გონებაში, სიკვდილსაც შეეგუა, მაგრამ ბოლო მომენტში გაუნათდა გონება, კაცს მუხლებზე მოეხვია:

— მიშველე, გადამარჩინე სიკვტილს და მე ვიცი შენი პატივისცემა!

— ვინ ხარ, ვინ ოხერი?! — ეჭვით შეხედა მოულოდნელობისგან დაბნეულმა ნიკოლოზამ.

— შემიყვანე შინ, დამმალე და სიკვტილს მიხსენი, ყველაფერს გეტყვი! — უთხრა და შეამჩნია, როგორ წაივლო გულზე ხელი გაფითრებულმა თინიკომ.

ცოტა ხანში, კაცები სასტუმრო ოთახში მაგიდას უსხდნენ, მერაბია თინიკოს მიწოდებულ „კაპლს“ სვამდა და... თამრიკოს აგინებდა:

— მე მაგისი ჩათლახი დედა! ფული გადავუხადე და თურმე, საყვარელი ჰყოლია დაბარებული, მოზვერივით კაცი. თავს ხომ არ მოვაკლევიებდი?! ამიტომ გადმოვიპარე თქვენს აივანზე, შველა მინდოდა მეთხოვა...

— ხომ ვამბობ, რომ უნამუსო ქალია, არაა სანდო! — ხმის ამოღება გაბედა თინიკომაც და ქმარს თვალები დაუბრიალა.

— გაი, ქალო, სამზარეულოში! — არც ნიკოლოზა დარჩა ვალში...

მერაბიას არაყი გამოუტანა, „იმფერი“ ქალების სადღეგრძელოც დალიეს — მაინც ალამაზებენ ჩვენს ცხოვრებასო! — და დამშვიდობებისას შეიპირა „ცოდვის მოზიარე“: გამეიარე, როცა გეცლება, მე თუ არ ვიქნები სახში, აგერ, ჩემი თინიკო დაგხვდებაო!..

— ნუ ჯავრობ, გამევივლი! — მხარზე მოუტყაპუნა ხელი და კიბე ჩაირბინა კმაყოფილმა მერაბიამ.

...როგორც გითხარით, ეს ამბავი მისმა ძმაკაცებმა მიამბეს და ისიც დაამატეს: მას შემდეგ იქით გახედვის სურვილიც არ გასჩენიაო! ნიკოლოზა რომ დამანახვეს, ეს არც გამკვირვებია...

ბოლვიანი ნიჭიდა და შავბნელი გამოგონებლობის უნარით შეპყრობილნი...

ამ განსაკუთრებული კასტის ადამიანები საზოგადოების ყურადღებას მუდამ იპყრობდნენ. ავანტიურისტები, რომლებიც თავიანთ ნიჭს, გარშემო მყოფთა გაბრიყვების გზით საკუთარი შავბნელი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ, ყველა ეპოქაში არსებობდნენ. ხალხი მათ კიცსავდა, მაგრამ ამავე დროს, გაფაციცებით ეცნობოდა მათ თავგადასავლებს და ხშირად, აღფრთოვანებასაც გამოხატავდა ამ, გამორჩეული „ცომისგან დამზადებული“ ადამიანების ტალანტისა და გამომგონებლობის უნარის გამო.

ავანტიურისტებისთვის ოქროს საუკუნედ XVIII ასწლეული იქცა, როცა ისინი თამამად მართავდნენ მსოფლიო ისტორიის საჭეს. შოტლანდიელმა ჯონ ლოუმ, კაცმა არ იცის, საიდან იყო მოსული, საკუთარი ასიგნაციებით მთლიანად მოსპო საფრანგეთის საბანკო სისტემა. შევალიე დ'ეონი კი, რომელიც ქალის კაბაში იყო გადაცმული, საერთაშორისო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა. ტანმორჩილი, მრგვალთავიანი ბარონი ნეიგოფი კორსიკის პირველი მეფე გახდა. კალიოსტრომ, სიცილიელმა სოფლელმა ბიჭმა, პარიზი თავის ფერხთით განართხა, თუმცა დიდხანს ვერ სწავლობდა წერა-კითხვას. სენ-ჟერმენი — უარაკო მაგი — განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა საფრანგეთის მეფის კარზე და დიდი გავლენაც ჰქონდა მასზე. პუგაჩოვმა, პეტრე მესამის სახელით, სახალხო აჯანყება მოაწყო და შიშის ზარი დასცა ეკატერინე მეორეს...

ავანტიურისტებს უყვართ რისკი და მუდამ ცდილობენ, თავიანთი ავანტიურების ქსელში მოაქციონ გარშემო მყოფნი. ისინი თამამად გადიან ღია ზღვაში საკუთარი ბედის გამოსაცდელად. მეკობრეებმა და მათ თავს გადახდენილმა ამბებმა, მიმდინარეობაც კი შექმნა სათავგადასავლო ლიტერატურაში, თუმცა თავგადასავლები, რომლებიც ზღვის ნამდვილ ყაჩაღებს გადახდენიათ თავს, არცთუ ისე იშვიათად, ნებისმიერი ავანტიურული რომანის სიუჟეტს დაჩრდილავს.

ავანტიურისტები აგებენ ფინანსურ „პირამიდებს“, ხლართავენ პოლიტიკურ ინტრიგებს, ქმნიან მთელ რელიგიურ მიმდინარეობებს, ჯაშუშობენ, აყალბებენ ხელოვნების ნიმუშებს, ყიდიან „თავისუფლების ქანდაკებას“ და ეიფელის კოშკს...

ცნობილი მწერალი შტეფან ცვაიგი ასე ახასიათებდა ავანტიურისტებს: „მათ აცვიათ რაღაც ფანტასტიკური სამოსი, მაგალითად, რომელიმე ინდური თუ მონღოლური არმიის ფორმა, რომელსაც უჩვეულო, პომპეზური სახელები ჰქვია და რაც სინამდვილეში, ყალბია, ისევე, როგორც ბალთები მათ ჩექმებზე. ისინი ყველა ენაზე ლაპარაკობენ, ირწმუნებიან, რომ კარგად იცნობენ ყველა წარჩინებულსა და გამოჩენილ ადამიანს, ურცხვად არწმუნებენ გარშემო მყოფებს, რომ მსახურობდნენ ყველა ჯარში და სწავლობდნენ ყველა უნივერსიტეტში. მათ ჯიბეები სავსე აქვთ პროექტებით, მუდამ თამამ დაპირებებს გთავაზობენ, იგონებენ ლატარიებს და განსაკუთრებულ გადასახადებს, ქმნიან სახელმწიფო კავშირებს და სხვადასხვა სახის ფაბრიკას. უშურველად „უძღვნიან საჩუქრად“ ქალებს მთელ სამყაროს, ვიღაცებს ორდენებს სთავაზობენ და, მიუხედავად იმისა, რომ ჯიბეში ათი ოქროც არა აქვთ, ყველა შემხვედრს ამაყად უყვებიან, რომ იციან Tincturae auri-ს (ოქროს დამზადების) საიდუმლო. ვიღაცებს ახალ ფოკუსებს უჩვენებენ, ვიღაცებს — მასონებად, ვიღაცებს — ქიმიური საიდუმლოს მფლობელებად, ვიღაცებს კი — არისტოტელეს შრომების მცოდნეებად მოაჩვენებენ თავს. ხარბი მმართველების წინაშე ისინი მზად არიან, ენერგიულ მევახშეებად და ყალბი ფულის მჭრელებად, მაჭანკლებად და დიდი კავშირების მქონე ძლევამოსილ პიროვნებებად წარდგნენ, მებრძოლ თავადებს ჯაშუშებად გამოადგნენ, ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველ ადამიანს კი ფილოსოფოსებად და რითმის მეფეებად მოევლინონ; ცრუმორწმუნეებს ისინი ჰოროსკოპების შედგენით ურევენ თავგზას, მიმნდობ ადამიანებს — ახალ-ახალი პროექტებით, მოთამაშეებს — დანიშნული ბანქოთი, გულუბრყვილოებს — მაღალი წრის წარმომადგენლის ელეგანტურობით. და ეს ყველაფერი — ძვირფასი, შრიალა, იდუმალი სამოსი, ამოუხსნელია და ამის გამო, გაცილებით მიმზიდველი და საინტერესო მოჩანს საფარველ ქვეშ...“

სწორედ ასეთ ადამიანებზე მოგითხრობთ ახალი რუბრიკით — „ავანტიურისტები“ — შემოთავაზებულ წერილებში. მათ შორის პირველობა, სახელგანთქმულ ფრანგს — მარკიზ დე სადს მივანიჭეთ.

სადიზმის მესაძირკვლე – მარკიზ დონასიენ ალფონს დე სადი

ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური მოღვაწე. მონაწილეობდა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციაში. თითქმის 30 წელი პატიმრობაში გაატარა. ცხოვრების უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოკეტილი იყო შარანტონში — სულით ავადმყოფთა კლინიკაში.

დონასიენ ალფონს დე სადი დაიბადა 1740 წლის 2 ივნისს სასტუმრო „კონდეში“, პარიზში. მამამისი ძველი პროვანსალელი თავადის ოჯახის შვილი გახლდათ, დედა კი, ბურბონების სამეფო დინასტიის ერთ-ერთ შტოს ენათესავებოდა. რომანში — „ალინა და ვალკური“, რომლის გმირიც ავტობიოგრაფიულ ნიშნებს ატარებს, დე სადი ერთგვარ ავტოპორტრეტს წარმოგვიდგენს: „რადგან დედის მხრიდან დაკავშირებული ვიყავი ყველაფერ იმასთან, რაც ჩვენს სამეფოში დიდებულია, ხოლო მამისგან მივიღე ყველაფერი ამაღლებული და დახვეწილი, რაც კი პროვინცია ლანგედოკს შეეძლო მოეცა, ხოლო თვალი პარიზში ამეხილა, დიდებულებითა და სიმდიდრით გარემოცულს, თითქმის იმავე წუთიდან, რაც აზროვნება შევძელი, იმ გადაწყვეტილებამდე მივედი, რომ ბუნება და ფორტუნა მხოლოდ იმისთვის გაერთიანდნენ, რომ თავიანთი კალთა მთლიანად ჩემზე დაებერტყათ“.

დე სადმა კარგი განათლება მიიღო, 17 წლის ასაკში უკვე კავალერიის ოფიცერი გახლდათ და ომში მონაწილეობაც მოასწრო. სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ, 1763 წელს, თავის ერთ-ერთ საგვარეულო ციხე-დარბაზში, ლა კოსტაში დასახლდა. იქ მას მწველი სიყვარულით შეუყვარდა ლაურა-ვიქტორია-ადელინა დე ლორი და თითქმის უკან დასდევდა მას. და ეს მაშინ, როცა მის ქორწინებამდე სულ რაღაც ორი კვირაღა იყო დარჩენილი. მამამისის ინიციატივით ის, უმაღლესი სასამართლოს საპატიო პრეზიდენტის ქალიშვილს, რენე-პელაჟი დე მონტრეის ირთავდა ცოლად.

მიუხედავად სხვა ქალისადმი დონასიენის სიყვარულისა, 15 მაისს საქორწინო ცერემონია მაინც შედგა. დე სადების უძველესი გვარი დაუკავშირდა დე მონტრეის გვარს, რომელმაც ამ ქორწინებამდე სულ ცოტა ხნით ადრე მიიღო აზნაურის ტიტული. თუმცა, ქორწინების მომენტისთვის მათ უკვე სოლიდური ქონებაც ჰქონდათ და მეფის კარზეც ფრიად მიღებული ოჯახი გახლდათ.

1763 წლის 18 ოქტომბერს, 20 წლის მეძავი ჟანა ტესტარი დათანხმდა სასიყვარულო შეხვედრაზე ახალგაზრდა ელეგანტურ დე სადს, თანაც მისსავე სახლში. დონასიენმა ის პატარა, უფანჯრო ოთახში შეიყვანა. კედლები მოფარდაგებული იყო მძიმე შავი პორტიერებით. ერთ-ერთ მათგანზე კი, რამდენიმე მათრახი იყო მიყუდებული. ცოტა ხნის შემდეგ აუხსნა მარკიზმა ანას, „რომელიმე მათგანით გამწკეპლავ; მერე, შენ თვითონ აირჩევ იმ მათრახს, რომლითაც მე გაგწკეპლავ“. ჟანამ უარი თქვა ასეთ „სიამოვნებაზე“. დე სადი მას მოკვლით დაემუქრა და

აიძულა, დაემტვრია ერთ-ერთი იმ ჯვარცმათაგანი, რომელიც ოთახის კედლებზე ეკიდა პორნოგრაფიულ ნახატებთან ერთად...

ორი კვირის შემდეგ, მარკიზი ციხეში აღმოჩნდა. მთელი მისი ოჯახი შოკში ჩავარდა, როცა ის პირველად დაიჭირეს. მარკიზ დე სადის მომდევნო მსხვერპლთა საუბედუროდ, მისი ცოლის მშობლები ძალზე გავლენიანები იყვნენ მეფის კარზე. ციხეში გატარებული 15 დღის შემდეგ დონასიენმა განაცხადა, რომ ინანიებდა თავის საქციელს და იგი გაათავისუფლეს. პარიზის პოლიციამ კი ყველა საროსკოპო გააფრთხილა, რომ მარკიზ დე სადი დიდ საშიშროებას უქმნის მეძავებს. ამიტომ იგი იძულებული გახდა, თავისი ორგიებისთვის არაპროფესიონალები მოეძებნა.

მადამ დე მონტრეი დამშვიდდა. ის ამბობდა, რომ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, დე სადი თითქოს გონს მოეგო და სხვების მსგავსად უბრალოდ, საყვარლები ჰყავდა ხოლმე. მათ შორის იყო იტალიური კომედიის ცნობილი მსახიობი მადმუაზელ ბოვუაზენი. 1765 წლის მაისში დე სადი მასთან ერთად გაემგზავრა პროვანსში, სადაც ქალს ხან თავის ცოლად ასაღებდა, ხან — ნათესავად. არც რენე-პელაჟიმ და არც ოჯახის სხვა წევრებმა იცოდნენ, რომ დე სადს პარიზთან ახლოს ჰქონდა სახლი, სადაც ის ბისექსუალურ ორგიებს მართავდა...

1764 წელს მარკიზს პირველი შვილი შეეძინა, მაგრამ ვერც ამან დააბრუნა ოჯახში. იგი განაგრძობდა თავისუფალ და ბობოქარ ცხოვრებას. მარკიზ დე სადის სახელს უკავშირდება მრავალი სკანდალი, რომელიც შეურაცხყოფდა საზოგადოებრივ მორალს.

3 აპრილს, აღდგომას, 36 წლის როზა კელერმა გააჩერა ქუჩაში მიმავალი მარკიზი და მოწყალება სთხოვა. მარკიზმა ჰკითხა — შრომით ხომ არ ისურვებდა ფულის შოვნას? ქალი დათანხმდა, რომ მისი მოახლე გამხდარიყო. მოგვიანებით მარკიზი ირწმუნებოდა — თავიდანვე გავაფრთხილე როზა, რომ მას „მცირეოდენი დამატებითი მოვალეობებიც“ ექნებოდა შესასრულებელი და ისიც დამთანხმდაო...

სასახლეში მიყვანისთანავე, ქალი ერთ-ერთ ოთახში შეიყვანეს, აიძულეს, ტანთ გაეხადა და პირქვე დაწოლილი, საწოლს მიაბეს და რამდენჯერმე შეუბრალებლად გაშოლტეს, შემდეგ კი ჭრილობებზე რაღაც საცხი წაუსვეს (სხვა წყაროების მიხედვით — ცხელი თაფლის სანთელი). ქალის ყვირილი დონასიენს თითქოს ძალას მატებდა. ბოლოს დე სადს რაღაც ველური ღრიალი აღმოხდა, იატაკზე დაეშვა და ქალის ცემას თავი დაანება. ქალი ეევედრებოდა თავის მწამებელს, არ მოეკლა იგი, რადგან ვერ მოასწრო აღდგომას აღსარება ეთქვა. ამაზე მარკიზმა უპასუხა: „შეგიძლია მე ჩამაბარო აღსარება“... ის როზას მოკვლით ემუქრებოდა, თუ მის სურვილს არ დაჰყვებოდა. მიუხედავად ამისა, ქალი უარს ამბობდა მის „შეთავაზებაზე“ და როგორც იქნა, გაქცევით უშველა თავს.

პოლიციის მიერ გამოძახებულმა ქირურგმა ძირითადად, დაადასტურა დაზარალებულის ნაამბობი. დე სადმა კი განაცხადა, რომ კელერს თვითონ სურდა ეს და მან ქალის საცემრად შოლტი კი არა, მათრახი გამოიყენა.

მარკიზის ოჯახმა კელერისგან თავი იმით დაიხსნა, რომ უზარმაზარი თანხა გადაუხადა, მაგრამ საქმე მაინც არ დახურეს. მოგვიანებით, დე სადმა თავის ერთ-ერთ ლიტერატურულ პერსონაჟს შემდეგი სიტყვები ათქმევინა: „გაიხსენეთ, პარიზელ მოსამართლეებს უფრო მეტად შეებრალათ ქუჩის ქალის გაწკეპლილი უკანალი 1769 წლის ცნობილი საქმიდან, ვიდრე შიმშილით სასიკვდილოდ გამეტებული უამრავი ხალხი. მათ განიზრახეს, დაედანაშაულებინათ ახალგაზრდა ოფიცერი, რომელმაც თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები თავისი მეფის კეთილდღეობას შესწირა. უკან დაბრუნებულმა კი ჯილდო მიიღო — დამცირება თავისი ქვეყნის მტრებისგან, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავდა“. როგორც არ უნდა ეწუწუნა გამოგონილი პერსონაჟების პირით, თვით დე სადმა ლუდოვიკო XV-ისგან „გათავისუფლების წერილი“ მიიღო და იგი გაამართლეს.

მას დააკისრეს, მშვიდად და წყნარად ეცხოვრა თავის ციხესიმაგრეში სამხრეთ საფრანგეთში. დე სადი იქ თავის ოჯახთან ერთად გადავიდა და ცოლის უმცროსი დაც — ან-პროსპერიც წაიყვანა, რომელიც მალე პრაქტიკულად, მის ნამდვილ ცოლად იქცა... იმ ზამთარს დე სადის ძველ ციხესიმაგრეში ისეთი ატმოსფერო იყო შექმნილი, რომელიც ყოველმხრივ უწყობდა ხელს სექსუალური სიამოვნების მიღებას: დგამდნენ ეროტიკულ სპექტაკლებს, რომლებშიც მონაწილეობდა არა მარტო ან-პროსპერი, არამედ დე სადის ნამდვილი ცოლი — რენე-პელაჟიც. 1769 წელს რენეს და მარკიზს მეორე ვაჟი შეეძინათ — დონასიენ-კლოდ-არმანდი, ერთი წლის შემდეგ კი — ქალიშვილი მადლენ-ლაურა.

1772 წელს დე სადი რაღაც საქმეზე მარსელში ჩავიდა. იქ მან მსახურს უბრძანა, მოეძებნა და მასთან სასახლეში მიეყვანა რამდენიმე ახალგაზრდა ქალი, რომლებთანაც დიდი ხნის წინ ჩაფიქრებული ორგიის მოწყობას აპირებდა. მსახურმა წარმატებით შეასრულა მისი დავალება და ოთხი საპორტო მეძავი მიჰგვარა, რომელთა ასაკიც 18-დან 23 წლამდე იყო. დე სადმა აიძულა ისინი, მონაწილეობა მიეღოთ რთულ რიტუალში: იგი სცემდა ქალებს და მათგან მოითხოვდა, რომ თავადაც ეცემათ, რისთვისაც განკუთვნილი იყო უზარმაზარი გასისხლიანებული შოლტი, რომლის წნულშიც ლურსმნები იყო დატანებული. ქალებმა შოლტი სახიფათოდ მიიჩნიეს და ამ საქმისთვის ტირიფის ცოცხის გამოყენება ამჯობინეს. ამ ცოცხით მათ (თუ ამის დაჯერება შეიძლება) მარკიზს 800 დარტყმა უთავაზეს. დე სადს მისი მსახურიც სცემდა. ცემასა და ცემას შორის, დე სადმა და მისმა მსახურმა ქალებს სხვადასხვა სექსუალური აქტი ჩაუტარეს. ამავე დროს, მათ უამრავი კანფეტი შესთავაზეს, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერებით იყო გამოტენილი.

3 სექტემბერს დე სადსა და მის მსახურს მიუსაჯეს საჯარო მონანიება მარსელის ტაძრის კარიბჭესთან, რის შემდეგაც ისინი სან-ლუის მოედანზე უნდა გაეყვანათ: „იმისათვის, რომ ბატონ დე სადისთვის თავი მოეკვეთათ ეშაფოტზე, ხოლო მისი ზემოხსენებული მსახური ჩამოეხრჩოთ“... ბრალდების მხრიდან მოწმედ გამოდიოდა რეტიფ დე ლა ბრეტონი, რომელიც იმ დროისთვის უკვე რამდენიმე პოპულარული რომანის ავტორი იყო, ხოლო მომავალში რევოლუციური პარიზის ჟამთააღმწერელი უნდა გამხდარიყო. მოგვიანებით, რეტიფი და დე სადი ძალზე უარყოფითად აფასებდნენ ერთმანეთის თხზულებებს.

სასამართლო დევნისთვის თავი რომ დაეღწია, დე სადი იტალიაში გაიქცა თავის ცოლისდასთან ერთად, რითაც ცოლის საშინელი რისხვა გამოიწვია. მან ქმარი ღალატში დაადანაშაულა და სარდინიის მეფისგან მისი დაპატიმრების უფლება მოიპოვა. მარკიზი დააპატიმრეს და მილანის ციხესიმაგრეში დაამწყვდიეს. მისივე თქმით, სწორედ ამ ციხესიმაგრეში დაიწყო „პროფესიონალი ტუსაღის“ ცხოვრება. თუმცა, ერთი წლის შემდეგ ის პატიმრობიდან გაიქცა და ლა კოსტის ციხე-დარბაზში დაიმალა, სადაც 5 წლის განმავლობაში ისე ცხოვრობდა, როგორც სურდა, რითიც სასტიკად აღაშფოთებდა მეზობლებს. მაგრამ როგორღაც ახერხებდა დროდადრო ატეხილი სკანდალების ჩაფარცხვას. ამ პერიოდში დე სადმა იტალიაში იმოგზაურა, ეწვია რომს, ფლორენციას, ნეპალს. მიუხედავად აკრძალვისა, ხშირად ჩადიოდა პარიზშიც. თუმცა, ბრალდება კვლავაც თან სდევდა, ლოდად აწვა და როცა ბოლოს და ბოლოს, იგი მოუხსნეს, დე სადი კვლავ ციხეში მოხვდა, ახლა უკვე Lettre De Caschette-ის საფუძველზე. ეს იყო მეფის ბრძანება მისი ციხეში ჩასმის შესახებ, ყოველგვარი სასამართლოსა და გამოძიების გარეშე, რომლის გამოცემასაც მისმა ცოლმა მიაღწია. ასეთი ბრძანება ზოგჯერ ეძლეოდა არისტოკრატთა ნათესავებს, რათა თავი აერიდებინათ, ოჯახის სახელის შემლახველი სასამართლო პროცესისთვის.

1777 წლის დასაწყისში მარკიზმა პარიზიდან ცნობა მიიღო, რომ დედამისი უკანასკნელ დღეში იყო. მიუხედავად იმისა, რომ დე სადი მუდამ გულგრილი იყო დედის მიმართ, მაშინვე გაემგზავრა პარიზში. მეგობრები აფრთხილებდნენ, რომ სიდედრი ყველაფერს იღონებდა მის დასაპატიმრებლად. მართლაც, ქალმა მიაღწია მეფის საგანგებო ბრძანების გამოცემას. ასე აღმოჩნდა დე სადი 1777 წელს ვენსენის ციხეში. თებერვლის ბოლოს ის წერდა: „სასოწარკვეთილება მიპყრობს. ზოგჯერ თვითონაც ვერ ვცნობ საკუთარ თავს. მე ძალზე ცხელი სისხლი მაქვს იმისთვის, რომ ამ საშინელ წამებას გავუძლო“. სიდედრმა განაცხადა: „ყველაფერი ისეა, როგორც სამართლიანობა მოითხოვს“. ციხეში ყოფნისას მასში უცაბედად მწერალმა გაიღვიძა. დე სადმა გისოსებს მიღმა შექმნა მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელთაგან უმრავლესობა, ეროტიკული შინაარსის იყო.

დასასრული შემდეგ ნომერში

გიორგი დემეტრაძე: «უბრძოლველად არაფრის დათმობას არ ვაპირებთ»

როგორ ვერ აუბა მხარი ქართველმა ფორვარდმა უკრაინის პრეზიდენტის ცოლს

ქართველ მოთამაშეებს შორის ნაკლებად თუ მოიძებნება ვინმე, რომელსაც გიორგი დემეტრაძის მსგავსი ფართო „საფეხბურთო გეოგრაფია“ ჰქონდეს. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ კარიერის მანძილზე, 30 წლის ფორვარდმა, ექვსი ქვეყნის რვა კლუბის გამოცვლა მოასწრო. გარდა ამისა, დემეტრაძის აქტივში კიდევ ერთი უნიკალური „ჰეთ-თრიკია“: სამი ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მფლობელი გახლავთ. 1997 წელს, გიორგიმ „დინამოს“ შემადგენლობაში, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო გოლეადორის ტიტული 26 გატანილი ბურთით მოიპოვა, 1999 წელს, რუსეთის პირველობაზე „ალანიას“ რიგებში ასპარეზობისას, „სნაიპერობა“ არავის დაუთმო და მეტოქის მეკარეები 21-ჯერ დაამწუხრა, ხოლო 2004 წლის სეზონის დასრულებისას, დონეცკის „მეტალურგში“ — 18 გოლით, უკრაინაში ნომერ პირველი ბომბარდირის წოდება მოიპოვა. „დინამოსთან“ ერთად, დემეტრაძემ სამჯერ საქართველოს ჩემპიონობა და ამდენჯერვე, ქვეყნის თასი მოიგო. კიევის „დინამოს“ რიგებში, 2000 წელს უკრაინის ჩემპიონი გახდა და თასსაც დაეუფლა. საქართველოს ნაკრებში ჩატარებულ 46 თამაშში მან პირად ანგარიშზე 11 ბურთი ჩაიწერა.

ლაშა თაბაგარი

— ფეხბურთელი ვერასდროს გავხდებოდი, რომ არა მამაჩემი, შალვა დემეტრაძე. 6 წლის ასაკში, სწორედ მან შემიყვანა „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლაში, მწვრთნელ თენგიზ ჩარკვიანთან, სადაც 10 წელი დავყავი. სხვათა შორის, ბავშვობაში, საბჭოთა კავშირის პირველობაზე, თბილისის „დინამოს“ თამაშების დროს, სარბენ ბილიკებზე ბურთის მიმწოდებელიც ვიყავი. არაერთხელ, მოედნის გარეთ გადავარდნილი ბურთი „დინამოს“ მაშინდელი მეკარისთვის — ზაურ ხაპოვისთვისაც მიმიტანია. შემდეგ, ისე მოხდა, რომ მასთან ერთად, ვლადიკავკაზის „ალანიასა“ და მოსკოვის „ლოკომოტივში“ ვთამაშობდი.

— კარიერის მანძილზე საკმაოდ ბევრი კლუბი გამოიცვალეთ...

— ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ამტკიცებს დაუწერელ კანონს, რომ ფეხბურთელის ცხოვრება მოულოდნელობითაა აღსავსე და ხშირ შემთხვევაში, ის საკუთარ ბედს ვერ განაგებს. კონტრაქტი სულ ხუთ კლუბთან მქონდა დადებული, ესენია: თბილისის და კიევის „დინამო“, ესპანეთის „რეალ-სოსიედადი“, ვლადიკავკაზის „ალანია“ და დონეცკის „მეტალურგი“. ხოლო ჰოლანდიის „ფეინოორდში“, მოსკოვის „ლოკომოტივსა“ და ტელ-ავივის „მაკაბიში“ ოჯარის საფუძველზე ვთამაშობდი.

— თავის დროზე, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ, 20 წლის ასაკში „ფეინოორდში“ გაგიშვათ...

— იმ პერიოდში ქართული ფეხბურთი მძიმე მდგომარეობაში იყო და ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის საზღვარგარეთ წასვლა, თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება გახლდათ. „ფეინოორდში“ ოჯარით მხოლოდ ნახევარი სეზონი გავატარე, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა ნამდვილად ღირდა. ევროპული ფეხბურთი პირველად სწორედ იქ დავაგემოვნე და საკლუბო დონეზე ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მწვრთნელი, ლეო ბეენჰაკერი გავიცანი. ეს ის ადამიანი გახლავთ, რომელმაც მადრიდის „რეალს“ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული ზედიზედ სამჯერ მოაგებინა და ასეთივე წარმატების მიღწევა შეძლო ჰოლანდიაში — „აიაქსთან“ და „ფეინოორდთან“ ერთად.

— კიევის „დინამოში“ გატარებული პერიოდი ალბათ განსაკუთრებული იყო, მით უმეტეს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში დემეტრაძის ტრანსფერი „ალანიიდან“ „დინამოში“ სარეკორდო აღმოჩნდა. უკრაინელებმა ხომ თქვენს სანაცვლოდ სამი მილიონი დოლარი გადაიხადეს.

— ამ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა იმას კი არ ჰქონდა, თუ რამდენი გადაიხადეს ჩემში, არამედ იმას, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით ვთამაშობდი. მას „ყველა დროისა და ხალხის“ საუკეთესო მწვრთნელად მივიჩნევ. ერთი შეხედვით, ის მძიმე ხასიათის, არაკონტაქტური ჩანდა. თუმცა, ვისაც მასთან უმუშავია, კარგად იცის, ლობანოვსკი რასაც წარმოადგენდა. უბრალოდ, მას ისევე, როგორც ყველა მწვრთნელს, ქცევის საკუთარი მანერა ჰქონდა და თავის საფეხბურთო კონცეფციას ქადაგებდა.

— თუმცა, იგივე ლობანოვსკი, რომელიც „მილანში“ გადასული ანდრეი შევჩენკოს შემცვლელად მიგიჩნევდათ, ნახევარ წელიწადში შეგელიათ.

— კიეველთა რიგებში, ჩემპიონთა ლიგაში საკმაოდ კარგი მატჩები ჩავატარე — ორი გოლი ბელგიის „ანდერლეხტს“ გავუტანე, ერთი კი — მიუნხენის „ბაიერნს“. თუმცა, „დინამოელთა“ სათამაშო კონცეფცია ბოლომდე ვერ გავითავისე. მთავარი პრობლემა კი ის გახლდათ, რომ ლობანოვსკი ნებისმიერი ფეხბურთელისგან მოითხოვდა, რომ ის დაცვას აუცილებლად დახმარებოდა. საქართველოში კი, სადაც მე ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი, ასე არ თამაშობდნენ. სხვათა შორის, მსგავსი რამ ჩემგან არც სხვა გუნდებში მოუთხოვიათ.

— „ანდერლეხტის“ კარში გატანილი 2 გოლი, საკუთარ დაბადების დღეს „დაამთხვიეთ“, არა?

— ამ თამაშის შემდეგ გამართულ ბანკეტზე, ჩემთან უკრაინის მაშინდელი პრეზიდენტის, ლეონიდ კუჩმას ცოლი მოვიდა და ქართულად „თბილისოს“ სიმღერა დაიწყო. თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ტექსტი არასრულად ვიცოდი და კახი კალაძეს გავხედე — იქნებ, დამეხმარო-მეთქი. თუმცა, ის ვერაფრით დამეხმარა.

— ლობანოვსკის გარდა, რომელმა მწვრთნელმა მოახდინა თქვენზე სერიოზული გავლენა?

— რა თქმა უნდა, გაზაევმა. „ალანიაში“ მისი ხელმძღვანელობით თამაში, ჩემთვის დიდი საფეხბურთო სკოლა გახლდათ. ის მაქსიმალისტია და მისთვის უმაღლესი მიზნების მიღწევის გარდა, სხვა ამოცანა არ არსებობს. გაზაევი ფეხბურთს სულ სხვა თვალით უყურებს. „ფეინოორდში“, რატომღაც ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე გადამიყვანეს, გაზაევმა კი, ისევ თავდასხმაში დამაბრუნა და პირველსავე მატჩში 2 გოლი გავიტანე. მომდევნო სეზონში, 21 გოლით რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავხდი და სწორედ იმ პერიოდში მიმიწვიეს საქართველოს ნაკრებში.

— თქვენ პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი აღმოჩნდით, რომელსაც ესპანეთის ჩემპიონატში უთამაშია. თუმცა, „რეალ-სოსიედადში“ წარმატებუ-

ლი კარიერა ნამდვილად არ გქონ-ათ...

— იმ პერიოდში სან-სებასტიანის კლუ-ბი რთულ მდგომარეობაში იყო და პრი-მერადივიზიონის დატოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი გახლდათ. „რეალ-სოსიედადში“ რომ მოვხვდი, გუნდს პერი-კო ალონსო წვრთნიდა, რომელიც მორიგი წარუმატებლობის შემდეგ გაუშვეს. მერე, ჯონ ტოშაკი მოვიდა...

— **რომლისთვისაც დემეტრაძე საჭირო არ აღმოჩნდა?**

— ტოშაკის მწვრთნელობის საწყის პე-რიოდში ვთამაშობდი და ყველაფერი ნორ-მალურად იყო. მოგვიანებით, მუხლი ამტ-კივდა და ქირურგიული ჩარევა გახდა საჭირო. ვარჯიშზე ბურთი ცუდად დავა-მუშავე და მენისკი დავიზიანე — 7 თვე ვმკურნალობდი. ოპერაციის შემდეგ, ვი-დრე ფორმაში ჩავდგებოდი, სავალალო მდგომარეობაში მყოფმა კლუბმა ახალი ფეხ-ბურთელები შეიძინა. შემდეგ კი, ყველაფერი ცნობილი სცენარით განვითარდა — „რეალ-სოსიედადში“ მოსული ფეხბურთელები შეთამაშდნენ და ძირითად შემადგენლო-ბაში ვეღარ ვხვდებოდი.

— **თუმცა, მოსკოვის „ლოკომო-ტივში“ და თქვენთვის კარგად ნაც-ნობ „ალანიაში“ არცთუ ისე ხანგრ-ძლივი ოჯარის შემდეგ, კვლავ „რეალ-სოსიედადში“ დაბრუნდით, რომლის შემადგენლობაში სტაბილურად თამაშს გეგმავდით. ხელი კვლავ ტრავმამ შეგიშალათ?**

— არა. აბსოლუტურად ჯანმრთელი ვიყავი და თამაში მწყუროდა. თუმცა, მაშინ ფორტუნამ ზურგი მაქცია და საფეხ-ბურთო ბიუროკრატების მსხვერპლი გავხ-დი.

— **კონკრეტულად?**

— ესპანური საფეხბურთო კანონების თანახმად, თითოეულ კლუბს განაცხადში არაევროკავშირელი ოთხი ფეხბურთელის შეყვანის უფლება აქვს. სან-სებასტიანში რომ დავბრუნდი, იქ რუსები — ხოხლოვი და კარპინი, თურქი ნიჰათი და სერბი კო-ვაჩევიჩი დამხვდნენ. წესით, კარპინზე, არ-სებული ლიმიტი არ უნდა გავრცელებუ-ლიყო, რადგან თავის დროზე, მან სასა-მართლოს ძალით, ე.წ. ევროპულ საფეხ-ბურთო მოქალაქეობას მიაღწია. თუმცა, მოულოდნელად გაირკვა, რომ სასამართ-ლოს განაჩენი გააუქმეს და კარპინი ესპან-ეთში კვლავ „არაევროპელად“ მიიჩნეოდა. გამომდინარე იქიდან, რომ კლუბს საჩემ-პიონატო განაცხადი ესპანეთის ფეხბურ-თის ფედერაციაში უკვე შეტანილი ჰქონ-და და მათში ზემოთ აღნიშნული ოთხივე ფეხბურთელის გვარი ფიგურირებდა, მე ზედმეტი აღმოვჩნდი.

— **„მეტალურგი“, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ ყველაზე მდი-დარ კლუბად მიიჩნევა, მიმდინარე სეზონში ასე უსახურად რატომ გამოდის?**

— გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა, რომელთაც შესათამაშებლად დრო სჭირდებათ. ვფიქრობ, ზამთრის მოსამზა-დებელი პერიოდის შემდეგ, ჩვენ გაცილებით უკეთეს ფორმაში ვიქნებით.

— **ჩემპიონთა ლიგაში რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?**

— პირველ რიგში, კახი კალაძესა და მის „მილანს“. გარდა ამისა, სიმპათიით ვარ განწყობილი ინგლისური და ესპან-ური კლუბების, აგრეთვე, „ცეესკას“ მიმა-რთ, რადგან ამ უკანასკნელს გაზაევი თავკა-ცობს.

— **რას იტყვით საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ — კლაუს ტოპმიოლერზე?**

— ტოპმიოლერი ძლიერი მწვრთნელი და კარგი პიროვნებაა. ის ნაცნობობის პირვ-ელსავე წუთიდან, დადებითად განგაწყობს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ.

— **რამდენად შესაძლებელია გერ-მანული დისციპლინის ქართულ ტემ-პერამენტთან შეთავსება?**

— ყველამ იცის, რომ ნებისმიერ ქართველ ფეხბურთელს ბურთის „თრე-ვა“ სისხლში აქვს გამჯდარი. ტოპმიოლ-ერი ფაქტობრივად, იმავეს გვთავაზობს, მაგრამ არა ინდივიდუალურად, არამედ გუნდურ დონეზე. იგი უპირატესობას მოკლე და საშუალო გადაცემებს ანიჭებს. თან, მოედნის სიგანეზე პასების გაკეთე-ბას კრძალავს. ტოპმიოლერი მცველებსაც კი ეუბნება, რომ მათ ბურთი უმისამარ-თოდ არ უნდა მოიგერიონ და საჭიროა, პარტნიორის „გახსნას“ დაელოდონ... ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთიც სწორედ ეს გახლავთ.

— **ფიქრობთ, რომ საქართვე-ლოს ნაკრებმა ახალი თავკაცის ხელში, 2008 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ფაქტობრივად დაკარ-გა?**

— შანსებზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ უბრძოლვე-ლად არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. სამწუხაროდ, შესარჩევ ციკლში ოპტი-მალური შემადგენლობით თამაშის ჩატარე-ბის საშუალება, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებმა არ მოგვცა.

— **თბილისში, ფრანგებთან ჩა-ტარებულ მატჩს როგორ გაიხსენებთ?**

— თამაშამდე მთელი საქართველო ფრანგებთან დაპირისპირების მოლოდინით ცხოვრობდა. ამას ხელს ისიც უწყობდა, რომ ბორის პაიჭაძის სახელობის სტადი-ონი გაარემონტეს და ტრიბუნებზე 60000 გულშემატკივარი შეიკრიბა. მატჩის დაწყე-ბამდე ქვეყნის პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშ-ვილი გასახდელში შემოვიდა და ფეხ-ბურთელებს წარმატება უსურვა. რა თქმა უნდა, ასეთი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ თამაში ღირსეულად გვსურდა, მაგრამ დასაწყისშივე ორი სწრაფი გოლი გავუშ-ვით და წარმატების მიღწევის შანსები ნულამდე შეგვიმცირდა.

— **რამდენიმე ქვეყნის საფეხ-ბურთო პირველობაზე გითამაშიათ და მათგან, ყველაზე ძლიერად რომელი მიგაჩნიათ?**

— პირველ ადგილზე ესპანეთის ჩემპი-ონატს ვაყენებ. ჰოლანდიის პირველობა საკ-მაოდ კარგია და რამდენიმე წლის წინ, მას უდავოდ მეორე ადგილს მივანიჭებდი. თუმცა ამჟამად, ვითარება რადიკალურად შეიცვ-ალა და ჩემი აზრით, რუსეთის ჩემპიონატი ჰოლანდიისას არაფრით ჩამოუვარდება. ამის შემდეგ კი — უკრაინა, ისრაელი და საქართველო მოდის.

— **საქართველო რომ ბოლოში მოიხსენიეთ, გასაკვირი არ არის...**

— სამწუხაროდ, რეალობა ასეთია. ქართული საკლუბო ფეხბურთი ფინან-სურად საკმაოდ ბევრი ქვეყნის ანალოგიურ პირველობას ჩამორჩება. სამაგიეროდ, ერთ სულ მოსახლეზე, ტალანტების მხრივ, ჩვენ კვლავ მოწინავეთა შორის ვართ. იმედია, დადგება დრო, როდესაც 20 წლის პერ-სპექტიულ ფეხბურთელს ბედის საძებრად ქვეყნის ფარგლებს გარეთ წასვლა აღარ მოუწევს.

— **უკვე 30 წელი შეგისრულ-დათ და დაოჯახებას არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით, არა. სხვათა შორის, შევამჩნიე, რომ რაც დრო გადის, ამ ნაბიჯის გადადგმა უფრო და უფრო მიჭირს. ალ-ბათ, მივეჩვიე ისეთ ცხოვრებას, როდესაც საკუთარი თავის პატრონი თავად ხარ.

■

გოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-48

ნიკა ხვდებოდა, რომ რომანი სამართველოში არ შეხვდებოდა მესხს, მაგრამ იმან კი გააოცა და გააღიზიანა კიდეც, რომ პაემანი მცხეთის ერთ-ერთ რესტორანში დაუთქვა. საქმე ძალზე სერიოზული იყო საიმისოდ, რომ მასზე რესტორანში ელაპარაკათ. მაგრამ ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილება რომანმა მიიღო. თანაც, შეხვედრის ადგილი თავად მესხმა შეარჩია და ნიკას სხვა არაფერი რჩებოდა — ის უსიტყვოდ მიუჯდა საჭეს და თავის „ბეემვეს“ მცხეთისკენ ააღებინა გეზი.

მესხი რესტორნის ავტოსადგომთან დახვდა სტუმრებს. ჯერ რომანს მიესალმა, შინაურულად გადაკოცნა, შემდეგ, ნიკას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ჰა, როგორ ხარ, ძველო?

— რა მიშავს, — მხრები აიჩეჩა ნიკამ.

— რაღაც უხასიათოდ მეჩვენები, — განაგრძო მერაბმა.

— არა, ისეთი არაფერი, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ნიკამ.

— აქაურობა არ მოსწონს, — საუბარში ჩაერთო რომანი.

— რატომ? — გაუკვირდა მერაბს. — არ გიყვარს რესტორნები?

— მიყვარს, მაგრამ ახლა საქეიფოდ არ გვცალია...

— კარგი, რა, ნიკა! არ მოგბეზრდა სამმართველოს კაბინეტები და დაბღვერილი თანამშრომლები?!. თქვენ ისეთი საქმე გაქვთ ჩემთან, რომ აქაც მოვახერხებთ ლაპარაკს. სანამ მოვრჩებით, შემოგვაღამდება და სხვა საქმესაც მივხედავთ... შენი არ ვიცი, მე კი ისე ვარ დაკავებული, რომ რომანთან შეხვედრასაც ვეღარ ვახერხებ. ასე, სამსახური თუ შეგვახსენებს ერთმანეთს. შენ კი გინდა, კაბინეტში დავამთავროთ ლაპარაკი და მაშინვე დავშორდეთ ერთმანეთს?!

— კარგი. რაც იყო, იყო. აქ მოსული, უკან ხომ არ გავბრუნდები, — ხელი ჩაიქნია ნიკამ.

— ჰოდა, ასე არ სჯობია?!. — გაიცინა მერაბმა, შემდეგ, ნიკას მხარზე მოხვია ხელი და რესტორნისკენ წაიყვანა.

რამდენიმე წუთში მერაბი და მისი სტუმრები რესტორნის დარბაზის განაპირას, მყუდრო კუპეში გაწყობილ სუფრასთან ისხდნენ. ოფიციანტმა ქალმა მაგიდაზე საფერფლეები დადო და მერაბს მიაპყრო მზერა.

— ჯერჯერობით არაფერი გვინდა. ცოტა ხანში შემოიხედე, — უპასუხა მერაბმა და თავის სტუმრებს მიუბრუნდა: — მიდით ახლა, პატიჟი არ დამაწყებინოთ. ყველანი სამსახურიდან, დაღლილები მოვდივართ და მშივრები ვართ...

რომანი მაშინვე გამოცოცხლდა. თეფშზე საწებელა დაისხა, ცალ ხელში პურის ნაჭერი მოიმარჯვა, მეორეში — ქათმის ბარკალი და მადიანად შეუდგა ჭამას.

— კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ კიდევ ბევრი რამის სწავლა მოგიწევს, — უკმაყოფილო სახით ჩაილაპარაკა მერაბმა, როდესაც ნიკამ მხოლოდ „ბორჯომი“ მოსვა...

— რას გულისხმობ? — ჰკითხა ნიკამ.

— რას უნდა ვგულისხმობდე, ბიჭო?!. — გაეცინა მერაბს. — სუფრასთან ვართ, ამდენი ხანი არ შევხვედრივართ ერთმანეთს, ლუკმა გატეხე, საქმე კი არსად გაგვექცევა...

— არ გეწყინოს, მერაბ. მართლაც, არა ვარ ქეიფის ხასიათზე, — უპასუხა ნიკამ.

— კარგი. იქნებ, ასე მაინც გამოგაცოცხლო, თორემ, უკვე ვგრძნობ, რომ მე და რომანსაც არ შეგვარგებ ამ პურმარილს, — ამ სიტყვებთან ერთად, მერაბმა თეფში გვერდზე გადადო, რომანს მიაჩერდა და ჰკითხა: — რით დაგაინტერესათ ჭელიძემ?

— იცი, რომელ საქმეზე ვმუშაობთ? — ჰკითხა რომანმა.

— ვიცი.

— მურტალი საქმეა, ბუნდოვანი... აქამდე ვერც ერთი ფაქტი ვერ დავუკავშირეთ ერთმანეთს. ახლა კი, საქმეში ეს ჭელიძეც გამოეჩხირა, — უპასუხა რომანმა.

— მე დაახლოებით მაინც ვიცნობ მაგ საქმეს და ვერ ვხვდები, საიდან გახვედით ჭელიძეზე, — თქვა მერაბმა.

— ნიკამ შემთხვევის ადგილზე, მობილურის დეპოზიტის გასააქტიურებელი ბარათი იპოვა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ ბარათით შეავსეს გორგაძის მობილურის ანგარიში, მაგრამ ამ დროს ის უკვე მკვდარი იყო...

— ჰოდა, თქვენც თავისთავად გაგიჩნდათ კითხვა: რამე ხომ არ აკავშირებს იმ მობილურთან ჭელიძეს? — განაგრძო მერაბმა.

— მგონი, ლოგიკური კითხვაა... — ჩაილაპარაკა რომანმა.

— სავსებით, — დაეთანხმა მერაბი, — ყველა გამომძიებელი ასე მოიქცეოდა.

— მაინც, რა კაცია ის ჭელიძე? — საუბარში ჩაერთო ნიკა.

— იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბიჭებო. ჭელიძე არაა ის კაცი, რომელსაც თქვენ ეძებთ.

— საიდან ასკვნი? — ჰკითხა რომანმა.

— ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჭელიძეს უბრალოდ, არ შეეძლო იმ ბარათით ანგარიშის შევსება, მით უმეტეს — თავდასხმაში მონაწილეობა. ის იმ დროისთვის უკვე აყვანილი იყო, — უპასუხა მერაბმა.

— ვიცი, მაგრამ მას მობილურის ვინმესთვის მიცემა შეეძლო, — შენიშნა ნიკამ.

— არ შეეძლო, — თავი გააქნია მერაბმა.

— რატომ? — გაუკვირდა ნიკას. — მას შეეძლო, მობილური გორგაძის მკვლელობის შემდეგ მიეთვისებინა და ვინმესთვის მიეცა...

— მხოლოდ თეორიულად, რეალურად კი... — მერაბმა პაუზა გააკეთა და შემდეგ განაგრძო: — იმ დღეს მე ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც შემთხვევის ადგილზე მივიდა. მე თვითონ დავათვალიერე ყველაფერი. გორგაძის ყველა ნივთი ადგილზე აღმოჩნდა. მას ფულიც ჰქონდა ჯიბეში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. გვამს ჯიბეში სუბუტექსის მოზრდილი შეკვრა აღმოვუჩინეთ. უფრო ზუსტად — 24 „კაკალი“... როგორ გგონია, რა უფრო დაინტერესებდა ჭელიძეს — მობილური თუ სუბუტექსი, რომლის გაყიდვითაც, ის შვიდი ასეთი აპარატის ყიდვას შეძლებდა?.. თან გაითვალისწინე, რომ ჩვენ „ბარიგაზე“ ვლაპარაკობთ!..

— რა კაცია ჭელიძე? — პაუზის შემდეგ ჰკითხა ნიკამ.

— ხომ გითხარი, „ბარიგაა“, — უპასუხა მერაბმა.

— დღეს ყველა ნაბიჭვარმა წამლის გაყიდვას მოჰკიდა ხელი. ისეთი ხალხი „ბარიგობს“, რომ.... — აღარ დაამთავრა ნიკამ.

— ჭელიძეც ზუსტად ეგეთი ნაბიჭვარია. ერთი მხრივ, მეცოდება კიდეც. შეიძლება, გორგაძის სიახლოვემაც იმოქმედა მასზე. სად ჭელიძე და სად გორგაძე?! გორგაძე ჩამოყალიბებული მორფინისტი და ახვარი იყო, ის კი — ჩვეულებრივი არიფი, რომელიც გორგაძემ შეაბა და „ბარიგობა“ დაწყებინა.

— მაგ არიფმა კურდღელივით გააგორა გორგაძე... — შენიშნა ნიკამ.

— ახალი კაცი ხარ ამ საქმეში, ნიკა, ბევრი რამის სწავლა მოგიწევს. ახლა კი, ერთი რამ დაიმახსოვრე: ყველაზე მურტალი მკვლელი — არიფია. ეგენი ძალიან ადვილად ღვრიან სისხლს. „შპან-

აა“, რომელსაც ერთი ღერი სიგარეტის ან „დიშოვი“ მობილურისთვის შეუძლია კაცის მოკვლა. გორგაძე ასეთ საქმეს ხელს არ მოაწერდა. იმან კარგად იცოდა სიცოცხლის ფასი და კიდევ ის, რომ მკვლელობის მუხლით „სროკზე“ წასულს, შვები პასუხს მოსთხოვდნენ. ჭელიძემ კი, ერთი პატარა პარტია სუბუტექსისთვის გაიმეტა. შიშის გამო გაიმეტა. ხომ აზრზე ხარ, რა „ბაზარი“ გაიმართებოდა მაგათ შორის?!. გორგაძე არ იკადრებდა „გადაგდებას“. იმ გოიმს კი, ვიღაცამ აახია წამალი! ამ დროს, გორგაძეს ჰუმანიტარული ფირმა არ ჰქონდა და მაგრად ეკიდა ჭელიძის მოკაიფე კურსელები. აქ ნაღდ მაყუთზეა ლაპარაკი. ვისაც კაიფი უნდა, მაყუთიც უნდა გადაიხადოს. ჭელიძემ კი, მთელ პარტიაში „გადააგდო“ ძმაკაცი. „იასნია“, რომ გორგაძე ემუქრებოდა და არიფიც ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მის ადგილას ყველა გოიმი მოიქცეოდა, — ბავშვობის მეგობარი მიაბრიდა!.. ახლა თუ ხვდები, რა კაცია ჭელიძე?

— დაახლოებით, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა ნიკამ.

— არა, ვერ ხვდები, — თავი გააქნია მერაბმა, — რომ ხვდებოდე, ასეთ მნიშვნელობას არ მიანიჭებდი. გორგაძე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მართლაც, გექნებოდა მისი დაკითხვის საფუძველი. ჭელიძე კი... ეს საერთოდ, უმნიშვნელო ფიგურაა, ნიკა. ერთი რიგითი „ბარიგა“, რომლისნაირიც გორგაძეს ბევრი ჰყავდა. გორგაძისგან იღებდა ჭელიძე წამალს და თავის არიფ კურსელებში ავრცელებდა. სხვა დანიშნულება ამ პიროვნებას არ ჰქონია და არც გორგაძის ბანდის სხვა წევრებთან ექნებოდა ურთიერთობა...

— ბანდის?! — ნიკამ სწრაფი მზერა ესროლა მერაბს.

— ნუ „დაიგრუზები“ ამ სიტყვით. შენ და რომანს სხვა ხალხთან და მართლა ბანდასთან გაქვთ საქმე. მე ასეთ სიმაღლეზე არ დავფრინავ და ჩემთვის გორგაძე და მისი ათი ან თორმეტი „ბარიგაც“ ბანდაა. სწორედ ასეთი ჯგუფის შეკოწიწება შეძლო გორგაძემ. ის „დიშოვკა“ იყო, მაგრამ თავისი დონისთვის, საკმაოდ გონიერი. მან მარტივი სისტემა შექმნა: თვითონ ერთპიროვნული მმართველი გახდა და ყოველ „ბარიგასთან“, რომელსაც სუბუტექსით ამარაგებდა, მხოლოდ თვითონ ჰქონდა კავშირი. ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა ჭელიძესთან ერთად, ათი-თორმეტი ახვარი აღმოჩნდებოდა იზოლატორში. მაგრამ ის გორგაძის მეტს არავის იცნობდა. ასე რომ, მისი დახმარების იმედი ნუ გექნებათ. ის ვერ მიგანიშნებს თავდამსხმელებზე — უბრალოდ, არაფერი იცის მათ შესახებ.

ნიკამ, რომელსაც აღარაფერი ჰქონდა სათქმელი, რომანს გახედა. ის მთელი ამ დროის განმავლობაში უდარდელი სახით აგრძელებდა ჭამას.

— ყურადღებით უსმინე. მერაბმა კარგად იცის, რასაც ამბობს. თუ ამბობს, რომ იმ კაცის დაკითხვა არაფერს მოგვცემს, ესე იგი, ასეცაა, — მშვიდად ჩაილაპარაკა რომანმა.

— გორგაძის ძმა?.. რა როლს ასრულებს ის ამ საქმეში? — ისევ მესხს მიუბრუნდა ნიკა.

— რომელ საქმეში?

— რომელსაც შენ იძიებდი? — დაამზუსტა ნიკამ.

— „პეხოტაა“... — ხელი ჩაიქნია მესხმა. — ჭელიძე უფრო სერიოზული ტიპია, ვიდრე გორგაძის ძმა.

— როგორ?.. ჭელიძე უფრო ახლოს იყო უფროს გორგაძესთან? — გაუკვირდა ნიკას.

— რას ხედავ ამაში უცნაურს?

— ისინი ხომ ძმები იყვნენ, — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— შენ ბევრი რამე არ იცი, ნიკა, — ჩაურთო რომანმა. — კრიმინალებში ეს, ჩვეულებრივი მოვლენაა. ჯერ არ შეეხვედრივარ ქურდს, რომელიც თავის ძმას ან შვილს მისი მიბაძვით ცხოვრებას ურჩევდა... გორგაძეც ასეთი იყო. ნებისმიერთან ერთად წავიდოდა საქმეზე, მაგრამ თავის ძმასთან — არა!..

— ეს უმცროსმა გორგაძემ უკვე დაამტკიცა, — განაგრძო მესხმა.

— რა დაამტკიცა? — გახედა ნიკამ.

— ის, რომ ძმის საქმეებში არ ერეოდა.

— რით დაამტკიცა? — ჰკითხა ნიკამ.

— გუშინ გორგაძემ ჭელიძის წინააღმდეგ ჩვენება მისცა. პრინციპში, ამას გამოძიებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა: ჭელიძის ირგვლივ ყველაფერი ისედაც გარკვეული გვქონდა. მაგრამ გორგაძემ თავისი სათქმელი თქვა და ყველას დაუმტკიცა, რომ ძმის „სასტავთან“ არაფერი აკავშირებდა.

— ისევ კედელი!.. — წამოიძახა ნიკამ და შუბლი მოისრისა.

— საქმეები, მით უმეტეს ასეთი რთული, იოლად არ იხსნება. არ გეწყინოს, მაგრამ ეს შენთვის გაკვეთილად უნდა იქცეს. თვითონ დაფიქრდი — სად სტუდენტი და სად — „სასტავი“, რომელსაც საერთაშორისო კავშირები აქვს და რამდენიმე წუთში 4 ადამიანის მოკვლა შეუძლია?! — იკითხა მესხმა.

— მე მაინც მქონდა იმედი, რომ ჭელიძის დაკითხვა რამეს ახალს მოგვცემდა.

— იმედი... არაფერია, ეს დროთა განმავლობაში გაგივლის... — გაიცინა მერაბმა. — კიდევ რა გაინტერესებს?

— პრინციპში, არაფერი, მაგრამ... — ნიკამ პაუზა გააკეთა და შემდეგ დაამატა: — მაინც შევხვდები ჭელიძეს.

— შეხვდი. მაგრამ მე ამაში ვერ დაგეხმარები: საქმე სხირტლაძეს გადავეცი, იმას მიმართე, — უპასუხა მერაბმა.

— ...და უმცროს გორგაძეს. სად არის ახლა? — ჰკითხა ნიკამ.

— გორგაძე დღეს დილით გამოვიდა ციხიდან.

— ესე იგი, ისევ სხირტლაძეს უნდა მივაკითხო?

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა მერაბმა.

— კმაყოფილი ხარ? — მიმართა ნიკას რომანმა.

— ისე, რა...

— აუუ, გამაგიჟებს ეს ბიჭი!.. — ხელები გაშალა მესხმა. — ზღაპრული სუფრა გაგიშალეთ, რაც შემეძლო, ყველაფერი გითხარი და კიდევ უკმაყოფილო ხარ?!

— არა, არა, ყველაფრით კმაყოფილი ვარ, — სწრაფად უპასუხა ნიკამ.

— მაშინ — დავლიოთ, — თქვა რომანმა და ღვინით სავსე დოქს წაეტანა.

— მე რატომ არ მეკითხები, კმაყოფილი ვარ თუ არა?.. — უეცრად გამოცოცხლდა მერაბი.

— შენ?.. — რომანმა გაოცებული სახით დაუშვა დოქი. — შენ რაღა არ მოგწონს?..

— სად არის?

— რა? — ჰკითხა რომანმა.

— რაზე შევთანხმდით?..

— აუ, მაპატიე, ძმაო, საერთოდ გავ-



ითიშე!..

— დაგავიწყდა?! — მოიღრუბლა მერაბი.

— არა, არ დამვიწყნია, უბრალოდ, მანქანაში დამრჩა. — რომანი ნიკას მიუბრუნდა და სთხოვა: — თუ ძმა ხარ, მანქანიდან ის დანა მოიტანე.

ნიკა მხოლოდ მაშინ მიხვდა, თუ რაზე იყო ლაპარაკი: სამმართველოდან წამოსვლისას, რომანმა გასაოცარი ოსტატობით დამზადებული ფინური დანა უჩვენა, რომელიც მერაბისთვის უნდა ეჩუქებინა. მისი თქმით, ცივი იარაღი, მით უმეტეს — კარგი დანა, ერთადერთი ნივთი იყო, რითიც მერაბის კეთილგანწყობილების მოპოვება იყო შესაძლებელი. მცხეთისკენ მგზავრობისას, რომანმა მოვარაყებულქარქაშიანი დანა სავარძლებს შორის დადო და მისი წამოღება მანქანიდან გადმოსვლისას დაავიწყდა.

— ახლავე, — თანხმობის ნიშნად, ნიკამ თავი დაუქნია რომანს და კუპედან გავიდა.

ფინური დანა სწორედ იქ დახვდა, სადაც ნიკა ვარაუდობდა — წინა სავარძლებს შორის. მან სწრაფად დაკეტა კარი და დანით ხელში, შებრუნდა და სწორედ ამ დროს...

ნიკამ გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა სამი ახალგაზრდა კაცის გარემოცვაში. მანქანასთან მიახლოებისას, ვერც ერთი მათგანი ვერ შენიშნა, რამაც მიახვედრა, რომ ისინი სადღაც, ახლომახლო იმალებოდნენ. ამან კი უცებ მიახვედრა, რომ ეს თავდასხმა იყო. ამის მიუხედავად, ნიკას არაფრით გაუმჟღავნებია შიში ან მღელვარება და მშვიდად მიმართა უცნობებს.

— რაშია საქმე, ბიჭებო?..

— გასაღები!.. — გაისმა პასუხი და ამავე დროს, ერთ-ერთმა მათგანმა ნიკას გვერდში დანა მიაბჯინა, მეორემ კი — პისტოლეტი მოიმარჯვა.

ვითარება საგანგაშო იყო. სამ შეიარაღებულ თავდამსხმელს ნიკა ვერაფრით გაუმკლავდებოდა. ასეთ ვითარებაში ყველაზე გონიერი გადაწყვეტილება, მანქანის გასაღების დათმობა იქნებოდა. მაგრამ ნიკამ მაინც ვერ შეიკავა თავი.

— თქვენ ხომ არ უბერავთ?!. დროზე დაახვიეთ აქედან!.. — გამოცრა მან ავად და თავდამსხმელს დანიან მარჯვენაზე აუკრა ხელი. ის იმედოვნებდა, რომ რესტორნის ავტოსადგომზე თავდამსხმელები სროლას ვერ გაბედავდნენ და პირველ რიგში, დანით შეიარაღებული თავდამსხმელის მოგერიება იყო საჭირო. მაგრამ ბოროტმოქმედიც საკმაოდ მარჯვე აღმოჩნდა — მან სწრაფად მოიგერია დარტყმა და ნიკას დანა მოუქნია. საბედნიეროდ, ნიკამ რეაგირება მოასწრო და დანამ მხოლოდ ქურთუკის კალთა გაუჭრა. იმავ წამს თავდამსხმელმა მეორედ მოიქნია დანა, მაგრამ ნიკა ამას მომზადებული შეხვდა, ერთი ნახტომით გადაცურდა კაპოტზე, მანქანის მეორე მხარეს მოექცა და უბეში დამალულ პისტოლეტს წაეტანა. თავდამსხმელებს მისი მოძრაობა არ გამოჰპარვიათ.

— იარაღი აქვს! — იყვირა ერთ-ერთმა მათგანმა და უმალ, პისტოლეტიდან გასროლაც მოხდა.

თავის გადასარჩენად ნიკა სწრაფად გაწვა მიწაზე და გვერდით მდგარი ავტომობილისკენ გადაგორდა, რათა პისტოლეტის დამცველის გასახსნელად საჭირო დრო მოეგო. ამ მომენტში ავტოსადგომზე ისევ გასროლის ხმა გაისმა. თუმცა, ამჯერად სროლის ხმა სრულიად სხვა მხრიდან გაისმა. სროლას ყვირილი მოჰყვა:

— დააგდე იარაღი, ნაბიჭვარო! დააგდე, თორემ შუბლს გაგიხვრეტ!!!

ვიდრე ნიკა მომხდარში გაერკვეოდა, ავტოსადგომზე კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს. ვინ იყვნენ მსროლელები, მისთვის გაურკვეველი დარჩა. მხოლოდ იმას მიხვდა, რომ ამჯერად მას არ ესროდნენ. სროლა ავტოსადგომის საპირისპირო მხრებიდან მიმდინარეობდა. თითქოს ორ სხვადასხვა მხარეს მყოფი მოწინააღმდეგეები, ერთმანეთს დაუზოგავად უშენდნენ ტყვიებს...

შეტაკება ისევე სწრაფად დასრულდა, როგორც დაიწყო. სროლა შეწყდა. შემდეგ კი ნიკას, რომანის ხმა ჩაესმა.

— ნიკა!

— აქ ვარ! — გაეპასუხა ნიკა და ცალ მუხლზე მდგომი, წამოიწია.

პირველი, ვინც მან შენიშნა, მერაბი იყო, რომელიც პისტოლეტშემართული გარბოდა გზატკეცილისკენ და რესტორნის მცველებს რაღაცას უყვიროდა. სწორედ ამ დროს, მასთან რომანი მიიჭრა, იქვე ჩაიმუხლა და ჰკითხა:

— ცოცხალი ხარ?

— ყველაფერი რიგზეა, — უპასუხა ნიკამ.

— მაშინ, მერაბს დავეხმარები, — თქვა რომანმა და გზატკეცილისკენ გაიქცა. მას ნიკაც მიჰყვა. მაგრამ საქმეში მათი ჩარევა საჭირო აღარ იყო — თავდამსხმელები უკვე მიმალულიყვნენ.

როგორც კი მერაბმა გზატკეცილს მიახლოებული რომანი და ნიკა შენიშნა, დევნა შეწყვიტა და უკან მობრუნდა. იგივე მოიმოქმედეს რესტორნის დაცვის წევრებმაც. მაგრამ რომანმა მათ ავტოსადგომთან მიახლოება არ აცალა — მაშინვე შეტევაზე გადავიდა:

— რას მიკეთებთ თქვენ აქ?! ოთხი იდიოტი დგახართ და თვალს ადევნებთ, როგორ კლავენ კაცს!!!

— ჩვენ რა უნდა ვქნათ?! იარაღი არა გვაქვს და მარტო რესტორანზე ვაგებთ პასუხს, — გაუბედავად ალაპარაკდნენ მცველები.

— მანქანის ნომრები თუ დააფიქსირეთ?! — ისევ ყვირილით განაგრძო მერაბმა.

— ვერა... — ერთხმად უპასუხეს მცველებმა.

— სირეგო! პოლიცია მაინც გამოიძახეთ!.. — ბრაზიანად ისროლა მერაბმა, მცველებს ზურგი შეაქცია და ნიკას მიუბრუნდა: — როგორა ხარ?..

— კარგად...

— სად გადაეყარე იმ ნაბიჭვრებს?

— მანქანასთან... თქვენ აქ საიდან გაჩნდით? — იკითხა ნიკამ.

— ბედი გქონია, ძმაო... — უპასუხა რომანმა. — მერაბს არ მოეწონა — პატარა ბიჭივით, რატომ გააგზავნეო? — და უკან გამოგყვა...

— შენ ესროლე? — გახედა ნიკამ მერაბს.

— ჰო... იმ დროს გამოვედი, როცა კაპოტს გადააფრინდი. ცოტაც და... მაგრამ გადავრჩით, — მერაბმა პისტოლეტი შეინახა.

— ნაბიჭვრები!.. — კბილები გააღრჭიალა რომანმა. — რა უნდოდათ?

— მანქანა, — უპასუხა ნიკამ.

— მანქანა?! — გაუკვირდა რომანს. — რომელი წელია?!. ვინღა იტაცებს მანქანებს „სტაიანკიდან“?..

— ვიღაც იტაცებს... მაგათი დედაც! ვინ დაგვთარსა?.. აღარც ღირს აქ დარჩენა, ლუკმა აღარ გადამივა... ანგარიშს გავასწორებ და წავიდეთ.

— წავიდეთ, — მხარი აუბა ნიკამ.

— პოლიცია უკვე გამოვიძახეთ. ჩვენება ხომ უნდა მისცეთ?! — გაუბედავად მიმართა მათ რესტორნის ერთ-ერთმა მცველმა.

— სამმართველოში მოგვაკითხოს, სირო!.. — ღვარძლიანად მიუგდო მერაბმა, მცველს ზურგი შეაქცია და რესტორნისკენ წავიდა.

გიოს ახალი სამყოფელი ძალზე განსხვავდებოდა ძველი საკნისგან. იქ ხალხმრავლობა იყო, მუშაობდა რადიო, ტელევიზორი... უკიდურეს შემთხვევაში, ვინმესთან საუბრით შეიძლებოდა დროის მოკვლა. მუდმივი ხმაური იდგა კორპუსშიც. ყოველდღე გასეირნება ჰქონდათ, ამანათებს იღებდნენ... „სპეცში“ კი სრული მდუმარება სუფევდა. დერეფნებსა და საკნებში გამეფებული სიჩუმე მხოლოდ დილით, საერთო შემოწმებისა და შემდეგ, „ბალანდის“ ჩამოტარებისას თუ ირღვეოდა. თანაც, ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად ხდებოდა. შემოწმებისას, ზედამხედველები სწრაფად მიმოდიოდნენ საკნიდან საკნამდე, პატიმარს სამზერიდან შეეკითხებოდნენ სახელსა და გვარს და მაშინვე მიდიოდნენ.

მარტოობის მესამე დღეს, გიო „სპეცისთვის“ უჩვეულო ხმაურმა გამოაღვიძა. თავიდან ხმაურისთვის ყურადღება არ მიუქცევია, იფიქრა, რომ ზედამხედველებს რომელიმე საკნიდან პატიმარი გაჰყავდათ. ამასობაში, ნაბიჯების ხმა მისი საკნის კართან შეწყდა. ამას საკეტის ჩხაკუნი მოჰყვა და მძიმე კარი ანჯამების ჭრიალით გაიღო.

გიო სწრაფად წამოჯდა და შემოსასვლელს მიაპყრო მზერა. ზღურბლთან რამდენიმე ზედამხედველი იდგა. ერთ-ერთმა მათგანმა ნაბიჯი გადმოდგა, სწრაფი მზერა მოავლო საკანს, წამით შეხედა გიოს, შემდეგ, გვერდზე გადგა და დანარჩენებს უბრძანა: შემოუშვითო. იმავ წამს საკანში ჯიბომ შემოაბიჯა. ზედამხედველებს კარი დახურული არ ჰქონდათ, როცა ჯიბომ საბანი და ლეიბი „ნარზე“ მიაგდო და გიოს მეგობრულად გადაეხვია.

— ჰა, როგორა ხარ, ძველო? ხომ არ მოიწყინე?

— ჯიბო?! — გაოცებული და ამასთან ერთად, გახარებული გიო საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. — როგორ მოხვდი აქ?

— შენ როგორ მოხვდი? — იქით ჰკითხა ჯიბომ.

— საგამოძიებოში ერთი ახვარი...

— ვიცი, ვიცი, — არ დაასრულებინა ჯიბომ. — ეგ ამბავი მთელმა ციხემ გაიგო და შენი ბედი, რომ აქ ჩაგსვეს და არა — კარცერში...

— რატომ? — გაუკვირდა გიოს.

— იმიტომ, რომ კარცერში ქურდები „სპროსს“ მოგთხოვდნენ, — აუხსნა ჯიბომ.

— რატომ?.. ნაბოზარის ცემა „გრეხია“?

— სად? საგამოძიებოში?.. ციხეში ამას „პალაჟენიის“ გაფუჭება ჰქვია — იმ „პალაჟენიისა“, რომლისთვისაც ქურდები იბრძვიან. შენ კი მუშტი-კრივი გამართე და კინაღამ დაბრიდე შენი ნაბოზარი „პადელნიკი“... იცოდე, რომ ამას არც ერთი ქურდი, მაყურებელი და კაი ბიჭი არ მოგიწონებს!

— გასაგებია, — გიომ პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა: — შენ რაღა შეგემთხვა? შენც ხომ არ იჩხუბე?

— ეეჰ, — ჯიბომ უხალისოდ ჩაიქნია ხელი და ნარზე დაეშვა, — დამერხა, ძმაო. ზონაში გაგზავნამდე, აქედან ცხვირს არ გამაყოფინებენ. ამ „პადვალში“ მომიწევს მთელი წლის გატარება...

— რატომ? — ჩაეძია გიო.

— კამერაში ხიპიში მოხდა. ერთ ახვარს ავადეთ. იმან კი, იმის მაგივრად, რომ მისაღები კაცურად მიეღო, ღრიალი მორთო... მოკლედ, ატყდა ხმაური. ეგრევე „ძაღლებიც“ გაიჩითნენ, რომ ის ახვარი კამერიდან გაეყვანათ... „ძაღლებს“ ხომ არ დავუწყებდით ბლატავს?! ყველა დაწყნარდა. მაგრამ იმ ნაბოზარმა იფიქრა: კამერიდან გავდივარ, ესენი ფეხებს ვეღარ მომჭამენო, — და არ გამარტყა?!. აი, მაშინ ატყდა ნაღდი „ბოი“. ის ახვარი ჩავქოლეთ. ამაზე „ნადზორსაც“ არ ექნებოდა პრეტენზია, მაგრამ ჩხუბის დროს იმ დამპალს ქვაბი ვესროლე. ქვაბში ადუღებული წყალი ესხა. ისიც დაიფუფქა, ერთი „ნადზირატელიც“ და მეც. — ამ სიტყვებთან ერთად, ჯიბომ მარჯვენაზე სქლად დადებული სახვევი უჩვენა გიოს. — აბა, მაგას ვინ შემარჩენდა? — და ეგრევე „სპეცში“ მიკრეს თავი!

— ვერ მოგსვლია კარგი საქმე...

— რა ვუყო?!. ციხე ჩვენია. ეს კამერაც ქურდულია, — ჩაილაპარაკა ჯიბომ. — შენ როგორ ხარ? როგორ შეეჩვიე აქაურობას?

— როგორ უნდა ვიყო?.. — ხელი ჩაიქნია გიომ. — რეჟიმის უფროსი დამპირდა: დღის სინათლეს ვეღარ ნახავო!..

— დაიკიდე.

— მართლა აღარ „ამწევენ“ კორპუსზე? — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჰკითხა გიომ.

— რას ამბობ, ტო?.. მარტო უნდა დამტოვო?!.

— საქმეს ასე სჭირდება.

— რისთვის?

— კამერაში მობილურია, გარეთ „ქსივის“ გაგზავნა შეიძლება, იქნებ „სვიდანიაც“ გამიჩალიჩოს ძმამ. აქედან ვერაფერს გავაკეთებ... — უპასუხა გიომ.

— ჰოო... ეგ მართალია, აქედან ვერაფერს იჩალიჩებ, — დაეთანხმა ჯიბო.

— რა ვქნა, როგორ შევაბა რეჟიმის უფროსი?

— მაყუთით, — დაარიგა ჯიბომ.

— მესმის. მაგრამ ჩემს ძმას როგორ მივაწვდინო ხმა? — ჰკითხა გიომ.

— გადამხდელია?

— რაზეა „ბაზარი“?!.

— მაშინ, დაჯექი და „ქსივა“ გაამზადე.

— ხუმრობ? — მზერა გაუსწორა გიომ.

— ვაა! გინდა თუ არა, რომ შენს ძმას ხმა მიაწვდინო?.. — გაბრაზდა ჯიბო.

— მინდა, — დაუდასტურა გიომ.

— მაშინ, მოამზადე „ქსივა“. გაგზავნა ჩემზე იყოს!.. — უპასუხა ჯიბომ და „ნარზე“ ლეიბის გაშლას შეუდგა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ვმადლობ სახელსა უფლისასა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა“

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არაერთი ქართველი მეფე შერაცხა წმინდანად. მათ შორისაა ვახტანგ გორგასალი, რომელიც 13 დეკემბერს იხსენიება.

შორენა მერკვილაძე

442 წელს, ქართლის მეფის, მირდატ მეექვსის სასახლეში უფლისწული დაიბადა. მას ვახტანგი დაარქვეს. 7 წლის იყო ვახტანგი, როდესაც მამამისი გარდაიცვალა. ქვეყნის მართვა დაქვრივებულ საგდუხტ დედოფალს დააწვა მხრებზე. ამით ისარგებლეს სპარსელებმა და მცხეთაში ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები გამოგზავნეს, რომელთაც ქართლის მოსახლეობა თავიანთ რჯულზე უნდა მოექციათ. მათ მხარს უჭერდა დედოფლის მამა, ბარდავის ერისთავი ბარზაბოდი, რომელიც თვითონაც მაზდეანი იყო და სპარსეთის პოლიტიკას ემხრობოდა.

მცხეთაში დასახლებული მოგვების უმაღლესი ქურუმი იყო ბინქანარი. მან ბევრი ქართველის ცეცხლთაყვანისმცემლობაზე მოქცევა შეძლო. ამას ისიც დაერთო, რომ მცხეთის ეპისკოპოსი მობიდანი გარეგნულად მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა, თუმცა ფარულად ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელებს ემხრობოდა და მათ სასარგებლოდ მოქმედებდა.

დედოფლის სისუსტით ოსებმაც ისარგებლეს — ქართლში შემოიჭრნენ, ქვეყანა აოხრეს და უკან ნადავლით დატვირთულები დაბრუნდნენ. მათ ტყვედ წაიყვანეს ვახტანგის უმცროსი და — 3 წლის მირანდუხტი. აფხაზეთიდან ბერძნებიც გადმოვიდნენ. ჯერ კლარჯეთი დაიპყრეს, შემდეგ — ეგრისს შეესივნენ და ციხე-გოჯამდე მიაღწიეს. მაშინ ვახტანგი 10 წლის იყო და მცხეთაში ჯუანშერ სპასპეტის მეურვეობით იზრდებოდა. ისტორიკოსთა ცნობით, მან სიყრმიდანვე შეიყვარა ქრისტეს რჯული: „და მწუხარე იყო იგი ამისათვის, რამეთუ შემორეოდა ქართლს ცეცხლის მსახურება ტყვეობისა და საზღვართა მისხმისაგან“.

დასუსტებული ქვეყნის ბედზე წუხილი არ ასვენებდა მომავალ მეფეს. 15 წლისა, ქართლის სამეფო ტახტზე დასვეს. მან მაშინვე შეკრიბა მცხეთაში წარჩინებული ერისკაცნი და მათ წინაშე სრული სიმტკიცით განაცხადა: „არა დავითმინო კიცხვა სამეფოისა ჩემისა, არცა სჯულისა ჩემისა... არა ხამს დათმენა — სიკვდილი სჯობს თავთა ჩვენთათვის“.

მართლაც, არ დაუშურებია ძალ-ღონე ქვეყნის ღირსების და ერთიანობის აღსადგენად. პირველ რიგში, მან საომარ განაწესს მიხედა. ჯარები რამდენიმე სახეობად დაყო: ქვეითი ლაშქარი, თოროსნები (მძიმედ შეჯავშნული ცხენოსნები, მსუბუქი ცხენოსნები და რჩეული მხედრობა — გვარდია).

ყველა ბრძოლაში თავად მიუძღოდა წინ ქართველთა ლაშქარს. ბრძოლის წინ კურთხევას ითხოვდა ღვთისგან, მებრძოლებს კი შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „მხნე იყვენით და განძლიერდით, რამეთუ ღმერთი ჩვენ კერძო არს“.

16 წლის იყო ვახტანგ მეფე, როდესაც ოსების წინააღმდეგ გაილაშქრა და თარხან ხაზარი დაამარცხა. თავისი მეფობის პერიოდში კიდევ მრავალი ომი გადაიხადა — გაილაშქრა რომაელების, ხაზარების, ჰუნების, შუააზიელების, ბიზანტიელების, ინდოელებისა და სპარსელების წინააღმდეგ. სწორედ სპარსელებთან ბრძოლისას მრიპოვა ცნობილი ზედსახელი — გორგასალი: ბუმბერაზ მეფეს ბრძოლის დროს ყოველთვის ეხურა მუზარადი, რომელზეც მგელი იყო გამოსახული. სპარსელებმა ქართველთა მეფის მუზარადზე გამოსახული მგლის თავი შენიშნეს. გამოჩნდებოდა თუ არა მეომართა შორის უძლიერესი მეფე, სპარსელ მებრძოლთა რიგებში შეძახილები ისმოდა: „დურ აზ გორგასარ!“ („ერიდეთ მგლისთავას!“).

ვახტანგ მეფის მთავარი საზრუნავი მხოლოდ ომები როდი იყო. მისი მეფობის ხანაში დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობდა: სახელოვანმა მეფემ აღადგინა და გაამაგრა ძველი ციხეები, დააარსა არტანუჯის საერისთავო, ააშენა თავისი ახალი სამეფო სამყოფელი — უჯარმა; მცხეთაში, მირიან მეფის მიერ აგებული სვეტიცხოვლის ხის ეკლესიის ადგილზე ააგო ქვის ტაძარი. ვახტანგმა ააშენა ახალი ეკლესიები — ნიქოზში, ნინოწმინდაში, ჭერემში, ჩელეთსა და ჟალეთში; ააგო მეტეხის ტაძარიც, დააარსა მრავალი ახალი ეპარქია. ქართლში ქრისტიანული სარწმუნოება ძლიერდებოდა. მეფის წყალობითა და ძალისხმევით, საქართველოს ეკლესიამ ავტოკეფალია (დამოუკიდებლობა) მოიპოვა.

მაინც მძლავრობდნენ სპარსელები. ეს შორსმჭვრეტელ გვირგვინოსანს ძალზე აფიქრებდა. ამიტომ, მცხეთიდან — სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გადაინაცვლა და იმ მიდამოებში მდებარე ციხე-ქალაქების გამაგრებას მიჰყო ხელი. ააშენა ახალი ციხე-ქალაქებიც.

ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება საქართველოს დედაქალაქის — თბილისის დაარსებაც: მტკვრის ხეობაში, V საუკუნეში უკვე იდგა ძლიერი ციხესიმაგრე — „ციხედ მცხეთისა“. მის მიდამოებში თანდათან წარმოიშვა პატარა ქალაქი, რომელსაც ახლომახლო ამომავალი ცხელი წყაროების გამო, „ტფილისი“ ეწოდა. იგი სრულიად მოოხრდა სპარსელთა თავდასხმების დროს და ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში მთლიანად ტყით იყო დაფარული. მეფის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო განადგურებული ქალაქის ტერიტორიამ. გადაწყვიტა, ამ ადგილას ახალი, გამორჩეული და აღმატებული ქალაქი აეშენებინა, რომელიც საქართველოს ახალ დედაქალაქად იქცეოდა. ხალხმა ლეგენდაც კი შექმნა, რომელიც დღეს ყველა ქართველმა კარგად იცის — ლეგენდა მიწის გულიდან ამომავალ ცხელი წყლის წყაროში ჩავარდნილი ხოხბისა და მიმინოს შესახებ...

მეფის ბრძანებისამებრ, დაიწყო ტფილისის მშენებლობა. ვახტანგს სურდა, მასში გადაეტანა სამეფო ტახტი, მაგრამ ვერ მოასწრო ახალი სატახტო ქალაქის დასრულება, მხოლოდ საფუძველი ჩაუყარა. მისმა ძემ — დაჩიმ „შემდგომად სიკვდილისა ვახტანგისასა, განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითარცა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ“, მცხეთა კი, ვახტანგის სურვილისამებრ, ქვეყნის უზენაეს საეკლესიო ხელისუფალს — კათოლიკოსს გადასცა.

ვახტანგ მეფისთვის ყველაზე საშიშ მტრად კვლავ სპარსელები რჩებოდნენ. სპარსელთა მეფე პეროზ მესამე, მიუხედავად იმისა, რომ დამარცხდა და ზავი ითხოვა, ვახტანგ გორგასალთან სარევანშო ომზე ხელის აღებას არ აპირებდა. ომის დაწყების საბაბად, ქართველთა მეფის ბრძანება იქცა — სიკვდილით დაესაჯათ ქვემო ქართლის პიტიახში — ვარქსენი, რომელმაც ქრის-

ტიანული რჯული უარყო და მაზდეანობა მიიღო. თან, სპარსეთის შაჰსაც დაუმოყვრდა. ჯერ კიდევ ამ ბრძანების აღსრულებამდე იცოდა ვახტანგმა, რომ ვარსქენის სიკვდილი სპარსეთის საომარ გამოწვევას უდრიდა და უმალვე შეუდგა სამზადისს. მეომართა სიმცირის გამო, ერთგზის დამარცხდა სპარსელთა წინააღმდეგ ომში, რადგან გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა არც ჯარის სიმამაცე, არც გორგასლის შეუპოვრობა და გმირობანი.

ერთგზის ძლეული ვახტანგ მეფე მაინც არ აპირებდა დანებებას, ეგრისს გადავიდა და იქ შეუდგა საომარ სამზადისს. მალე ისიც შეიტყო, რომ პეროზ შაჰი ჰუნების წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულიყო. გორგასალი ეგრისიდან ახალი ჯარითურთ დაბრუნდა. ამის შესახებ შეიტყვეს თუ არა, ქართლს მყოფი სპარსელები აიყარნენ და გადაიხვეწნენ.

ამის შემდეგ, ქვეყანა 15 წელი იყო მოსვენებული სპარსელთა თავდასხმებისგან. შემდეგ, 502 წელს, სპარსეთის მაშინდელმა ხელმწიფემ, კავადმა აღმართა მახვილი ქართველთა წინააღმდეგ. ჩვენი ლაშქარიც მზად იყო საბრძოლველად და რომ არა ღალატი, არ დამარცხდებოდა. ბრძოლის წინ, ვახტანგმა სამ ნაწილად დაყო ლაშქარი: მარჯვენა ფლანგს ჯუანშერ სპასპეტი უსარდლა, მარცხენას — ადარნასე ერისთავი, თვითონ შუა ნაწილს ჩაუდგა სათავეში და საიერიშოდ, სპარსელთა ბანაკის შუაგული, თვით შაჰინშაჰის კარავი ამოიღო მიზანში.

სპარსელები მედგრად დაუხვდნენ ქართველთა გააფთრებულ შეტევას, მაგრამ ვერასგზით უკუაგდეს. ის იყო, ქართველთა მეფემ სპარსელთა შუაგული გაარღვია და კავად შაჰის კარავსაც მიუახლოვდა, რომ უეცრად, სპარსელთაგან მოსყიდულმა ერთმა ქართველმა მონა მსახურმა მეფეს ისარი მოარტყა მარცხენა იღლიაში, სადაც ჯაჭვის პერანგი ჰქონდა ჩარღვეული.

ერთხანს მაინც იბრძოდა დაჭრილი მეფე, სძლია კიდეც სპარსელებს, მაგრამ ბოლოს დაუძლურდა, „რადგან დამძიმდა წყლულება ვახტანგისა“.

დაჭრილი გვირგვინოსანი უჯარმის ციხეში გადაიყვანეს. იქვე გარდაიცვალა კიდეც. სიკვდილის წინ შვილები იხმო და უთხრა: „მე ესერა წარვალ წინაშე ღმრთისა ჩემისა. და ვმადლობ სახელსა მისსა, რამეთუ არა დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ გამეცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

მეფის ცხედარი უჯარმის ციხიდან მცხეთას წაასვენეს და მის მიერ განახლებულ სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს — „წინაშე სუეტისა ცხოველისა“. იქვე დააბრძანეს მისი საბრძოლო სამოსი და აბჯარიც.

მის საფლავს დიდი — მისი ბუმბერაზი აღნაგობის სწორი ლოდი დაადეს და ზედ მისი „თორმეტბრჭყალიანი“ ხატი ამოკვეთეს. ■

ოსვენციმის ტუსაღი არქიმანდრიტი, რომელმაც უცნობი კაცისთვის თავი გაწირა...

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის კრებაზე 1995 წლის 19 სექტემბერს, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხეს. შეიქმნა მისი ტროპარი და კონდაკი. 4 ხატიდან, 2 პოლონეთშია შექმნილი, 2 კი — საქართველოში.

ნანული ზოტიკიშვილი

— იმ დღეს სვეტიცხოველში საოცარი მადლი ტრიალებდა, — *იხსენებს* გაზეთ *„საპატრიარქოს უწყებანის“ რედაქტორი* **ზურაბ ცხოვრებაძე**. — ეს იყო ეკლესიის გაფართოებული კრება, რომელზე დასწრების უფლებაც არა მარტო წმინდა სინოდის წევრებს ჰქონდათ, არამედ სამღვდელოებას და საერო პირებსაც. ამ გამონაკლისის წყალობით, გამიმართლა და კრებას დავესწარი. კიდევ ერთი უცნაური დამთხვევა მოხდა. იმ პერიოდში საქართველოში პოლონეთიდან ჩამოვიდა დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი, რომელიც არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას იკვლევდა. მან არ იცოდა, რომ მამა გრიგოლის კანონიზაციის საკითხი უნდა განხილულიყო. იგი კრების ბოლო მონაკვეთს შემთხვევით დაესწრო და მე ძალიან კარგად მახსოვს ცრემლი მის (და არა მარტო მის) თვალზე. ამ დღეს წმინდანებად შეირაცხნენ ისეთი ცნობილი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: ამბროსი აღმსარებელი ხელაია, მღვდელმთავარი გაბრიელ ქიქოძე, ღირსი მამა ალექსი შუშანია, მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე. ვინც კი ამ კრებას დაესწრო, ყველა დაგდასტურებთ იმ მადლის შეგრძნებას, რომელიც გამეფებული იყო...

გრიგოლ ფერაძე განსაკუთრებული პიროვნებაა. უცხოეთში იძულებით ემიგრანტს თავი არ დაუზოგავს საქართველოსთვის. ამას მოწმობს მისი სასულიერო მოღვაწეობა და ლიტერატურული მემკვიდრეობა. პოლიგლოტი იყო, 22 ენა იცოდა. ვარშავის უნივერსიტეტში მართლმადიდებელი თეოლოგიის ფაკულტეტზე პატროლოგიას რუსულ ენაზე კითხულობდა და როცა არაპოლონურად კითხვა აიკრძალა, ორ თვეში, პოლონურად განაგრძო ლექციების კურსი. აქედანაც ჩანს, თუ რა მასშტაბის პიროვნება იყო. წმინდა მამა გრიგოლმა სიცოცხლის ბოლოს, ქართველისათვის ჩვეული ეროვნული თვისება გამოავლინა: საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას, მოყვასის გულისათვის დაიღუპა. იგი გაზის კამერაში ნებაყოფლობით ჩაენაცვლა ერთ ებრაელს, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი ჰქონდა!.. წმინდა მამამ, გრიგოლ ფერაძემ თავისი სახელი უკვდავყო ღვთისა და ერის წინაშე.



გრიგოლის მშობლები

გრიგოლის მამა, რომანოზ ფერაძე, ბაკურციხის (გურჯაანის რაიონი) ეკლესიის მღვდელი იყო. იგი 1905 წელს გარდაიცვალა. მაშინ მომავალი არქიმანდრიტი 6 წლის იყო. პატარა გრიგოლი ბიძამ, ყვარლის წმინდა იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარმა გიორგი ფერაძემ თავისთან წაიყვანა. მამის საქმის გასაგრძელებლად, გრიგოლი თბილისის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, რომლის დამთავრების შემდეგ, სასულიერო სემინარიაში გააგრძელა სწავლა. კორნელი კეკელიძე მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ნიჭიერი, ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდის მიმართ. სემინარიისა და ეკლესიის ხელმძღვანელობამ სწორედ გრიგოლს ანდეს თბილისის მფარველის — წმინდა აბოს ეკლესიის მშენებლობის ფონ-

დის გაძღოლა, რომელიც 1917 წლის რევოლუციის გამო ვერ განხორციელდა.

კორნელი კეკელიძის მცდელობით და მიტროპოლიტ ნაზარის წინადადებით, საქართველოს საპატრიარქოს საბჭომ გადაწყვიტა, გრიგოლ ფერაძე ბერლინის უნივერსიტეტში გაეგზავნა სასწავლებლად. 1921 წლის ბოლოს, პატრიარქმა ამბროსიმ და საქართველოში მცხოვრებმა ცნობილმა გერმანელმა მოღვაწემ არტურ ლაისტმა სარეკომენდაციო წერილი მისწერეს „აღმოსავლური სამისიონერო საზოგადოების“ დამაარსებელს, დოქტორ იოჰან ლეპსიუსს. გრიგოლი ბერლინში გაემგზავრა. საბჭოთა საკონსულოში მას პასპორტი ჩამოართვეს. შემდგომ, დოქტორ ლეპსიუსის დახმარებით, დევნილის პასპორტი გამოუწერეს. როგორც გაირკვა, თურმე — სამუდამოდ...

1926 წლის 26 მაისს, გრიგოლ ფერაძემ ბონში დისერტაცია დაიცვა. ბედნიერი იყო და სიმბოლურად მიაჩნდა, რომ ეს თარიღი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა. ერთი წლის შემდეგ კი, ფილოსოფიის დოქტორის წოდება საზეიმოდ მიანიჭეს.

წმინდა გრიგოლ ფერაძის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საზოგადოების თანათავმჯდომარეებთან ერთად (მარჯვნივ ილია ფერაძე)

დოქტორ ფერაძეს სამეცნიერო სამუშაო იზიდავდა, მაგრამ ამავე დროს, სამშობლოში სამსახურზე ოცნებობდა. მან არაერთგზის მიმართა საბჭოთა საელჩოს, ვიზის მიღების თხოვნით, მაგრამ — უშედეგოდ. იმდენად დიდი იყო საქართველოში დაბრუნების სურვილი, რომ თავისი გულუბრყვილობით, სტალინსაც კი მისწერა თხოვნის წერილი, რომელიც უპასუხოდ დარჩა. გრიგოლი ხშირად სწერდა თავის პედაგოგებს — ივანე ჯავახიშვილს და კორნელი კეკელიძეს, რათა სამშობლოში დაბრუნებაში დახმარებოდნენ, მაგრამ მაშინ, არათუ დახმარება, არამედ მისთვის პასუხის გაცემაც კი სახიფათო იყო მათთვის. 1936 წლამდე გრიგოლი ოჯახსაც სწერდა წერილებს. შემდგომ, მისი უსაფრთხოების მიზნით, ესეც შეწყვიტა.

გრიგოლ ფერაძემ მორწმუნე ქართველ ემიგრანტებთან ერთად, 1929 წელს, პარიზში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია დააარსა. მანვე დაამუშავა მრევლის წესდება. პარიზის მრევლს მუდმივი მღვდელმსახური არ ჰყავდა. გრიგოლს შესთავაზეს, ტაძრის მოძღვარი გამხდარიყო, რაზეც მან თავიდან უარი თქვა. მის სულში გამუდმებით მიმდინარეობდა ბრძოლა სამეცნიერო მოღვაწეობის გაგრძელებისა და ეკლესიის მრევლის მოძღვრად ყოფნის სურვილს შორის. ამ შინაგანმა ბრძოლამ კულმინაციას გრიგოლის ავადმყოფობის დროს მიაღწია. შობის დღესასწაულზე, სიკვდილის პირას მყოფს, ხილვა ჰქონდა, რომელმაც საბოლოოდ გადააწყვეტინა, უფლისათვის მიეძღვნა თავი. მან ბერად აღკვეცის გადაწყვეტილება მიიღო და პარიზის მართლმადიდებელ მრევლზე ზრუნვა იკისრა.

ბედის ირონიით, ზუსტად იმ დროს, უეცრად, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მიეცა: პროფესორმა ნიკო მარმა გრიგოლს ლენინგრადის უნივერსიტეტში, მისი ასისტენტობა შესთავაზა.

გრიგოლის დედა თავის წერილებში ცდილობდა, შვილისთვის ბერად აღკვეცა გადაეთქმევინებინა. შიშობდა, რომ სასულიერო წოდების მიღება სამუდამოდ გადაუკეტავდა კარს სამშობლოსაკენ, მაგრამ გრიგოლი შეუვალი იყო. 32 წლისა, ბერად აღიკვეცა. ვარშავაში მას შემდეგ დასახლდა, რაც პოლონეთის მიტროპოლიტმა დიონისემ ლექციების წასაკითხად მიიწვია. ეს იყო მეორე, გარდამტეხი ეტაპი მის ცხოვრებაში. ამ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე, ვარშავის უნივერსიტეტის ლექტორი და წმინდა მარიამ მაგდალინელის ტაძრის ქვედა სამლოცველოს მსახური გახლდათ. არქიმანდრიტი გრიგოლი შობის და აღდგომის დღესასწაულებზე საეკლესიო რიტუალებს ქართულ ენაზე წარმართავდა, რითიც ეკლესიის ხელმძღვანელობის საყვედურს იმსახურებდა. ერთხელ, კვლავ გაუმეორეს კითხვა — თუ რატომ კითხულობდა ლოცვებს ქართულად? მან ღიმილით უპასუხა: ღმერთს ხომ კარგად ესმის ქართული...

გრიგოლ ფერაძეს ხანგრძლივი მეგობრობა აკავშირებდა ექვთიმე თაყაიშვილთან, რომელსაც ემიგრანტული მთავრობის მიერ გატანილი ეროვნული საგანძურის სისტემატიზაციაში ეხმარებოდა. როცა გერმანელებმა საფრანგეთი დაიპყრეს, შეიქმნა საფრთხე იმისა, რომ ამ საგანძურს ფაშისტები დაეპატრონებოდნენ. სანამ განძს გაიტანდნენ, გერმანელებმა გრიგოლ ფერაძეს განძის ფასეულობის დასადგენად მიმართეს. ექსპერტის დასკვნა ცალსახა და ლაკონიური იყო: „განძს არავითარი მატერიალური ღირებულება არ გააჩნია. მას მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართველი ერისათვის“. საკმარისი იყო, ოკუპანტებს თუნდაც, ერთი ყუთი გაეხსნათ, რომ აღნიშნული დასკვნის ავტორს სიკვდილი არ ასცდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ვარშავის უნივერსიტეტი დაიკეტა. გრიგოლ ფერაძეს გერმანელებმა შესთავაზეს, ბერლინში წაეკითხა ლექციები. მაგრამ მამა გრიგოლმა ეს წინადადება არ მიიღო. იგი თავის ქრისტიანულ მოვალეობას ასრულებდა. გენერალი შალვა მაღლაკელიძე იხსენებს: „ვარშავის დაბომბვისას, მამა გრიგოლი თავშესაფარში არ იმალებოდა. იგი უშიშრად დადიოდა ქუჩებში, ყველაზე სახიფათო ადგილებში და მიცვალებულებს აპატიოსნებდა, დაჭრილებს პირველ დახმარებას უწევდა“. 1942 წლის იანვარში მის დაპატიმრებას შეეცადნენ. მეორედ, დაბეზღების შემდეგ, მაისში დააპატიმრეს. მამა გრიგოლი მრავალჯერ დაჰკითხეს, სცემდნენ და ამცირებდნენ. იგი გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს. თავის მეგობარს, ირჟი ბერკმან-კარენინს საკუთარ ბინასა და ნივთებზე მზრუნველობას სთხოვდა. ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის ოფიციალური ცნობის თანახმად, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 1942 წლის 6 დეკემბერს, 16 საათსა და 45 წუთზე აღესრულა.

2005 წელს, უდიდესი მეცნიერისა და მამულიშვილის მემკვიდრეობის შესასწავლად და მისი მოღვაწეობის სათანადო დონეზე წარმოსაჩენად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, შეიქმნა „წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება“. მისი [illegible] ქმნებელი, წმინდა მამის მემკვიდრე, ილია ფერაძე გახლავთ.

ილია ფერაძე:

— წელს, ჩვენმა საზოგადოებამ წმინდანის დაბადების დღე (107 წელი შესრულდა) ყვარელში აღნიშნა. მოსახლეობას ჩავუტანეთ ამ დღისათვის სპეციალურად გამოშვებული გაზეთი, წიგნები, პოლონეთში გადაღებული ფილმი. აქცია ერთ-ერთმა მსხვილმა ქართულმა კომპანიამ დააფინანსა. პროფესორმა თამილა მგალობლიშვილმა, რომელიც საპატრიარქოსთან ერთად, იერუსალიმში ქართული ძეგლების გათხრებს აწარმოებს, მოხსენება წაიკითხა. მან აღნიშნა, რომ იერუსალიმში, როგორც სახელმძღვანელოს, ისე იყენებენ გრიგოლ ფერაძის 1937 წლის მოგზაურობის დღიურებს. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორმა ბუბა კუდავამ ერთი ოთახი გამოყო გრიგოლ ფერაძის კაბინეტისთვის. იქ მოგროვდება ყველაფერი, რაც მისი მემკვიდრეობიდან პოლონეთსა და სხვა ქვეყნებშია გაბნეული.

მისი ნაშრომების შესაგროვებლად, სათარგმნად და გამოსაცემად, საერთაშორისო კომისია მუშაობს. ახლახან, ჰენრიკ პაპროცკიმ, პოლონურ ენაზე დაწერილი, 300-გვერდიანი ნაშრომი გამომიგზავნა. საქართველოში ყოველ წელს, 20-22 პოლონელი მომლოცველი ჩამოდის, წელსაც იყვნენ. ვარშავის ცენტრში ადგილი გამოიყო ეკლესიის ასაშენებლად. ეს იქნება ნიკორწმინდის ასლი და გრიგოლწმინდა დაერქმევა. წმინდა მამა გრიგოლის ხსენების დღეს — 6 დეკემბრს, ტრადიციულად ბაკურციხეში ჩავდივართ, სადაც ის დაიბადა და მოინათლა. იქ პარაკლისს ვატარებთ და წირვას აღვავლენთ. სამწუხაროა, რომ გრიგოლ ფერაძის სახლი არ შემონახულა. მისი მშობლები ეკლესიის ეზოში არიან დამარხული, თუმცა, მათი საფლავის ზუსტი მდებარეობა არავინ იცის... ჩვენს საზოგადოებას უპირველეს ამოცანად მიაჩნია, წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელზე პატარა სამლოცველოს აშენება, რაც მისი სულის საქართველოში დაბრუნების ტოლფასი იქნება... ■

ლუბანჩი, პოპოშინი... სტალინი
და სხვა ძრავალი „ქართული თავსატეხი“

დასაწყისი იხ. გვ. 13

ვის ჩუქნიდა სტალინი ჩრდილოეთ ოსეთს?

(Известия, რუსეთი)

...1925 წელს, თურმე, სტალინი საქართველოსთვის მეფური საჩუქრის გაკეთებას აპირებდა — „გენსეკმა“ მხარი დაუჭირა ოსეთის ორი ავტონომიური მხარის (ჩრდილოეთისა და სამხრეთის) გაერთიანებას და მათი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეყვანის წინადადებას. მსგავსი რამ მართლა რომ მომხდარიყო, სააკაშვილის ამჟამინდელი რეჟიმი ლამის ბესლანამდე გადაჭიმული „საქართველოს კანონიერი მიწების“ დაბრუნებას მოითხოვდა. იმის გარკვევა, თუ როგორ წარმოიშვა ეს გეგმა, ვინ უჭერდა მას მხარს და რატომ ვერ განხორციელდა, — „Известия“-მ საბჭოთა ეპოქის ცნობილი მოღვაწის, ანასტას მიქოიანის ვაჟის — სერგოს დახმარებით სცადა.

სერგო მიქოიანის თქმით, ამის შესახებ მას მამისგანაც არაერთხელ სმენია. ახლახან კი, სომეხმა ისტორიკოსმა — რუბენ ანგალადიანმა, რომელიც ანასტას მიქოიანზე წიგნს წერს, სერგოს, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივის სტალინის ფონდში დაცული დოკუმენტები გააცნო. როგორც მიქოიანის ვაჟი ირწმუნება, ჩრდილოეთ ოსეთის საქართველოსთვის გადმოცემას სწორედ მამამისი შეეწინააღმდეგა. სერგო მიქოიანის მიერ მიწოდებულ დოკუმენტებს Известия მცირეოდენი შემოკლებით აქვეყნებს.

სტალინის წერილი მიქოიანს

1925 წლის 25 მაისი

1) ჩემთან ტაკოევი და სხვა ოსები იყვნენ. საქმის ყურადღებით გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ შეიძლებოდა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის, ავტონომიურ რესპუბლიკად, საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანება...

2) ვფიქრობ, ლესკენი ოსებს მთლიანად უნდა გადაეცეს, რისი საწინააღმდეგო ყაბარდოს არაფერი ექნება, ხოლო ლესკენის სამხრეთი ნაწილის წინააღმდეგობა გასათვალისწინებელი არ არის.

3) ოსეთთან მოზდოკის მიერთების ოსური გეგმა ფანტასტიკური და სრულიად მიუღებელია, რაც მე ოსებსაც ვუთხარი. ვფიქრობ, შესაძლებელია ოსური მოსახლეობის ნამატის გადასახლება საფონდო მიწაზე, რათა შემდეგ, ოსური სოფლებისგან შეიქმნას რაიონი, რომლის აღმასკომიც როსტოვს დაექვემდებარება. ამ ყველაფერზე პირადად გწერ. შემატყობინე სამხარეო კომიტეტის აზრი.

მიქოიანის ტელეგრამა სტალინს

1925 წლის 8 ივნისი

გეოგრაფიული მოუხერხებლობის მიუხედავად, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის სამეურნეო გაერთიანება და მათი ნაციონალური საკითხის ნიშნით გამთლიანება ოსეთისთვის ალბათ, მიზანშეწონილი იქნება. მაგრამ გაერთიანებული ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში შეყვანა და ამიერკავკასიაში გადასვლა, საფრთხეს უქმნის ჩრდილოეთ ოსეთის ეროვნებებს შორის დამყარებულ ურთიერთობებს... ამასთან, პოლიტიკურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გაერთიანებული ოსეთის არა საქართველოს, არამედ რსფსრ-ის (რუსეთის ფედერაციის. — მთარგმნ.) შემადგენლობაში შეყვანა.

სტალინის ტელეგრამა ორჯონიკიძეს

1925 წლის 29 ივნისი

მე პირადად ოსეთის გეგმის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთის ბიურო. — Известия) შემოსული წინააღმდეგობის გამო, ძალიან ვორჭოფობ და ვერანაირი რჩევის მოცემა ვერ გადამიწყვეტია. ძალიან გთხოვ, საბოლოო პასუხი მიქოიანთან ჩვენს ერთობლივ შეხვედრამდე გადავდოთ.

ორჯონიკიძის წერილი სტალინს

1925 წლის 9 სექტემბერი

...ახლა, რაც შეეხება ოსეთს. დღეს ჩემთან ტაკოევი ჩამოვიდა და ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნებართვა მაჩვენა, რომელშიც ნათქვამია, რომ მათი ძველი გადაწყვეტილება უქმდება და რომ ისინი ეთანხმებიან ოსეთის გაერთიანებას, ოღონდ, გაერთიანებული ოსეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში შესვლის პირობით. ძნელია ამაზე უფრო არაფრის მთქმელი და განუხორციელებელი გადაწყვეტილების მოფიქრება. თანაც, ამით იმის თქმის საფუძველიც შეიქმნება, რომ რუსეთს საქართველოსთვის ცხინვალის წართმევა სურს. ტაკოევმა ყველაფერი აურ-დაურია და ახლა სხვებმაც აღარ იციან, რა და როგორ გააკეთონ. ტაკოევს ჩვენი საუბრის შესახებ ვუთხარი, მას ყველაფერი ესმის, თუმცა საკითხის ასე დასმას მაინც არ მიესალმება. სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას კი, პირდაპირ აბუჩად აგდებად მიიჩნევს. მე მას შენთან ჩამოსვლა ვურჩიე. ხელს მაგრად გართმევ! შენი სერგო.

Известия-ს კომენტარი

მიმოწერაში ნახსენები სიმონ ალის ძე ტაკოევი იმ დროს, რუსეთის კომპარტიის ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო. ფორმალურად, ის ჩრდილოეთ ოსეთის, როგორც 1924 წელს შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნის პირველ ხელმძღვანელადაც მიიჩნეოდა.

შემოთავაზებული მიმოწერის მიხედვით, მართლა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიქოიანისადმი სტალინის წერილის მიწერამდე, „გენსეკმა“ და ორჯონიკიძემ გაერთიანებული ოსეთის საქართველოსთვის გადაცემის გეგმაზე უკვე იმსჯელეს. მაშ, რატომღა ჩაიშალა ეს გეგმა?

სტალინი მიქოიანს სწერს, რომ მასთან ტაკოევი და სხვა ოსები იყვნენ, რომელთაც ვითომდა, ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიად გაერთიანება სურდათ. მას შემდეგ, რაც მიქოიანმა თავის ტელეგრამაში სტალინს სულ სხვა ვარიანტი — ანუ ოსეთის რსფსრ-ის შემადგენლობაში გაერთიანება შესთავაზა, „გენსეკმა“ ორჭოფობა დაიწყო. შემდეგ, ამას მოჰყვა ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებაც, რომელიც ოსეთის გაერთიანების პირობად, რსფსრ-ის მის შემადგენლობაში შეყვანას ასახელებს. ეს ყველაფერი სასტიკად აღიზიანებს ორჯონიკიძეს: „ძნელია ამაზე უფრო არაფრის მთქმელი და განუხორციელებელი გადაწყვეტილების მოფიქრება“. ამ ყველაფრის შემდეგ, ოსეთის გაერთიანების გეგმაზე საუბარი საერთოდ წყდება.

„— ვფიქრობ, რომ სტალინს მაინც ჰქონდა შერჩენილი ქართული ნაციონალიზმი, თუმცა თავად ყველას რუსად მოაჩვენებდა თავს, — მიაჩნია სერგო მიქოიანს, — გულში ის, რა თქმა უნდა, მიიჩნევდა, რომ კავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველო ტერიტორიულად ყველაზე დიდი უნდა ყოფილიყო, რაც განახორციელა კიდეც“.

თუმცაღა, ეთნოპოლიტიკური ისტორიის ექსპერტები მაინც საფუძვლიანად ეჭვობენ, რომ ქართველებს — სტალინსა და ორჯონიკიძეს თავიანთი „მცირე სამშობლოსთვის“ ტერიტორიული „საჩუქრის“ მიძღვნა სურდათ, სომეხი მიქოიანი კი, ამის წინააღმდეგი იყო. რაც შეეხება ოსებს — მათთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, თუ რომელ რესპუბლიკაში შევიდოდა გაერთიანებული ავტონომია, თვით გაერთიანების ფაქტი იყო.

საერთოდ კი, ეს ამბავი „ეთნიკური აქცენტის“ მიუხედავადაც, ბევრ რამეზე მიანიშნებს. საბჭოთა კავშირში, როგორც სტალინის, ისე ხრუშჩოვის დროს, საზღვრები ხშირად, ბელადების „თვალის ზომაზე“ — „პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან“, თუ ადგილობრივი ხელმძღვანელობის „ლობირებიდან“ გამომდინარე — „იჭრებ-იკერებოდა“. ამასთან, სტალინის მიერ დაწესებული საზღვრები, არცთუ ისე იშვიათად, „ნელი მოქმედების იმ ნაღმებადაც იქცეოდა ხოლმე, რომლებიც ზოგან უკვე აფეთქდა, ზოგან კი, ჯერაც „თავის დროს ელოდება“...

„თინეიჯერი ჩემთვის საკუთარი თავის ძიებასთან, ბევრ შეცდომასთან, რაღაც ახლის შესწავლასთან და მომავლისთვის საფუძვლის ჩაყრასთან ასოცირდება“, — ამბობს მომღერალი და მოდელი თიკა ფაცაცია, რომელიც ამ ასაკში იმდენად იყო დაკავებული სწავლა-განათლებით, რომ თავისუფალი დრო თითქმის არ ჰქონდა და ბიჭებთან ლაპარაკს მხოლოდ ტელეფონის საშუალებით ახერხებდა.

გასვრეტილი ტუჩები, ქალიშვილობის ბუმი და „პაკლონიკების“ შორის ჩაგდებული „ტაფა“

ლიკა ქაჯაია

— ამ ასაკში ყველა დაშვებული შეცდომა გეპატიება?

— გააჩნია, შეცდომას. მშობელი იმისთვის არსებობს, რომ მან შვილს აუხსნას, რა ეპატიება და რა — არა.

— როცა მშობელი რჩევას გაძლევდა, ყოველთვის ითვალისწინებდი?

— შემიძლია ვთქვა, რომ 100%-ით ვითვალისწინებდი. მშობლებთან მეგობრული ურთიერთობა მქონდა, მათ გარეშე ნაბიჯს არ ვდგამდი. დღევანდელი თინეიჯერებისგან განსხვავებით, რომლებიც უფრო დარწმუნებულნი არიან საკუთარ თავში, მე ამდენი თავდაჯერებულობა არ მქონდა და ამიტომ, უფროსების აზრს პატივს ვცემდი... ისე, შვილთან ძალიან დამეგობრებაც არ ვარგა, მოზარდს იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ყველაფერში გაუგებენ.

— თავისუფალ დროს რითი ერთობოდი ხოლმე?

— ასეთი დრო საერთოდ არ მქონდა და მინდა, ჩემი შვილიც ასე გავზარდო. ისე ვიყავი დატვირთული სხვადასხვა წრეზე სიარულით, რომ რაღაც ცუდის გაკეთების მოფიქრების დროც არ მქონდა... ერთადერთი, როცა სახლში ვიყავი და არ ვმეცადინეობდი, ბიჭებს ტელეფონით ველაპარაკებოდი.

— ტელეფონით დიდხანს ლაპარაკს არ გიკრძალავდნენ?

— სხვათა შორის, არა და ამასაც თავისი პლუსი ჰქონდა, არ ვარგა შვილს ყველაფერი აუკრძალო. როცა მშობლები ყველაფერს გიკრძალავენ და მერე, შენს ცხოვრებაში ვიღაც ტიპი გამოჩნდება, შეიძლება მისი გულისთვის „ვენები გადაიჭრა“, შეიშალო, შეირყე... ამის უფლებას მაძლევდნენ იმიტომ, რომ მამაკაცთან ურთიერთობა, მისთვის საკადრისი პასუხის გაცემა და ა.შ. მესწავლა.

— ეი. შვილი ჩუმ-ჩუმად უნდა აკონტროლო?

— რა თქმა უნდა, მთლად „კლანჭებში“ არ უნდა მოაქციო. ის მტრედივით უნდა დაიკავო, რომ არც გაგიფრინდეს და არც გაგუდო. ზოგჯერ, მშობლებს ზომიერების დაცვა უჭირთ — შვილს ან „ახრჩობენ“, ან მის საქციელს ვეღარ აკონტროლებენ და... საერთოდ, შვილის ავიც და კარგიც მშობელს მიეწერება. დღეს თინეიჯერები რაღაც სხვანაირები არიან, ლაპარაკის ტონი, მანერაც განსხვავებული აქვთ.

— როგორი ტონი აქვთ?

— უზრდელური...

— მაგრამ შენი თაობის თინეიჯერებშიც ხომ იყვნენ ასეთები?

— კი, მაგრამ ის, რაც დღეს ხდება, არ მომწონს. ბევრი გოგო მინახავს ბიჭთან ერთად შუაღამისას მარტო... სადმე თუ მიშვებდნენ, იქ აუცილებლად იყო ვიღაცის მშობელი, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებდა. ახლა კი, ვინ იცის, სად აღარ დადიან (აქცენტი გოგონებზე უფრო მაქვს, ბიჭებისთვის ხეტიალი მისაღებია). მათ დრო სწავლას უნდა დაუთმონ, რომ მერე, „კენწეროში გაუტკბილდეთ“ და არ დაემართოთ იმ ჭრიჭინასავით, რომელიც „დაჭრიჭინებდა, დახტოდა“...

— თინეიჯერების ქცევაში რა მოგწონს?

— მომწონს ის, რომ შეყვარებულები ჰყავთ, მათთან ყველა თემაზე შეუძლიათ ლაპარაკი, მაგრამ ზომიერება აუცილებლად უნდა დაიცვან... დიდი იმედი მაქვს, რომ როცა ჩემი შვილი ამ ასაკში იქნება, მას ცოტა სხვა მიზნები ექნება, ვიდრე დღევანდელ მოზარდებს აქვთ. დღეს რატომღაც მიაჩნიათ, რომ თინეიჯერი მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს. ეს უკომპლექსობის ბუმი რომ გადაივლის, მერე რაღაც კარგი მოხდება. ხომ გახსოვს, ადრე ქალიშვილობის სიგიჟე იყო, არავინ არავის იკარებდა. ახლა სხვანაირი ბუმია — თუ ბოიფრენდი არ გყავს, გოიმი ხარ. ეს შეიძლება კარგია, მაგრამ ამის აფიშირება და ჭკუიდან გადასვლები რაღა საჭიროა, ვერ ვხვდები. ამას საზღვარგარეთ დიდი ხანია, აკეთებენ, მაგრამ არ გიჟდებიან.

— როგორი მოსწავლე იყავი?

— კარგი ნიშნები მყავდა, ატესტატში მხოლოდ 2 ოთხიანი გამომყვა. უფრო ჰუმანიტარული საგნებისკენ ვიხრებოდი. რაც შეეხება ფიზიკას, ქიმიას, შეიძლება ითქვას, რომ მათ ძალით ვსწავლობდი. იმასაც ვერ დავმალავ, რომ ამ საგნებში მასწავლებლები ხელს მიწყობდნენ, რადგან ვმღეროდი და პოდიუმზე დავდიოდი.

— „შატალოზე“ არ დადიოდი?

— იშვიათად, რადგან „შატალოს“ მოყვარული ტიპი არ გახლდით.

— ყველა რომ წასულიყო, შენ ხომ არ დარჩებოდი?

— მაშინ მეც მივდიოდი, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც (რასაც ვაღიარებ), როცა მათთან ერთად არ წავსულვარ. იმიტომ კი არა, რომ ვიღაცის მეშინოდა, უბრალოდ, გოგო ვიყავი და არ მინდოდა, ჩემი მშობლები დაებარებინათ და მათთვის ჩემ გამო შეურაცხყოფა მიეყენებინათ.

— მითხარი, რომ თავისუფალი დრო არ მქონდაო. ამდენს მეცადინეობდი?

— ვმეცადინეობდი, დავდიოდი თანამედროვე ცეკვებზე. დედას ძალიან უნდოდა, რომ ქართული ცეკვაც მესწავლა, მე კი რატომღაც არ მიყვარდა (თუმცა, დღეს სხვანაირად ვფიქრობ და მუსიკის ხმას გავიგონებ თუ არა, მაშინვე ხელების გაშლა მინდება). ბევრი იჩალიჩეს, როგორც იქნა, შემიყვანეს, მე კი ჯიუტად ვიდექი და ვტიროდი — ხელს არ გავანძრევ-მეთქი... მახსოვს, მაშინ დედაჩემმა მცემა კიდეც... ახლა მართალია, „ქართულს“ კარგად ვცეკვავ, მაგრამ გული მწყდება, რომ პროფესიონალის დონეზე ვერ „ვქაჩავ“.

— თუ ცდილობდი, სხვებისგან რაიმეთი გამორჩეული ყოფილიყავი?

— როგორ არა. ძალიან მიყვარდა გაპრანჭვა — ვიკეთებდი მაკიაჟს, ვიცვამდი მაღალქუსლიან ფეხსაცმელს...

— და სკოლაში ასე მიდიოდი?

— სკოლაში არ მახსოვს, მაგრამ ქუჩაში დავდიოდი. როცა კონცერტი მქონდა, მაშინ ხომ საგულდაგულოდ ვემზადებოდი. ამიტომ ყოველთვის იმაზე მეტ ასაკს მაძლევდნენ, ვიდრე ვიყავი და დღემდე ასეა... თან, საკმაოდ პოპულარული ვიყავი და სხვებისგან ამითაც გამოვირჩეოდი.

— ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელი გყავდა, არა?

— კი, რა თქმა უნდა. ვერ ვიტყვი, „პაკლონიკების“ რაღაც საოცარი რიცხვი მყავდა-მეთქი, მაგრამ...

— ამბობენ, ამ ასაკში გოგონებს ერთმანეთის შურთო...

— იმაში გამიმართლა, რომ ჩემი მეგობრებიც იმ წრეში ტრიალებდნენ, სადაც მე — მოდელობას ვგულისხმობ და აქედან გამომდინარე, თავისი ფიზიკური მონაცემებით ყველა გამოირჩეოდა, ერთ „ქვაბში“ „ვიხარშებოდით“. ყველას თავისი წილი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ასე რომ, ამის უკმარისობას არავინ უჩიოდა.

— ბიჭებს შენი გულისთვის არ უჩხუბიათ?

— როგორ არა... დედაჩემი ყოველთვის მარიგებდა: შვილო, ბიჭები ერთმანეთს არ გადაკიდო. ისე მოიქეცი, რომ მათ გასარჩევი არაფერი ჰქონდეთო. მეც არასდროს მქონია იმის სურვილი, რომ ჩემი გულისთვის „პაკლონიკებს“ ერთმანეთი დაეხოცათ. რომელიმეს რაიმე რომ დამართვოდა, ალბათ, გაეგიჟდებოდი. მახსოვს, ერთი ბიჭის მიმართ სიმპათიით ვიყავი განწყობილი. ჰოდა, როცა მას ჩემი გულისთვის ვიღაც ტიპი „დაეჯახა“, ვიფიქრე: ამ საქმეში უნდა ჩავერიო და რაიმე უნდა მოვიმოქმედო-მეთქი. სიტუაცია იცი, როგორ გავანეიტრალე? — მათთან მივედი და იმ მეორეს ვუთხარი: ეს ადამიანი მიყვარს და შენ იმის უფლება არა გაქვს, რომ მას ეჩხუბო. არაფერ შუაში ხარ. სანამ თქვენ რაიმეს დამტკიცებას გადაწყვეტდით, ჩემი არჩევანი უკვე გაკეთებული მქონდა-მეთქი... მართალია, ის ბიჭი არ მიყვარდა, უბრალოდ — მომწონდა, მაგრამ მაინც ასე ვთქვი. ჩემი „შეყვარებული“ აზრზე ვერ მოვიდა, კინაღამ გამოშტერდა. მე კი ჩემი თავით ძალიან კმაყოფილი ვიყავი...

— შენ იყავი კმაყოფილი თუ შენი „შეყვარებული“?

— ის რას ფიქრობდა არ ვიცი, მაგრამ მე კმაყოფილი ვიყავი იმით, რომ რაღაც ცუდს შევუშალე ხელი. ამ საქმეში მესამე პირიც იყო ჩარეული, ძველი ბიჭივით სიტუაციას აკვირდებოდა. ჩემი ლაპარაკის შემდეგ, მან ხელი ჩაიქნია და თქვა: ახლა ყველაფერი „იასნია“ და აქ რატომ ვარ, ვერ ვხვდებიო. ქუდი დაიხურა და წავიდა. მოკლედ, ყველაფერი გოგოზეა დამოკიდებული — თუ მას არ უნდა, მისი გულისთვის არავის დაასახიჩრებენ. არ ვამბობ იმ სიტუაციებზე, როცა გოგომ არ იცის, რომ მის გამო ჩხუბობენ. სხვა შემთხვევაში კი, ის მოჩხუბრებს შორის მანდილის ჩაგდებას უნდა შეეცადოს.

— მაგრამ ახლა მანდილი არავის ახურავს და საიდან მოიტანონ?

— მაშინ ტაფა და იმისი ჯანი *(იცინის)*...

— ოდესმე ბიჭისთვის სიყვარული თუ აგიხსნია?

— რას ამბობ?! რატომღაც მგონია, რომ იმ გოგონების მიმართ, რომლებიც სიყვარულში პირველ ნაბიჯს თვითონ დგამენ, ბიჭები ინტერესს კარგავენ. ბიჭისთვის ისიც კი არასდროს მითქვამს — მიყვარხარ-მეთქი.

— როცა თინეიჯერობის ასაკში შეყვარებული არ გყავს, პრობლემაა?

— როცა ვიღაც გიყვარს და საპასუხოდ იმავეს იღებ, უფრო თამამი ხდები, მაგრამ თუ არ გყავს, ეს პრობლემა ნამდვილად არ არის — დრო მოვა და ის შენც გიპოვის.

— ამ ასაკში ოჯახის შექმნა შენთვის მისაღებია?

— თინეიჯერი ვიყავი, როცა გავთხოვდი და დღეს, ძალიან ბედნიერი ვარ. ამის მიზეზი კი მგონი ის არის, რომ ამ დროს, ჩემი მეუღლე უკვე „დაღვინებული“ იყო, სულ სხვანაირი აზროვნება ჰქონდა. როცა 17 წლის გოგო შენსავე ტოლს მიჰყვები ცოლად, ოჯახი შეიძლება, მალე დაგენგრეს. მართალია, ისინი თანატოლები არიან, მაგრამ გოგო უფრო მალე ყალიბდება, ვიდრე ბიჭი, რომელიც დაოჯახების შემდეგაც მხოლოდ გართობაზე ფიქრობს.

— მაგრამ შენ და შენი მეუღლეც ხომ განსხვავებულად აზროვნებდით?

— კი, მაგრამ უფროსი იყო და ცდილობდა, ის გაეკეთებინა, რაც მომწონდა, თუმცა შეიძლება, მას ეს დიდად არ ხიბლავდა. ჩემი მეგობრებიც ამ ასაკში გათხოვდნენ და მათაც ჩემსავით, ასაკით უფროსი ქმრები ჰყავთ. ყველას ჯვარი გვწერია, ჯერჯერობით ბედნიერები ვართ და მჯერა, ეს ბოლომდე ასე იქნება.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— არასდროს არავის ფანი არ ვყოფილვარ. აქედან გამომდინარე, კისერზეც არავის ჩამოვკიდებივარ. ისე, ბავშვობიდანვე ძალიან მომწონდა მადონა, რაღაცებში მას ვბაძავდი კიდეც... ამ ასაკში გოგონები ვიღაც ჰოლივუდის ვარსკვლავებზე კარგავენ ჭკუას, მაგალითად, ბრედ პიტზე, მე კი პირიქით, ვამბობდი: ეს ტიპი რამ მოგაწონათ-მეთქი.

— არასდროს გქონია იმის სურვილი, რომ ტატუ გაგეკეთებინა, ან ცხვირი, ტუჩები გაგეხვრიტა?

— ტუჩის გახვრეტის სურვილი მქონდა, მაგრამ ტატუს გაკეთება არასდროს მიფიქრია...

— სურვილი სურვილად დარჩა?

— 16 წლის ვიყავი, როცა ამერიკაში წავედი და გადავწყვიტე, ტუჩზე „საყურე“ გამეკეთებინა. მე და ჩემი მეგობარი შესაბამის დაწესებულებაში მივედით. მას ცხვირის გახვრეტა სურდა. იქ რომ მივედით, ვიღაც გოგონა შემოვიდა, რომელსაც ტუჩი ჰქონდა გახვრეტილი, რაღაც არასწორად შეხორცებია და ოპერაციას უკეთებდნენ. ეს რომ დავინახე, სურვილი გამიქრა. ჩემმა მეგობარმა ცხვირი მაინც გაიხვრიტა, მერე მე მითხრა: მიდიო, მაგრამ უარი ვთქვი და მისმა შეგულიანებამაც ვერ გადამათქმევინა... არ ვიცი, იმ გოგომ გადამარჩინა თუ პირიქით, ხალისი დამიკარგა, მაგრამ ის რომ არ მოსულიყო, დღეს ტუჩგახვრეტილი გოგო ვიქნებოდი.

— დღესაც?

— შეიძლება, არა, მაგრამ ყველაფერია მოსალოდნელი. სადაც 3 წლის წინ თავი ნახევრად გადავიპარსე, „საყურე“ რას შემიშლიდა?!. პრინციპში, გამოდის, რომ თინეიჯერული ასაკი დიდხანს გამყვა.

— დღეს „დაღვინებული“ ხარ?

— კი. ერთი წლის წინ მივხვდი, რომ სხვა თიკა ვარ — ღამის ცხოვრება ისე აღარ მიტაცებს, უფრო კლასიკური ტანსაცმელი მომწონს, თავში გიჟური აზრები აღარ მომდის...

— მაგრამ კლასიკური ტანისამოსი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ბავშვობის დროსაც ხომ გიზიდავდა?

— კი, მაგრამ ამან ცოტა ხანში გადამიარა და მერე, სულ სპორტულ სტილში ვიცვამდი — დახეულ, გაცრეცილ, დახატულ ჯინსს და ა.შ. ჩემი ნაცნობი საზღვარგარეთ უნივერსიტეტში სწავლობდა და მან მითხრა: იქ ყველა კარგი ოჯახის შვილი ჰიპივით გამოწყობილი დადის — მწვანე ფერის თმით, დახვრეტილი, სვირინგიანი სხეულით და ა.შ. ინსტიტუტის დამთავრების დროს, ყველამ ყველაფერი მოიხსნა, მოიშორა, კოსტიუმები ჩაიცვეს, ჰალსტუხები გაიკეთესო... მოკლედ, ყველა თინეიჯერმა უნდა გაიაროს ჰიპური პერიოდი, რომ მერე, შეუფერებელ ასაკში არ მოუნდეს სიგიჟეების ჩადენა.

— აღნიშნე, ღამის ცხოვრება მიყვარდაო...

— ღამის ცხოვრება მაშინ შემიყვარდა, როცა გავთხოვდი. მანამდე ვინ გამიშვებდა ვთქვათ, დისკოთეკაზე? დედა ხომ არ წამომყვებოდა? როცა გავთხოვდი, ამ დაწესებულებაში მეუღლესთან და მეგობრებთან ერთად მივდიოდი. მართალია, ჩემს მეორე ნახევარს ეს დიდად არ სიამოვნებდა, მაგრამ ანგარიშს მიწევდა. იცოდა, რომ ესეც უნდა „მომეყირჭებინა“... საღამოს გასართობად ახლაც დავდივართ, მაგრამ სულ სხვანაირად ვერთობით.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ამ ბოლო დროს, ახალგაზრდა გოგონები თავიანთ გარეგნობას დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ, მათი უმეტესობა ძალიან გასუქდა, ქუჩაში რაღაც „კოსით“ გამოდის, თითქოს ყველაფერი „კიდია“.

— ბიჭ თინეიჯერებზე რაღას იტყვი?

— ძალიან კარგები არიან. მათი გრძელი თმაც მომწონს და ჩაჩაჩული შარვალიც. ეს სტილი მოიხდინეს, საყვარლები არიან. მინდა, რომ გოგონებიც უფრო კარგად გამოიყურებოდნენ და ამიტომ, მათ ვურჩევ, რომ საკუთარ გარეგნობაზე უფრო მეტად იზრუნონ. უფალი ჰფარავდეს თითოეულ მათგანს.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

■

სადაც 3 წლის წინ თავი ნახევრად გადავიპარსე, „საყურე“ რას შემიშლიდა?!.

„ყველა ბიჭი მოსატაცებლად დამდევს“

„მარი, „გზავნილების“ თემად „სირცხვილი“ რომ აგირჩევია, შენ არ გრცხვენია, „მესიჯომანია“ 50 თეთრი რომ გახადე? რა ამბავია? სხვა ჟურნალებში კონა 2 შაურადაა, დაუკელი ცოტა, თორემ კლიენტებს დაკარგავ. გაითვალისწინე, მე შენ გეუბნები!..“ აი, ასეთი მესიჯი მივიღე მას შემდეგ, რაც „გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა, რომ ამ რუბრიკაში მესიჯის გამოგზავნა ფასიანი გახდა. მინდა, როგორც ამ მესიჯის გამომგზავნ, ისე ყველა დანარჩენ მკითხველს ვუთხრა, რომ სულაც არ მრცხვენია, რადგან ეს ისევ თქვენთვის გაკეთდა. ჩვენი მკითხველი, სხვა ჟურნალების მკითხველებისგან განსხვავებით, ძალიან აქტიურია და კვირის განმავლობაში თქვენგან იმდენ მესიჯს ვიღებ, რომ ერთ ჟურნალს თავისუფლად გაავსებს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ყველას ვერ დავბეჭდავ და როცა თქვენი მესიჯი არ გამოქვეყნდება, გული გწყდებათ. ახლა ნებისმიერი რაოდენობის მესიჯის გამოქვეყნება შეიძლია და გულდაწყვეტილი მკითხველი აღარ მეყოლება. უკვე აღარც ტექსტს ექნება მნიშვნელობა. მაგალითად, თუ ადრე „ნინო, მიყვარხარ! დათო“, — ასეთი სახის SMS-ს არ ვაქვეყნებდით, ახლა შეგიძლიათ, თამამად დამიმესიჯოთ. ასევე შეგიძლიათ, მესიჯის დასაწყისში აღარ დაწეროთ: „მარი, გთხოვ, გამომიქვეყნე, თორემ თავს მოვიკლავ“, რომ არ მთხოვოთ, მაინც გამოგიქვეყნებთ... მაშ, ასე! „ჯეოსელისა“ და „მაგთის“ აბონენტებმა უნდა აკრიბოთ — 8884. ამასთანავე, მესიჯის ტექსტის აკრეფამდე, SMS-ფუნქციაში შესვლისთანავე უნდა აკრიბოთ სიტყვა: GZA და გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ კი, — სასურველი ტექსტი. დაიმახსოვრეთ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ SMS დიდია, ის შუაზე წყდება და სამწუხაროდ, აზრი იკარგება. ამიტომ, ან ამ რაოდენობაში უნდა ჩაეტიოთ, ან ტექსტი გაწყვიტოთ და დანარჩენი ახალ მესიჯად გადმოგზავნოთ. მომდევნო ნომერში, მხოლოდ ორშაბათის ჩათვლით მოსული მესიჯები გამოქვეყნდება. დანარჩენ დღეებში მოსული SMS შემდეგ კვირას დაიბეჭდება. ახლა კი ამ კვირაში მოსულ გზავნილებს გავეცნოთ:

Q „ბუცხრიკიძე ეკამ,/ ფარა გადმორეკა,/ ცხვრები რომ ვერ გაყიდა,/ ჩვენთან გადმორეკა,/ ეკამ დაკლა ბატკანიიი,/ არ მაჭამა ბარკალიიი,/ მოგვივიდა ჩხუბი,/ ჩამომიღო „ზუბი“. დავა“.

2 „ვეხმაურები 39 წლის უცოლო, უბრალო ბიჭს. თუ უნდა ნამდვილი მეგობარი, ოღონდ, მართლა მეგობარი, ჩემი ნომერი მიეცით. ქეთი“.

2 „მარიიი, საყვარელო, ბაჩოს ნომერი მომეცი, რااა... ჩვეულებრივი გოგო ვარ და არც წუნია გახლავარ“.

1 „ვეხმაურები „კატანინას“. იქნებ, შევძლო შენი დამორჩილება? ისე, ამას არც ვეცდები, ეს ბუნებრივად გამომდის ხოლმე. ლევანიკო. თუ ვინმეს გექნებათ ჩემი გაცნობის სურვილი, შეგიძლიათ, გამომეხმაუროთ“.

2 „ეე, მარი, მარიიი, რატომ არ გამომიქვეყნე მესიჯები? ახლა დგას და ქისო დამცინის. არადა, მასზე უარესად ვარ. ეგ ადრე მაინც იყო ბედნიერი. ქაჯა“.

2 „ძალიან უბედური ვარ. მე და ქისო ერთად ვსხედვართ და ველოდებით სიყვარულს. „სტიქია“, ჩვენზეც გალექსე, რااა... მეტს არაფერს ვითხოვ. ქაჯა“.

2 „ავოიეეეე... ეს „სტიქია“ რა მაგარს აჯაზებს! მაგარი ხარ, ასე გააგრძელე! მარი, ბაჩოს ნომერი „მგლიჯე“, რااა... წინასწარ დიდი მადლობა. ისე, მეც სვანიკო ვარ. თაკო“.

1 „ნება თქვენი, გეჯიბრებით,/ ლექსის წერა მწადია,/ ჩემს ლექსებთან რომ ვერ მოხვალთ,/ ეს ხომ ცხადზე ცხადია.../ თუმცა, სცადეთ, მოინდომეთ,/ ჯერ არ არის გვიანი,/ მხოლოდ ის გამეჯიბრება,/ ვინც იქნება ჭკვიანი! „სტიქია“.

2 „მარი, იმედია, ამ მესიჯს გამომიქვეყნებ. ვეხმაურები დათო-27-ს. მეც კარგ მეგობარს ვეძებ. ნომერს მარი მოგცემს. ანი“.

2 „ვიღაც გამბედავ ბიჭს სურს ჩემი გაცნობა და აბა, „დამაჯახეთ“! თეკო“.

2 „ვეხმაურები დათო-27-ს. მეც კარგ მეგობარს ვეძებ. თუ გინდა, ვიმეგობროთ. ნატალი-26“.

Q „ეს რა მელექსე ყოფილხარ,/ რა საყვარელი „სტიქია“,/ ყოველი სიტყვა მე შენი,/ სულით და გულით მიქია“.

1 „პრივეტ, ვარ 24 წლის, სპორტული აღნაგობის, უბრალო ახალგაზრდა. დასაოჯახებელი. სამეგობროდ გავიცნობდი 35 წლამდე ასაკის, ნორმალური გარეგნობის მანდილოსანს. შუმახერა“.

1 „გავიცნობ 19 წლის გოგოს, სამეგობროდ. ვარ 23 წლის. გიო“.

1 „მეც მყავს ოჯახი, მაგრამ დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი ნანასთან, თუ მოისურვებს. თბილი გოგო ჩანს. ატოცი“.

2 „ვეხმაურები დათო-27-ს. მეც ვეძებ კარგ მეგობარს და თუ გინდა, ვიმეგობროთ. ნინო, ბათუმი“.

Q „იქნებ, ბაჩოს ან გო.მას ტელეფონის ნომერი მომცეთ?“

2 „მარიკო, დამიბეჭდე, გთხოვ. ყველა ბიჭს, ვისაც კი გავიცნობ და მეგობრულად შევხედავ, ვუყვარდები და მოსატაცებლად დამდევს“.

1 „ვეხმაურები ჯესის. ვფიქრობ, იმედს არ გაგიცრუებ. მაღალი და სიმპათიური ტიპი ვარ, 19 წლის. ველი მომავალ „გზას“ და შენს პასუხს. ვიტო“.

Q „ხავსიან კედლებზე ცრემლებს დაუხატავს,/ ლოდინით დაღლილ სანთელთა ფიქრი./ კედელზე ლამაზი გოგონა ხატია,/ უთვალავ წლის წინ, ხატავდა ბიჭი“.

Q „მარი, ძალიან მაგარი ხარ. ასე რატომ გვანებივრებ? სიმართლე გითხრა მიკვირს, ამ თინეიჯერებს რა აზრები აწუხებთ. მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ...“

Q „მარი, არავის რომ არ გამოვეხმაურო და ჩემს პონტში გწერო, არ დამიბეჭდავ? არა, თუ ვინმე გამომეხმაურება, პრობლემა არაა. ისე, ბოტიჩელის ფანი არის აქ ვინმე? გვირილა“.

2 „ვეხმაურები დათო-27-ს. მეც უბრალოდ, მეგობრობას ვეძებ. ნატო-27“.

1 „მე ზურა ვარ, ის 36 წლის კაცი, ზოგს რომ მატყუარა ჰგონია. მინდა, დამიკავშირდეს 25 წლის თამუნა და მულატკა. ნომერს მარი მოგცემთ. იმედია, ამჯერად მხოლოდ ისინი შეეხმიანებიან და არა ვიღაც ქაჯები, რომლებთანაც გასაუბრების პატივი უკვე მქონდა. მართალია, ამის აღარ მჯერა, მაგრამ იმედით ვცოცხლობთ ყველა“.

Q „ჭიქას ავწევ და შენ მენატრები,/ ამ თეთრ ღვინოში ფრესკადა გხედავ./ რომ გამოვცალო, დამენანე-

ბა,/ გულში გავივლებ, სადა ხარ, ნეტავ?/ მე მებადური ვხდები ოცნების,/ ხარ ოქროს თევზი ამ ჭიქის ფსკერზე,/ მე და ოცნება ერთად ვერ ვთვრებით,/ გეალერსები, ჩამოშლილ თმებზე./ იქნებ, დამწამო ახლაც სიმთვრალე,/ ბოდვად მიიღო ჩემი ფიქრები,/ მოვესწრებოდე, შენ რომ გიყვარდე,/ მაშინ ფხიზელიც მთვრალი ვიქნები. ეს ვისაც მივუძღვენი თავის დროზე, თუ მიხვდება, მადლობა მას! ხრუშა“.

2 „ვიმეგობრებ დათო-27-თან. ანი“.

2 „მონასტრის ბიჭო, ეგოისტი იმიტომ გიწოდე, რომ ვიცოდი, დაბრუნდებოდი. მარის შენს ნომერს აუცილებლად გამოვართმევ. დარწმუნებული ვარ, „სტიქიას“ აუცილებლად მოუგებ. ისე, სად ცხოვრობ?“

2 „მარი, თუ არ დამიბეჭდავ, გავაფრენ და გინდა, რომ ეს შენი ბრალი იყოს? მინდა, მონასტრის ბიჭს მივმართო: შენი გაცნობა მინდა. მონასტრის გოგო“.

2 „შენ ცდები, ჩემო „სტიქიავ“,/ ისეთი ნაზი არა ვარ,/ ვით ინდაურის ჭუკია,/ ისეთი მომხიბვლელი ვარ,/ როგორც პატარა სპლიყვია./ გამოგიწვიე სალექსოდ,/ შენ ვისღა ჰგავხარ, „სტიქიავ“?/ მე, პატარა პაკიპუკი,/ გიწვევ შენ — დიდ „სტიქიას“,/ შემეჯიბრე, თუ ბიჭი ხარ,/ მაჩვენე, რა შეგიძლია./ დამიმტკიცე, რომ გიწოდე,/ „გზის“ პოეტთა სიმბოლო“.

Q „ეჰ, „სტიქიავ“, „სტიქიავ“,/ ნუ ბლატაობ, მითქვია,/ გადარიე გოგონები, აღარავის ინდობ,/ ერთი, საინტერესოა, კიდევ რაღას ითხოვ? ბუზღუნა“.

1 „ვეძებ ლილოელ მარი ბურდულს. თუ „გზას“ კითხულობს და ჩემი ნომერი გთხოვათ, მიეცით. გოგიტა“.

1 „ვარ 32 წლის, 195 სმ, გამხდარი და მგონი, არც ისე ურიგო გარეგნობის. ბუნებით ერთგული, თბილი, ყურადღებიანი, მშვიდი პიროვნება. არ ვეკარები ნარკოტიკს და სასმელს. მერწმუნეთ, კარგად ვიცი ქალის ფასი. 2 თვეა, რაც უკრაინიდან დავბრუნდი. დიდი ხანი ვმუშაობდი როგორც აქ, ისე უკრაინაშიც, სუსტი სქესის წარმომადგენლების გულის და სულის გამხარებლად, მაგრამ ახლა... უმუშევარი ვარ. იქნებ, ამ ჟურნალის მეშვეობით მაინც გავიცნო გოგო ან მანდილოსანი, რომელიც იქნება 25-45 წლის, სიმპათიური, მარტო მცხოვრები, მატერიალურად უზრუნველყოფილი და ა.შ. თუ ვინმე დაინტერესდება ჩემით, თქვენი ნომერი დაუტოვეთ მარის და აუცილებლად დაგიკავშირდებით. ნეტავ, ვინმე შემეხმიანება? გკოცნით, მუდამ თქვენი ლევანი“.

2 „სად აქვთ კაცებს თვალები? მაინცდამაინც უნდა იცუნდრუკოს ქალმა, რომ ყურადღება მიაქციოთ? არ ვარ ასეთი და ამიტომ ბედნიერებას არ ვიმსახურებ?“

2 „მყავდა თანამშრომელი, თეა იმნაძე. ვმეგობრობდით და ძალიან მიყვარდა. მერე, მისამართი შევიცვალე და მისი ტელეფონის ნომერიც დავკარგე. ძალიან მინდა, რომ გამომეხმაუროს. ფისუნია“.

2 „მიფრინავს ტაშტი, მაჩუქე ბომბი,/ ნატურა ღელავს, გაჭამე ღომი,/ გაცოცხლდა სკამი, გათხოვდა ბოჩკა,/ მათხოვე შლანგი და ლექსიც მორჩა. ჯიგარი გოგო“.

1 „ვეხმაურები 34 წლის ნანას. მეც სწორედ შენს დღეში ვარ. ძალიან მინდა, შენი გაცნობა. ჩემი ნომერი მარის გამოართვი. ლევანი ვ“.

2 „გავიცნობ მეგობრულ და მხიარულ ადამიანს. „გზა“ სულ სხვაა. მიყვარს „ს“ ასო, რადგან ძვირფასო, შენი სახელი „ს“-ზე იწყება. ეძღვნება სტი... ჯიგარი გოგო“.

1 „ვეხმაურები მაიას. მარტოხელა“.

1 „ვეხმაურები ნანას. ჩემი ნომერი მარისთანაა“.

1 „გავიცნობ საყვარელ გოგონას, 17 წლამდე. ვარ შავგვრემანი, გრძელი, შავი თმით. ჩემი ჰობია მუსიკის მოსმენა, ლექსების წერა და ღამეების გათენება. გიჟპოეტა“.

1 „მე ღამე მაძლევს მუზას,/ გულიდან ვუშვებ ღუზას,/ მე წყვდიადიდან მესმის გრიალი,/ გველივით უყვარს წამებს სრიალი. გიჟპოეტა“.

1 „გამთენიისას ჭოტი კნაოდა,/ და სიყვარული ჩემი — დაობლდა. მარი, იმედია, კარგ გოგოს „გამიჩითავ“. ბაჩო, ანუ გიჟპოეტა“.

1 „ჩემს გულზე არის მახვილი წვდილი/ და მიწერია დღეს მე სიკვდილი,/ ივსება სისხლით უძირო ჯამი/ და წინ მიუძღვის ვენების ჯარი. ბაჩო“.

1 „პრივეტ“, მარი, როგორ ხარ? მე შოკოლადა ვარ, მიცანი? ვეხმაურები 22 წლის ნინუცას. მარი, დამიბეჭდე ეს მესიჯი ან ჩემი ნომერი მიეცი მას“.

1 „წმინდა ხარ ისე, ვით წვიმის წვეთი,/ მიყვარხარ ისე, ვით ერთი ღმერთი./ რომ მენატრები, მაგასაც გეტყვი,/ ნუთუ, მსგავს სიტყვებს არაფერს მეტყვი... ნინუცა? შოკოლადა“.

Q „გამარჯობა, ჭკუამხიარულებოოოო... გამომეხმაურეთ მხოლოდ ჭკუამხიარულები და გიჟები. ჩიპა, გამომეხმაურე! ველი თქვენს მესიჯებს, გიჟებოოო! ჩ.ი“.

■

რა მოთხოვნები აქვს დავით ჯეზერაშვილს საყვარელი ადამიანის მიმართ

დასაწყისი იხ. გვ. 6

— ახლა, თქვენი ვარაუდით, მისი უარყოფითი თვისებებიც დაასახელეთ...

— ცოტა გამიჭირდება, რადგან მას მხოლოდ ტელეეკრანიდან ვიცნობ, პირადად არ შეხვედრივარ. მას გულქვა ადამიანის იმიჯი აქვს შექმნილი. მე კი სულაც არ ვფიქრობ, რომ ის გულქვაა — უბრალოდ, შესაძლოა, ასეთი იმიჯი დღეს საქართველოში თანამდებობის პირებისთვის საჭირო

რა წესებს ითვალისწინებდნენ ჯვირჯვინის კურთხევის დროს ჩვენი წინაპრები?

ძალადობისთვის საჭიროებილოში გაშეგებული მშობლები და დღეები, ოცა ამანნაში საჭმის წამოწყება ამ ამის საცხოვრელი

ქორწინება ერთ-ერთია იმ 7 საიდუმლოთაგან, რომელიც ღმერთმა დაგვიწესა. საქართველოს გაქრისტიანების დღიდან, ჩვენი წინაპრებისთვის ოჯახის შექმნა ღვთის კურთხევის გარეშე წარმოუდგენელი იყო. რა წესებს ითვალისწინებდნენ ჯვრისწერის დროს? როგორი იყო მაშინდელი კანონმდებლობა? რა შემთხვევაში ან როგორი ფორმით ისჯებოდნენ მშობლები და სამღვდელოების წარმომადგენლები? გარდა მარხვის პერიოდისა, რომელ დღეებში არ შეიძლება ქორწინება? ამ თემაზე არქივებში დაცული მასალები ისტორიკოსმა გიორგი სარაჯიშვილმა გამოიკვლია და ვფიქრობ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ბევრი საინტერესო, დღემდე უცნობი დეტალი აღმოაჩინა.

თამუნა კვინიკაძე

— ქორწინების დროს ჯვრისწერის რიტუალის ჩატარებას დიდი სამზადისი უძღოდა წინ. ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე, სასიძო და საპატარძლო მღვდელთან მიდიოდნენ და თავიანთ სურვილს უცხადებდნენ. მღვდელი ვალდებული იყო, მათზე ცნობები შეეგროვებინა. თუ ხელის შემშლელი არაფერი იქნებოდა, ჯვრისწერას აღასრულებდა.

— როგორი ფორმით ხდებოდა ცნობების შეგროვება?

— მღვდელი მრევლში განაცხადებდა, ჯვარდასაწერთა ვინაობას. თუ ვინმეს ცუდი ან კარგი ინფორმაცია ჰქონდა დასაქორწინებლებზე, აუცილებლად უნდა ეცნობებინა მოძღვრისთვის. ასეთი „გაცხადება“ სამჯერ ხდებოდა.

— თუ რომელიმე მათგანი სხვა მრევლიდან იყო?

— მაშინ, იმ მრევლის მოძღვარსაც ატყობინებდნენ. სამჯერ გამოკითხვის შემდეგ, თუ დამაბრკოლებელს ვერაფერს აღმოაჩენდა, ამ შემთხვევაში, მოძღვარი „მოწმობას“ უგზავნიდა, გვირგვინის კურთხევის აღმსრულებელ მღვდელს.

— ჯვრისწერის დროს რა მოეთხოვებოდა ნეფე-პატარძალს?

— მათ აუცილებლად ზეპირად უნდა სცოდნოდათ „მრწამსი“, „საუფლო ლოცვა“ („მამაო ჩვენო“) და „ათი მცნება“. გვირგვინის კურთხევა უნდა მომხდარიყო სასიძოს მრევლში, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში, საპატარძლოს მრევლშიც იყო ნებადართული. როგორც პლატონ იოსელიანი გვამცნობს, ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალს თავზე ადგამდნენ ვაზისგან დაწნულ გვირგვინს და მას დაქორწინებულები 3 დღის განმავლობაში ატარებდნენ. მესამე დღეს, საეკლესიო წესის აღმსრულებელი მღვდელი მოხსნიდა. ჯვრისწერისთვის საუკეთესო დროდ წირვის დამთავრების შემდეგი პერიოდი მიიჩნეოდა. როდესაც ამ თემაზე არქივში ვმუშაობდი, მოსე ჯანაშვილის ხელნაწერებში ასეთ ლექსს მივაკვლიე: „ჩვენცა ვყოფილვართ ყმაწვილ ქალები,/ ჩვენცა გვქონი კარგი თვალები,/ მაგრამ ჩვენს გულსა არა ვკითხავდით,/ საქმროდ ვინ გვინდა, ვისთვის ვოხრავდით./ გათხოვებასა მაშინა ვგრძნობდით,/ როცა საყდარში ქმარს წავყვებოდით!“ ამ ლექსის ავტორი უცნობია.

გიორგი სარაჯიშვილი

— რას ნიშნავს „ჩვენს გულსა არა ვკითხავდით“? არჩევანს თვითონ არ აკეთებდნენ და ამას მშობლები წყვეტდნენ?

— ასეთი რამ არ ხდებოდა-მეთქი, რომ ვთქვა, მართალი არ იქნება. ხდებოდა, მაგრამ იშვიათად. ის, რასაც ახლა გეტყვით, ალბათ თქვენი მკითხველისთვის სიახლე იქნება. 1864 წელს გამოცემულ „სასოფლო გაზეთში“ ამოვიკითხე, რომ ამავე წლის 12 მაისს რუსეთის იმპერატორმა მიიღო კანონი, რომლის თანხმადაც, „დედ-მამები, რომელნიც შემჩნეულნი იქნებიან შვილების ძალად დაქორწინებაში, დაისჯებიან ამისთვის საპყრობილეში დამწყდევით ოთხი თვიდან ერთ წლამდი და ოთხ თვემდი. და თუ ისინი ქრისტიანები არიან, მიეცემიან საეკლესიო სინანულს, იმათი სასულიერო უფროსების განკარგულებით“ (სახელმწიფო რჩევის კანონების დეპარტამენტი).

— მართლაც, საინტერესო ფაქტია. ბატონო გიორგი, დღეს ძალიან გახშირდა ქართველების, სხვა აღმსა-

რებლობისა და ეროვნების წარმომადგენლებზე დაქორწინება. მაშინ ასეთი რამ არ ხდებოდა?

— იშვიათად. როდესაც ერთი პირი მართლმადიდებელი იყო და მეორე — კათოლიკე, მართლმადიდებელს ჩამოართმევდნენ ხელწერილს, რომ ის შვილებს თავის სარწმუნოებაზე აღზრდიდა.

— თქვენ თქვით, რომ მოძღვარი იმ შემთხვევაში დასწერდა ჯვარს, თუ მრევლში გამოკითხვის შემდეგ, დამაბრკოლებელი არაფერი აღმოჩნდებოდა. რა მიიჩნეოდა დაბრკოლებად?

— ჯვრისწერის უფლება არ ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ პირველი ქორწინებისას გაყრაში; მათ, ვინც შემჩნეულნი იყვნენ მრუშობაში ან მეუღლე 5 წლით ჰყავდათ მიტოვებული. ასევე ნება არ ეძლეოდათ პატიმრებს, რომლებიც „ტუსაღების როტაში“ იმყოფებოდნენ; სახელმწიფოს ხარჯზე მყოფ შეგირდებს, ვიდრე სწავლას არ დაასრულებდნენ; 80 წელს გადაცილებულ მოხუცებს და მცირეწლოვნებს. ქორწინება არ შეიძლებოდა, მშობლების დაუკითხავად სამხედრო სამსახურში მყოფთათვის. თუ მას ნებას მშობლები არ დართავდნენ და რძლის მომავალზე პასუხისმგებლობას არ იკისრებდნენ. არ შეიძლებოდა მეორედ ჯვრისწერა, თუ პირველი ჯვრისწერის გვირგვინი არ იყო ახსნილი. ქორწინების უფლება არ ჰქონდათ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანებს, ასევე დაუშვებელი იყო ქორწინება ახლო ნათესავთა შორის. ამ წესების დამრღვევებს საერო და სასულიერო კანონი სჯიდა.

— რომელი ასაკიდან იყო ნებადართული ოჯახის შექმნა?

— ამ მხრივ განსხვავება იყო ჩვენს ქვეყანასა და რუსეთს შორის. ჩვენში სასიძო 15 წლის უნდა ყოფილიყო, სარძლო კი — 13-ის, ხოლო რუსეთში მცხოვრებთათვის, სასიძო — 18 წლისა, სარძლო კი — 16-ის.

— რატომ იყო ასეთი განსხვავება?

— განსხვავება იმიტომ იყო, რომ ბიოლოგიურად, მოზარდის მომწიფება ჩვენში უფრო ადრე ხდება, ვიდრე ჩრდილოეთში. იმ შემთხვევაში, თუ მღვდელი ჯვარს მცირეწლოვნებს დასწერდა და შემდეგ ეს გაცხადდებოდა, მღვდელი და მედავითნე ისჯებოდნენ. ხოლო ახალდაქორწინებულთათვის ეს დიდ სირცხვილად მიიჩნეოდა.

— როგორი ფორმით ხდებოდა საეკლესიო პირების დასჯა?

— მღვდელი უდაბნოში იგზავნებოდა — დროის იმ მონაკვეთის ნახევარი პერიოდით, რამდენიც უკლდათ დაქორწინებულებს სრულწლოვნებამდე. უდაბნოში აგრეთვე, დიაკონი და მედავითნეც იგზავნებოდნენ — იმის ნახევარი პერიოდით, რამდენითაც მღვდელი იყო გაგზავნილი. საქართველოში სულ სამი უდაბნო იყო: საჩხერეში, გურიასა და დავითგარეჯში.

— სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში განქორწინებულთა რიცხვის მატება შეინიშნება. რა ხდებოდა 2-3 საუკუნის წინ, რას ითვალისწინებდა მაშინდელი კანონმდებლობა და რა შემთხვევაში ხდებოდა გვირგვინის ახსნა?

— კანონი მაშინ გაყრიდა ცოლ-ქმარს, თუ ერთ-ერთის მხრიდან ღალატი დამტკიცდებოდა, თუ ცოლი ან ქმარი 5 წლის განმავლობაში იყო დაკარგული, ან ერთ-ერთი მათგანი რაიმე დანაშაულისთვის კატორღაში იყო გაგზავნილი, თუ ერთ-ერთი მათგანი ფიზიკური ნაკლოვანების გამო ვერ ასრულებდა ცოლქმრულ მოვალეობას. გვირგვინის ახსნაც ასეთ შემთხვევებში ხდებოდა.

— ჩვენი წინაპრები ნათესაობას ხარისხების მიხედვით ასხვავებდნენ. რას ნიშნავს ნათესაური ხარისხი?

— არსებობს სულიერი და ხორციელი ნათესაობა. სულიერად ენათესავები ნათლიას. ხოლო ხარისხები ხორციელ ნათესაობაში არსებობდა (სულ — ოთხი ხარისხი). ხარისხში ირიცხებოდნენ შვილები, ხარისხში — დედმამიშვილები (მათ „ტანის და-ძმები“ ერქვათ); ასევე და-ძმებად ირიცხებოდნენ გერები, როგორც დედის, ასევე მამის მხრიდან; ბიძა-ძმისშვილები წარმოადგენდნენ ნათესაობით ხარისხს, ხოლო ბიძაშვილები — V ხარისხს. სულიერ ნათესაობაში (ნათლიაობითი) ქორწინება V მსოფლიო საეკლესიო კრებამდე (გაიმართა 680-681 წლებში კონსტანტინოპოლში) აკრძალული არ იყო. ამ კრების შემდეგ, გვირგვინის კურთხევა მეოთხე თაობამდე აიკრძალა. წმინდა მამების განწესებით და უწმინდესი სინოდის ბრძანებულებით, ნათესაობა ითვლებოდა მხოლოდ მონათლულს, მის მშობელთა და მიმრქმელს შორის. სხვა პირზე არ გადადიოდა. ძველად ნათლობის დროს ასეთი ტრადიციაც არსებობდა, თუ ქალი და კაცი ნათლავდნენ ვაჟს, კაცი იწერებოდა ნათლიად, ხოლო ქალი — მოწმედ, და — პირიქით. იმ შემთხვევაში, თუ მღვდელი სათანადოდ არ გამოიკითხავდა ჯვარდასაწერი წყვილის ნათესაობით კავშირებს და ჯვრისწერის შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ მათი ქორწინება არ შეიძლებოდა, მღვდელს უდაბნოში გაგზავნით სჯიდნენ (3-დან 6 თვემდე ვადით), ხოლო თუ იცოდა და მაინც ჯვარს დასწერდა, მღვდლობის ხარისხს ართმევდნენ; შეეძლო, მედავითნედ დარჩენილიყო, მედავითნეს კი, 6 თვით უდაბნოში გზავნიდნენ. კანონიერად, ჯვრისწერის შემდეგ დაბადებული ბავშვები მიიჩნეოდნენ. ნათლიები აუცილებლად მართლმადიდებლები უნდა ყოფილიყვნენ. მცირეწლოვანს ნათლიად ყოფნა ეკრძალებოდა.

— გარდა მარხვის დღეებისა, კიდევ როდის არ შეიძლებოდა ჯვრისწერა?

— ჯვრისწერა არ შეიძლებოდა საუფლო დღესასწაულთა წინა დღეებში, ოთხშაბათის და პარასკევის წინა დღეებში, ასევე — დიდმარხვის დროს; იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის და ჯვართამაღლების წინა დღეებში. გარდა ამისა, ჩვენმა წინაპრებმა იცოდნენ იმ დღეების ჩამონათვალი, როცა არანაირი საქმის წამოწყება არ იყო სასურველი. წლის განმავლობაში სულ 31 ასეთი დღეა და თვეების მიხედვით ასე ნაწილდება:

იანვარი — 1, 2, 4, 6, 11, 20
თებერვალი — 11, 17, 18
მარტი — 1, 4, 14, 24
აპრილი — 2, 17, 18
მაისი — 7, 8
ივნისი (თიბათვე) — 17
ივლისი (მკათათვე) — 17, 21
აგვისტო (მარიამობისთვე) — 20, 21
სექტემბერი (ენკენისთვე) — 10, 18
ოქტომბერი (ღვინობისთვე) — 6
ნოემბერი (გიორგობისთვე) — 6, 8
დეკემბერი (ქრისტეშობისთვე) — 6, 11, 18.

ცისფერი ნამცხვარი და ლურჯი ყველი ანუ როგორ ერთობა ქართული ბომონდი

სითბო და მზის სხივები ვის არ უყვარს?! ალბათ ყველას, მაგრამ ქართველებს — განსაკუთრებით. ამიტომაც დადიან ზამთარ-ზაფხულ გარუჯულები. იმ დღეს, სოლარიუმ „ერგოლაინს“ (საქართველოში უკვე ხუთი წელია არსებობს), საიუბილეო ღონისძიება ჰქონდა, რომელიც სათანადოდ აღნიშნა კიდეც. ღამის კლუბი — „ნაით-ოფისი“ ქართული ბომონდით აივსო; უმრავლესობას ხელოვნური „ზაგარი“ ჰქონდა. ისინი მოურიდებლად დადიან იმ დაწესებულებაში, რომელსაც სოლარიუმი ჰქვია და სხეულის გარუჯვის სიამოვნებას ზამთარშიც არ იკლებენ. საიუბილეო ღონისძიებაზე ქართველებს გერმანიიდან „ერგოლაინის“ ვიცე-პრეზიდენტიც ეწვია, რომელიც საქართველოში მისი ფირმის მუშაობით კმაყოფილი დარჩა. გაიჭრა ლურჯი ტორტი. ჰო, მართლა, იმ საღამოს ლურჯი და ცისფერი დომინირებდა. როგორც შევიტყვეთ, ეს „ერგოლაინის“ ფერია. საღამოს ორგანიზება ბაკურ ბაკურაძემ და ცისანა სეფიაშვილმა გაუკეთეს. ისინი აღნიშნული სოლარიუმის კლიენტები არიან. რეჟისორი **გასა ფოცხიშვილი** *ამ დაწესებულებას მაშინაც სტუმრობს, როცა მუშაობა დაძაბული გრაფიკით უწევს. მან ჩემთან საუბრისას აღნიშნა: — ეს ჩემთვის სერიოზული განტვირთვაა. 20 წუთის განმავლობაში ვიღებ სხივებს, ვუსმენ მუსიკას და ვუყურებ მშვენიერ ვიდეოარტს. კარგია, რომ ეს დაწესებულება ზამთარში ზაფხულს გვიცვლის და გვაგონებსო.*

ექიმმა **აჩიკო მეფარიძემ** *კი დასძინა: თუკი წესების მიხედვით ვიმოქმედებთ, სოლარიუმში მიღებული სხივები მავნე სულაც არ არის, მაგრამ იქ დიდხანს გაჩერება შეიძლება, საზიანოც აღმოჩნდეს. მე ყველაფერს დოზირებულად ვიღებ.*

ეკა ნიუარაძე:

— სოლარიუმის საშუალებით შეგიძლია, როგორც ზაფხულში, ასევე ზამთარში გაირუჯო. ადრე, აქ იშვიათად დავდიოდი, ახლა კი, ინტენსიურად დავიწყე სოლარიუმში სიარული, რადგან იმ ასაკში ვარ, როცა ჩემს გარეგნობას უნდა მივხედო...

ბაკურ ბაკურაძე:

— მეც დავითრიე აბონემენტი და „ვუბერავ“. ზამთარში გარუჯული სხეული ძალიან მომწონს.

საღამოს დაახლოებით 500 სტუმარი ესწრებოდა, რომელთაც წითელი ღვინით, ხილითა და ბუტერბროდებით გაუმასპინძლდნენ. განსაკუთრებით გემრიელი ლურჯი ყველი და ცისფერი ნამცხვარი აღმოჩნდა.

მომთაბარე ცხოვრებას მიჩვეულმა ნინო ქათამაძემ შიდსი დაამარცხა

1-ელი დეკემბერი შიდსის საერთაშორისო დღეა. ამ დღესთან დაკავშირებით, გაეროს მოსახლეობის ფონდმა კომპანია „არტ-ფორუმთან“, მომღერალ ნინო ქათამაძესთან და ჯგუფ „ინსაიტთან“ ერთად, სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდული ფესტივალი მოაწყო. ფესტივალის ფარგლებში არაერთი საინტერესო ღონისძიება იყო დაგეგმილი, თუმცა ნინო ქათამაძისა და ჯგუფ „ინსაიტის“ კონცერტი „ნაით-ოფისში“, მაინც ყველაზე სერიოზული აღმოჩნდა. მომღერალმა თავისი შეძახილებით — „შევაჩეროთ შიდსი“, შეიძლება ითქვას, რომ ეს უკურნებელი სენი დაამარცხა კიდეც.

ნინო უკვე ერთი წელია, რაც საზღვრებს გარეთ მოღვაწეობს და მშობლიურ ქვეყანაში იშვიათად ჩამოდის. როგორც ამბობენ, მისი ხელოვნებით გაოცებულია მთელი რუსული ბომონდი და მუსიკალური სამყარო. ისიც ითქვა, რომ ის ლეონიდ აგუტინის უსაყვარლესი ქართველი მომღერალია. ნინო კონცერტებს ატარებს არა მარტო კლუბებში, არამედ დიდ დარბაზებშიც. ბევრს მოგზაურობს ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან — ქვეყანაში.

ნეკა სეგინსკვერაძე:

ამ ბოლო დროს, ნინოს კონცერტი უკვე მეორედ მოვისმინე. პირველად, კიევში — დარბაზ „ოკტიაბრსკში“, რომელსაც 2000 კაცი ესწრებოდა, მეორედ აქ, „ნაით-ოფისში“ და გაოგნებული ვარ. დადებითად დავიმუხტე. ქართველმა მაყ-

Wreli kiTxvebi

„ხალხის წიაღიდან მოვდივარ"...

რუბრიკის სტუმარი ზუმბა (ზაზა კორინთელი) გახლავთ. ის მისთვის ჩვეული იუმორით საუბრობს და ამ შემთხვევაში თანამედროვე, ფსევდოინტელიგენტის გარკვეულ იმიტაციასაც აკეთებს.

— ზუმბა, ქვეყანაზე რა ხდება?

— მიმდინარეობს გლობალური დათბობა, რაც ძალიან მაშფოთებს.

— გეშინია?

— არაფრის მეშინია, უბრალოდ, აღნიშნული პროცესი მაშფოთებს, მაშფოთებს...

— ეი. შეშფოთებული ხარ?

— ძალიან! სხვა დანარჩენი პროცესები — ინტეგრაცია და ა.შ. ასე არ მაღელვებს.

— არანაირ ემოციას არ იწვევს?

— ემოციას იწვევს იმდენად, რამდენადაც დღეს, ეს პროცესი XXI საუკუნის სამყაროსთვის აქტუალური თემაა, რადგან რაღაცნაირად, ძველი კულტურების ინტეგრირება ერთ საერთო ოჯახში ხდება. ამ პროცესებში საქართველოს როლი, ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— ამბობენ, ქართულ ფოლკლორს ზუმბა უყვარსო, მართალია?

— ზუმბასაც უყვარს ფოლკლორი.

— ეს სიყვარული როდის დაიწყო?

— ბავშვობიდან, სადღაც, 12-13 წლიდან.

— ეს ყველაფერი რაში გამოიხატა?

— პირველი ლექსი ფოლკლორის ჟანრში დავწერე. მაშინ მივხვდი, რომ ფოლკლორი ჩემთვის ყველაფერი იყო და მან არა მარტო გამიტაცა, არამედ შეიძლება ითქვას, ჩემი ცხოვრების წესად იქცა...

— რა საინტერესოა. იქნებ, გაიხსენო ის პირველი ლექსი.

— ამ ლექსის ინსპირაცია ძველმა ჩინურმა ანდაზამ მოახდინა, რომელმაც ჩემამდე ძველი ბერძნების ჩანაწერებით მოაღწია...

— რომელ ანდაზას გულისხმობ?

— ყველა ბუას თავის ძუა უყვარდაო.

— რაღაცით ქართულ ანდაზას ჰგავს: მელას თავისი მახრჩობელა უყვარდაო.

— მე დავამატებდი: თურმე, მახრჩობელასაც ჰყვარებია თავისი მელა.

— ისევე, როგორც შენ — ფოლკლორი, არა?

— რა თქმა უნდა.

— ქუდს, რომელიც გახურავს, რა დატვირთვა აქვს?

— ეს ერთგვარი თავსაბურავია. ხევსურული ორნამენტებით არის გაწყობილი და თანამედროვე ქართული დიზაინით შესრულებული. გეტყვი, რომ არცთუ ისე პრაქტიკული თავსაბურავია. ყველას შეუძლია მისი გამოყენება, თუ ამის სურვილი და საშუალება აქვს.

— საქართველოს რომელ კუთხეში გრძნობ თავს ყველაზე ლაღად? შენ ხომ ბევრს მოგზაურობ და თითქმის ყველა კუთხის ადამიანებთან გიწევს ურთიერთობა...

— საერთოდ, ხალხის წიაღიდან მოვდივარ და თავს კარგად ვგრძნობ იქ, სადაც ხალხია. ფლორა და ფაუნა ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ მათთან ადამიანის ცხოვრების წესი ბუნებრივადაა შერწყმული, რასაც ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ბედნიერი ვარ. შეიძლება, ეს მოხდეს გურიაში, აჭარაში, ხევსურეთში, ხევში, სვანეთში, სამეგრელოში, ქართლში და ასე შემდეგ.

— ეი. ადამიანების გარემოცვაში თავს ისე გრძნობ, როგორც თევზი წყალში?

— მეტსაც გეტყვი, როგორც ჩიტი ჰაერში.

— არაერთ ინსტრუმენტზე შეგიძლია დაკვრა. უკრავ ყველაფერზე, რაც ხმას გამოსცემს. ამიტომ ხელმძღვანელობ მუსიკალურ საკრავთა ანსამბლს?

— კი და ძალიან კარგი ხელმძღვანელი გახლავარ.

— პოლიტიკურ სტრუქტურებში გადაბარგებაზე არ ფიქრობ?

— იცი, ეს ჩემთვის ჯერ ადრეა.

— ისე, აპირებ, არა?

— არა, არა. ხომ ვამბობ, ეს ჩემთვის ნაადრევია. ჯერ ძალიან ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. რომ დავბერდები და მივხვდები, რომ ყველაფერი გავაკეთე, საზოგადო მოღვაწეობასაც მერე მივხედავ. რაც შეეხება პოლიტიკას, ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ვაკეთებ ჩემს უსაყვარლეს საქმეს — ცხოვრების სიყვარულს.

— იქნებ, რომელიმე ლექსიდან ნაწყვეტი წაიკითხო?

— მოითმინე: „ლექსი, რომელიც ამწუთას მოდის,/ იმ ძველ სევდას მაგონებს,/ სევდა, რომელიც არასდროს ქრება,/ ისევ შენს თავს მაგონებს,/ მაგრამ თუკი შენ არა ხარ სევდა,/ მაშ, მითხარ, ვინ ხარ./ დაე, ვთვრებოდე,/ დაე, მიყვარდეს მე ჩემი გრძნობა"... ეს ლექსი ახლა დავწერე.

— დაბოლოს, რას გვეტყვი?

— ბოლოს იმას გეტყვი, რომ ბოლო არა აქვს ბოლოს. როგორი იყო ჩემი პასუხები?..

ურებელმა ნახა, თუ რა შეუძლია ნინო ქათამაძეს. კიევში ყოფნისას, ერთ-ერთ ჟურნალში ნინოს ინტერვიუ წავიკითხე. ჟურნალისტი მას ეკითხებოდა — სად ცხოვრობთო? მომღერალი ასეთ პასუხს სცემდა: ვცხოვრობ იქ, სადაც ვმღერი. ფაქტობრივად, სულ „ფრენაშია". სხვადასხვა სახლში უწევს ცხოვრება — თავისი სახლი არც თბილისში და არც უცხოეთში არა აქვს.

იმ დღეს, ნინოსთან ერთად მთელი დარბაზი მღეროდა. „ნაით-ოფისში" გახლდნენ საქართველოს პირველი ლედი, სანდრა რულოვსი და გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლები, ასევე, ქართველი პოლიტიკოსები. მაღალხარისხიანი კონცერტის გამართვაში ნინო ქათამაძეს დაეხმარნენ მეგობრები — კახა ციისკარიძე და სტეფანე, რომლებიც კომპანია „არტ-ფორუმს" წარმოადგენენ. მომღერალთან ერთად, სცენაზე არა მარტო ჯგუფი „ინსაიტი", არამედ კამერული ორკესტრიც უკრავდა, ზვიად ბოლქვაძის დირიჟორობით. ■

ნანკა კალატოზიშვილი: „ნინოს ფანი ვარ"

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(7- 13 დეკემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ეს კვირა თქვენთვის პოზიტიური იქნება. დროა ბოლომდე მიიყვანოთ ძველი საქმეები და პარალელურად, ახალ პროექტზეც დაიწყოთ მუშაობა. კვირის ბოლოს სასიამოვნო შეხვედრა გელით.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

თუ ამ დღეებში ყველაფერს უცხო თვალით შეხედავთ და უსიამოვნებების მოგვარებისას ახალ მეთოდებს გამოიყენებთ, აუცილებლად გადაჭრით ფინანსებთან, ქონებასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს.

ᲢᲧᲣᲜᲘ 21.05-21.06

ნუ დაკარგავთ დროს უქმად! ამ კვირას, თქვენ მიერ წამოწყებულ საქმეებს წარმატება ხვდება წილად და გარშემო მყოფნიც სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას თქვენი ჩანაფიქრების განხორციელებაში.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ამ პერიოდში შექმნილი ვითარება, ერთობ ხელსაყრელი იქნება თქვენი იდეების განსახორციელებლად; ამიტომ, დროის უმეტესი ნაწილი სამსახურში უნდა გაატაროთ. თუმცა, სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაშიც გელით.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

თქვენი მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდება, ამიტომ ნუ დაივიწყებთ გაჭირვებულ ადამიანებს, რომლებსაც თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ. უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმეთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

თანამშრომლების პრობლემების გადაჭრის მცდელობა და სწრაფვა ერთობლივი ქმედებისკენ, განამტკიცებს თქვენს ურთიერთობებს სამსახურში და შეიძლება, მთელი კოლექტივის წინამძღოლადაც აგირჩიონ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

ამ კვირას ძალზე ენერგიული იქნებით და ამით ადვილად მიიპყრობთ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას. თანამშრომლები თქვენში ნიჭიერ და თავდაჯერებულ ადამიანს აღმოაჩენენ. კვირის ბოლოს სასიამოვნო შეხვედრა გელით.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

ოპტიმისტური განწყობილება და დიდი ენერგეტიკული პოტენციალი განაპირობებს თქვენს წინსვლას სამსახურში. დიდია იმის ალბათობაც, რომ ამ პერიოდში დაქორწინდეთ ან ახალი ფირმა გახსნათ.

ᲛᲨᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

თამამად შეგიძლიათ შეუდგეთ თქვენი ჩანაფიქრის განხორციელებას, წარმოაჩინეთ ლიდერისა და ხელმძღვანელის თვისებები. ნებისმიერი სახის საქმიანობა წარმატებული იქნება.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

ეს პერიოდი არასახარბიელოა თქვენი კარიერისა და კეთილდღეობისთვის. ამიტომ სასურველია, რაიმე ინდივიდუალურ, შემოქმედებით საქმიანობას მიჰყოთ ხელი. შაბათ-კვირა ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ამ კვირას, თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ საკუთარ ძალისხმევაზე, არამედ მეგობრების, მფარველებისა და ხელმძღვანელი პირების მხარდაჭერაზეც. ამავე დროს, თქვენ უამრავი ორიგინალური იდეა გაგიჩნდებათ, რაც თქვენს კოლეგებს აღაფრთოვანებს.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ დღეებში პროფესიულ ასპარეზზე გარკვეულ წარმატებას მიაღწევთ და შეძლებთ, თქვენი არაჩვეულებრივი იდეები და ჩანაფიქრები მრავალ ადამიანს გააცნოთ. ეს ხელსაყრელი დროა იმისთვის, რათა ბოლომდე მიიყვანოთ დაწყებული საქმეები.



Lexus-ის „ცხელი“ ვერსია

Lexus-ის ახალი მოდიფიკაციის მოდელების სახელების წინ ასო F გაჩნდება. როგორც მსოფლიო პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, იაპონურმა კომპანიამ F-ის სტილში უკვე დაარეგისტრირა ლოგოტიპი, გარდა ამისა, სავაჭრო ნიშან IS-F-ის გამოყენებაზეც მოიპოვა უფლება. ამ სერიის ახალ ავტომობილს სწორედ ასე ერქმევა. Lexus IS-ის ახალი მოდელის პრეზენტაცია მომავალი წლის იანვარში, დეტროიტის ავტოშოუზე შედგება. ავტომობილი ბენზინის ძლიერი ძრავათი, V8-ით იქნება აღჭურვილი. მისი ფასი აშშ-ში 50 ათასი დოლარია. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური, „ცხელი“ სერია არაერთ მსხვილ ავტომწარმოებელ კომპანიას აქვს. BMW თავის სპორტულ მანქანებს M-ის სახელით უშვებს, Audi-ს ვერსიას Audi S ჰქვია, ხოლო Mercedes-Benz-ისას — Mercedes AMG. ■

Volkswagen-ის „არასაგზაო“ მოდელი

კომპანია Volkswagen-მა ერთ-ერთი თავისი მოდელის „არასაგზაო“ მოდიფიკაციის ანონსირება მოახდინა. VW Touran-ის შეკვეთა ამჟამად Cross Touran-ის ვერსიით იქნება შესაძლებელი, რომელიც აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაა შემუშავებული. სიახლე საბაზო მოდელისაგან ძარას ფორმით გამოირჩევა. სალონი კი, საბაზო მოდელისგან მინიმალურად განსხვავდება. VW Cross Touran 102 და 170 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის და ისეთივე სიმძლავრის ბენზინის აგრეგატებით იქნება აღჭურვილი, როგორითაც საბაზო ავტომობილი. მისი გაყიდვა 2007 წლის პირველი კვარტალიდან დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ადრე ანალოგიური, „არასაგზაო“ მოდიფიკაციები VW POLO-სა და VW Golf Plus-ის მარკებით გამოუშვეს. ■

Prodrive-ის სპორტული

ბრიტანულმა კომპანიამ — Prodrive სპორტული მანქანა — Aston Martin V8 Vantage-ის ტიუნინგ-პაკეტი წარმოადგინა. ავტომობილი ფორსირებული ძრავათია აღჭურვილი. 4,3 ლ მოცულობის სტანდარტული აგრეგატის — V8-ის სიმძლავრე Prodrive-ის სპეციალისტებმა, გამონაბოლქვის ახალი სისტემის დამონტაჟების ხარჯზე, 380-იდან 425 ცხ.ძ-მდე გაზარდეს. სიმძლავრის გაზრდის შედეგად, მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 280-იდან 293 კმ/სთ-მდე გაიზარდა, ხოლო 100 კმ/სთ-ის გასავითარებლად, 5-დან 4,7 წმ-მდე შემცირდა.

გარეგნული ცვლილებები პრაქტიკულად, შეუმჩნეველია: Prodrive-მა ახალ მოდელს წინა ბამპერის ქვეშ დამატებითი სპოილერი, ხოლო უკანა მხრიდან — მცირე ზომის ანტიფრთები დაუყენა. ■

აქსესუარები Volkswagen-ისგან

ესენში მიმდინარე ტიუნინგის მოტორშოუზე Volkswagen-მა სპორტული აქსესუარების ახალი ხაზი წარმოადგინა, რომელსაც R-Line ეწოდა. გერმანელი დიზაინერების მიერ შემუშავებული დეტალების ნაკრების მეშვეობით, მყიდველს თავისი ავტომობილის უფრო აგრესიულ და დასამახსოვრებელ მანქანად ქცევა შეუძლიათ. აქსესუარების ხაზი R-Line ერთბაშად Volkswagen-ის ოთხი მოდელისათვის შეიქმნა. ესენია: VW Touareg, VW Toran, VW Golf და VW Passat. ახალი პროდუქტის დასახელებაში R ნიშანი იმის მაჩვენებელია, რომ ზემოთ ხსენებული ნებისმიერი ავტომობილის მიმსგავსება 250-ჯერ უფრო ძლიერ Golf R32-თან ან 300-ჯერ ძლიერ Passat R36-თან შეიძლება. თუმცა R-Line-ს პაკეტში არავითარი ტექნიკური ცვლილება არ არის გათვალისწინებული. Volkswagen-ის ზემოთ ხსენებული ოთხი მანქანიდან ერთ-ერთის შეკვეთა R-Line-ს თანხლებით, გერმანიაში უკვე 2007 წლის პირველსავე კვარტალში იქნება შესაძლებელი. ■

დაიმსახურა თუ არა კანავარომ «ოქროს ბურთი»?

ფეხბურთის არაერთი სპეციალისტი და მიმომხილველი ფაბიო კანავაროს ჯერ კიდევ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას უწინასწარმეტყველებდა „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულ გამოკითხვაში გამარჯვებას. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მან მუნდიალი ბრწყინვალედ, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ჩაატარა და „სკუადრა აძურასთან“ ერთად, მსოფლიო თასსაც დაეუფლა. ტურნირის დასრულების შემდეგ, ტურინის „იუვენტუსში“ განვითარებული ნეგატიური მოვლენების გამო, იტალიელმა მცველმა მადრიდის „რეალში“ გააგრძელა კარიერა, თუმცა ესპანურ გრანდში ჯერჯერობით, მაინცდამაინც შთამბეჭდავად ვერ თამაშობს. მიუხედავად ამისა, ფაბიო მაინც დაასახელეს ევროპის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელად, მეორე-მესამე ადგილებზე კი, შესაბამისად, ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“) და ტიერი ანრი („არსენალი“) გავიდნენ.

ალექსი რეხვიაშვილი

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფაბიო კანავაროსათვის „ოქროს ბურთის“ გადაცემა „ბებერ კონტინენტზე“ ბევრმა სავსებით ლოგიკურად მიიჩნია, მაგრამ გამოკითხვაში მონაწილეთა უმრავლესობის არჩევანს, მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ისინი მიიჩნევენ, რომ იტალიელი მცველისთვის ევროპის 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მინიჭება უსამართლობა იყო. განსაკუთრებული უკმაყოფილება ამ ფაქტმა ფრანგულ საინფორმაციო საშუალებებში გამოიწვია.

საიტი Maxifoot.fr აქვეყნებს სტატიას, რომლის სათაურშივე დასმულია შეკითხვა — იმსახურებს თუ არა კანავარო ამ პრესტიჟულ პრიზს? ეჭვგარეშეა, რომ „სამეფო კლუბის“ მცველმა იტალიის ეროვნული ნაკრების წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა, მაგრამ მსოფლიო თასის გარდა, 2006 წელს მას არაფერი მოუგია. იტალიის ჩემპიონის ტიტული, რომელსაც კანავარო „იუვეს“ შემადგენლობაში 2006 წლის მუნდიალის დაწყებამდე დაეუფლა, ე.წ. ჩაწყობილ თამაშებთან დაკავშირებით აგორებული სკანდალის

გამო ტურინულ კლუბს ჩამოერთვა და მილანის „ინტერს“ გადაეცა. 2005-2006 წლების სეზონში „ბებერი ქალბატონი“ არც ჩემპიონთა ლიგაში ბრწყინავდა — გუნდმა ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწია. რაც შეეხება „რეალს“, — როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფაბიო მის რიგებში საკუთარ შესაძლებლობებს ნამდვილად ვერ ავლენს. სტატიაში ხაზგასმულია ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე ტურნირის მატჩი, რომელშიც მადრიდელები ლიონის „ოლიმპიკს“ ხვდებოდნენ და ჯონ კარიუმ იტალიელი მცველის მოტყუება რამდენჯერმე ძალზე იოლად შეძლო.

სხვა ფრანგულმა საიტმა — Football365.fr — გამოაქვეყნა სტატია, რომელსაც ასეთი სათაური აქვს: „ოქროს ბურთი — ყალბი ბურთი“. ჟურნალისტმა არა მარტო მიმდინარე სეზონში, არამედ ბოლო წლებში ჩატარებული გამოკითხვების შედეგები გააკრიტიკა. ამ კრიტიკის ობიექტად ანდრეი შევჩენკოც იქცა. აღნიშნული წერილის ავტორის აზრით, 2004 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგზე (ისევე, როგორც 2003 წელს, როდესაც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ჩეხეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ ნახევარმცველი, პაველ ნედვედი აღიარეს) იმ ფაქტმა იმოქმედა, რომ ამ ფეხბურთელებმა აღმოსავლეთევროპელი ჟურნალისტებისგან მიიღეს ხმები. რაც შეეხება „ოქროს ბურთის“ გადაცემის წლევანდელ ცერემონიას, ხსენებული საიტის წარმომადგენელთა მოსაზრებით, თუ მხედველობაში მხოლოდ 2006 წლის მუნდიალს მივიღებთ, პრიზს ყველაზე მეტად, „სკუადრა აძურას“ გოლკიპერი, ჯანლუიჯი ბუფონი იმსახურებდა, რომელსაც კანავაროსაგან განსხვავებით, კლუბისთვის ურთულეს პერიოდში „იუვენტუსი“ არ მიუტოვებია და ამჟამად, გუნდთან ერთად, იტალიის სერია B-შიც განაგრძობს ასპარეზობას. ჟურნალისტი მსოფლიოს გასული პირველობის ფინალური მატჩიდანაც იხსენებს მომენტს, როდესაც მატჩის მესამე წუთზევე კანავარომ ტრავმა მიაყენა ტიერი ანრის. ავტორი მიიჩნევს, რომ იტალიელმა მცველმა ეს განზრახ გააკეთა. ბოლოს კი, football365.fr-ს „ფრანს ფუტბოლის“ რედაქტორის სიტყვებიც მოჰყავს იმის შესახებ, რომ „ოქროს ბურთის“ ლაურეატობა — ეს იგივეა, რაც „არისტოკრატთა სიაში მოხვედრა“. კანავარო უკვე მათ შორისაა, ხოლო ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ფერენც პუშკაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად არასოდეს უღიარებიათ. ჟურნალისტის აზრით, თუ კანავარო მართლაც, საუკეთესოა, მაშინ მიმდინარე წელი ფეხბურთის ისტორიაში იმედგაცრუების სეზონად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ საბედნიეროდ, ანრის, რონალდინიოს, ეტო'ოსა და სხვა დიდოსტატთა დიდებული თამაშის წყალობით, ამას ვერ ვიტყვით.

გამოკითხვის შედეგი გააკრიტიკა გაზეთმა „ეკიპმაც“, რომლის წარმომადგენელთა შეხედულებით, 2006 წელს „ოქროს ბურთს“, კანავაროზე მეტად, ტიერი ანრი

და რონალდინიო იმსახურებდნენ. პოპულარული სპორტული გამოცემის ავტორის აზრით, საუკეთესო ფეხბურთელის დასახელებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს მოთამაშის მთელი წლის ინდივიდუალური და გუნდური მიღწევები, აგრეთვე მისი კლასი (ნიჭი და „ფეირ პლეის“ პრინციპების დაცვის მაჩვენებელი), კარიერა და გარემოცვა.

„ეკიპი“ იხსენებს ფაბიო კანავაროს წარსულის ბნელ მხარეს, როდესაც „პარმაში“ თამაშისას ის, პარტნიორებთან ერთად, დოპინგის მოხმარებაში იყო ეჭვმიტანილი. გარდა ამისა, გასული გაზაფხულის მიწურულს, მისი სახელი „ჩაწყობილ მატჩებთან“ დაკავშირებულ სკანდალშიც ფიგურირებდა.

ზემოთ მოყვანილი გამოცემების მიერ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ზოგადად, ფრანგული საინფორმაციო საშუალებები ფაბიო კანავაროს არ მიიჩნევენ 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. მაგრამ მათი პოზიცია გასაკვირი არ გახლავთ: ფრანგების (და არა მარტო ფრანგების) აზრით ხომ, მათმა ეროვნულმა

ნაკრებმა დაუმსახურებლად წააგო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი, ხოლო ტიერი ანრი, რომელიც ბოლო წლებში მუდამ იყო „ოქროს ბურთის“ ნომინანტი, საუკეთესოდ კვლავაც არ დაასახელეს.

და მართლაც, იმსახურებს თუ არა ფაბიო კანავარო 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს? ალბათ, ამ შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი აზრი არ არსებობს...

სხვათა შორის, გამოკითხვის შედეგმა თავად ფაბიოც გააკვირვა: „ეს ჩემთვის ძალზე მოულოდნელი იყო. რა თქმა უნდა, გახარებული ვარ, თუმცა „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგმა ნამდვილად გამაკვირვა. ყოველთვის მივიჩნევდი, რომ როგორც წესი, „ოქროს ბურთი“ შეტევის ხაზის ფეხბურთელებს ერგებათ — თავდამსხმელებსა ან ნახევარმცველებს, რომლებიც შესანიშნავი ტექნიკითა და მინდორზე აზროვნების უნარით გამოირჩევიან. ჩვენ კი, მცველები, რაღაც მეორე რანგის ფეხბურთელებად ვითვლებით“. ■

დასაწყისი იხ. გვ. 14

საბრალდებო დასკვნისა და თავად განსასჯელის აღიარებითი ჩვენების მიხედვით, ამირან ბიწაძემ წინასწარ იცოდა, დაახლოებით რა დროისთვის დაბრუნდებოდა თეონა სებისკვერაძე სკოლიდან შინ. ვინაიდან, სკოლის მიმდებარე ტერიტორია საკმაოდ ხალხმრავალია, ბიწაძემ მის საცხოვრებელ სახლთან, შედარებით მყუდრო ადგილი, კერძოდ, ერთ-ერთი ჩიხი შეარჩია და გოგონას იქ ჩაუსაფრდა. ჩიხიდან ის შინისკენ მიმავალი თეონას დანახვას კარგად შეძლებდა. ეს მომენტი რომ დადგა, მანქანა სამალავიდან გამოიყვანა და გოგონებს წინ გაუჩერა. მანქანიდან თავად ამირან ბიწაძე და ერთ-ერთი თანამონაწილე გადავიდნენ. ამირანი გოგონას ჯერ მკლავში სწვდა, შემდეგ პირზე ააფარა ხელი, რათა მისი ყვირილის ხმა ჩაეხშო. გოგონა მათ წინააღმდეგობას უწევდა, სიჩქარეში მისი ბოლომდე ჩასმა ვერ მოახერხეს, მაგრამ ამის მიუხედავად, გადაწყვიტეს, აღარ დაეყოვნებინათ და რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ იქაურობას...

დაკავების შემდეგ, ბიწაძე სამართალდამცველებს გამოუტყდა, რომ გოგონას მიმართ გრძნობა დიდი ხანია ტანჯავდა, მისი მოტაცების განზრახვა კი პირველად, სწორედ შემთხვევის დღეს გაუჩნდა და განახორციელა კიდეც. *„...იმ დღეს ნაცნობებთან ერთად დავლიე და ყველაფერი უცებ გადავწყვიტე. თავი ხელში ვერ ავიყვანე, საქციელს კონტროლს ვერ ვუწევდი. სინამდვილეში ვერც ვაცნობიერებდი, რას ვაკეთებდი. როცა უკვე ეს ყველაფერი მოხდა და გავიაზრე, რაც გავაკეთე, საშინელ დღეში აღმოვჩნდი. ვინანე ჩემი საქციელი, მაგრამ მივხვდი, რომ ამის გამოსწორება აღარ შეიძლებოდა. სოფლიდან სოფელში გადავდიოდი და არც ვიცოდი, ეს როდემდე გაგრძელდებოდა, ამის დასრულება არც მინდოდა, რადგან გამოჩენის მეშინოდა. არ ვიცოდი, როგორ შემეხედა ძმისთვის, ახლობლებისთვის, ხალხისთვის თვალებში და ამის გამო დღითი დღე უფრო ვკარგავდი წონასწორობას. ვფიქრობდი, რომ უკან დასახევი გზა აღარ მქონდა და რაიმის შეცვლის მეშინოდა...“* — ასეთი საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სასამართლოს წინაშე განსასჯელმა, განაჩენის გამოტანიდან ნახევარი საათით ადრე.

სასამართლომ მას ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. განაჩენი მსჯავრდებულის მხარემ გაასაჩივრა, რასაც თან დაერთო დაზარალებულის განცხადებაც იმასთან დაკავშირებით, რომ მას მსჯავრდებულის მიმართ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა. ჩადენილი დანაშაულისთვის ბიწაძის მკაცრად დასჯის მომხრე მხოლოდ ბრალდება და დაზარალებულის დედა გახლდათ. გასაჩივრების შემდეგ, მსჯავრდებულის მხარემ მიზანს მიაღწია. მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ საქმის მასალებში მსჯავრდებულის ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებები მოიპოვებოდა და ამის საფუძველზე მას შეფარდებული სასჯელი პირობითი მსჯავრით შეუცვალეს. ■

წყალტუბოს რაიონში საზარელი მკვლელობა მოხდა

წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურში საზარელი მკვლელობის ფაქტი დაფიქსირდა. 16 წლის ვალერი ჯიმშელეიშვილის დასახიჩრებული გვამი ტყეში იპოვეს. ვალერი მოულოდნელად, ერთი კვირის წინ გაუჩინარდა. მის კვალს ნათესავებმა ვერსად მიაგნეს, ერთი კვირის თავზე კი, აქტიური ძებნის შედეგად, მხოლოდ მის სასტიკად დანაწევრებულ სხეულს წააწყდნენ. სამართალდამცველების ინფორმაციით, გვამის ნაწილები ცალ-ცალკე ეყარა, სხეულის ერთი ნაწილი კი დამწვარი იყო.

ამ საზარელი მკვლელობის სავარაუდო მოტივზე ჯერ ვერაფერს ამბობენ. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სამართალდამცველები დეტალებზე ლაპარაკისგან, ამ ეტაპზე თავს იკავებენ. მომხდარ მკვლელობაზე სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა და გამოძიებას აღნიშნულ დანაშაულზე წყალტუბოს რაიონის პოლიცია აწარმოებს. ■

6 ექიმი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა, 6 ექიმი თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. როგორც სამართალდამცველები აღნიშნავენ, დაკავებული ექიმები კარგად ორგანიზებულ თაღლითთა ჯგუფს წარმოადგენდნენ. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ექიმები თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორიაზე მოქმედებდნენ. იქვე ჰქონდათ გახსნილი ტომოგრაფიული ცენტრი, თუმცა როგორც გაირკვა, რეალურად შესაბამისი აპარატურა არ გააჩნდათ. ამის მიუხედავად, ექიმები პაციენტებს აქტიურად იღებდნენ და მოტყუების გზით, მათ ტომოგრაფიის თანხას ახდევინებდნენ. დანაშაულის ფაქტი ერთ-ერთი პაციენტის ვიზიტმა გამოავლინა. პაციენტს ადრე, ქირურგიული ოპერაციის გზით, ცალი თირკმელი ამოღებული ჰქონდა. თაღლითმა ექიმებმა კი ვითომდა ტომოგრაფიის საშუალებით, ორივე თირკმლის არსებობა „დაუდგინეს“. სამართალდამცველები აღნიშნავენ, რომ ეჭვს იწვევს დაკავებულთა სამედიცინო კომპეტენციაც. დაკავებული ექიმების ვინაობას ჯერჯერობით არ აკონკრეტებენ. ■

ვინ ხართ თქვენ: „ბუ“ თუ „ტოროლა“?

როგორც ცნობილია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამა თუ იმ საქმის კეთებას დილის საათებში ამჯობინებენ. ამ ტიპის ადამიანებს „ტოროლებად“ მოიხსენიებენ. „ბუები“ კი, უფრო ქმედუნარიანები საღამოს საათებში არიან. ქვემოთ მოცემული ტესტი დაგეხმარებათ გაერკვეთ იმაში, თუ ადამიანთა რომელ ტიპს განეკუთვნებით — ეი. დღის რომელ მონაკვეთში ხართ უფრო ქმედითი.

1) გიჭირთ თუ არა დილით ადგომა?

ა) დიახ, თითქმის ყოველთვის — 3;
ბ) ზოგჯერ — 2;
გ) იშვიათად — 1;
დ) ძალზე იშვიათად — 0.

2) რომელ საათზე ამჯობინებთ დაძინებას?

ა) ღამის პირველი საათის შემდეგ — 3;
ბ) თორმეტიდან პირველ საათამდე — 2;
გ) ათიდან თორმეტის ნახევრამდე — 1;
დ) ათ საათამდე — 0.

3) გაღვიძებიდან ერთი საათის განმავლობაში, როგორ საუზმეს ანიჭებთ უპირატესობას?

ა) ნოყიერს — 3;
ბ) მრავალფეროვანს, ოღონდ არცთუ ისე კალორიულს — 2;
გ) ერთ ცალ მოხარშულ კვერცხს ან ბუტერბროდს სჯერდებით — 1;
დ) ჭიქა ჩაი ან ყავაც გაკმაყოფილებთ — 0.

4) გაიხსენეთ, შინ თუ სამსახურში დღის რომელ მონაკვეთში ხართ ხოლმე გაღიზიანებული და როდის ეკინკლავებით ირგვლივ მყოფებს?

ა) დღის პირველ ნახევარში — 1;
ბ) დღის მეორე ნახევარში — 0;

5) რაზე არ გაგიჭირდებოდათ უარის თქმა?

ა) დილის ყავასა თუ ჩაიზე — 2;
ბ) საღამოს ჩაიზე — 0.

6) შვებულებაში ყოფნის პერიოდში, იოლად იცვლით თუ არა საკვების მიღებასთან დაკავშირებულ ჩვევებს?

ა) ძალზე იოლად — 0;
ბ) საკმაოდ იოლად — 1;
გ) ძნელად — 2;
დ) ჩვევებს საერთოდ არ იცვლით — 3.

7) დილიდან მნიშვნელოვანი საქმეების კეთება გელით. რამდენად ადრე დაწვებით დასაძინებლად?

ა) ორ საათზე მეტი ხნით ადრე — 3;
ბ) ერთი-ორი საათით ადრე — 2;
გ) თითქმის ერთი საათით ადრე — 1;
დ) ჩვეულებრივ დროს — 0.

8) დროის ერთწუთიანი მონაკვეთი რამდენად ზუსტად შეგიძლიათ განსაზღვროთ უსაათოდ? ამის გასარკვევად ვინმე დაიხმარეთ.

ა) დროის ეს მონაკვეთი თქვენთვის წუთზე ნაკლები აღმოჩნდა — 0;
ბ) ერთ წუთს გადააჭარბა — 2.

ტესტის შედეგები:

0-7 ქულა: აშკარად გამოკვეთილი „ტოროლა“ ბრძანდებით.

8-13 ქულა: ქულათა ასეთი რაოდენობა იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ არც ერთ განსაზღვრულ ტიპს არ მიეკუთვნებით. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ არითმიული პიროვნება ბრძანდებით და ხან ერთ და ხან მეორე უკიდურესობაში ვარდებით.

14-20 ქულა: აშკარად გამოკვეთილი „ბუ“ ბრძანდებით.

მხოლოდ ერთ რამეს დავძენთ: ადამიანთა ყოველ ტიპს საკუთარი უპირატესობა აქვს. ასე რომ, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებთ ამ უპირატესობის გამოყენებას.

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

* მარტივი

	4		9			3		
	7	8	1	3			9	
6				4		1		7
	8		7		5	6	4	
	5			2			3	
	2	6			8		5	
2		3		7				8
	9			6	1	4	7	
		4			3		2	

** საშუალო

	1			8			6	
7					5		1	
		2		7		4		8
		9	6				5	
	2			5	4		7	
	5		8			6		
9		7		1		2		
	8		4					3
	3			9			4	

*** რთული

	7							5
	1		6					7
		6			8			
	4			5				8
		3		1		4		
5							3	
			7			2		
3					6		9	
9							4	

1 ქვწარმაკი
2 გარეული მტრედი
3 მდინარე რუსეთში
4 გემის მზარეული
5 არმის მღვდელი
6 დაჭრაგვეული მკლელი
7 ჩინეთის ფულის ერთეული
8 აზიური ქვეყანა
9 უმცროსი, ბოლოს შეძენილი შვილი
10 ჯარისკაცი თურქეთში
11 ებრაელთა მოძღვარი
12 სილამაზის ქალღმერთი ბერძნ. მით.
13 შვედეთის ფულის ერთეული
14 არენდა
15 მსხვილი თოკი
16 ყველა გემის ერთობლიობა
17 სახოტბო ლექსი
18 ქიმიური ელემენტი
19 მომღერალთა გუნდი
20 ნიკო ლომთურის მოთხრობა
21 მაგარი ქანი
22 ციტრუსის გამხმარი კანი
23 კედელში ჩასმული სკულპტურა
24 ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი
25 ფესვის ამოღების ნიშანი
26 იტალიის ფეხბურთის გუნდი
27 ქვეყანა წყნარ ოკეანეში
28 სახელმწიფო წყობილების ფორმა
29 ფოლადის ბაგირი
30 ერთგვარი ნაყინი
31 ოთახი მატარებლის ვაგონში
32 ძვ. რომაელთა სამოსი
33 ტაილანდის ფულის ერთეული
34 პერუს დედაქალაქი
35 ზღაბრული გრძელული ქალი
36 კოტე მარჯანიშვილის ფილმი
37 ამერიკის შტატი
38 ფრანგი მწერალი
39 სკოლის დამთავრების მოწმობა
40 თვალის გუგა
41 დიდი საყვირი
42 თხის ჯოგი
43 ცურვის სტილი
44 სახე, რეპუტაცია
45 საჰერო ფლოტი

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. საბურთალო; 2. საჰარა; 3. ბულიონი; 4. ლიონი; 5. თიბათვე; 6. რენუარი; 7. ოდისეა; 8. თონე; 9. კაფია; 10. იონი; 11. დანა; 12. სპიკერი; 13. ლავაში; 14. ვაიდა; 15. დეფო; 16. ანდალუსია; 17. არქიმანდიტი; 18. გრო; 19. გემა; 20. მდორე; 21. ერესი; 22. სინაგოგა; 23. რიყე; 24. ხალა; 25. ხარბი; 26. ჰავაი; 27. სუნა; 28. პრაიდი; 29. პიკი; 30. კორიფე; 31. პადრე; 32. კაფკა; 33. უბე; 34. იკებანა; 35. სპა; 36. ქადა; 37. ალექსანდრია; 38. ნემო; 39. სუმო; 40. ვერაგი; 41. გიდი; 42. იგი; 43. ოპტიკა; 44. პოლონეთი; 45. ტაბაკა.

სურათზე: ჰოლი ბერი; ბენ ეფლეკი.

ორიგინალური სამუზეუმო ექსპონატი

იტალიის ქალაქ ბოლცანოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის მესვეურთ იმედი აქვთ, რომ დაიბრუნებენ ფრიად ორიგინალურ ექსპონატს — უნიტაზს, რომელიც მასთან მიახლოებისას იტალიის სახელმწიფო ჰიმნს ასრულებს და რომლის დემონტაჟიც ოქტომბრის ბოლოს, მემარჯვენეთა პარტიის — „ნაციონალური ალიანსის“ სარჩელის საფუძველზე მოხდა. მუზეუმის თანამშრომელთა თქმით, სასამართლო ვერდიქტს უახლოეს მომავალში გამოიტანს.

„პატრიოტული უნიტაზი“ 2006 წლის სექტემბერში გახსნილი ექსპოზიციის — Group Therapy („ჯგუფური თერაპია“) ნაწილი გახლდათ. სკანდალური ექსპონატის შემქმნელები Goldiechiari-ს სახელით მოღვაწე მხატვრები: ელეონორა კიარი და სანდრა გოლდშმიტი არიან. „ნაციონალური ალიანსის“ წარმომადგენლებმა ჰიმნის შემსრულებელი უნიტაზის ექსპოზიციაში არსებობა ერის შეურაცხყოფად მიიჩნიეს და ხელისუფლებას მისი დემონტაჟი მოსთხოვეს. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის იურისტები კი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლებას მისი დემონტაჟის უფლება არ ჰქონდა, რადგან ჰიმნი რესპუბლიკის ოფიციალურ სიმბოლოდ არ მიიჩნევა. ბრალმდებლები კი საპირისპიროს ამტკიცებენ და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ის არგუმენტი მოჰყავთ, რომ ცოტა ხნის წინ მიღებული დადგენილებით, ხელისუფლებამ ჰიმნი ნაციონალურ სიმბოლიკას გაუთანაბრა.

379-მილიონიანი „ჭიანჭველების ბიზნესი“ ჩინურად

გულუბრყვილო ჩინელებმა, ერთ-ერთი კომპანიის ჭიანჭველების მოშენების ფიქციურ პროექტში 379 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადეს. პროვინცია ლიონინის კომპანია Donghua Ecological Breeding მოსახლეობას პროექტში ინვესტირებულ კაპიტალზე 35-60%-იან მოგებას ჰპირდებოდა. ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო იუწყება, რომ თანამედროვე თაღლითთა მოხერხებულობა იზრდება. სამინისტროს ანგარიშში ახსნილი არ არის, თუ რატომ ირწმუნა მოსახლეობამ, რომ ჭიანჭველების მოშენებაში ჩადებული ინვესტიცია მომგებიანი იქნებოდა. ალბათ იმიტომ, რომ სამხრეთ პროვინცია გუანსიში შავი ჭიანჭველებისგან ჩაისა და სპირტიან ნაყენს ამზადებენ, რომელიც ართრიტის სამკურნალოდ გამოიყენება. უსაფრთხოების სამინისტროს მონაცემებით, წელს ჩინეთში ეკონომიკურ დანაშაულთა რაოდენობა 10%-ით გაიზარდა. ამგვარმა ტენდენციამ ქვეყანა

შესაძლოა, სოციალურ არასტაბილურობამდე მიიყვანოს. მთლიანობაში, ეკონომიკური თაღლითობის, სავაჭრო პირამიდებისა და თანხების არალეგალური მოზიდვისგან მიყენებულმა ზარალმა 13 მილიარდ იუანს (1,6 მილიარდი დოლარი) გადააჭარბა.

„მწვანე კუბოები“ – ჰონკონგური სიახლე

მალე, ჰონკონგის ხელისუფლების ორგანოები მოსახლეობის სამსჯავროზე „მწვანე“ კუბოებს წარადგენენ. ჩინოვნიკები ფიქრობენ, რომ დაღარული მუყაოსგან დამზადებული „ეკო-კუბოები“ ჰონკონგის გადატვირთულ კრემატორიუმებში გრძელი რიგების პრობლემას გადაჭრის, რადგან მუყაოს კუბო ეკოლოგიურად უსაფრთხოა, სწრაფად იწვის და ვიზუალურადაც სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ხელისუფლება ირწმუნება, რომ ამგვარი კუბოები კრემაციის პროცესს 2,5 სთ-დან 1 სთ-მდე შეამცირებს. „თითოეულ პროცედურას ბევრად ნაკლები დრო დასჭირდება, ჩვენ კრემაციათა რაოდენობის გაზრდას და რიგების შემცირებას შევძლებთ, ეს კი თავის მხრივ, საცხედრეების გადატვირთვას შეამცირებს“, — ამბობს ჯანდაცვის, კეთილდღეობისა და კვების სამინისტროს მუდმივი მდივანი — კერი იაუ. ჰონკონგში, მიწის სიმცირის გამო, მიცვალებულთა კრემაცია უფრო გავრცელებულია, ვიდრე დაკრძალვა. მთავრობის კუთვნილ 6 კრემატორიუმში ყოველწლიურად 34400 კრემაციის პროცედურა ტარდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰონკონგში ყოველდღიურად 94 მიცვალებულს უტარდება კრემაცია, მაგრამ ჭირისუფალს, ხშირად რიგში 10-დღიანი ლოდინი უწევს. მუყაოს კუბოები მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომია, დაწვის დროს კი, ნაკლებად ტოქსიკური გახლავთ, მაგრამ სავარაუდოდ, ეს ნაკეთობა ჰონკონგში პოპულარობას ვერ მოიპოვებს, რადგან დასაფლავების ტრადიციულ, ჩინურ რიტუალზე ეკონომიის გაკეთება მიცვალებულისადმი უპატივცემულობის ნიშნად მიიჩნევა. მიუხედავად ამისა, ბატონი იაუ დარწმუნებულია, რომ დროთა განმავლობაში, მოსახლეობა „ეკო-კუბოების“ უპირატესობას აღიარებს. დაღარული მუყაოსგან დამზადებულმა კუბოებმა ევროპასა და იაპონიაში უკვე მოიპოვა პოპულარობა. „ეკო-კუბო“ — ადამიანისა და ბუნების ერთიანობის აზიურ ფილოსოფიას სრულიად შეესაბამება. — მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ფუფუნებითაა შემკული კუბო, მიცვალებულს პატივი სრულად მიეგება“, — ამბობს ბატონი კერი იაუ და მუყაოს კუბოებს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს.

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

1	5	7	2	3	8	4	9	6
8	9	2	4	7	6	1	5	3
4	3	6	5	9	1	8	2	7
2	1	3	8	5	7	9	6	4
9	8	4	6	2	3	5	7	1
6	7	5	9	1	4	2	3	8
7	2	1	3	8	5	6	4	9
5	6	8	7	4	9	3	1	2
3	4	9	1	6	2	7	8	5

9	1	6	3	5	4	8	2	7
8	5	7	2	9	1	3	4	6
4	3	2	7	6	8	9	5	1
2	7	3	6	8	5	1	9	4
6	9	1	4	2	3	5	7	8
5	4	8	9	1	7	2	6	3
7	6	5	1	3	2	4	8	9
1	2	9	8	4	6	7	3	5
3	8	4	5	7	9	6	1	2

1	4	7	9	8	5	6	3	2
2	6	8	3	7	1	5	4	9
9	5	3	6	4	2	1	8	7
3	7	9	8	6	4	2	5	1
5	2	4	7	1	3	8	9	6
6	8	1	2	5	9	3	7	4
7	9	6	1	3	8	4	2	5
4	3	2	5	9	6	7	1	8
8	1	5	4	2	7	9	6	3

ფოტოკუთხეები

TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — M — M — გურამიშვილი

PASCHAL

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")